

მნათობი

ქრონიკული
გაზეთი

114
1936

3

შინაარსი

პოეზია

- მ. ქაჯახიძე
- ბ. შვიჩაძე
- მ. ქუჩიშვილი
- ნ. ფხაკაძე

პროზა

- მ. ჯავახიშვილი
- პ. ჩხიკვაძე
- ს. თაყაიძე
- ა. გელიაშვილი

კრიტიკა და კულტურისტიკა

- დ. დუმბრაძე
- მ. ლუარსაბიძე

ლიტერატურის ისტორია

ირ. აბაშიძე

სალიტერატურო არქივი

წერილები რაფ. შინთაყვისაძე

მოგონებები

ბ. ხოსიტაშვილი

ჯილდოგრაფია

- მ. შ.
- მკითხველი



გეორგიული
კომუნისტური

მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა
მშენებლის კავშირის შოველთვიური
სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ-საკოლიტიკო უზრუნველყოფის

7546/26
59770
1872

3



წელიწადი მცხვეტი



სახელები

1936

საქართველოს
პროლატარების
გეორგიული
კავშირის

კ. შ. კილაძის გიორგი ურულაშვილი

საკრედიტო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე
ნოე ზომლეთელი
ნიკო ლორთქიფანიძე
კონსტ. ლორთქიფანიძე
ბრ. მუშიშვილი
შალვა კადიანი
გალაქტიონ ტაბიძე
ტიციან ტაბიძე
ლევ. ქიაჩელი
კანტელიშვილ ჩხიკვაძე
დემნა შენგულაია



კრედიტის მისამართი: ტფილისი, მახაბლის ქ. № 13. ტელ. № 3—55—23.
ენ. ნინოშვილის სახელ. მწერალთა სასახლე.

კანტორის მისამართი: ტფილისი, კიროვის ქ. № 7. პერსონდსტორია.

მის. ჯავახიშვილი

ქალის ზვირთი

რომანი *)

IX

სექტემბრის დამლევია. საღამოს ეამია. ქალაქი ქარვის ბურუსში სთვლემს. აღმოსავლეთით ცას მკრთალი ლავეარდი დასდებია, დასავლეთით კი ვარდი და ალი ლივლივებს. მეტად მაღლა ღრუბლები თეთრი და წითელ-ყვითელი ბატებივით სძოვენ ცას.

მთაწმინდის ქედი უბნითურთ უკვე ჩრდილში ჩაწოლილა, ხოლო ვალბა მხარეს მზისთვის ოქროს მკერდი გაუღვლია, რომელზედაც უამრავი აღმოდებული ფანჯარა კრიალებს.

ამ დროს ტფილისი მშვიდად სთვლემს. დღისით იგი თითქო სხვისთვის ცხოვრობს, საღამოობით კი საკუთარი თავიც ახსენდებდა და მარტო თავისთვის ზრუნავს, ფიქრობს, დარდობს, იცინის და ტყებდა.

საღამოს ეამს ყუმბარებს იშვიათად ისვრიან, პოლიციელებსაც თითქმის აღარ ხოცავენ, და არც სადემონსტრაციოდ გამოდიან. ამ დროს ქალაქელები მხოლოდ სადილობენ, ისვენებენ, მკვდრებს მარხავენ და ბავშვებს დაასეირნებენ. თავისთავად დამყარებული დაუწერელი ხავი რამდენიმე საათს გრძელდება, მერმე კი ქალაქს ისევ სამხედრო წესის უფმური დააწეება და შიში და კაეშანი შეუხუთავს სუნთქვას. მაშინ ამ უმხიარულეს ქალაქში ფრთა მოტეხილი სიხარული ძლივს დახობავს ხოლომე, ხუნდებში ჩაქედილი სიცილი დამხრვალევით ხრიალებს ყანყრატოში, ხოლო ცხრა-კლიტურში მომწვედელულ აზრს მაჭარევით აუწევია სარქველი და საცაა იფეთქებს, იფეთქებს და წყედიადასა და დემილს ცეცხლოვან შუშხუნასავით გაჰკვეთს.

საღამოს ეამს ქეთომ კარი გამოალო, ქვეით დაეშვა და შემდეგ სასამართლოს ქუჩისკენ შეუხვია.

ახალგაზრდა ქალს ოქროს-ფერი ინგლისური სადა კოსტუმი ეცა. თეთრ საყელოს და გულისპიორს წითელი ყელსაბამი უმშვენებდა. თავზე

*) გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 2.

თხელი პანამური შაპო ეხურა, რომელზედაც ხელოვნური ალკოჰოლი და მწვეანე ფოთოლი ეყარა. ცალ ხელში მძივებით მოჭარგული ჩანთა ეჭირა, ხოლო მეორეში აბრეშუმის მაღალტარიანი ქოლგა ჰქონდა; დე ფე ჰქოლგას მზიარულად მოაბაკუნებდა.

ქეთო გარეთაც მუდამ მზიარული იყო და მის მიხერა-მოხერაში, თვალეზის ციმციმში და ტუჩებზედაც ახლაც უმიზეზოსიხარული ეწერა. მან შორიდანვე შეამჩნია ქალარა-შერეული მსუქანი პოლიციელი, რომელიც წელიწადში ორჯელ ახატნელებსაც ეწვეოდა ხოლმე, ახალ წელიწადსა და აღდგომას ულოცავდა, უკვე ნასვამი უფრო მეტად ითვრებოდა და იმ სახლიდან თითო მისვლაზე ათიოდე მანეთი მიჰქონდა. ქუჩაში ყოველ ახატნელს და „პატროსან“ მოქალაქესაც შორიდანვე ეკიმებოდა, ცოტაოდენსაც აცილებდა და ზოგჯერ კიდევ იკითხავდა: „კაკ პოქივაეტე, ვაშე... როდიე?“

ახლა ის პოლიციელი კედელს აპვეროდა, თვალეზს მოუსვენრად აცუცებდა, ყველა გამეღელეს ეკვიანად შესცქეროდა და მარჯვენა ხელით რევოლვერს აწვალებდა ბუდეში. ქეთო რომ დინახა, თითქო გაეხარდა, გაუღიმა. „ჩესტი“ გაუკეთა, რამდენიმე სიტყვით მიესალმა და შემდეგ შიშ-ნაქამი თვალეზი ისევ სხვებზე გადაიბრუნა.

აგერ ფანჯარაში ორი ბალლი ზის. ქეთომ შინა დაუკაუნა, გაუცინა, ვააცინა, ენა გამოუყო და წავიდა.

ვილაც დედაბერი ლასლასით მოათრევს კალათას.

— დედი არ გინდა გიშველო? — შესთავაზა ქეთომ და კალათის ყურს დასწვდა.

— ღმერთმა გიშველოს, შვილო — ჩიფჩიფით მიუგო დედაბერმა და სანამ კუთხემდის მივიდოდნენ, მანამდის „ლამაზი ქალი“ ოცჯერ მაინც დალოცა და შეაქო.

ქეთო ჰავკავადის ქუჩაზე გავიდა და ქვეით დაეშვა. ნარნარად მოდიოდა, ფეხებსა და ქოლგას მკაფიოდ მოაბაკუნებდა და ყველას და ყველაფერს შეჰხაროდა: უცნობ მგზავრებს, მოთამაშე ბაღლებს, პრილა ფანჯრებსაც, კოტრიალა ძაღლებსაც, სულიერსა და უსულოსაც. შესკინოდა ყველას და თვითონაც არ იცოდა რად იყო იმ დღეს ამ რიგად გულღია და მზიარული, არც ის იცოდა სად მიდიოდა და რაღა იმ დროს გამოეცდა ქუჩაში.

მისი ღიმილი საპასუხო ღიმილს იწვევდა: ქალებისა და ბავშვების მხრივ — უმანკოს და მიაბიტსა, ხოლო მამაკაცების მხრივ — ენებინასა და ცინიკურს. ზოგი მათგანი ქეთოს ისე მიაბჯენდა ხოლმე თვალეზს, თითქო აშიშვლებდა და მის სხეულს თვალეზით და ხელეზით ელამუნებოდა.

ახალგაზრდა ქალს სცხვენოდა და ცდილობდა უცნობ მამაკაცებისთვის არ გაეღიმნა, მაგრამ პირქუშობაც ბევრ ვერაფერს შველოდა. ზოგი მამაკაცი არ უღიშოდა, სამაგიეროდ ხარბი თვალეზით სინჯავდა მას და

ზოგჯერ ისე ეჩინებოდა აედევნებოდა ხოლმე, რომ ახალგაზრდა ქალი იბუღებოდა ხდებოდა ან გზა აეჭკია, ან ეინმე ნაცნობს გაჰყოლოდა, ან რომელიმე მალაზიაში დამალულიყო.

ყველაზე მეტად აფიცრები თავხედობდნენ, უფრო მეტად კი დრაგუნები დასდევდნენ.

ქეთოს ახლაც ვაახსენდება მართა, როცა ორივენი ერთად მიდიოდნენ ხოლმე ქუჩაში, მართა არავისაც არ უღიმოდა, არც თვალს აუოლებდა ეინმეს. ისიც სანდომიანი ქალი იყო, მაგრამ ისეთ პატივს სდებდა თავის თავს, რომ ადევნებას იშვიათად უბედავდნენ.

„მინც არ მესმის — ხშირად გაუფიქრია ქეთოს და ახლაც გაიფიქრა: — პრანკია არა ვარ და არც განგებ ვილამუნებ მამაკაცებს, მაშ რა მაქვს იურსა და მიხვრამიხვრაში იმგვარი რამე, რომ მამაკაცები ბუზებივით მოიწიფენ?“ — და ამგვარ ფიქრში გართული ახალგაზრდა ქალი ლამობდა თავჩალუნული ევლო, თვალბში სუსხი ჩაელვარნა და პირიც მაგრა მრეკუნა. მაგრამ მცირე ხნის შემდეგ ბუნებას თავისი გაჰქონდა: იმის თავი ისე ზევით მიიწიფდა და ტუჩების კუთხეში და თვალბშიც თავშეკავებული ღიმილი ეშლებოდა.

მარცხნივ გოლოვინის პროსპექტის კუთხეში არაფელოვის სახლიდან „კარმენის“ დუეტი ისმოდა. ვილაცამ ორჯელ-სამჯერ შესძახა: „ხელახლა ხელახლა!“ დონ ხოზემ და კარმენმა რამდენჯერმე დაიწყეს და ძლავს დაასრულეს. ამ უშველებელ სახლში, სხვათა შორის, შეძლებული საოპერო არტისტებიც ცხოვრობდნენ, რომელნიც ახლა საოპერო სეზონისათვის ეზადებოდნენ.

მათ დუეტში ტაქტის შეშლა ქეთომაც შეამჩნია, გაიღმა, მერმე შილოვის მალაზიის უშველებელ ვიტრინებს მიადგა და იქ გამოფენილ მანეკენებს და საუცხოვო საკაბე ქაოვილებს დააქერდა. ხანგრძლივი თვალიერების შემდეგ ერთი მოლურჯო ინგლისური მაუდის ნაჭერი აირჩია, მაგრამ შიგნით არ შევიდა და გადასწყვიტა მეორე დღეს დედაც მოეყვანა, რომელსაც დაბეწილი გემოვნება ჰქონდა და ფულიც მოეპოვებოდა.

ქალმა პირი იბრუნა, ერეენის მოედნისაკენ გაუხვია და შორიდანვე ელიზბარ შექურათულს მოჰკრა თვალი. პოეტი ბარბაკით მოდიოდა და მისი დაუვარცხნელი გრძელი თმა და ბანჯელიანი სახე ნათლად განარჩედა მას მგზავრებში.

შექურათულმაც დაინახა ქეთო და ხელგაშლილი მიეგება ლექსით:

ქეთო ქუჩაში დამიხვდა,
მესროლა თვალთა ისარი.
გული მაშინვე მიიხვდა,
მითხრა: რომ ვეძებ, ის არის.

— გამარჯობა, ელიზბარ! რა ბედნიერი ხარ, რომ შეგიძლიან მუდამ ექსპრომპტით ილაპარაკაო. — უთხრა ქეთომ და ხელი ჩამოართვა. — ისევ უგზო-უკვლოდ დაეხეტები?

ელიზბარმა ღრმა სევდით უპასუხა:



ეროვნული
გამაყვანებელი

დავებებები ამ ქვეყნად ვით კირიანი ნავაზი,
დაქცა, ვახუნდა ღიმილი, ჩაქრა სულია ნაფაზი,
ნულარ მაწამებთ, ამიშვით, გატეხეთ რკინის ყაფაზი,
გადავიარგო ტყე-ღრეში, ვრბოდე ვით ავი ავაზი.

ზეცა დროებამ წამართვა, მიწაც ფლიდობით მოშტაცა.
მომწოვა ვითა ობობამ, სატანას კლანკებს გადაშტაცა,
მასწავლა ცბიერობანი, წითელ-ყვითელი ჩამაცვა.
სკობს დავიძინო, გაგებრედე, ან მოვკედებოდე ნეტამცა.

— რა მოგდის, ელიზბარ, რა გემართება? — ჰკითხა გუნება-შეცვ-
ლილმა ქეთევანმა. — რა გატირებს რა გტანჯავს?

— ერთსაც გეტყვი და გაიგებ. — და მწუხრის ხმაზე უთხრა:

სწირაედა სიონს კათალიკოზი,
გალობდნენ ჩახრუს და რუსთაველი.
ჰყვაოდა მცხეთა, სინა, ნიჭოზი,
კარნუს გრგვინაედა დიდი შხარგრძელი.
წმინდა თამარი ლოცაედა ლაშქარს

ნიკოფსილიან დარუბანდამდის.
სახელი მისი ეწერა ლაშარს,
ჩინეთს, მადრიბსა, მისრით-ბასრამდის.

იწოდა მუშკი და საკმეველი.
ახლაც კი მესმის ხმა დიდებისა.
თრთოდა ორგული, კათაკმეველი.
ახლაც კი ვხედავ ღიმილს დებისას.

მორჩა, განიზნა, გაქრა ყოველი.
ველარ გამოჩნდეს დღეს რუსთაველი.
ახლა ჩვენვე ვართ კათაკმეველი.
დაიწვა მუშკი და საკმეველი.

ალარც მეტეხი, ალარც სიონი.
ლანდი განიზნა, მოკედა შიონი.
ალარც ჭელაჯა, ალარც ბუხარი,
ალარც სახელი მაშინ მჭუხარი.
დარჩა ბრმა თვალი, ცრემლი მდუღარი.
სული დამპალი, გული მწუხარი.

— მაგრე მწარედ რამ აგატირა, რამ შეგაშინა მეთქი? — ხელახლა
ჰკითხა ქეთომ და ელიზბარი უკანვე გააბრუნა — წაფიდეთ, თორემ ხალხი
მოგროვდა.

— იმან ამატრა, რომ თამარისა და რუსთაველის ხალხი იღუპება. —
მიუგო დუნე ხმით პოეტმა და თავი ჩაჰქინდრა, — რა ენა წახდეს, ერიც
დაეცეს. რა ერი წახდეს ენაც დაეცეს. ყური მიუგდე ამ ხალხის ლაპარაკს:
ქალაქში ქართული სიტყვა თითქმის აღარ ისმის.

— სამაგიეროდ ქართული დანარჩენ საქართველოში ისმის მიუგო ქეთევანმა. — ვთქვათ ტფილისი ქართული ქალაქი აღარ არის, მეთი ხომ არაფერი მომხდარა?

— უარესი ხდება, ქეთევან, უარესი — სასოწარკვეთილ უკლესე ჩემო-ართვა სიტყვა შექურაულმა. — საზარელი მიწის-ძვრაც მზადდება, რომელსაც პოეტი და ზოგი პირუტყვი წინდაწინვე ვგრძნობთ ხოლმე. დანარჩენი კი ლექსად გითხარი.

— მაგაზე ტყუილად ვლაპარაკობთ — უბასუხა ქალმა. — ასჯერ გვჭონია საუბარი და ერთხელაც ვერ შევთანხმებულვართ. მე ყველაფერს იმედოვნად შევეცქერი. რაც კი ხდება, ყველაფერი უკეთეს მომავალს გვიმზადებს. შენ კი უიმედობას შეუპყროხარ და შენი განკურნება მხოლოდ დროს შეუძლიან. ახლა ამას თავი დავანებოთ. შენ ეს მითხარი, ეანდარნებს კიდევ ემალები?

— მაშა? — გაოცებით წამოიძახა ელიზბარმა.

ქეთომ გულწრფელად გაიცინა.

— რას იცინი?

— სასაცილოა და იმიტომ ვიცინი. ღამღამობით იმალები, სხვადასხვა ბინაში იძინებ, დღისით კი მუდამ შუა ქალაქში დადიხარ?

— მე დანამდვილებით ვიცი, რომ მხოლოდ ბინაზე დამიკერენ.

— ქუჩაში კი ვერ გაგიბუდავენ, არა? ახა — ხა! აეშაროვმა ყველა ბინა ჩამოთვალა, საცა კი ცხოვრობდი, და ისიც იცის სადაც ახლა ცხოვრობ.

— ანდე, აკი გითხარი, მითვალთვალევენ მეთქი. — წამოიძახა პოეტმა.

— იმიტომ გითვალთვალევენ, რომ ექვი აღუძარი. გირჩევ მაგ კემ-ძალულობაზე ხელი აიღე, ერთ ალაგას დასახლდი და ექვს გაუფანტავ. ელიზბარი ჩაფიქრდა, ექვის თვალით გადაჰხედა ქეთოს და ჰკითხა.

— აეშაროვმა ხომ არაფერი დაგავალა?

— სწორედ ის დამაბარა რაც ახლა გითხარი.

— სხვა რამე ხომ არ დაგავალა?

ქეთო გაწითლდა, მაგრამ შექურაულის ნაბოდვარი ხუმრობაში ჩაატარა და სიცილით მიუგო:

— როგორ არა, დამავალა: ელიზბარი დამაქერინეო.

— შენ თითქო ხუმრობ, ნამდვილად კი სიმართლე გათქმეინე.

— ტუტუცი ვინმე ყოფილხარ! თავბედო! რეგვენო აქედან გამეცალე! — უცებ იფეთქა ქეთომ და თვითონვე გაეცალა: პოეტი პირდაღებული დასტოვა და სწრაფი ნაბიჯით გადასჭრა ქუჩა.

ქეთო შეღონებული მიდიოდა და ფიქრობდა: „ღმერთო ჩემო, რა ბრწყინვითი, რა კადნიერი ყოფილა! აეშაროვის ჯამუშად გამზადა! უზრდელი! რეგვენე!“.

ბარიათინსკის ქუჩის კუთხეში ხალხი მოგროვილიყო და ქვეით იცქირებოდა. იქვე პოლიციელი ტრიალებდა და უნდილად უჩივდა: „დაიშაღენით... გაიარეთ“.

ქეთოც შეერია ხალხში და წინ წასდგა. ქვეიდან აღმართზე პირველი ავტომობილი ამოდიოდა, რომელიც პრინცი ნაპოლეონს ჩამოეტანა ქალაქში. ავტო ხრიალებდა, სკექდა, დაჭრილი ნადირივით მოხზავდა, წარამარად ჩერდებოდა და იფურთხებოდა. შოფერი ხშირად ჩამოდიოდა, ავტომობილს წინიდან მოლუნულ რკინას უკეთებდა დინგივით და იმ დინგს მთელი ძალღონით ატრიალებდა. მიუჩებელი ავტო ხელახლა ახრიალდებოდა. მყრალ ბოლს გამოუშვებდა, რამდენჯერმე დააკვინებდა ცხვირს, ვაიკინებოდა და ტაბით წამოვიდოდა, მაგრამ მალე ისევ შეჩერდებოდა და ახალ საფანელსა და დინგის ტრიალს მოითხოვდა.

— კამეჩები მოაშველეთ! — დაიძახა ვილაცამ.

— ცუცხლი შეუკეთეთ!

— ფალია დააყარეთ!

— ეესტი შიბით, ეესტი!

ვილაც ავარამ დაჭყლელი თუნუქის სანავთე მოარბენინა, ავტოს მიეპარა და უკნიდან შიბა კანაფით. ხალხში ყრიამული ატყდა და როცა ავტო ხელახლა დაიძრა და თუნუქი წრიპინ-რახრახით გაპყვა მას. ყრიამული როყო ხარხარად იქცა და ავტოს ბაზრული ოხუნჯობა და სტვენა მიაცარეს. ავტომობილი ხელახლა გაჩერდა.

დრაგუნთა პოლკოვნიკი პრინცი ნაპოლეონი, რომელიც აქამდის გაფშეკილი იჯდა ავტოში და თითქო არაფერს ამჩნევდა, უცებ ძირს ჩამოხტა. რალაც წაიბუტბუტა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა სახლისაკენ.

სანამ შოფერი ავტომობილთან წვალობდა, ვილაცამ უპატრონო ძალლი დაიჭირა, ავტოს თუნუქი მოხსნა და ძალღს შიბა, მერმე გაუშვეს და ღრიალით დააფრთხეს:

— ეს ნიკოა, ეს კი იმის ტახტია — განმარტა ვილაცამ.

— ჰარიქა, მაკაკი მოვიდა!

— გაიქე, თორემ იაპოშკა დაგეწევა!

ძალლი დაიძრა და, უკნიდან თუნუქის ელარუნი რომ მოესმა, სირბილს უმატა, მერმე გაგიფებული გაიქცა და თუნუქიც გაიტაცა.

ქეთოც გამზიარულდა და ისევ თავის გზას გაპყვა. მერმე ისევ შექუჩრული გაახსენდა და გულში წამოიძახა: „მაწანწალა! უბადრუკი!“ მაგრამ ბრაზი უკვე შენელებულიყო. „დეენის კვიატი ხომ არა სჭირს? — იკითხა ჭალმა და იქვე გადასჭრა: — უეჭველად აგრე იქნება, თორემ როგორ გამოიბედავდა! ამას იქით ახლოსაც აღარ მივიკარებ. ზოგი ქირი მარგებელია. ან რა მაქვს საერთო ფარნაოზის დროინდელ ადამიანთან? არაფერი, სულაც არაფერი“.

სასახლის მხრიდან ყაზახთა ასეული მოჰქროდა. ყველა მათგანს ღია-წითელი ჩოხა ეცვა. შავი ბოხობი ეხურა და ზურგზე ფურცულაწევი ნასუქალი შავი ცხენები გაქანებული ჩორთით მოჰყავდათ. პატარა ქაშაყულები ახალგაზრდები იყვნენ და რიხით და ფახით მოდიოდნენ. შუაში საუცხოვო ლანდო მოექციათ, შიგ ორი შავი რაში ება. ახვანი შეეწვერა შეეტლეთავს ძლივს უჭერდა. ლანდოში მეფის-ნაცვალი ვარანცოვ-დაშკოვი და მისი მეუღლე ისხდნენ.

არავინ სალამი არ მისცათ მათ. ეტლმა და მხლებელთა ასეულმა თქარათქურით გაიარეს. უენიდან სტვენა, უკადროსი ობუნჯობა და სიცილი მიაყოლეს.

სასახლის აქეთა კარის წინ ორი შიშველ-ხმლიანი წითელჩოხა ყაზახი იდგა გუშავად. პარასკევი იყო და ის დღე ვარანცოვის მეუღლის სადარბაზო დღედ ითვლებოდა. მოდარბაზენი დიდი ხანია წასულიყვნენ, დიასახლისსაც სადილი გაეთავებინა და სასიეროდაც გამოსულ იყო, ყაზახები კი მაინც გაჭიმული იდგნენ და ერთმანეთს თვალეში ჩაშტერებოდნენ.

მეორე კარის წინ თუთიყუშით ჩაცმული, წვერულვამ-გაპარსული, მსუქანი მეკარე იდგა. ოქრომკედით მოქარგული და წითელ-ყვითლად აქრელებული მოსასხამი კოჭებამდე სწვდებოდა. გაშეშებული იდგა მეკარე და ყველა გამვლელს სუსხიანი თვალეშით ზომავდა.

ქეთომ სასახლის ქუჩა ჩაიარა და თამამშვევის ქარვასლაში შევიდა. მისმარძალმა თამარამ აქ საუცხოვო ცხვირსახოცები იყიდა და ქეთოსაც უჩრია.

ქარვასლის ქვემო სართულს ოთხივ მხრივ ვიწრო ტალანი ჰქონდა მოვლებული. ტალანის აქეთ-იქით ასზე მეტი სახელდახელო ღია დახლი იყო. თვითთულ დახლში ოციოდე თუმნის წვრილმანი ეყარა და ორი ნოქარი იდგა. ერთი მათგანი ვაჭრობდა, მეორე კი მუშტარს იქერდა. ხოლო ყველანი ერთად სულ იმას ლამობდნენ, რომ მეზობლის ხმა ჩაეხრთ, მუშტარი წაერთმიათ და მაქსიმუმი ევაჭრათ. ამის გამო ქარვასლაში ისეთი წეწვა-გლეჯა და კალთების ხევა იყო, ისეთი ყაყანი იდგა, რომ მას მხოლოდ ევროპული ბირჟა გაუწევდა ქიშპობას.

ქეთო მაშინვე ჟრიამულის და შეხლაშემოხლის მორევში მოექცა. არც კი ევითებოდნენ, რას ეძებდა, რის ყიდვა უნდოდა. ყოველ მხრივ კრაზანებივით მიესივნენ და ყრუსავით ჩასძახოდნენ:

- აქეთ მობრძანდით, აქეთა! აი ღილები, პირველი სორტის ღილები!
- ერთი ნახეთ რა ჩულქებია, რა ჩულქებია, პა-პა-პა!
- აბა ლენტები, კრუყევეები, ზორტი და ზონარი! ვაპ-ვაპ-ვაპ!
- აქეთ მოიხედე ლამაზო, აქეთა!
- არ მოგატყუოს მაგ არამზადამა, ბარიშნაჯან!



რამდენიმე ქალმა შესწივლა, ერთი მათგანი ქათამივით აკანკლდა. ქეთომაც უნებურად შესძახა „ვაიმე“ და გადმოხტოდა. მაგრამ ზურაბმა არ გაუშვა: ძალით აიტაცა, ვაგონში შეიჭრა და მანამ მიიძახა, რომელიც გარეთ იხედებოდა:

— გარეკე, შე სულელო, რას უყურებ!

ვაგონი თითქმის განახევრდა. შიშისაგან ათიოდე გზა-აბნეული მგზავრი კისრის ტეხით გადახტა ვაგონიდან. სამაგიეროდ სხვები ამოცვივდნენ. ვაგონი დაფეთებულებით მოსხლტა და იმავე წამს აქეთ-იქედან თოფისა და რევოლვერის ქახაქუხი ატყდა.

ქეთომ ყაზახებს მოჰკრა თვალი. ერთი მათგანი ჩამჯდარიყო და ბოძს მიჰყუდებოდა. პირსახე სისხლით ჰქონდა შეღებილი, თითქო წითელი ნიღაბი აუფარებიაო.

მეორე ყაზახს ცხენი დასწოლოდა და ფართხალებდა.

მესამე პირქვე წაქცეულიყო, ქვაფენილს ფხაქნიდა და ლამობდა ამღვარიყო.

უპატრონო ცხენი ჭიხვინით დარბოდა.

თავზარდაცემული ხალხი უგზო-უკვლოდ გარბოდა.

ვაგონი ორბელიანთა უბნამდის ჩასრიალდა და ისე მოუხვია მარცხნივ, რომ კინალამ გადატრიალდა. თოფის ხმა გახშირდა, მაგრამ იგი უკვე ყრულ ისმოდა.

— სამშვიდობოს ვავედით. ახლა ნულარ გეშინიანთ — უთხრა გლეხმა მთრთოლვარე ქეთოს, თან გვერდით მოუჯდა, სახრე ლაჯებში ჩაიდო და თუშური ქუდი შეისწორა.

— ღმერთო ჩემო, ის ყაზახები... — ამოიკვნესა ქეთომ

სუ მეთქი! აკი შემპირდით, სისხლს შევეჩვევიო.

— შეგპირდით, მაგრამ ძნელია, ზურაბ... მათე... ჰო, მართლა, ტი-მოთე... ღმერთო ჩემო, რა რიგ ავრეულვარ!

— ასეთ დროს ნამდვილი ერთობისტი კაჭივით უნდა გამაგრდეს. აბა შემომხედეთ. მეონი არაფერი მეტყობა.

ქეთომ მოლიმარე გლეხს აპხედა და წაიბუტბუტა:

— მართლა არაფერიც არ გეტყობათ. ბედნიერი ხართ. აი მეც დავშვიდდი. მაგრამ იმ ყაზახებს მაინც კანთიელად ვხედავ.

— დაივიწყეთ მეთქი. ჰო, წელან იმას ვლაპარაკობდით: ჩემისთანა ხეტიალი შორიდან გენატრებათ მეთქი განაახლა ზურაბმა ათიოდე წუთის წინათ შეწყვეტილი საუბარი — სინამდვილეში კი ერთ კვირასაც ვერ გაუძლებთ. თქვენ ნაზი ვარდი ხართ და მაშინვე დაჰქნებით.

— თუ კი მართა უძლებს...

მართა არ იმალება — მიუგო ზურაბმა.

არც შე დავიძალები. იმისოდენა საქმეს კი მეც მოვერევი.

— ეგ რა არის? — ღიმილით ჰკითხა ქეთომ და წინაშე მდებარე მინახულ დამკვიდრ ვარდზე მიუთითა. — ვისია ვინ გაჩუქათ.

— ქალის ნაჩუქარია — ცბიერი ღიმილით უპასუხა ქვეყნის მფლობელი.

— შეე ვიცი, რომ ქალისა იქნება. ისიც ვიცი ვინ გაჩუქა.

— მაშ გამოიცანით.

— მართას ნაჩუქარი იქნება.

ზურაბმა ნაძალადევად გაიცინა და უთხრა:

— ძლიერ ახლო კი მიხვედით. რამდენიმე ნაბიჯიც რომ გადადგათ, იმ ქალის კარს მიაღებდით.

ქეთოს საამურად აუჩქოვდა გული. აღაშფოთებული თავი ძირს დაჰხარა და ჩუნათ ჰკითხა:

როდის იყო... როდის გაჩუქეს?

— სამ თვეზე მეტია.

ქეთო წორედ ასეთ პასუხს მოელოდა. დიად, სამ თვეზე მეტი გავიდა მას აქეთ, რაც პირველად შეხვდა ზურაბს და რაც ეს ვარდი აჩუქა. ის დღე გაახსენდა და მღელვარე ხმით ჰკითხა:

— ნუთუ იმ ქალმა იმოდენა ადგილი დაიჭირა თქვენს გულში, რომ იმის ნაჩუქარ ვარდს სამ თვეს ინახავთ?

— სამ წელიწადსაც შევიწახავ, უფრო მეტსაც.

ქეთოს დასცბა. ჩანთიდან იასამნის-ფერი აბრეშუმის ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლზე გადაისვა. ზურაბი იმ ცხვირსახოცს მისწვდა, გამოართვა, რამდენჯერმე დაჰსუნა და გაბრუებულმა უთხრა:

— იასამნისფერი... იასამნის სუნი... თავბრუ დამასხა. შუქურაულის ნიჭი რომ მჭონდეს, ახლავე ლექსს გამოვთქვამდი.

— სხვისი ლექსი მაინც მითხარით.

ორივენი შედგნენ.

ზურაბმა ხანმოკლე ღუმილის შემდეგ მკაფიოდ და ოდნავ მორთოლვარე ხმით წარმოსთქვა:

ვახსოვს, ტრფავ ჩვენს, დიდ ბალში

მე და შენ რომ ერთად ვრბოდით?

ნეტა იმ დროს... სიყვარულის

მეტს არაფერს ჩვენ არ ვგრძობდით.

შენ მოსწვევით ქორვა ვარდი,

გადმოვიგდე საეარელსა

და მითხარი: „ჩემო გიგო,

ჩემ სახსოვრად გქონდეს ეს“.

ან შენ მაშინ რა იცოდა

ან შენ ვიფიქრა რა იცოდა.

რომ იმ ვარდზე ადრე შენი

სიყვარული დასკვნებოდა.

ცოტა ხანს მღუმარენი იღვნენ. მერმე ისევ წავიდნენ. ქეთომ თითქოს თავისთვის გაიმეორა:

— ან შენ ვიყავი რა იცოდა, რომ იმ ვარდზე ადრე შენი სიყვარული დასკვნებოდა. ნუ თუ მართლა აგრე ადრე სკვნება სიყვარული?

— არ ვიცი. მე ჯერ არა მყვარებია... დღევანდლმდმქმსმყმ მყვა-
ზმზლმქმსმქმ

— ვითომ? დაეიჯერო? — და პასუხი რომ არ მიიღო, თავის ცხვირსახოცს მიეტანა: — დამიბრუნეთ.

— არ მოგცემთ, ესეც ჩემს უბეში დარჩება — მიუგო ზურაბმა და ცხვირსახოცი უბის ჯიბეში ჩაიღო.

— ინებეთ — დაეთანხმა ქეთო, — მაგრამ სამაგიეროს მოვითხოვე.

— ჰო, მართლა... თი ინებეთ.

ზურაბმა ქალაღლში გახვეული ახლად ნაყიდი ილია ჭავჭავაძის ლექსების წიგნი ვახსნა, ჭმიურთი ფანქარი ამოიღო და წააწერა: „ან შენ ვიყავი რა იცოდა, რომ იმ ვარდზე ადრე შენი სიყვარული დასკვნებოდა ზურაბი“.

— ინებეთ, მაგრამ ვახსოვდეთ: როცა ამ წიგნს გადაშლით, მე გამიხსენებთ ხოლმე.

ქეთომ წიგნი ჩამოართვა და ჰკითხა:

ილიას ლექსები გოყვართ?

— ლექსებიც მიყვარს, პოემებიც და მოთხრობებიც. ილიას „განდუგული“ მსოფლიო ლიტერატურის პირველ რიგში ჩადგება.

— საკვირველია. მაგას კი არ მოველოდი — გაუკვირდა ქეთოს. — ილია ჯერ შეაჩვენებთ, ახლა კი პირველ რიგში ჩააყენებთ?

— ნუ ვიკვირს — მიუგო ზურაბმა. — ილია პოლიტიკოსიც არის, ამ მხრივ ჩვენს შორის გარდუვალა უფსკრულია. ზოგჯერ პოეტი და პოლიტიკოსი ერთმანეთს ებრძვიან ხოლმე, მაგალითად...

და ზურაბმა მოკლედ და ნათლად აუხსნა ქეთოს გარეგნული გაორება ბალზაის, ანატოლ ფრანსისა და ილიასი. ბალზაკი მტკიცე როიალისტი იყო, მაგრამ თავის რომანებით რევოლუციის საქმეს აყეთებდა. ანატოლ ფრანსი პირუტყულმა იქცევა: მას სოციალისტად მოაქვს თავი, მაგრამ თავის რომანებსა და მოთხრობებში მხოლოდ სალონს, ბერსა და ბურჟუას გვიჩვენებს. მუშისა და გლეხისა კი ხსენებაც არ მოეპოვებამო. ილია ავტორია „კაკო ყაჩაღის“, „გლახის ნაამბობის“, „აჩრდილის“, „მუშისა“ და „პაროზის კომუნისა“, და ამავე დროს კაპიტალის აყვავებას გვიჩადაგებსო.

— ჩვენ თავყვანს ვცემთ სამივე მწერალს, როგორც მწერალს — დაასრულა ზურაბმა, — და გაშმაგებით ეებრძვით სამთავ პოლიტიკურ-სოციოლოგიურ მოძღვრებას, და ამ მხრივ ჩვენ ისევე ვერ მოვრიგდებით. როგორც ცეცხლი და ნავთი ვერ მორიგდებიან. — ზურაბმა მარქსი და ენგელსი დაიმოწმა და ბოლოს ჰკითხა: — ახლა ხომ გაიგეთ?

— ახლა კი ვაგიგე — მიუგო ქეთომ და თითქო შეება იგრძნო. იმითომ იგრძნო, რომ ეს თება — ილიას ვინაობა — ახატნელების ოჯახში

გაუთავებელ დავას იწყევდა. ანდრია, აკაკი და ნიკო კვადასხვა მხრიდან ეროვნულ კარჩაკეტილობას და უკიდურეს პატრიოტიზმს უსაყვედურებდნენ მას, მაგრამ ერთმანეთშიც ვერ რიგდებოდნენ. საუბრებით იზიარებდა ილიას სოციოლოგიას, ზოლო ნიკო კვადას სოციოლოგიისთვის მზად იყვნენ ჯეარს ეცვათ იგი, საბოლოოდ კი მის მოღვაწეობას წყალში ჰყრიდნენ და „განდევილსაც“ თან ატანდნენ.

დიმიტრი ორ წყალს შუა იყო გახიზული: ცალი ყბით ესარჩლებოდა და მეორე ყბით ჰგმობდა.

მარტო გრივოლი იყო ილიას ბრმა მიმდევარი და მზად იყო მისთვის სისხლიც კი დაედვარნა. „ერთ იოტსაც არ დაეთმობ — ამბობდა გრივოლი. — ილია მთლიანია და ურღვეველი ვითარცა რკინის ბურთი. მე არც „დიმიტრი თავდადებულს“ დაეთმობ და ვერც „პარიზის კომუნას“ ჩამოვაშორებ მას. რაც არის, არის, მორჩა და გათავდა!“

ზურაბმა თითქო ქეთოს ნაფიქრი წაიკითხაო: იუჩა და დაასრულა: — ამგვარი გაორება, რასაკვირველია, მხოლოდ ფორმალურია. ნამდვილად კი იგი დიალექტიკურად არის შეკრული, ამიტომ საბოლოოდ ილია ქვეყანად მეტად მთლიანი და განუკვეთელი პიროვნებაა: ლიბერალია, პროგრესისტია.

ამასობაში ის პაწია სახლიც იბოვეს, რომელსაც ეძებდნენ. ცხედარი უკვე გაესვენებინათ. ქუჩის ბოლოს სასაფლაოსკენ მიმავალი ხალხი მოსჩანდა და სამგლოვიარო გალობის გუგუნიც მოისმოდა: „მსხვერპლად დაეცით ავბედით ომში.“

ქალაქი თავდებოდა და გორაკები და ოღროხოლო იწყებოდა. — წელანდელი სისხლი დაგავიწყდათ? — ჰკითხა ქეთოს ზურაბმა.

ქალმა ღიმილით მიუგო: — სულ დამავიწყდა. — დღეს საღამოს ცხრა საათზე ქალების ერთ წრეს სხდომა ეწყება. ვინდათ თუ არა თქვენც დაესწროთ? — ჰკითხა ზურაბმა.

— რასაკვირველია მინდა — გაეხარდა ქეთოს. — სასაფლაოზე მე და თქვენ ერთმანეთს უეჭველად დავშორდებით, ამიტომ ახლაც მითხარით, ცხრა საათზე სად იქნებით?

— აქედან ჩემს მეგობართან ვლო შაბურიშვილთან. წავალ და იქ მოვიციდით. აქვალის ქუჩაზე ცხოვრობს. №80.

— აგრ. სწორედ ცხრა საათზე მომელოდით. მოვალ და წავიყვანთ. ახლა კი თქვენ წინ წადით. აჩქარდით.

— რათა? — წადით მეთქი. აგერ იმ კაცთან პატარა საქმე მაქვს და ახლაც დავწევით.

და ერთი მაღალი, გამხდარი, ქერა კაცი ანიშნა. რომელიც ხალხს ჩამორჩენოდა, მოშორებით გორაკზე მესერთან აყუდებულ იყო, პირსახეზე ვაზეთი აფარებინა და ვითომ კითხულობდა.

ქეთო წინ წავიდა. მიდიოდა და დროგამოშვებში ხეებს ჩხუტებოდა. როცა იმ უცნობს საკმაოდ დაშორდა, ერთხელ კიდევ მოიხედა და დაინახა: ზურაბმა გზას გადაუხვია, მცირე აღმართი აირბინა და, ჯიბეში ხელჩაყოფილი, მტკიცე ნაბიჯით ვაემართა იმ კაცისკენ.

უცნობმა უცებ დაკეცა ვაზეთი, ზურაბს ზურგი შეუბრუნა და სწრაფი ნაბიჯით წავიდა. მალე უკან მიიხედა და რა დაინახა რომ ზურაბმაც ნაბიჯს მოუხშირა, თვითონაც აჩქარდა, მერმე თავდაღმა გაიქცა და ხეებზეში მიიმალა.

— ვინ იყო? რად გამოუდევით? რად გაგეკცათ? — ჰკითხა ზედიზედ ქეთომ, როცა ზურაბი დაეწია.

— ახრანკის აგენტია. წელან ამედეენა. ერეენის მოედანთან გზა-კვალი აურიე. ახლა აქ მიპოვა. რაკი ერთი ვიცანი, ამას იქით აღარ ამედეენება.

— მხდალი ვინმე ყოფილა.

— მამაცი კაცი ჯაშუშად დადგება?

— რა თქმა უნდა, არ დადგება — დაუდასტურა ქეთომ. — ალბათ მალე პოლიციას მოიყვანს და თქვენს დაჭერას მოინდომებს.

— სულ ერთია. პოლიცია უიმისოდაც აქ დაგვიხვდება. ახლა კი სჯობს ერთმანეთს დავშორდეთ. გირჩევთ საფლავთან ახლოს არ მიხვიდეთ, თორემ ორმოტრიალის შუაგულში მოექცევით და ინანებთ. თუ ცხრა საათზე არ მოვედი, ავშაროვთან მიკითხეთ და იქ დაგვიხვდებით. — ღიმილით დაამთავრა ზურაბმა და მოშორდა.

სასაფლაოს გზებზე და ბილიკებზე უამრავი ხალხი მოსჩანდა. რომელიც ზევით გორაკებისკენ მიემართებოდა. ქეთომ შესასვლელთან მოზრდილი თაიგული იყიდა, ხალხს გაჰყვა და მალე უშველებელ ჯგუფს მიადგა, რომელიც საფლავის ირგვლივ შეკრებილიყო. უნდოდა ახლო მისულიყო, მოკლული გმირი ენახა და მისი კუბო ყვავილებით შეემკო, მაგრამ გზა ვერ გაიკვლია და თაიგული ერთ მაღალ მუშას გადასცა, რომელიც კუბოსკენ მხნედ იკვლევდა გზას. მალა აწეულმა ქეთოს თაიგულმა ერთ ნანს იარა ხალხში და შემდეგ მტრის ტყვიით განგმირულ მკერდზე დაესვენა. კუბო ყვავილებით, დაფნით, კვიპაროსით და განიერი წითელი ბაფთებით იყო შემკული, რომელზედაც ერთობის ლოზუნგები და მწეავე მუქარა ეწერა.

ქეთოს იქ ყოფნა ეხამუშებოდა. მას ყოველ მხრივ ათვალეირებდნენ და მისი მშვენიერი ტანისამოსი, ლაკის ფეხსაცმელი, მისი ძვირფასი შაპო

ყველას ერთ წუთში გადასცეს და ყველამ სამორჩილოდ შეიძინა იგი. — ამხანაგებო! — მოესმა უცებ ქეთოს ზურაბის მტკიცე და დინჯი ხმა. ქეთომ ქვეით გაიხედა და ერთ მაღალ მატურზე, ^{ქვემოთ} ~~ქვემოთ~~ ^{ქვემოთ} ~~ქვემოთ~~ ზურაბი იცნო. უჩინდან მას სვეტი და კვიპაროსი ჰქონდა ამოფარებული; ხოლო ირგვლივ მუშების მოზრდილი ჯგუფი ეხვია.

— ამხანაგებო! ნათქვამია: ის რკინა სჯობს იმ რკინასა, რომელიც გასჭრის რკინასა. ორი რკინა უხსოვარ დროიდან სჭრის ერთმანეთს და საცაა ერთერთი უნდა გადატყდეს. ერთ მებრძოლს უკვე მუხლი უკანკალებს. ის თანდათან უკან იხეეს და გააყვებულ ლომს დაობებულ პურის ნაჭრებს უყრის. ჰგონია, მოვატყუებ და დავამშვიდებო. მაგრამ ლომი სისხლიან ხორცზეა განზრდილი და პურს არ გაიხლები. ბრძენს ისიც უთქვამს: კარგი ხარი და კარგი მუშა საღამო ხანს მოუმატებნო; საღამომ უკვე მოაღწია, მებრძოლნი განძვინდნენ და საცაა იმ ერთის მზე აგერ ამ მზესავით ჩაესვენება. ხვალ დილით კი თქვენი მზე ამოვა, მზე სიმართლის, თანხმობის, ძმობისა და შრომისა, მზე მცხუნვარე, ჯიგრის ფერი, გამფანტველი ბნელისა, შემშუსვრელი ყველა ქვემრომთა და მაცოცხლებელი ყველა ჩაგრულთა, ყველა დევნილთა, ყველა მშრომელთა. იმ სანატრელსა და აუცილებელ დილას თითქმის ყველანი მოესწრებით. ვეღარ იხილავს მას მხოლოდ დახუჭული თვალები ამ უბედური გმირისა, ამ კუბოში რომ ჩაგიჭედიათ და ვერ ეტევა. მაგრამ ის ბედნიერიც არის იმიტომ, რომ მისი ჩონკა ყველამ გულში ჩავისახლეთ და ვერც იქ ეტევა.

ამ დროს ბოჭაულმა რევოლვერი დასცალა ზევითკენ. პოლიციელებმაც ქაბაჭუბი ასტეხეს და ხალხს დაერივნენ. ყაზახებმა მათრახები მოიმარუჯვეს და ცხენები დაფრთხალ ხალხზე მიაგდეს. ატყდა რამდენიმე ქალისა და ქირისუფალთა კივილი.

— შესდექით! ნუ შეშინდით! ნუ გარბიხართ! — დასტეკა მატურიდან ზურაბმა.

ქეთომ ზევიდან დაინახა: ლევანი ზურაბს მისწვდა და რალაცას ეხვეწებოდა, ყელს უწევდა.

— მომშორდი მეთქი! — მიადახა ზურაბმა. — ხალხო, შესდექი! ნუ გარბიხართ მეთქი!

ლევანი მატურზე აბტა, ზურაბი ხელის-კვრით ჩამოაგდო და თვითონაც გადმოჰყვა. მას მაშინვე ოთხიოდე მუშა შემოეხვია. ზურაბი გაძლიანდა, მაგრამ ილღიებში შეუსხდნენ და ძალით შეიტაცეს ბუჩქებში. წელანდელი ჯაშუში, ზურაბს რომ აედევნა, ისევე გამოჩნდა. ჯერ დარბოდა, მერმე ბოჭაულს ეცა, ზურაბი დაინახვა და რალაცას ეჩიჩინებოდა.

ბოჭაულმა ორი პოლიციელი გაიყოლა და იქით გაიქცა, ხაითაც ჯაშუშმა მიუთითა.

ნიკომ, თედომ და რაყდენმა გზა გადაუჭრეს მათ.

— თავი დაანებეთ, თორემ სისხლი დაიღვრება — უჩინო ბოქალს სტუდენტმა. — ხომ იცით, რომ უსისხლოდ არ დაგნებდებათ.

— შენ ვილა ხარ? — წამოიძახა ბოქალმა. — დასწავლულნი მიაძახა პოლიციელებს და მეორე მხარეს გაიქცა.

ყაზახები ცხენებს ბუჩქებში და სასაფლაოს ქვებზე დააქროლებდნენ და ვისაც კი მიუსწრებდნენ, მათრახს უყაპუნებდნენ და გაქცევას აიძულებდნენ.

ცხედარს და ახალ საფლავს ასიოდე გულმაგარი კაცილა შერჩა. საბუღალსო ორშოს გარშემო რკინის გუნდივით შეკრულიყვნენ და დაღუპულ თანამებრძოლს რისხვისგან შედედებულ სიჩუმიტლა უგებდნენ ანდერძს. მერმე კუბოს სახურავი დააქედეს, სამარეში ჩაუშვეს და მიწის მიყრას შეუდგნენ.

ქეთომ მართაც დაინახა. ყაზახთა ასისთავმა ცხენი მიაგლო მასზე, მათრახი აღმართა და მიაძახა:

— გაიქეცი, თორე მოვიდა!

მართამ ქვეიდან აახუნდა მოძალადეს, ხმა არ ვასცა და ქირისუფალთა გუნდისკენ გაემართა.

— გაიქეცი მეთქი! — მიაძახა ყაზახმა, ცხენი მიატრიალა და ზურგზე მათრახი გადაუქირა.

ქალი აივლაცხა, მაგრამ მაინც არ გაიქცა.

— რა ვინდა ჩემგან, მხეცო! ნადირო!

ასისთავმა ერთი კიდეც დაჰკრა და პოლიციელს უბრძანა:

— ესეც დააპატიმრე!

მართა მაშინვე წაიყვანეს.

ქეთო განძვინდა. აღმოდებულებით დაეშვა ბეჭობიდან, მალე დაეწია მართას და გვერდში ამოუდგა. მისდევდა, ქეთიინს ძლიეს იმაგრებდა და ნაწყვეტნაწყვეტად ისროდა:

— ახლა კი მეხმის... მესმის რატომ ხოცავენ... დანდობის ღირსი არც არიან...: სისხლი, მხოლოდ სისხლი და მეტი არაფერი!.. მხეცები ყოფილან მეთქი, მხეცს კი მხეცურად უნდა მოექცე.

— გაჩუმდი, არ გაიგოს. — მიუფო მართამ და პოლიციელზე უყო თვალი, რომელიც მას მისდევდა.

— გაიგოს, რას დამაკლებს!.. სისხლი მეთქი!.. მხეცებო!.. ნადირებო! პოლიციელს ქართული არ ესმოდა და ამიტომ ქეთოს ვერაფერს უბუღებდა.

ბუჩქების უკან ორმოციოდე პატიმარი იდგა. მათ ზუთი რევოლვერ-ამოდებული პოლიციელი სდარაჯობდა. ქეთომ პატიმრებში ნიკოც დაინახა და გაშეშდა. ბრაზი დაავიწყდა და იმასლა ფიქრობდა, მართა და ნიკო რა ვზით ვადაფრჩინა. დიდხანს არ უფიქრია, უცებ იმ პოლიციელს

მიადგა, რომელიც სხვებზე უფრო ხნიერი იყო, ცალი ხელთათმისა გაიხა-
და და პოლიციელს უთხრა:

— ორი პარტიმარი უნდა გაუშვათ. სამაგიეროს იმ ამის გუნდისათვის. —
და თავის თითზე ანიშნა, რომელზედაც მომსხო აღმასი კრიზისებდა.

პოლიციელს თვალეები აუპრიალდა. ცოტა მოიფიქრა და ჰკითხა:
— ვინ... რომელი?
— აგერ ის ქალი და ის ვაჟი. ქალს მართა ჰქვია, ვაჟს კი ნიკო — და
თვალეებით ანიშნა.

— მართა და ნიკო რომელი ხართ? — დაუძახა პოლიციელმა პატიმ-
რებს. — მომყევით! ბოჭაული გიბრძანებს.

და სამივეს წინ წაუძღვია. როცა ყველანი ბუჩქნარს მიეფარნენ, ქეთომ
ბეშუდი მოიძრო და პოლიციელს გადასცა. — Ну, с добром! — ღმერთი
იყოს თქვენი შემწე. — დაულოცა გზა პოლიციელმა და უკანვე გაბრუნდა.

ნიკომ, მართამ და ქეთომ ხშირ ბუჩქნარს მიატანეს და სამშვიდობოს
გავიდნენ.



— მართა, წავიდეთ მეთქი. — მეხუთეჯერ ურჩია სასაფლაოზე ნიკომ
თავის ამხანაგს — ფაიტონით წაგიყვან.

— არ წამოვალ მეთქი. — მეხუთეჯერვე შეუბრუნა ქალმა.

— შენს ზურგზე სისხლმა გამოჟონა. იმ მხეცს უწყალოდ დაუკრავს
მათრახი.

— არა მიშავსრა. მომიჩიება და არ კი დამავიწყდება. აგერ ლევანიც
აქ მო, ლევან. რას აპირებ? რას დარბიხარ? იმ ხალხს როგორ ვუშველოთ?

— აქეთ-იქით ვაიქეცი და ხალხს დაუძახეთ. — ბრძანების კილოზე
მიუგო ლევანმა. — ჩვენც პარტიმრებში ჩავერიოთ და ოცის მაგიერ ორასი
და ორი ათასი გავხდეთ. ბრალიანსა და უბრალოს ველარ გაარჩევენ და
ყველას გამოუშვებენ. აბა, ნიკო, წინ ვაიქეცი და გაისარჯე.

ყაზახებმა და პოლიციელებმა პარტიმართა ჯგუფი რკალში მოაქციეს
და წამოიყვანეს. მაგრამ თანდათან თვითონაც რკალში ექცევიან. დაფან-
ტული ხალხი წელნულა ისევ თავს იყრის, ყაზახებს გარშემო ერტყმის და
მხნე ყრიაშლით მოსდევს.

ერთი მუშა ხეზე ასულა და ისე ჰკიცის, რომ შორეულ უბნებშიც კი
ისმის:

— დაბრუნდით! მოგროვდით! გეშველეთ!

მოშორებით, მატურების შუა, ზურაბი, თედო და რაყდენი ჩამდგარან.
ეს ნარჩენია თავისთავად შედგენილი შტაბისა. დანარჩენი წევრები შემ-
სრულებლად ვადაიქცნენ და სირბილით დაიფანტნენ. დაბალი, მოკლეფე-
ხა, მაგრამ მკვრივი, თითქმის მსუქანი, გრუზა, ქოსა და მარდი დებოს
მუშა თედო ზურაბს არ უთმობს:

— უნდა დავცხოთ შეტქი! — ფიცხობს ის და ამ ახრს ხელთა ქვე-
ვითაც ასაბუთებს. — ამათ ორიოდე ყუმბარა და ოციოდე რვეულევირიც
ეყოფათ. თხებივით გაეფანტავთ!

— არა შეტქი! — მტკიცედ მოუჭრა ზურაბმა. — უკვე გადაჭრილია.
ხალხი, პარტიზმები და ყაზახები ისე აირივნენ ერთმანეთში, რომ ყველას
ერთად დავხოცავთ. მაშ რაც გადავწყვიტეთ, წადი და შეასრულე. ეს
ყუმბარები კი სხვა დროს დაგვჭირდება. ან ვინ გითხრა, წამოიღეო?

— ვაბ დედასა! — მწარედ შესძახა თედომ და მოშაო მუშტი განიერ
მკერდზე ჩაიბაჯუნა. მერმე ვატრიალდა, სასაფლაო ქვებზე ჯიხვივით გა-
დახტა რამდენჯერმე და მიიშალა.

— შენ რალას ელი? — ჰკითხა ზურაბმა ასოთამწყობს რაედენს და
იქვე მდგომს ორ ჭაბუკზედაც ანიშნა. — რატომ ესინიც არ მიდიან?

— თავს ვერ დაგანებებთ. — უპასუხა რაედენმა. — ემანდ არა დაგი-
შაონრა. ხომ იცი, რომ შენზე ნამდვილი ნადირობაა გამართული.

— მაშ ერთად წავიდეთ. — მიუგო გურგენიძემ და ყველანი მალე შე-
ერივნენ ხალხში, რომელიც სწრაფად შატულობდა.

— წრეში შევიდეთ! მომყევით! — შესძახა ერთ ჯგუფს ლევანმა და
დარაჯების ჯგუფი შეარღვია.

— სად მიხვალ? — ჰკითხა მას პოლიციელმა და ხელი სტაცა.

— მეც ამათი ვარ, რალა! ერთად ვიყავით და ერთად წავალთ.

— რახან აგრე უნდა, გაუშვი — გადმოსძახა ბოქაულმა.

— მეც ამათთან ვიყავი!.. მეცა! მეცა! — გაისმა ყოველ მხრივ და ერთ
წუთში პარტიზართა რიცხვმა სამჯერ იმატა.

ყაზახებმა და პოლიციელებმა წრე უნებურად გასკიმიეს.

— მეც აჭა ვარ, მეც! — წარამარად ისმოდა აქეთ-იქიდან და პარტი-
ზართა გუნდი თანდათან შატულობდა.

— მიდით!.. მიემატენით!.. — აქეზებდენ გაუბედავებს ნიკო, მართა,
თედო და მრავალი სხვაც. — ნუ გეშინიანთ, მერმე ჩვენც მოგემატებით.

შორიდან კი უკვე რამდენიმე მხრივ მოისმის კივილი:

— ხალხნო, გამოდით! გვიშველეთ! მოგროვდით!

უცებ მართამ მძლავრი მაღალი ხმით დასძახა სიმღერა:

— აღსდექ, ამხედრდი...

მას რამდენიმე ხმა მიეშველა და ერთი წუთის შემდეგ მთელი ქუჩა
აფრთოვანებით გუგუნებდა:

აღსდექ, ამხედრდი, ტანჯულო ხალხო,

ბედით წვეულო, ტყვევ სიმშლისა!

უკანასკნელი ბრძოლა იწყება

ხალხის ბედიც მით გადაწყდება

საერთაშორისო მშობა-კავშირით

კაცობრობა აგვიყვავდება.

— დაიჭიო! დააპატიმრეთ! — წარამარად ისროდა დადგობილი ბოქაული, მაგრამ აღარც დამკერი იყო და არც ის იცოდნენ, რა მოხდა ერთი დაეჭირათ.

ბოქაული მიხვდა, რომ მან, „უწესობის“ ჩასაჭობლად გამოგზავნილმა, უარესი დემონსტრაცია გამოიწვია, მიხვდა და უიმედოდ ჩაიქნია ხელი.. ახლა იმასლა ლამობდა, რომ ათასი კაცი ორი ათასად არ გამზდარიყო და ყველა ორი ათასი პატიმრად არ ქცეულიყო. ლამობდა, მაგრამ ამ ზღვაში თვითონაც ნაფოტივით ლივლივებდა და უკვე იმას ფიქრობდა, თუ როგორ გასულიყო ნაპირას და საკუთარი თავი, სახელი და ალბადი როგორღა გადაერჩინა.

როცა ვიწრო ქუჩა პატიმრებით გაივსო პირთამდე, ხალხმა უცებ იხუფლა და ექვსას-შვიდასი კაცი პატიმრად გადაიქცა. ყაზახები და პოლიციელები დაიქსაქსნენ და ველარც ერთმანეთს პოულობდნენ და ველარც ეშველებოდნენ.

ამასობაში ნამდვილი პატიმრებიც დაიქსაქსნენ და ხალხში აირივნენ.

ყაზახთა ასისტავმა ბოქაული ძლივს იპოვა და შორიდანვე შესძახა:

— ნამდვილი პატიმრები სად არიან?

— მე რა ვიცი სად არიან?

მერმე ერთმანეთს დაუახლოვდნენ და აჩურჩულდნენ:

— პასუხს თქვენ აგებთ.

— მე კი არა, თქვენ აგებთ.

— მგონი სჯობია ხელცარიელი წავიდეთ, ვითომც არაფერი მომხდარიყოს.

— რა თქმა უნდა, რომ აგრე სჯობია.

— არც კი მესმის, რისთვის დავაპატიმრეთ?

— არც მე მესმის. მარტო ერთმა ილაპარაკა და ისიც წაგვივიდა.

— თქვენ რა იცით ის ერთი რამდენად ღირდა! — ოხერით სთქვა ბოქაულმა და ბრძანება გასცა, რომ პოლიციელები ერთად მოგროვილიყვნენ.

და როცა ხელცარიელმა პოლიციელებმა მარცხნივ გაუხვიეს და ყაზახებმა კი მარჯვნივ, ხალხში მხიარული ყრიაშული და შეძახილები გაისმა:

— არ გაუშვათ! დაიჭირეთ! მეტეხში გაგზავნეთ!

ნიკო მართას არ მოჰშორებია. ახლა მართა მალლობზე იდგა და ვილაყას ეძებდა. ნიკო მიუხვდა და —

— ზურაბი წავიდა — უთხრა. — გაათავა და წავიდა. დროა ჩვენც წავიდეთ.

აქვალის ქუჩაზე რომ ჩამოვიდნენ, ნიკომ ფაიტონს დაუძახა.

— ხომ იცი, რომ არ მიყვარს — სთქვა მართამ და ფეხები წასვლა დააბირა.

— ვიცი, მაგრამ ზურგზე სისხლი გეტყობა და სირცხვილს უწევს ჩასხდნენ და წამოვიდნენ. მართა დაშვილებული იყო, სთქვა მართამ. — არც დიქცია არ მომხდარიყოს, სტუდენტი კი წელანდელივით ფორიაქობდა, თავით-ფეხამდის თრთოდა და გაუწყვეტლივ ლაპარაკობდა. მართა განზე იხედებოდა, თითქო ყურს არ უგდებდა, და მაშინღა მიიხედა ნიკოსკენ, როცა მან სთქვა:

— ზურაბი ყოვლად უვარგისი ორატორია. კამეჩივით იცოხნება. — და გოცება რომ შეატყო მართას, უფრო ფიცხად დაუმატა: — არც დიქცია უვარგა, არც სიტყვების კონსტრუქცია, არც ხმის მოდულაცია და არც შთაგონების იერი. დამიჯერე ყალბი ორატორია მეთქი.

— მე დავას არ ვაპირებ — ისე ცივად მიუგო მართამ, რომ ნიკომ ხმა გაკმიდა და შინ მისვლამდის ერთი სიტყვაც აღარა სთქვა.

მართამ იარის შესახვევად დიმიტრისთან შეიხედა, მაგრამ შინ არ დაუხედა. ნიკომ ქეთო იკითხა, მაგრამ არც ის დაბრუნებულიყო.

— მაშ დედას, თამარას, ან მოახლეს დავუძახებ — უთხრა ნიკომ.

— არ მინდა, ნუ შეაწუხებ — მიუგო მართამ და შინისკენ გასწია.

ნიკო უარის ნამდვილ მიზეზს მიუხედა: მართა მათ არ ენდობოდა. მას არ უნდოდა, რომ ვინმე მათგანს ნამათრახალი ენახა და ეს ამბავი მთელ უბანში გაეცრკელებინა.

სტუდენტმა დიმიტრის კაბინეტში წამალი და არტაშანი მოსძებნა, მართასკენ გაემართა და ისე შევიდა, რომ კარი არც კი დაუკაკუნა. მართას ზედატანი უკვე გაუხადნა და სისხლიან ბეჭს სარკეში იშინჯავდა. ნიკო რომ დაინახა, საზე აღიის-ფერად აეწვა, ზედატანი მკერდზე აიფარა და სუსხით ჰკითხა:

— დაუკითხავად შემოსვლას ვინ შეგაჩვია?

— მაპატიე, მართა. — წაილულლულა ნიკომ. — ძალიან ეჭარბოდი და დამავიწყდა.

— თუნდაც გეჭარებოდეს, მე რა?

— აი, წამალი მოგიტანე. ბეჭზე სისხლი დაგდის და შეგჩვევ. ნუ გცხვენია. განა ამბანაგები არა ვართ?

— ჰო, მაგრამ...

მაგრამ მართას ეჭარება. დიდუბეში პროკლამაციები უნდა გაიტანოს და იქიდანაც ზოგი რამ უნდა წამოიღოს. ბეჭი ეწვეს და სისხლი წვეთებად ჩასდის წელში. ამას წინათ მართა ხელში რომ დასჭრეს და დიმიტრიმ მუცლამდე რომ ვააშიშვლა, ნიკომ მაშინაც ტიტველი დაუნახა და მართას ეს არც იმდენად ეხამუშა, როგორც მანამდის ეგონა. „მაშ ჩემი მკერდის მნახველს ბარემ ბეჭსაც ვაჩვენებ“. — გაიფიქრა მან, ნიკოს გაუღიმა და რბილად უთხრა:

— კარგი, შემხებე, მაგრამ... — და აღარ დაასრულა.

მართა სკამზე ჩამოჯდა, პერანგის ლურჯი ზორტები ჩამოუშვა და თეთრი სახსე ბეჭები გაიშინებდა.

— მხეცი... პირუტყვი. — ბუტბუტებდა ნიკო და სისხლისმსვეს სველი ბამბით უბანდა. — შენისთანა ლამაზი როგორ ვაიმეტა?

— ნიკო, ეგენი არ იყოს...

— რატომ არ უნდა იყოს? ბაღლობიდანვე მიყვარხარ და თქმაც ვერ გაგიბეღო?

— ჩვენ ამხანაგები ვართ... რა დროს სიყვარულია!

— ამხანაგები სულ ადვილად გადაჭყეულან ცოლქმრად და ისევ ამხანაგებად დარჩენილან.

— უწინ მაგისტანა ხუმრობა არ იცოდი.

— ხუმრობა? მაშ ჩემი ხალასი სიყვარული ხუმრობა გგონია? მართაე... ჩემო მათიკოე!

მათრობელი ტიტველი მხარბეჭით მოხიბლულმა და ქალის იმ მწვავე სურნელით გაბრუნებულმა, რომელიც ყოველ მამაკაცს აღელვებს ხოლმე, უცებ ორივე ხელი მოჰხვია მართას და მის კისერს ხარბად დააკვდა ტუჩებით. მართამ გაიბრძოლა, მაგრამ ნიკო ვერ მოიშორა. მერმე ორივე ხელი უკან აიჭნია, ყბებში მისწვდა, ხელიდან გაუსხლტა, ერთ წუთში გადაიკვა ზედატანი და ცივად სთქვა:

— დაჯექ... დროა მოვილაპარაკოთ.

შერცხვენილი ნიკო მოშლილივით დაეშვა სკამზე და თავი ხელებში ჩაიმალა.

მართაც აღეწილი იყო. მან ჩამოშლილი ხშირი თმა აიკრიფა. ნიკოს თავთ დაადგა, მხარზე ხელი დაადო და წყნარი ხმით დაიწყო:

— დამშვიდდი და ყური დამიგდე. მე კარგა ხანია შეგატყე, რომ შენ სხენაირად დამიწყე ცქერა. შეგატყე და მას აქეთ გერიდებოდი.

— ალბათ იმიტომ გერიდებოდი, რომ შენი ღირსი არ ვიყავი. — უკბინა ნიკომ.

— აი, ხომ ხედავ: ახლაც იგესლები, ახლაც ამპარტაენობ. შენ ამხანაგობაც, პარტიაც და სიყვარულიც ამპარტაენობას დაუმორჩილე. წედან ჩემნი ცოლქმრობა ახსენე. მე ხუმრობა მეგონა, ახლა კი მართლა ვხედავ, რომ ზოგჯერ თავდაბლობა ამპარტაენობაზე უარესი ყოფილა. სად ახატნელი და სად ანტონ ხელოსნის შვილი, რომელიც თითქმის სამაძლოდ გაიზარდა თქვენ კარზე.

— მართაე, ნუ თუ არა გჯერა, რომ შემოყვარდი?

— გჯერა, მაგრამ ერთ რამეს გეტყვი და ნუ გეწყინება. შენ მოუსვენარი და აფორიაქებული ქაბუკი ხარ და ამიტომ...

— რასაკვირველია, ზურაბი ჩემზე უფრო დინჯია. — გააწყვეტნა ნიკომ და წამოხტა, — ჩემზე უფრო მტკიცეა, უფრო შეუპოვებელია. მე ჯერ ჰაბუკი ვარ, ის კი უკვე ვაჟაკია.

— ზურაბს ჯერ თავი დაანებე — განაგრძო მართამ. — შენ მოუსვენარი და ამპარტავანი ხარ მეთქი და ამიტომ... ამიტომ არა მჯერა, რომ ჩვენი ცოლქმრობიდან მკვიდრი რამ გამოვიდეს.

— თუ მართლა პირდაპირი ქალი ხარ, ბარემ გამოტყდი და სთქვი: შენ იმიტომ არ მინდობარ, რომ ზურაბი მიყვარსთქო. — ფიცხად შეუტრია ნიკომ. — გამოტყდი მეთქი, აშკარად აღიარე და გაათავე.

— ისე ჩამციებიხარ, თითქო დანაშაული ჩამედინოს. — ღიმილით უბასუბა ქალმა და მცირე ღუმულის შემდეგ დაუმატა: — დიად, ზურაბი გაგიყვებით მიყვარს და იმასაც ვუყვარვარ.

— ახა — ხა! — გესლიანად გაიცინა სტუდენტმა. — ზურაბს ისე უყვარხარ, როგორც აქამდის ასიოდე ქალი ჰყვარებია.

— ნუ სტყუი!

— კვირაში ორ ქალს იცვლის.

— სტყუი მეთქი!

— თუ ეტყუი, წადი და შენივე თვალით დარწმუნდი. წელან ქეთოს სასაფლაოზე მიაცილა და ამაღამ ქალების კრებაზედაც ერთად მიდიან. შენ კი არაფერიც არ ვითხრა. როცა ზურაბის ვინაობას კარგად გაიგებ, ჩემი ნათქვამი გაგახსენდება, მაგრამ გვიანლა იქნება. ახლა კი მშვიდობით იყავი — მედიდურად დაასრულა ნიკომ და კარი მიიჯახუნა.

„მაგრამ გვიანლა იქნება, ესე იგი ჩემი იმედი ნულარ გექნებაო. აი კიდევ ერთი ნიმუში ნიკოს ამპარტავნებისა და მისი ცუდმედიდური სიყვარულისა. — გაიფიქრა გაშეშებულმა მართამ. — დამშხამა და წავიდა.“

და მოშხამული მართა ნელა დაეშვა სკამზე. დიდხანს იჯდა გაშტერებული. იჯდა და ზურაბისა და ქეთოს ურთიერთობას იგონებდა, სჩხრეკდა და უფრო მეტად იტანჯებოდა. მერმე საზაფხულო პალტო გადაიცვა, უმეჯიბე ახალთახალი პროკლამაციებით აივსო, ჩალის შაპო დაიხურა და სწრაფი ნაბიჯით გავიდა.

უკვე ბნელოდა, როცა ნასაქმარი მართა შინ დაბრუნდა. დაბრუნდა, ფანჯარას მოუჯდა და ხელსაქმეს შეუდგა. მუშაობდა და დროგამოშვებით ფანჯრის წინ მავალ მგზავრებს ერთი ახედვით ათვალიერებდა.

შუალამემ მოატანა. მართა ისევ მუშაობდა.

მამლებმა იყივლეს. მართას შუქი ჩაექრო და მიინც იქვე იჯდა.

მეორეჯერ იყივლეს. მართა ფანჯარას მოყრდნობოდა და სთვლემდა. ეტლის რახუნე რომ მოისმა, მართამ ფრთხილად გაიხედა ფანჯარაში და, ქეთო და უცხო მამაკაცი რომ იცნო, შვებით ამოიოხრა, სიამით გაილიმა, საჩქაროდ გაიხადა, თეთრ ლოგინში ჩავიჯდა და მაშინვე ჩაიძინა. მეორე ოთახში კი ნაბრძოლვეი ლევანი ზვრინავდა.

X



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქეთომ წაიბორძიკა და სთქვა:

რა ბნელა! უძველად წავიქცევი.

— თუ ნებას მომცემთ... — ჰკითხა ზურაბმა და გაუბედავად წაავლო ხელი მკლავში.

— მომეშველეთ, თორემ კისერს მოვიტეხ.

ზურაბს ჯერ არც ერთი ქალისთვის არ წაეველო ხელი მკლავში, ახლა კი ხუთივე თითი ჩასკიდა და წაიყვანა. ჯერ შეჩვეული არ იყო, ნაბიჯი ნაბიჯს ვერ ააყოლა და ამიტომ ერთმანეთს ეხეთქებოდნენ. მიხლა მოხლაში ქალის მკერივი ძუძუ რამდენჯერმე მოჰხვდა ზურაბს ხელის ზურგზე და მთელი სხეული აუწვა, სისხლი აუდღუდა.

— თქვენმა დღევანდელმა სიტყვამ ყველანი ალტაცებაში მოგვიყვანა. — თქვა ქეთომ.

— სამაგიეროდ ჩემი საქციელი დასაგომობია. ყაზახებს გავეჭეცი.

— ტყუილს ნუ ამბობთ. გორაკიდან ყველაფერი დავინახე. თქვენმა ამხანაგებმა მოგიტაცეს, — ძალით წაგათრიეს.

— მაინც დამნაშავე ვარ. არ უნდა გავყოლოდი.

— მაშ ყაზახებისთვის თაგი უნდა შეგეკლათ და უიარაღო ხალხის სისხლიც დაგლეჯდნენინათ? — ჰკითხა ქეთომ. — თქვენ თვითონ არ გამოაცხადებინეთ, იარაღი არავინ იხმაროს?

— მართალია.

— მაშ რა უნდა გექნათ? ცხვარივით რომ დანებებულყავით, შეგბოქვდნენ და აეშაროვთან მიგიყვანდნენ. ნუ თუ ეს გინდოდათ?

— მართალი ხართ მეთქი. ამხანაგებს რომ არ გავყოლოდი, დამიჭერდნენ და ქარაფშუტული ვაეკაცობა გამომივიდოდა. მართა კი მართლა ვაეკატურად მოქცეულა. ყაზახს არ გაჰქცევია. ორჯერ დაუკრავთ მათრახი და მაინც ძვრა არ უქნია ალაგიდან.

— ეგეც დავინახე გორაკიდან. — სთქვა ქეთომ.

— ისიც და ნიკოც დაუბატიმრებიათ, მაგრამ ისევ გაუშვიათ.

— ვიცო. მაშინვე გაუშვეს. — დაუმატა ქეთომ და ის კი აღარ უთხრა, ვისი წყალობით გაუშვეს.

ამასობაში ღრმა არხს მიადგნენ, რომელიც ქუჩის გარდიგარდმო გაეთხარნათ.

— აქ არხია. არ ჩაეარდეთ — გააფრთხილა ზურაბმა. — აბა, ისკუბეთ.

— არ შემოდლიან, ჩავეარდები.

— მაშ ხელით გადაგიყვანთ. მეტი გზა არ არის.

ქეთომ ჩაიკინა და —

— როგორ გადამიყვანთ? — ჰკითხა.

— აი როგორ — მიუგო ვაჟმა და უცებ ცალი მკლავი წელზე მოხვია მეორე ხელი მუხლებზე ჩააელო, ასწია, მკერდზე მიიკრა, არხს გადააბიჯა და მცირე ხნით შედგა, თითქო ძალას იკრებდაო.

ქეთო უნებურად მოეხვია კისერზე და გაინაბა.

— არ წაიქცეთ. — ჩასტურჩულა ყურში ქალმა.

— არ გაინაბრეთ... ალე ჰობ!

და როცა ტვირთი გადაიტანა და ფეხზე დააყენა, ვაჟმა და ქალმაც სინანული იგრძნეს იმის გამო, რომ ის თავბრუდამხვევი სიტყვო შეტად ხანმოკლე გამოდგა და ახლა მხოლოდ მისი ლანდილა შერჩათ სისხლში. ორივენი საამურ თრთოლას გრძნობდნენ და ხმაამოუღებელი მიდიოდნენ.

— რა ლონიერი ყოფილხართ! — სთქვა ქეთომ — ბალღივით ამიტაცეთ. ზურაბმა ჩუმად ჩაიციხა.

— რას იცინით?

— ამ არხის გამო ერთი ანეკდოტი გამახსენდა.

— აბა მიამბეთ.

— წვიმის შემდეგ ავჭალის ქუჩა მდინარედ გადაიქცა. მეკურტნენი კი ფულს აკეთებდნენ: თითო კაცს გადაყვანაზე ორ შაურს ართმევდნენ, კურტანზე შეისევამდნენ და ვადიოდნენ. ერთ ახალგაზრდა ქალს გადასვლა უნდოდა. ორი შაური ებეჭრა. ალბად არა ჭონდა. ტროტუარზე იღვა და ცმუტავდა. ერთმა კინტომ შეიცოდა, ხელი დააელო და გაიყვანა. სანამდის გავიდოდნენ, მანამდის ქალს ხმა არ ამოუღია, მერმე კი მთელი ქვეყანა შეუყარა: „შე, ავარავ, შე, სალახანავ, რა ნება გჭონდა რომ ხელი მახელიო.“ კინტომ, უყურა, უყურა და უთხრა: „ვაა, არ გინდა? მაშ უკანვე წაგიყვან.“ ხელი დააელო, მხარზე აიღო და ისევ ვაღმა გაიყვანა.

ქეთომ გულიანად გაიცინა.

— იქნება არც თქვენ მოგეწონათ, რომ ამ არხზე ვადმოგიყვანეთ? — ჰკითხა ზურაბმა — გავბრუნდეთ და უკანვე გადაგიყვანთ.

— მართლა, კინალამ დამავიწყდა თითქო ახალადა გაახსენდა ქეთოს. — ავშაროვს გაუგია, რომ იმ დღეს ჩემს ოთახში დაგმალე. ყველაფერი დაწვრილებით მიამბო.

— და ალბათ გთხოვათ: გაუმდით, თორემ ორივეს დაგვიპერენო ქეთოს მაგიერ დაასრულა ზურაბმა. — გამოვიცანი თუ არა?

— გამოიცანით. სწორედ აგრე მითხრა — მიუგო გაოცებულმა ქეთომ. — იმ კაცს არაფერი დაემალება — და ღუმელის შემდეგ დაუმატა: — როგორც ხედავთ, ვერც დაგემალებათ.

— ახალი მტერი გამჩენია — სთქვა ზურაბმა. — თქვენმა მეგობარმა კლიმია შეიღმა ჯერ ვადამარჩინა და ახლა თურმე მოსაკლავად დამდევს. მაგრამ თითონაც მიფრთხილდეს. ვინ იცის ვინ ვის დაასწრებს.

— ნუ თუ მოსაკლავად გაიმეტებთ? — ჰკითხა შეშინებულმა ქალმა.

— თუ თვითონ გამიმეტა, მეტი რა გზა მაქვს, მეც უნდა გავიმეტო.

— ღმერთო ჩემო, მე ორივესთვის სიკეთე მინდოდა და ნიკოს და ლევანს იმიტომ ვუბრუნებ. ახლა კი ვხედავ, რომ შესაძლოა ჩემს ვერსიას ვინმე სისხლი გამოიწვიოს.

— დაწყნარდით, ჩემო კეთილო ქეთევან. აკი ვითხარით: თუ იმან არა დამიშავარა, არც მე დაუშავებ რამეს.

ამასობაში გზა დაიღია.

ზურაბი ერთ ჭიშკართან შედგა და სიბნელიდან ამომძვრალ უცნობ ვაგს პაროლი უთხრა:

— ხელ გათენდება.

— ნამდვილად გათენდება — მოუგო უცნობმა და გზა დაუთმო. — ამხანაგო ზურაბ, მიბრძანდით, სალამო მშვიდობისა.

— ვაგიმარჯოს, ამხანაგო.

ზურაბმა და ქეთომ ოდნავ განათებული ეზო გადასერეს, ხუთ-საღებურიანი კიბე აიარეს და ქალებით სავესე ოთახში შევიდნენ.

კედელზე პაწია ლამფა ეკიდა და ისე მკრთალად ანათებდა, რომ მეორე კუთხეში მჯდომ ადამიანს ვერ იცნობდით.

იატაკზე დაგლეჯილი ფარდაგი ეგო: ამ ფარდაგზე, ხმელ ტახტზე და რამდენიმე სკამზე ოციოდე ქალი იჯდა. ზოგი მათგანი კედელს აპროდა. მათ შორის ხუთიოდე შამაკაცოც ერია. მეორე ოთახის კარი ღია იყო და იქიდანაც ათიოდე ქალვაგი იყურებოდა.

კოლენკორით გადაფარებულს უბრალო მავიდაზე რამდენიმე ბოთლი ლუდი და ლიმონათი იდგა. თეფშებზე დოში, პური, ყველი და ძებვი ეყარა. სუფრა ჯერ ხელუხლებელი იყო. იგი უფრო საბაბად ვაეშალნათ. რათა პოლიციისათვის ეთქვათ, თუ ვინიკობაა იგი ამ ჯურღმულს მოაგნებდა: დღეობა გვაქვს და მოვილხინეთო.

სუფრის თავზე ერთი ქალარა კაცი იჯდა. ზურაბი და ქეთო რომ შევიდნენ, მან განზე გაიწია და სთქვა:

— აქეთ მობრძანდით, ამხანაგო ზურაბ.

სხვებმაც მიიწვი-მოიწიეს, ტახტზე ორი ალაგი გამოსჭრეს და ზურაბი და მის მიერ მოყვანილი და მათთვის უცნაური ქალი დასხეს.

ქეთომ თავი გაიხადა, პანამაც მოიხადა და ძვირფასი სამკაული დათეთრი ნასთის ზოლი გამოაჩინა, რომელსაც ყველანი დააცქერდნენ. მან მაშინვე შეამჩნია, რომ ზურაბს დიდი პატივით დაუხვდნენ, ქეთო კი აქაც იუცხოვეს და აღმაცერად გაჩხრიკეს. მან წელანდელივით იხამუშა მათი გაშტერებული თვალები და გადასწყვიტა შემდეგში ამ მდაბიო ხალხში არც ერთი სამკაული აღარ აესხა და აღარც ძვირფასი კაბა ჩაეცვა. ამიერიდან ქეთოც მუდამ მდაბიო ხალხში ივლის და მათებრ მდაბიურად იცხოვრებს. „თორემ თავიანთ წრეში არ გამრევენ და ვერც ნდობას მოგიპოვებ“.

ხნერმა კაცმა კრებას რამდენიმე სიტყვით მიმართა და განაცხადა:

— დღეს ორი მოხსენება უნდა მოგვესმინა. ამხანაგ-დავით პერველ-ყოფილი კომუნისში უნდა ეამბნა, ზურაბმა კი უფრო სადღესისო საგანი აირჩია — ქალის როლი დღევანდელ მოძრაობაში. დაეძრნა მისი მხდის: ქალაქიდან სასწრაფო საქმეზე წავიდა და ვერ დაქნა. ამიტომ ვთხოვთ ამბ. ზურაბს... თუ ზედმეტი დრო მოეპოება, იქნება ინკებზედაც გვიამბოს რამე.

ზურაბს წელიანდელი ფარაჯის მავიერ საზაფხულო ხალათი ეცვა. ის მავიდას მიუჯდა და თავდაბლა განაცხადა:

— მე ეგ თემა არ შემიმზადებია, მაგრამ მაინც ვეცდები ცოტა რამე გვიამბოთ.

ერთ წუთს იყურა, ნათელი ზეზლი მოისრისა, ტვერ თმაზე გადაისვა ხელი და დინჯი ხმით დაიწყო. მოკლე შესავლის შემდეგ მან მსმენელებს დალაგებით და მარტივად უამბო ცხოვრება ინკებისა, რომელთაც სამხრეთ ამერიკაში საუცხოვოდ მომართული სახელმწიფო და ცივილიზაცია შეჰქნეს. მათი რელიგია — მზის თაყვანისცემა — ქრისტიანობაზე უფრო ნათელია, უფრო მარტივი და უფრო ადამიანური. მათი ხელოვნება — კერამიკა, ქსოვილები და შენობების ნანგრევები — ახლაც აოცებს კაცობრიობას.

ქალაქ კუსკოში დარჩენილი ქვის რამდენიმე სვეტი აფას-ათას ფუტს იწონის.

ინკებს ზეკაცური მოთმინება, შეუპოვრობა და მხნეობა ჰქონიათ. — და ზურაბმა რამდენიმე მაგალითი დაასახელა: — პერუს ერთერთ პროვინციაში წყალსადენი იყო. იგი მთის ტბებიდან გამოუყვანიათ. მისი სიგრძე ექვსას ვერსამდე იქნება, ესე იგი ტფილის-ბაქოს მანძილზე მეტი ყოფილა. არხს სიღრმე ნახევარი საყენი აქვს, სივანე კი — არშინ-ნახევარი. მთელი არხი თლილი ქვისგან არის შეკრული. ინკებს არც ცემენტი ჰქონდათ და არც ვაჯი. მიუხედავად ამისა, ქვები ისე ოსტატურად გაუთლიათ და შეუკრავთ, რომ წყალი არსად არ ეონავდა.

ინკებს არც მექანიკური ხელსაწყო ჰქონიათ, არც რკინა, არც ფოლადი მოეპოვებოდათ და არც მუშა-საქონელი ჰყოლიათ. ამიტომ ცხადია, რომ ეს ქვები შორეული მთებიდან ზურგით უზილნიათ, სპილენძის წერაქვით მოუჭრიათ და იმავე წერაქვით უთლიათ.

პერუში მრავალი უგრძესი დაკლანჯული გვირაბი მოიპოება. ისიც წერაქვით არის ნაშენები. მაგრამ საოცარია, როგორ გაუკვლიეს გზა, როგორ მისცეს სწორი გეზი? მათ დღევანდელი რთული გეოდეზური ხელსაწყო არა ჰქონდათ. მაშასადამე მაშინდელმა ინჟინერებმა რაღაც ილუმინალი ხერხი იცოდნენ, რომელიც თან ჩაუტანიათ საფლავში.

პერუ ესპანელებმა დაიპყრეს და იქაურობა ვააშისვლეს. გაცარცვეს და მიწასთან გაასწორეს. დარჩა მხოლოდ უამრავი ნანგრევი, რომელიც იმას გვიმოწმებს, თუ რა ბრწყინვალე კულტურის შექმნა შესძლებია კო-

ლექტორ შრომას და რა ბარბაროსულად დაუნგრევი იგი კაპიტალისტურ წყობილებას.

შემდეგ ზურაბმა იმ ხალხის სოციალურ პოლიტიკურ მოთხოვნებს უამბო და მას პირველყოფილი კომუნიზმი უწოდა.

ყოველ მშრომელ გლეხს ერთი ნაჭერი მიწა ჰქონდა მიჩენილი, მაგრამ ის მისი მესაკუთრე არ ყოფილა. იგი მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენდა. მიწისა და წყლის სარგებლობის წესრიგი დაწერილებით იყო შემუშავებული და მას ყველანი ზუსტად და პირნათლად ასრულებდნენ. მოსავლის ნაწილი, მკამელის კვალობაზე ზუსტად გამოანგარიშებული, გლეხს რჩებოდა, დანარჩენს კი სახელმწიფოს აბარებდნენ, რომელსაც უამრავი საწყობი ჰქონდა ხორბლეულის, ხილის, ქაოვილის და ყველაფრისა, რაც კი იმ ქვეყანაში მოდიოდა და რასაც კი მუშა და ოსტატი ჰქმნიდა.

მოუსავლობის დროს ხალხი ამ საწყობიდან იკვებებოდა. იქ იმდენი დოვლათი იყო დაგროვებული, რომ ხალხს რამდენიმე წელიწადს ეყოფოდა. ამოდენა მარაგის წყალობით, რაც გინდ მოუსავლობა ყოფილიყო, შიმშილი მაინც არ ყოფილა და ვერც იქნებოდა. არისტოკრატების გარდა მთელი მოსახლეობა თანაბრად ცხოვრობდა. ყველას ჰქონდა საცხოვრებელი მინიმუმი, ავადმყოფს და ინვალიდს მუდმივი დახმარება ეძლეოდა, ზოლო წარმოება სასტიკ კონტროლს ექვემდებარებოდა.

ყოველი საზოგადო საქმე — გზა, ხიდი, არხი, შენობა და ამგვარი რამ — ბევრით კეთდებოდა. ბევრაზე უარს ვერავინ გაბედავდა.

მაშინდელი ესპანელები სწერენ: იქაური ხალხი ევროპელებს სულ არა ჰგავსო. ევროპელები საშინელმა გადასახადმა და ფეოდალების ბევრამ წელში გაწყვიტა და მონად აქცია, პერუანელები კი შრომის უნარით, სიხარულით და სასიცოცხლო ხალისით არიან ვაყვანთილიო. მიუხედავად ამისა — განაცხადა ზურაბმა — იქაურ მშრომელ ხალხს არისტოკრატია ჰყავდა, რომელიც მან ვერ მოიშორა კისრიდან. პერუანელები მორჩილი ხალხია მეტისმეტად მორჩილია და უბედურებაც სწორედ ეს არის: როცა ესპანელებმა პერუ დაიპყრეს, ხალხი ისევე ადვილად დაემორჩილა მათ, როგორც საკუთარ არისტოკრატებს ემორჩილებოდა.

ბოლოს ზურაბმა ინკების კომუნიზმს, მოსაწონი მოუწონა, დასაწუნ დაუწუნა, იგი მომავალ კომუნიზმს შეადარა, მარქსის და მორგანის, ენგელსისა და მაკ-ლენანის ნაწერიდან რამდენიმე ალაგი დასახელა და განაცხადა: ინკებსაც და აცტეკებსაც ჩრდილო-ამერიკელ ინდოელების ბედი მოეღის. ევროპულმა ცივილიზაციამ, ესე იგი კაპიტალიზმმა, იქაური ხალხი თითქმის სულ მოსპო. მათი უკანასკნელი მემკვიდრენი მოძრავ მუზეუმებში დაჰყავთ და ხალხს აჩვენებენ. ვადაშენების გზაზე დამდგარი ხალხი სტეგანაც მოიპოება. ისინიც განწირულნი არიან და მათი ვადარჩენა მხოლოდ და მხოლოდ სოციალიზმს შეუძლიანო.

ზურაბმა დაასრულა და წყალი მოსვა. აქეთ-იქიდან რამდენიმე შეკითხვა მისცეს. მან საფუძვლიანი პასუხი ვასცა და მეორე თემაზე გადავიდა. აქამდის მომხსენებელი გამოცდილ ლექტორს ჰგავდა. მისი სწავლიდანვე ორივე ხელით იპყრობს-ხოლმე თავის საგანს და რომელსაც დინჯად და უბოროტიკოდ მიჰყავს იგი, ახლა კი ლექტორი უღრმესი რწმენით გაუღუნთილ მოქადაგედ გადაიქცა. მისი ნელი პათოსი თანდათან ნიაღვარივით მოასკდა იმ ბნელსა და მცირე ოთახს და კოლოფივით აავსო და წალეკა იგი. წველანდელ ლექტორს ახლა მალალი ტრიბუნი, ცხენის საქუნებელი მოედანი და ასი-ათასი მსმენელი სჭირდებოდა, ცხადი იყო, რომ ზურაბი მას რამდენიმე წუთში დაიპყრობდა, რკინის ნაჭერსავეთ შეჰკრავდა და კარიბჭეს შეანგრევენებდა.

მაგრამ ასპარეზი და ასი-ათასი მსმენელი არსად იყო. ზურაბიც ზედავდა ამას და ამიტომ თავის გრძნობა ნებისყოფას დაუმორჩილა და ალღომული მერანოვით წააყვანინა. მომხსენებელი სხვასავეთ ლამაზ სიტყვებს არ ჰკინძავდა, გარეგნულ სამკაულს ერიდებოდა, ორატორულ ორნამენტს გაურბოდა და მსმენელთა გრძნობას რწმენის ძალით და სადა სიტყვებით უფრო ღრმად სწვდებოდა და სავსებით იმორჩილებდა. ყველაზე მეტ შთაბეჭდილებას მისი დინჯი შთაგონებული კილო და ის შინაგანი ცეცხლი ახდენდა, რომელიც უალოდ ღვიოდა ნალვერდალივით და მსმენელსაც ედებოდა.

მან მატრიარხატის ეპოქიდან დაიწყო. შემდეგ მონობისა და ფეოდალიზმის ხანაზე გადავიდა, ბოლოს კაპიტალისტურ ეპოქაში გადმოვიდა და რამდენჯერმე დაიმოწმა მარქსი, ლენინი.

გაბატონებულ კლასს ქალი მუდამ მონობაში ჰყავდა. ის მხოლოდ სიტყბოების წყარო და ჯიშის გამგრძელებელი ქარხანა იყო და მეტი არაფერი.

აღებ-მიცემაში ქალი და ჩვეულებრივი ნივთი თანაბრად გადიოდა.

მაჰმადიანობამ ქალი შავ სუდარაში გაჰხვია, ქრისტიანობამ კი მრუშობის წყაროდ დასახა და შეაჩვენა.

საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ ქალს ფორმალური თანასწორობა მიანიჭა, ბურჟუაზიამ კი ესეც გააუქმა და სახეცვლილი მონობა აღუდგინა. მან საშინელი უღელი დაადგა ქალს: იმის ბიოლოგიურ თავისებურებას ანგარიში არ გაუწია და უმძიმეს მუშაობაში მამაკაცს გაუთანასწორა. იატური ქალი მტვირთველად მუშაობს — ხუთ-ფუთიან ტომრებს ეზიდება, ის ქვესკნელში ჩადის, მალაროს სთბრის, დღე და ღამეს მინდორში ასწორებს.

ლეგენარტი ნიცშე ზოგ ვადარეულს ახალი წინასწარმეტყველი ჰგონია, ნამდვილად კი მისი მოძღვრება ქალს უწინდელზე უარეს ხუნდებს უმზადებს.

ახლა ზოგი გზააბნეული კაბუჯი ავადმყოფ კაბუჯს ვაჩინებდით აპყლოია რომელსაც ქალთმოდულეობაში მხოლოდ შოპენჰაუერი, იეზუიტი და საჭურისნი თუ შეედრებიან.

ყველაზე საოცარი ის არის, რომ ამგვარ შავრაზმულ აზრს ყველაზე ხშირად ის ხალხი იმეორებს, ვინც დღედაღამ ლეთისმშობელს, ეანა დარკს, წმინდა ნინოს, თამარ მეფეს და ქეთევან წამებულს ლოცულობს.

— ქალის როლი პოლიტიკურ ისტორიაში დასაბამიდანვე მოსჩანს თუნდაც ივდითი გაიხსენეთ. ნაბუხოდონოსორის სარდალმა ოლოფერნმა ებრაელთა ერთ ქალაქს ალყა შემოარტყა. ვინმე მანასეს მშეთუნახავმა ქერივმა ივდითმა თავი გასწირა: მტრის ბანაკში გავიდა, ოლოფერნი მოხიბლა და დანებდა. როცა ოლოფერნმა გული იჯერა და ჩაიძინა, ივდითმა მისვე მახვილით მოკვებით თავი და გამოიპარა. უმეთაურო ლაშქარმა ებრაელებს ვეღარ გაუძლო და გაიქცა. სად არის დედააზრი ამ ლეგენდისა? ივდითმა თავისი უბიწო სახელი და მშვენიერი სხეული საბილწავად მისცა მტერს და სამაგიეროდ სამშობლო ქალაქი და მშრომელი ხალხი იხსნა. — სიტყვა ზურაბმა და ქეთოს დააცქერდა, რომელიც მოხიბლულივით იჯდა და თავის ახალ მეგობარს და მასწავლებელს თვალს არ აშორებდა.

— ესე იგი, მიზანი თვითონ მიზანია, საშუალება კი თითქმის არაფერია — განავრძო ზურაბმა. — ვისაც ჩვენი მიზანი ღრმად სწამს და ძველ-რბილში აქვს გამჯდარო, ის არავითარ საშუალებას არ მოეწოდება და ყველაფერს გასწირავს.

ივდითის მსგავსი გმირი ისტორიაში მრავალი მოიპოება, და ორატორმა გაიხსენა მონა ეანა, დიმიტრი თავდადებული, ეანა დარკი, ხევის შერი გოჩა, მოვალეობისათვის ათიოდე სხვა თავგანწირულიც და ეს მაგალითები ასე განმარტა:

— თავისთავადაც ცხადია, რომ ისინი ჩვენი გმირები არ არიან. მათ საკუთარი კლასობრივი მიზანი ჰქონდათ და ამ მიზნის საკუთრებეველზე თამამად სწირავდნენ თავიანთ სიცოცხლეს, ჩვენც ჩვენი კლასობრივი მიზანი გვაქვს და ამ მიზანს უკვე მრავალმა მილიონმა შესწირა პირადი ბედნიერება, სიყვარული, მიწიერი სიტკბოებაც და სიცოცხლეც.

შემდეგ მრავალი წამებული დაასახელა, ქალების სახელი და გმირობა დაწვრილებით აღნიშნა და ოდნავ აუწია ხმას:

— ახლა დეკაბრისტების ცოლები გაიხსენეთ. სიმდიდრე-ფუფუნებაში აღზრდილი ქალი თავს ანებებს თავის წრეს, მეგობრებს, ნათესავებს, კულტურულ გარემოს, ნებაყოფლობით გამოდის შეჩვეულ სასახლიდან, იხდის ძვირფასს სამოსელს და კატორველ ქმარს მისდევს, იქ ბნელ ქოხში სახლდება, ხამ ტანისამოსს იცვამს, თვითონვე რეცხავს, თვითონვე ჰკე-

ჩაეს, თვითონვე ხარშავს და ქმართან ერთად ოცდაათ წელიწადს უმძიმეს უღელს და რკინის ბორკილს ეზიდება. ქრისტეს მოსაგვი ამგვარი ქალები წმინდანად ჩაირცხეს, მაშ ესენიც ხომ ახალნაირი წმინდანები რომ უმძიმეს-ლნი არიან და მათი სახელი, კაცობრიობის ხსენებაში უკუნიშნისა-მდე დარჩება. უკვდავთა რიგში დგანან ტრეპოვის მკვლელი ვერა ხასუ-ლიჩი და სენატორის ქალიშვილი — ალექსანდრე მეორის მკვლელობის მონაწილე სოფიო პეროვსკი, რომელიც სანაქებო ეაქეაცივით ავიდა სახ-ჩობელაზე.

ზურაბმა კიდევ რამდენიმე ამგვარი მაგალითი დაასახელა და და-ასრულა:

— ქალს მხოლოდ სოციალიზმი იხსნის კაპიტალისტურ ტყვეობიდან, მას მხოლოდ ჩვენ ამოვიყვანთ მაღაროდან, მხოლოდ ჩვენ მოვხსნით ხელ-ფუთიან ტვირთს, მხოლოდ ჩვენ მოვსპობთ როსკიკობას, ყოველნაირ ჩაგ-ერას, ქალის ნაშრომის მითვისებას, ჩვენ გავაზორციელებთ ნამდვილ თა-ნასწორობას, და ჩვენ და მხოლოდ ჩვენ გადავაქცევთ ქალს ნამდვილ დე-დად, ცოლად, დად და მეგობრად. ამხანაგო ქალებო! საამისო ეამი დგება. რუსული ბასტილია ირღვევა და საცაა ჩამოინგრევა. მხოლოდ ერთი იე-რიშიც, ერთი მძლავრი შეტევაც და გამარჯვებაც თქვენს ხელთ იქნება.

ოდნავ ფერმიხდილი ზურაბი დაჯდა. აქა-იქ ტაში გაისმა, მაგრამ თავჯდომარემ სუსხიანად ჩააბზო იგი. აფრთოვანებული ქალები წამოცვი-ვდნენ, ზურაბს შემოეხვივნენ, ხელს ართმევდნენ მეგობრულად უღიმო-დნენ და მადლობას უხდიდნენ.

— მშვენიერია... საუცხოვოა... დიდებულია.

ქეთო ალაგიდან არ დაძრულა. ისევ მოჯადოებულივით იჯდა და თა-ვის ჯერს ელოდა. მას არ უნდოდა სხვებივით საერთო აფრთოვანებაში ჩაერთო თავისი სათუთი გრძნობა, არ უნდოდა იგი დაეხურდავებინა და უფერულ ეჭა. მისი ჯერი მაშინ მოვიდოდა, როცა ზურაბი გააცილებდა მას და წელანდელივით სადმე ბნელ ქუჩაში მარტო დარჩებოდნენ. ქეთო იქ გადაუხდის მადლობას. მადლობას გადაუხდის და კიდევ რაღაცას ეტყვის...

ჰო, მართლა: რას ეტყვის ქეთო ზურაბ გურგენიძეს? ის ჯერ პკითხავს: რად დააშტერდა მას ზურაბი სწორედ მაშინ, როცა ივდითზე ლაპარაკობ-და? რად მიუბრუნდა მას მაშინაც, როცა დეკაბრისტების ცოლები და სო-ფიო პეროვსკი გაიხსენა?

„მგონი ზურაბი მკითხებოდა თვალებით: ვისი როლი უფრო გეხერ-ხება, ქეთო: ივდითის, პეროვსკისა თუ დეკაბრისტის ცოლისა? ივდითისა— სახელოვანი ჩირქია, პეროვსკისა— სახელოვანი სიკედილია, დეკაბრისტის ცოლისა — სახელოვანი წამებაა. მაშ რომელი სჯობია? რომელს უფრო მოვერევი?“ — პკითხა ქეთომ თავის თავს და პასუხი ვერ გასცა. მერმე აბეზარი აზრის გასაფანტავად და გასაგრილებლად აივანზე გამოვიდა და სიბნელეში გაიარ-გამოიარა.



ქართული
ენების ინსტიტუტი

ზურაბიც გვიან გამოვიდა.

— ქალბატონო ქეთევან...

— აქა ვარ.

ზურაბმა მკლავში ხელი გაუყარა, კიბეზე ჩამოიყვანა და უთხრა:

— თავი ძლივს დავაღწიე. ვუთხარი, მეტად საჭირო საქმე მაქვს მეთქი და წამოვედი.

— რა საჭირო საქმე გაქვთ? — ქალური ცბიერებით პკითხა ქეთვამ.

— შავი გედი უნდა გავაცლო. ესე ხომ საქმეა?

— გზას მეც ვიპოვი — არა ცხრებოდა ქალი.

— არხზე ვილა გადაგიყვანდა? — მოუჭრა ზურაბმა.

ქეთვამ პასუხის ნაცვლად სხვაგან გადაუხვია:

— გახსოვთ თუ არა, ერთხელ რომ გითხარით: თქვენც პოეტი ხართ და უდიდეს წითელ პოემას სწერთ მეთქი?

— მახსოვს.

— დღეს საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ მაშინ მართალი მითქვამს. მართლა დიდი პოეტი ყოფილხართ.

— ღმერთმანი არ ვიცი, თქვენი ნათქვამი ვიწყინო თუ ქათინაურად მივიჩნიო.

— მე შეუჭრალს ხომ არ ვადარებთ — მიუგო ქეთვამ. — შესაძლებელია ერთი რითმაც არა გქონდეს დაწერილი და მაინც დიდი პოეტი იყო. მე მხოლოდ შთაბეჭდილებისა და გატაცების ძალას ვგულისხმობ. აქაც და სასაფლაოზედაც დიდის შთაგონებით და უღრმესი რწმენით ლაპარაკობდით. ყოველი თქვენი სიტყვა დამწვარივით ჩამოჩა გულში. მე არ მეგონა, რომ ამავე დროს ესოდენ სიღინჯეს და ჩაგონების უნარს გამოიჩინდით. თქვენისთანა ორატორი ჯერ არ მინახავს.

— მე კი მეგონა, რომ სიღინჯეს ნაკლად ჩამითვლიდით — მიუგო ზურაბმა. — ქალებს, სტუდენტებს და პოეტებს აფორიაქებული პათოზი უყვართ.

— მე პირადად ქადაგად დაცემული ორატორი არ მომწონს. ჩალა-სავით აგაპრიალებს და მაშინვე ჩაგაქრობს. მაგრამ საქმე ეს არ არის. ერთხელ გაკვეთილის დროს ჩვენი ინსტიტუტის მღვდელს ვკითხე: ჩემ მომეს რომ სასიკვდილო ხიფათი მოელოდეს და მე რომ ივედითივით მოვიქცე და დავიხსნა, ეს საქციელი ცოდვაში ჩამეთვლება თუ მებატიება მეთქი? მღვდელი გაწითლდა. მერმე მკითხა: თავი უნდა მოსჭრა ვინმეს? მე მიუგე: ვთქვათ საქმე უსისხლოდ გავათავე ერთი ღამე რა დიდი საქმეა მეთქი!

— მართლა — აგრე უთხარით? — გაუკვირდა ზურაბს.

— მართლა აგრე ვუთხარი, ფიქრით კი სხვანაირად ვფიქრობდი. იმან მიპასუხა: ივლითივით თავის განწირვა მარტო მეფისთვის და სანაშობლოსთვის შეიძლებაო. მერმე ინსტიტუტის გამგე ქალმა დამეხმარა, ფინანსებ-ტობისთვის გამკიცხა და კიდეც დამსაჯა.

— თქვენა სთქვით, სხვანაირად ვფიქრობდიო — უთხრა ზურაბმა. — მაშასადამე ივლითი გმირად არ მოგაჩნიათ.

— როგორ არა, მაგრამ მაგ როლს პირადად მე ვერ შევასრულებდი... ძალიან გამიძინელდებოდა.

— რა უფრო ძნელია, შენს მტერს დანებდე, თუ თავი მოსჭრა მას? — თოურიდებლად ჰკითხა ზურაბმა.

ქეთომ იგრძნო, რომ ვაწითლდა. მცირე ხანს იყუჩა და ჩემად მიუგო:
— ორივე ძნელია — და სწრაფად დაუმბატა: — დეკაბრისტის ცოლი-ვით ციმბირში წასვლა უფრო ადვილია.

— აგრე — მაშინვე დაეთანხმა ზურაბი. — მაგრამ უფრო ადვილია მტერს ცოლად ვაძყვე. ქმარს თავი არ მოსჭრა, შენს მიზანს იქიდან სხვანაირი ხერხით ემსახურო, და განუზომელი სარგებლობა მოუტანო მას. აგრე თუ არა?

— რა თქმა უნდა, რომ აგრე — დაუდასტურა ქეთომ და მოუფიქრებლივ ჰკითხა: — რატომ აქამდის ცოლი არ შეირთეთ?

— რა მეჩქარება! სულ ოცდაექვსი წლისა ვარ, მეტისა კი არა. ნამდვილი მიზეზი მაინც სხვა რამ არის. ჩემისთანა ადამიანი შეწირულს ჰგავს. ის სანამდის მარხულობს და ფეხშიშველი დადის, მანამ იმის ხატს ზვარავს არ დაუკლავენ.

— ახლა თქვენ ამ მხრივ მართალია შეწირულს ჰგვებართ, მერმე კი შესაძლებელია ზვარაკად გადაიქცეთ.

— სწორედ რომ აგრე — მოუწონა ზურაბმა. — თუ დამიჭირეს, ზვარაკად მაქცევენ. ჩვენ თვითონვე ავართვით ჩვენივე თავს უფლება დაჭორწინებისა. თუ დაგვიჭირეს, კატორგა არ აგვეცდება. განა ჩვენი პირადი ტანჯვა არ გვეყოფა, რომ ცოლშვილის დარდიც არ მოვიმატოთ?

— მაშ სიყვარული? — გაუბედავად ჰკითხა ქეთომ.

— სიყვარული უზენაესი პირადი ბედნიერებაა, ეგ ჩვენ ვიცით, მაგრამ მკვიდრი სიყვარული საჩვენოდ არ არის გაჩენილი და მაგისტის არც ჩვენა გვეცლიან. დღეს აქა ვართ, ხვალ ციმბირში, ზეგ ციხეში და მაზეგ სადმე ჯანდაბაში გვიკრავენ თავსა.

— სიყვარული მეთქი?

— საცა რა ხილიც შეგვხვდება, იმას მოვკრეფთ და ვიახლებით.

— დამპალსაც მიირთმევთ ხოლმე?

— ბედი ზოგჯერ დამპალსაც მოგვიყრის ხოლმე, ჩვენ ვცდილობთ დამპალს მოვერიდოთ და ჯანსაღი ხილი ავარჩიოთ, მაგრამ... ბოლოს და ბოლოს იმას შესჭამ ხოლმე, რაც ხელთ მოგხვდება. ახლა ხომ ხედავთ რა

პირდაპირი კაცი ვყოფილვარ. პატივსა გცემთ და ამიტომ არაფერსაც არ გიმაღავეთ.

— პატივს გცემთ და ამიტომ განგებ ცდილობთ ^{მსიქვენი მსიქვენი} შემაზიზლოთ — ნაწყენ კილოზე ჩაილაპარაკა თავჩაღუნულმა ქალმა და ნაბიჯს მოუხშირა.

ამასობაში არხს მიადგნენ. ზურაბმა წელანდელივით გადაიყვანა ქეთო, მაგრამ მაშინდელივით ერთი წუთითაც არ შემდგარა არც „ალეკობ“ დაუძახია და აღარც ქეთო მოხვევია კისერზე. ზურაბმა ცივად აიყვანა, ცივად გადასვა და გზაც ცივად განაგრძეს. წელანდელი ცეცხლი ორივეს ვილაყამ თუ რაღაცამ ჩაუქრო.

— ჩემ მეგობრად გთვლით და მითომ არაფერიც არ დაგიმაღეთ მეთქი — გაახსენა ზურაბმა.

— მეგობრად მთვლის... ისევ მეგობარი! — უფრო მწარე კილოზე ჩაიბურტყუნა ქეთომ და დადუმდა.

— ყური მიგდეთ — დაიწყო ზურაბმა და მკლავზე ხელი მიატანა. ქეთომ მკლავი გამოისტაცა და დაწინაურდა. ზურაბი დაეწია, ალაპარაკდა და მის კილოს უფრო მეტი სიღბო და გულწრფელობა დაეტყო.

გურგენიძე საყვედურს საყვედურზე აყრიდა: ქეთოც ჩვეულებრივი ინტელიგენტი გამოდგა; ისიც ვულგარული აზროვნების ტყვე ყოფილა; ქეთომ უნდა შეიგნოს, რომ ზურაბი და მისი მეგობრები არც ბერად შემდგარან და არც იმ ხალხს ჰგვანან, ვინც ათასი წინაპრის საქმეს ასრულებს: იბადება, მწიფდება, ცოლს ირთავს, შვილებს აჩენს, ჰკვებაძეს, დღელამეს ასწორებს, უსამართლობის უღელს მშვიდად ეზიდება და მშვიდადვე კედება. ხალასი სიყვარული ზურაბსაც სწყურიან, კიდევ შეუძლიან, მაგრამ —

— მაგრამ რა დროს ეგ არის! — ეუბნება ზურაბი.
„აგრეა, მართალია! — გულში ეთანხმება ქეთოევანი. — რა დროს ეგ არის! ესენი დედამიწას აზანზარებენ, ხალხი ბაბილონის ტყვეობიდან გამოჰყავთ. მთელ რუსეთს ცეცხლი უკიღია, ხალხი სისხლისგან იცლება, ბასტილია ინგრევა და მის ალაგას თავისუფლებას და ბედნიერებას ისეთ ძველს აუშენებენ, რომელიც სიზმარშიც კი არავის მოლანდებია. მე კი — ღმერთო ჩემო, რა რიგ დავცინიდი! — მე კი ამ ვაცისგან დაყუდებულის უმანკოებას მოვიტხოვ.“

— თქვენ ჩვენს ცხოვრებას ვერც კი წარმოიდგენთ — განაგრძო ზურაბმა. — ჩვენზე ასი-ათასი მონადირე ნადირობს. ნადირი სოროს მოსძებნის, თავის ბუნავში შეიხიზნება და გადარჩება, ჩვენ კი ბუნავიც არას გვიშველის. ზოგჯერ მწიანწალის ბედიც კი შემწურდება ხოლმე. ის თავ-შესაფარში შაურს გადაიხდის და არხინად დაიძინებს, ჩვენ კი ძილში ცალი თვალი გახელილი გვაქვს და ყოველ დღე კატორგას და საბრძობელას მოველით. მე თავს არ გაბრალებთ. ამას აზრადაც ნუ გაიტარებთ. მე მხო-

ლოდ მინდა შეგაგნებინოთ, რომ ასეთ თავგანწირულსა და გვერდინილ ადამიანს უბიწობა არ მოეთხოვება.

— მართალია, მართალი! — გამოტყდა ქეთო და ზურაბზე ეფუძვინებოდა გაუყარა მკლავში ხელი. — მაპატიეთ, დაივიწყეთ. მეც ქაჩაყაჩაყი ვარ და მეტი არაფერი.

— არა, ქეთევან, ტყუილად ნუ იდებ ბრალს — ანუ გემა ზურაბმა და ხელზე ხელი გადაუხსია. — თქვენ ქაჩაყაჩაყი კი არა ხართ, არამედ...

— არამედ?

— არამედ ქალი ხართ, ნამდვილი ქალი ხართ, მორჩა და ვათავდა!

ქეთო თანახმაა: მორჩეს და ვათავდეს. ასეთ სისულელეს აღარ წამოროშავს. ამაზე ხმასაც ნულარ ამოიღებენ, ახლა კი —

— ახლა დროა მიამბოთ: ვინა ხართ? საიდანა ხართ? ამ შხრივ თქვენი ვინაობისა არაფერიც არ ვიცი.

კეთილი და პატიოსანი. სულ ადვილი საქმეა. ზურაბი თავის ცხოვრება-ვინაობასაც უამბობს.

— მე ბორჯომში დავიბადე — დაიწყო ზურაბმა. — ალბათ თქვენც გეცოდინებათ, რომ ბორჯომის უზარმაზარი მამული უწინ ავალაშვილებისა იყო. მერმე რომანოვებმა დაიჩემეს, დიდძალი ფული დახარჯეს, რკინის გზა გაიყვანეს და დიდ კურორტად აქციეს.

— ვიცი, ვყოფილვარ — გააწყვეტინა ქეთომ.

— მეც ვიცი, რომ ყოფილხართ — მიუგო ზურაბმა. — თქვენ და ავალაშვილებმა შარშანდელი ზაფხული იქ გაატარეთ. მეც რამდენიმე დღით ამოვედი და ორიოდღეჯერ თვალი მოგკარი. ვისაც თქვენი სახე და ეგ თეთრი ნასთი ერთხელ მაინც უნახავს, იმას არასოდეს არ დაავიწყდებათ. მხოლოდ ის არის, რომ თქვენი გვარი არ ვიცოდი.

ზურაბის მამა საუკეთესო ზენკალი იყო. ბორჯომის მამულს ემსახურებოდა და შინაც მუშაობდა. იშვიათად შეჰხედებოდა ისეთი საქმე, რომ ვერ დაეძლია. ზურაბი იქაურ ოთხ-კლასიან სკოლაში სწავლობდა და თავიდანვე მასწავლებელთა საყვარელ მოწაფედ ითვლებოდა. ხუთზე ნაკლები არც ერთი ნიშანი არ მოუღია. გარდა ამისა, თავის ტოლებში საუკეთესო მოკრივე, მოჭიდავე, მოცურავე და მომღერალი იყო.

სკოლა რომ დაასრულა, დირექტორმა ქალაქში ჩამოიყვანა და —

— სასულიერო სასწავლებელში მიმბარა. — სიცილით სთქვა ზურაბმა. ქეთომ ჩაიციხა.

— მართლა რომ სასაცილოა — სთქვა ზურაბმა. — ან მე ან ჩემს დედამას რა გვესმოდა! მათ კიდევ უხაროდათ: შვილი მღვდელი გამოგვივაო, ოხო — ზო!

იქიდან სასულიერო სემინარიაში გადაიყვანეს. პირველად იქ შეხვდა ზურაბი კობას — იოსებ ჯუღაშვილს, სტალინს. გაუგია თუ არა ქეთოს ეს სახელი?

— რასაკვირველია, გამიგონია. ნეტა გამაცნობდით. ინარჩუნებ ჩემომ.

— თუ ერთად შევხვდით სადმე სამივენი, რა თქმა უნდა, რომ გავაცნობთ. — დაპპირდა ზურაბი. — სემინარელებს ახალი მარქის ნიჭი უჭონდათ მოდებული, როგორც ცეცხლი ჩალას. სხვებიც იყვნენ მარქის ნიჭით აღმოდებული, მე კი მაშინვე კობა ვამჯობინე, უფროს ძმასავით მივეკედლე და ჩემი ბედიც მას მივაბარე. ახლაც იმის მოწაფე ვარ. თვალი იმან ამიხილა, იმან გამომზარდა, იმან გამომჭედა და დღესაც იმის ხელმძღვანელობით ვმუშაობ. იმის სიტყვა ჩვენთვის კანონია. საქიროებამ რომ მოითხოვოს და გვითხრას, თვალხილული გადაეცვივდებით კლდეზედა. ასეთი კაცი თავის გზას უბრალოდ არ დაღვეს. თუ დასცალდა და ფათერკას გადაურჩა, ქვეყანას შეაზანზარებს და მსოფლიო ისტორიას ცეცხლით და ფოლადით დაწერილ ფურცელს დაუმატებს.

— რა აფრთოვანებით ლაპარაკობთ! — გააწყვეტინა ქეთომ. — ნუ თუ მართლა მაგისტანა კაცია? საიდან იცით? რამ გათქმევიანათ ეგ გაბედული სიტყვები?

ზურაბი შედგა, ოდნავ დაიბნა, მერმე თამამად და ღრმა რწმენით უპასუხა:

— გაბედულად იმიტომ ვლაპარაკობ, რომ დანამდვილებით ვიცი, დიად, ვიცი მეთქი! შწიგნობრული ცოდნით კი არა, მე რწმენით ვიცი, ალღოთი ვიცი, გუმანით მივაგენი. დამიჯერეთ, აგრეა მეთქი.

— ეგ წინასწარმეტყველებაა და მეტი არაფერი. — გაუბედავად მიაწოდა ქეთომ.

— თუნდაც აგრე იყოს, მერმე რაო? — წამოიძახა ზურაბმა.

— როცა გაგიმართლდება, მაშინ დავიჯერებ.

— მაშინ ბალებიც დაიჯერებენ. — ისე ჩაილაპარაკა ზურაბმა, თითქო სწყენოდა, რომ ქეთომ ახლავე არ დაუჯერა. მერმე ცოტა ხანს იყუჩა და განაგრძო: — ჩემი ნათქვამი დაიხსომეთ. იქნება ოდესმე გავახსენოთ. ჰო, იმას მოგახსენებდით: ბერები დაფაცურდნენ. თვითონაც ჯაშუშობდნენ, ყველგან დაძვრებოდნენ მეძებრებივით და ბევრი მოწაფეც ატყვიან ჯაშუშად. კობამ მარქის ნაწერებს უკვდავების წყაროსავით დაგვაწაფა, ბერები კი ლამობდნენ ჯვრით და სახარებით მოვერჯულებინეთ. რიტორიკით, ღვთისმეტყველებით, ლოგიკით და სოფიზმებით ისე გამოგვწოვეს სული და გული, როგორც ობობა გამოსწოვს ხოლმე ბუხს. მართლა, იცით თუ არა რას უწერება ობობა ბუხს, საზამთროთ რომ ინახავს ხოლმე?

— ჰკლავს — მაშინვე ტბასუხა ქეთომ.

— რომ მოჰკლას, ბუზი დაღება, ან ვახმება და დაიშლება. არა გცოდნიათ. ობობა ბუხს რომელიღაც ძარღვს უბოვის ხოლმე და დაუღუნებს. ბუზი ცოცხალ-მკვდარი გდია და არცა ლებება და არცა ხმება, ჩვენც ასეთი დღე დაგვმართეს. მე ბერებმა დროზე მიშველეს: რაკი დამატყეს, რომ მაინც ცოცხალი ვიყავი, არც აცივებს, არც აცხელეს და ქუჩაში გამაგდეს.

ჩემზე უფრო ადრე კობა დაითხოვეს. ამას ყვითელი ბილდები ერქვა, სწავლისა და საშახტურის კარი სამუდამოდ დამიკეტეს. დანარჩენი ბჭვენიც გეკოდინებათ.

— მე არაფერიც არ ვიცი. — მიუგო ქალმა. — მერაქა რა ცნებებსაა?

— არაფერიც არ დამმართვია. მამა მომიკვდა, დედა ბორჯომის წყლის ქარხანაში მუშაობს, მე კი მათს უდიდებულესობას მსოფლიოს ერთობას ვემსახურები. სამჯერ ვადამასახლეს და გამოვიქეცი.

ამასობაში გერმანულ ეკლესიას მოუახლოვდნენ. ქეთოს უნდოდა ზურაბის თავგადასავალი და ინტიმური ცხოვრება გაეგო: როგორ შეპყრეს კობამ და ზურაბმა ერთობის ლაშქარი? როგორ ბეჭდავს საიდუმლო გაზეთს? სად მოულოდენ იარაღს, ფულსა და ყუმბარებს? ვინ ზოცავს ერთობის მტრებს? ვის გამოაქვს განაჩენი? როგორ ატყუებენ პოლიციას და ჯაშუშებს? რანაირად გადასჭრიან მომავალში ეროვნულ საკითხს? რა საჭმეს ასრულებენ მართა, ნიკო და ლევანი? რა იქნა ის იარაღი, რომელიც ნიკომ და ლევანმა ვადამალეს?

კიდევ ბევრი რამე ჰქონდა გასაგები, მაგრამ აღბრ დასცალდა. ზურაბი უცებ შესდგა და ქუჩის კუთხეს დააკვირდა. ვერის ხედისა და მიხეილის ქუჩების ჯვარედინზე რალაცას მოპკრა თვალი და სთქვა:

— იქ პატრული დგას და ყველას სჩხრევავს. თქვენ ხელს არ გახლებენ. პეი, ძმობილო — შესძახა შეეტლეს, — ეს ქალი მშვიდობით მიიყვანე შინ, თორემ ხელ გიპოვი პასუხს მოგთხოვ. მშვიდობით იყავით, ამხანაგო ქეთევან.

— მობრძანდით — უპასუხა შეეტლემ.

ქეთოს „ამხანაგო“ ეამა.

— როდისღა განახავთ? სადა განახავთ? — ჰკითხა მან და ამხანაგ ზურაბს ხელი ხელში ჩაუღო.

— აბა რა ვიცი. არც ბინა მაქვს და არც კანცელარია. თუ ბედს სწავლიან, სადმე შეგვახვედრებს — მიუგო ზურაბმა და ეტლში ასვლა უშველა. ქეთოს უნდოდა ეთქვა: რაკი მართასთან მოდიხარო, ბარემ ჩემთანაც ამოიხედეთო, მაგრამ ველარ გაუბედა და ამის მაგიერ უთხრა:

— ზოგჯერ ჩვენს ქუჩაზედაც დადიხარო ზოლმე. კარი დამიკაქუნეთ. შე გამოვალ და გავისეირნოთ. ზევით მიყრუებული ადგილებია და ვერავენ დაგედევნებათ.

— კეთილი, აგრე ვიზამ, ჩემო... ჩვენო ივდითო — ღიმილით მიუგო თანხმობა ზურაბმა და სწრაფად დაშორდა.

• •

თბილი შეღალამე იყო. სხვა დროს შეღალამისას დიდ ქუჩებში უამრავი ხალხი ირეოდა, ირგვლივ სიცილი და მზიარული ჟრიაბული იდგა და ქალაქს

უთვალავი თვალი ყვითლად ჰქონდა დაჭყეტლი. ახლა კი სამხედრო პატრულებს ხალხი შიგნით შეერგეათ, სიცილი მოეკლათ, ქალაქი ფაქრობილ ციხესავით დაეუფლათ და ის თვალეზივ დაეხუჭებინათ.

ქუჩაში გავლას მხოლოდ ის ჰბედავდა, ვისაც ჯიბეში გენერალ გუბერნატორის საგანგებო ნებართვა ედო. ისინიც თავჩალუნული მიდიოდნენ, თითქოს მირობოდნენ და რამდენიმე აბაზი მზად ჰქონდათ ხელში, რათა მგლებივით ხარბი ყაზახებისთვის მიეგდოთ და შინ უვნებელი მისულიყვნენ.

ვერის ხიდზე ქეთოს მეორეველ შეუჩერეს ეტლი, ვინაობა გამოჰკითხეს, ხელის ჩანთა გაუჩხორეს და გამოეშვეს. აღმართზე ცხენები ნაბიჯით წამოვიდნენ.

— ქეთო! — დიძახა უცებ ვილაცამ და ეტლში ამოხტა. — დიცა! გააჩერე!

ქეთომ თავისი ძმა ილიკო იცნო, მაგრამ მაინც შეეშინდა:

— რა ფეჟიანი ხარ! კინალამ გული გამიხეთქე. აქ რა გინდა?

— შენ თვითონ რა გინდა? ჩქარა ჩამოდი.

ტროტუარიდან მეორე ვინმე წამოვიდა. ქეთომ ავშაროვი იცნო, რომელსაც მუნდირი მოსასხამით დაეფარნა.

— ქალბატონო ქეთევან, ახლა კი ველარსად წაგვიხვალთ თანახმად სამხედრო წესისა, დაპატრონებული ბრძანდებით. ეტლიდან ჩამობრძანდით და მომყევით — უთხრა მან ქეთევანს და მკლავში ხელი წააგლო.

სად მიგყევართ? თავი დამანებეთ!.. არ წამოვალ! — გაუძალიანდა ქეთო, მაგრამ ორმა ვაჟკაცმა ძალით ჩამოიყვანა. ილიკომ ეტლი გაისტუმრა, ავშაროვმა კი ქეთევანი ტროტუარზე გამოიყვანა, ბეჭობისკენ მიუთითა და უთხრა:

— თქვენ ჩვენი ტყვე ბრძანდებით და ამ ციხეში უნდა დაგამწყვდიოთ. თქვენი ბროლის კოშკი ამაღამ ეს იქნება.

ქეთომ განათებულ კარს შეხედა და ელექტრონის ასოებით გაშუქებული ორი სიტყვა წაიკითხა „ბელ ვიუ“.

— შანტანში რა მინდა! — შესძახა მან. — გამიშვით! სირცხვილია! ხეალვე მთელი ქალაქი აყაყანდება!

— ქეთთან ერთად შესვლა რა სირცხვილია! ვერც ვერავინ გაიგებს — მოუგო ილიკომ და წელზე ხელი მოჭვია.

ქეთო უძალიანდებოდა, ეხვეწებოდა, მაგრამ ამაოდ. თითქმის ძალით აიტაცეს კიბეზე და ისე შეიყვანეს ლოჯიაში, გრძელი ტალანის ცალ გვერდზე ჩამწყრივებულ ერთერთ ლოჯიაში, რომ ერთი ლაქის გარდა არავისაც არ დაუნახავს.

— აკი ვითხარი, ვერავინ გაიგებს მეთქი — დაამშვიდა ქეთო ძმამ.

— ხომ დაინახეთ, რომ ლოჯებში სხვა ქალებიც სხედან. — დაეხმარა ილიკოს ავშაროვი. — ქმრები თანა ჰყავთ და ვისი უნდა ეშინოდეს!

— ამით ქმრები ჰყავთ, მე კი გასათხოვარი ვარ — უნდა დავიშოვო. თან და თან სიხარული ეპარებოდა იმის გამო, რომ ასე მოულოდნელად გაუღეს აკრძალული კარი და შანტანში შეიჭვანეს, შეიჭვანეს კი არა, შეათრიეს, დილა შეათრიეს. მართალია თან ძმა ახლავს, მაგრამ თუ გაიგო ვინმემ, ხვალვე მაინც ყბად აიგდებენ და ისეთ ღრიანცელს ასტეხენ, რომ ქუჩაში აღარ გამოესვლება.

„ეჰ, რაც არის, არის! რაკი ფეხი შემოვდგი, უნდა კიდევ ვიგემო“ — გაიფიქრა მან და წითელი ფარდის ნაჩერეტში ცალი თვალთ გაიხედა. ვეება დარბაზის ცალ მხარეს წითელი ფარდებით აფარებული ათიოდე ლოჯა ამოღლებულიყო, ხალიჩებით დაფენილსა და ტროპიკული მცენარეებით მორთულს სვეტებიან დარბაზში სამოციოდე მაგიდა იდგა. ყოველ მაგიდას სამი ან ოთხი მამაკაცი ეჯდა. აქა-იქ შანსონეტები და გარედან მოსული ფეხსუსტი ქალებიც მოსჩანდნენ. სამხედრო მუნდირები, ჩოხა, სურთუკი, სმოკინგი, ვიზიტკა, რედინგოტი და სამოქალაქო მუნდირები ერთმანეთში არეულიყო. ლაქები ფრაკით გამოწყობილიყვნენ, ილიაში თეთრი ხელსახოცი ამოეჩარნათ და ზოგი ცალიერი ხონჩით და ზოგიც სასმელ-საჭმელით დატვირთული, მაგიდების შუა მარდად და სხლგით დადიოდნენ. დარბაზში ნელი ქრიამული იდგა. ალაგ-ალაგ დინჯი სიცილი ისმოდა. ყველანი ვაზშმობდნენ, სევამდნენ და საუბრობდნენ.

დარბაზის ბოლოს ფარდა-ჩამოშვებული ესტრადა მოსჩანდა.

ქეთომ იქაურობას გადაჰხედა, რამდენიმე ნაცნობს მოჰკრა თვალი და შეშინებული დაჯდა სკამზე.

აეშაროვმა ქეთოს მენიუ გადმოაწოდა და შესთავაზა:

— რაც გნებათ აირჩიეთ. აქ ჩიტის რძეც კი იშოვება.

ქეთო უარზე შედგა:

— მე არაფერიც არ მინდა. ახლავე გავიქევი.

ბოლოს აეშაროვმა ლაქიას საუზმე, ჭამა-სოკო, შემწვარი ორაგული, მოხრაკული ხოხობი, სუკი, არაყი, ღვინო და შამპანური შეუკვეთა და ქეთოს დამშვიდებას შეუდგა.

ილიკომ ფარდა გადახსნა, დარბაზის წინაშე შინაურულად გაიჭიმა და ნაცნობ მეგობრებს ხელით ანიშნა სალამი.

ქეთო ხელახლა შეშინდა და კუთხეში გაინაბა.

უცებ ორკესტრმა კეცვოკი დაუკრა და დარბაზი ზანგური მოტივით გაიქვინდა. დარბაზის ბოლოს ლურჯი ფარდა გაიხსნა და სცენაზე წითური ზანში შესული ქალი გამრევარდა. მას ერთი ზანგი მამაკაცი მოჰყვა.

ქალს ვეება მკერდი და საჭიდაო მკლავები შიშველი ჰქონდა, მოკლე კაბა სქელ მუხლებამდე სწვდებოდა. თავზე ყვავილებით სავსე კალათის მსგავსი შაპო ეტურა, ხოლო ხელში უწყრილესი წითელბაბთი-

ანი შავი ჯოხი ეჭირა. ქალო აღბათ სირინოზს გამოსახუნდა: მკვირივად გაწეკვნილ კაბაზე თავით-ბოლომდის ვერცხლის-ფერი მძივები ეყარა, რომელიც თევზის ქაცვს ჰგავდა და თვითონ ქალმაც, ძირველ წაკუზულმა, თევზისებური რბევით დაუარა სცენას.

ხუჭუქთმიანს ზანგს ქრელი ამერიკული შალვარი და ასეთივე ქრელი ფრაკი ეცვა, მაღალი ცილინდრი ეხურა და ხელში იმასაც ბაფთიანი შავი ჯოხი ეჭირა. ისიც წაკუზულიყო და ქალის გავას კისერგაწვედნილი მისდევდა.

ქალმა ტანის რბევას მოუხშირა. კბილებდაკრეჭილი ზანგი ქალს თითქმის ზედ ასკდებოდა.

ქეთომ პირი იბრუნა და წაიბუტბუტა:

— რა საზიზღრებაა! ეს სად მომიყვანეთ?

— ყველაფერს უნდა შეეჩვიოთ, ჩემო კეთილო ქეთევან — ურჩია ავშაროვმა.

რას ამბობ, ქალო! — გაოცდა ილიკო. — მართლა არ მოგწონს?

ნუ კი ეხუმრები. მთელ ქვეყანაზე განთქმული წყვილია. მადამ ჰოპკინსია, ჰოპკინსი! ის ზანგი კი ვითომ იმის ქმარია.

— ეს ისეთი ქმარია, რომელიც ცოლს აცმევს, გაბდით კი სხვები მხდიან — განმარტა ავშაროვმა და გაღიხარხარა.

ქეთომ ისე აპხედა მას, თითქო ვერა სცნობდა, და სუსხიანად უთხრა:

— თუ მაგისთანა სიბილწე ერთხელაც წამოგცდენიათ, მაშინვე წავალ აქედან. აქამდის თქვენგან მაგგვარი რამ არაფერი გამიგია.

ავშაროვი წამოხტა და ქალის ხელს ეცა:

— მეა კულპა, მეა კულპა! დამნაშავე ვარ და დამსაჯეთ. ოღონდ ეს ერთი მიპატიეთ და მერმე ნულარ დამინდობთ.

ქეთოს ავშაროვის გულწრფელობა ეამა. ხელი საკოცნელად გაუწოდა და უთხრა:

— ეს ერთიც მიპატიებია, მეორეჯელ კი მართლა აღარ დაგინდობთ და საღამსაც აღარ მოგცემთ.

ამასობაში ლაქიამ უშველებელი თაიგული, ქურჭელი და საუზმე შემოიტანა, ყველაფერი მოწიწებით დაალაგა და ფეხაკრეფით გავიდა.

ქეთოსაც მოჰშივებოდა. სამივენი ჰამას შეუდგნენ. ილიკომ და ავშაროვმა სამ-სამი არაყი გადაჰკრეს და მერმე ლეინოს შეუდგნენ, ქეთოს კი ერთი ჰიჭა ტბილი მუსკატი დაალეინეს და თან მსუბუქი საუბარი გააბეს დარზე, ქალების მოდაზე, ახალ ქორწილებზე და ისეთ წვრილმანზე, რომელიც დამშეულ ჯუჭსა და ოდნავ შეზარხოშებას ესაბამება ხოლმე.

— დარბაზიდან უწმაწური სიმღერა ისმოდა ნახევრად შიშველი ქალისა, რომელიც კუბლეტსა და კუბლეტს შუა ცეკვავდა და ისე მაღლა

ისროდა ფეხებს, რომ ბარკლებიც კი უჩანდა. ვილაც მთურად აღტყვი დაეინებით უყვიროდა:

— Подними выше, выше! — უფრო ზევით ასწიე ქვეშაშვილებს, ზევით!

ამასობაში ლაქიამ ქაშა მოიტანა, ქამას ორაგული მოაყოლა და ორაგულს სუკი და ხოხობი დაურთო.

მოვახშმენი მადიანად სკამდნენ, დროგამოშვებით ცივს შეშუნა შამპანურს ატანდნენ და ერთმანეთის სადღეგრძელოს სვამდნენ. ცხელი თევზისა და ხორცის სინოციერე ნელნელა სხეულში უჯდებოდა მათ, იგი სასიციოცხო ძალას უმატებდა, სისხლშიც კონაედა და უღღულებდა, ხოლო შამპანური აბრუებდა, საამურ ნისლში ჰხვევდა და მუხლებს უღღუნებდა.

ესტრადაზე ცეკვას სიმღერა მოსდევდა და სოლო სიმღერას ქალების გუნდი სცვლიდა. ბოლოს იაპონურად ჩაცმული ტამბოველი გეიშა გამოვიდა და მორცხვად დაიწყო ტიტნი, მერმე კი კიშანო მოიგლიჯა, თითქმის გაშიშვლდა და ურცხვობაში ყველას გადააქარბა.

ქეთომ იმ ქალს გააზნდა. კულისებში ნაცნობ კაცს მოჰკრა თვალი და გაოცებულმა ჰკითხა ილიკოს:

— კოტე მესხს აქ რა უნდა?

— სამხატვრო ნაწილის გამგეა. არ იცოდი? — უპასუხა ილიკომ.

ქეთომ ჯერ არ იცოდა. მას გული დასწყდა იმის გამო, რომ მთარგმნელი და გამოჩენილი არტისტი მესხი მაგრე რიგად დახურდავებულიყო, და ეს აზრი ხმამაღლა გამოთქვა.

— ქართული თეატრი გაკოტრებულია და მაშ რა ქნას? — თქვა ილიკომ.

— საცა ფულია, ყველანი იქ გროვდებიან: არტისტიც, პოეტიც, მეცენიერიც, ქალიც ვაჟიც, მაწანწალაც და მილიონერიც — დაუმატა ავშაროვმა.

— ეგ ბურჟუაზიის ბატონობის შედეგია — უპასუხა ქეთომ.

— და თქვენც იმითომ ჩაერიეთ ერთობაში, რომ ბურჟუაზიული ჯოჯოხეთი დაანგრიოთ და სოციალისტური სამოთხე აგვიშენოთ? აგრეთ თუ არა? მიპასუხეთ, რალა! — ჩააცვივდა ქალს ავშაროვი.

ქეთოს უცებ ივდითი გაახსენდა. „მან ოლოფერნი მოატყუა, მაშ თავის მოკატუნებაც სცოდნია. რა ივდითი ვიქნები, თუ ფერს ვერ შევიცვლი და ცბიერობას ვერ მოვახერხებ?“ — გაიფიქრა მან და ისე უპასუხა, რომ იმის ხმაში ბეწვის ოდენა ბზარიც კი არ გაისმა.

— ეგ სხვა ვინმეს ჰკითხეთ, მე კი დღევანდელი ჯოჯოხეთი ხვალინდელ სამოთხეს მირჩევნიან.

— ვითომ? — უნდობლად ჩაილაპარაკა როტმისტრმა.

— უფრო მეტსაც მოგახსენებთ — იმავე ხმაზე განაგრძობთ ქეთომ. — ერთ დროს მაგათმა ჭადაგებამ მეც მომხიბლა, მაგრამ დროზე გავიხილე თვალები და დავრწმუნდი, რომ ახლა სამოთხეში ვცხოვრობი!

— ყოჩაღ, ქეთო! — წამოიძახა ილიკომ. — ახლა უკან ნამდვილად მიყვარხარ!

აეშაროვმა კი ყურები სცქვიტა, უღვაწები მოიწმინდა და შოულოდნელად მიახალა ქეთოს:

— მაშ დღეს გურგენიძეს რად გაპყევით სასაფლაოზე? — მიახალა და მჭრელი თვალები გაუყარა.

„გამაგრდი! არ გამოტყდე!“ — ჩასძახა ვილაცამ ქეთოს. ჭალმა თვალს თვალი დაუხვედრა, ჯერ გაოცება აისახა სახეზე და მერმე დაცინვით მიუგო:

— საუცხოვო ჯამუშები გყოლიათ! საქმე მშვენიერად გქონიათ მოწყობილი!

აეშაროვი შეკრთა.

— მე ნამდვილად ვიცი, ნამდვილად ვიცი შეთქი! — წამოიძახა მან ნაძალადევი სიმტკიცით.

ქეთომ ეანდარმის ხმას ბზარი შეატყო და თითქმის გულწრფელი სიცილი ამოუშვა:

— ნამდვილად იცის, ახა-ხა! ალბად საკუთარი თვალით დამინახა, იხი-ხი!

ეანდარმი საბოლოოდ დაიბნა:

— საკუთარი თვალთ არ მინახავს, მაგრამ... ის აგენტი იშვიათად ტყუედება ხოლმე.

ქეთო მაშინვე მიხვდა, რომელი აგენტი = ტყუედება იშვიათად“, და ხმაში წედანდელზე მეტი სიმტკიცე ჩაიღვარა:

— ის აგენტი ალბად ჩემს გეარსაც მოგახსენებდათ.

აეშაროვმა სცადა ქეთოს მღელვარება ქათინაურით დაეშოშმინებინა და ღიმილით მიუგო:

— გეარი არ უთქვამს, თქვენი გარეგნობა კი ფოტოგრაფიული სიზუსტით ამიწერა და მითხრა: იმისთანა ლამაზი ჯერ არ მინახავსო.

მაგრამ ღიმილმა ქეთო ვერ მოჰხიბლა.

— და ისიც მოგახსენათ, რომ იმ ჭალს შავ თმაში თეთრი ნასთი ჰქონდაო, აგრეა თუ არა?

— დიად, ეგეც დაუმატა.

— მაშ მე ჭურაში თავშიშველი მივლია! — წამოიძახა ქეთომ. — ნუ თუ ასეთი სისულელე დაიჯერეთ?

— მართალი რომ მოგახსენოთ, მაშინვე ეკვი შემეპარა — წაილულ-ლულა როტმისტრმა.

— ბარემ გამოტყდით, რომ აგენტს თეთრი ნასთი სულაც არ უნსენებია და თქვენვე მოიგონეთ.

— რაც მართალია, მართალია — დაუდასტურა ავშაროვი და გაიცილა.

— რას იცინით! არა გრცხვენიათ? რას ვიფიქრებდი, რომ მაგ ჟანდარმულ ხერხს მეც მაკადრებდით! — უთხრა ნაწყენმა ქეთომ და თითქმის ზურგი შეაქცია. — რა საძაგლობაა!

ავშაროვი ქეთოს წინაშე ორივე მუხლზე დაეცა, ხელებში ეცა, თან უკოცნიდა და თან ემუდარებოდა:

— მაპატიეთ, დაივიწყეთ. ბრიყვი ვარ. აღარ ვიზამ. გაუთლელი რეგენი ვყოფილვარ. გეხვეწებით, მაპატიოთ მეთქი.

ქეთო ჯერ უძალიანდებოდა, ხელებს არ აძლევდა, მერმე თანდათან ბოლბა, ხელებიც დასთმო და თან ეუბნებოდა:

— ეს ერთიც მიპატიებია... დაივიწყებ, მაგრამ იცოდეთ: თუ ერთხელ მაინც გაიმეორეთ, ახლოსაც აღარ გამეყაროთ.

— პროტი! აკოცე, აკოცე! — წამოიძახა დამთვრალმა ილიკომ და ქეთოს ეცა, რომელსაც ილიკოს მიერ წაქეზებული ავშაროვი უკვე ეტანებოდა. სიძვე, აკოცე მეთქი გაბედე! — და ქეთოს ორივე ხელი დაუჭირა.

ავშაროვი ტუჩებში დაეწაფა ქალს და სული შეუგუბა.

ქეთო ჯერ ფართხალებდა, მერმე გაინაბა და, სული რომ შოითქვა, პირსახე ხელებში ჩაიმალა და მიყუჩდა. არავინ იცოდა ტიროდა თუ სიტყობებს ინელებდა.

ავშაროვმა და ილიკომ გაბრუებული ქეთო თითქო დაივიწყეს. ტიქები აავსეს, ხელი ხელს გაუყარეს, ბრუდერშაფტი დალიეს, ურთიერთი დაპკონენს და ლაპარაკში „შენ“-ობაზე გადავიდნენ.

ავშაროვმა ილიკოს ყურში რაღაც ჩასტურჩულა და ერთხელ კიდევ აკოცა. ილიკომ თანხმობის ნიშნად თავი ჩაუქნია, ჩოხის კალთები აიკეცა, ფარდა გადასწია, ლოჯის ხარინაზე ახტა და დარბაზს გადასძახა:

— ამხანაგებო, მოვდივარ და დამიხვდით!

მისი მმა ბიჭები დარბაზის კუთხეში ქეიფობდნენ. გაიგეს თუ არა მძმის ყვილი, მაშინვე წამოცვიდნენ და მოამახეს:

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!

ლოჯის ქვემოთ ყაზახის აფიცრები ეახშობდნენ. ილიკომ ისკუპა და აფიცრებს თავზე გადაეველო. იატაკზე რომ დახტა, ციბრუტივით მოტროი-ალდა, გაოცებულ ყაზახების წინაშე ბოდიში მოიხადა და ამხანაგებისკენ გაემართა.

დარბაზში მჭუხარე ტაში ატყდა.

ქეთოს თავზარი დაეცა. მძმის „მოვდივარ“ რომ გაიგო და გადაწეული ფარდა რომ დაინახა, ისე შერცხვა, თითქო უცაბედად გაეშინვლებინოთ, სწრაფად მიტრიალდა და ისე დაიღუნა თითქო მაგიდის ქვეშ მიძვრებოდა.

ხუთივეს სასიცოცხლო ხალისი სიჭარბისაგან ყველში აწვევდა არ იცოდნენ რაზე დაეხარჯნათ და როგორ მოენელებინათ. უკმა/ცხოვრება და უკმა სმა-ქამა მხნეობის აუზს პირთამდე უესებოდა. ვერსად გადიოდა და სარჭველს ხეთქაედა. მათი ძალღრწნა-მსწრწა-ქალე-ბში, ქვიფში და ქალადის თამაშში იხარჯებოდა, დანარჩენი კი ფორზე გამოდიოდა და ისეთ ცეტობაში მელაენდებოდა, რომელიც ზოგ მოქალაქეს აცინებდა და ზოგს აშფოთებდა.

ქუჩაში რომ გაივლიდნენ ხოლმე, ხალხი ფრთხებოდა. ვინც გზას არ მისცემდა, მათრახს გადაუჭერდნენ. შელავათს მარტო ქალებსა და ბავშვებს აძლევდნენ.

თუ ფული ჰქონდათ, ერთი-ათად ეხარჯებოდათ, თუ არა და ვაი იმის, ვინც ნაღდს მოსთხოვდა.

ყველაზე უკეთ ამ ხუთეულს მეძაევი ქალები, პოლიციელები, საუკეთესო მეეტლები, რესტორატორები და ლაქიები იცნობდნენ. მათ ხშირად ენახათ მათი ხმლის კამკამა, ხშირად გაეგოთ მათი ომახიანი შეძახილი და რევოლვერის ბათქაბუთქი.

ძმაბიჭებს ყველაზე მეტად ოხუნჯობა და ვინმეს გამასხარაევა უყვარდათ. ვინც აპყვებოდათ, ის ადვილად გადაჩებოდა, ვინც ურჩობას გაუწევდა, ის დიდხანს ნანობდა.

უწინ ტრამეაის ცხენიან ვაგონს ხშირად შეაბტებოდნენ ხოლმე, მგზავრებს ჩამოაყრიდნენ, ვაგონს მარცხნივ ან მარჯვნივ ულიანდაგო ქუჩაში რახარუხით შეაგდებდნენ და მას საქეიფო დუქნად გადააქცევდნენ: საიდგანლაც ვოგოები, ღვინო, ჭურჭელი, საუზმე და ბიჭი გაჩნდებოდა და ის ქუჩა სიმღერით და ღრიალით იესებოდა. თუ რომელიმე მგზავრი მოეწონებოდათ, ვაგონში შეითრევენ და ზედიზედ ორიოდ ბოთლს ჩაასხავდნენ ხახაში. ვინ იყო თავზეხელაღებული, რომ უარი ეთქვა, ან მათი საქციელი გაეკილნა!

მალე იმ უბნის ბოქაული გაჩნდებოდა ხოლმე. ბოქაულებმა კარგად იცოდნენ ამ აეარების ხასიათი, იცოდნენ, რომ ძალის გამოყენება სისხლით გათავდებოდა, და ამიტომ პოლიციელებს არ მოიყვანდნენ, მარტონი მოვიდოდნენ, სმაში აპყვებოდნენ, გაუცინებდნენ, გააცინებდნენ და ხეეწნა-მუდარით მოიშორებდნენ თავიდან.

მავრამ შარშანდელს აქეთ ელექტრონის ტრამეაი გაიყვანეს და აეარებს ამგვარი გასართობი თავისთავად გაუთავდათ.

ერთხელ მათ ვერის საქეიფო ბაღში ერთმა ლაქიამ აწყენინა. ილიკომ მას ხუთ-ადლიანი თოკი მოსთხოვა.

„რისთვის ვნებაეთ, ბატონო?“ — ჰკითხა ლაქიამ.

„შენი საქმე არ არის. ახლავე იშოვე და მოიტანე.“

ლაქიამ მოუტანა. ხუთივენი ეცნენ, ის თოჯი ფეხებზე წააშეს და იქვე კაკლის ხეზე თავდაყირა ჩამოაქიდეს. ლაქიამ ყვირილი მორთო. უამრავი ხალხი მოცვივდა, მაგრამ ახლოსაც ვერ მიუღწიან. შმბიჭები ხანჯალამოწედილი იდგნენ და, ვინც ახლო მივიდოდა, გამოფარვას ემუქრებოდნენ. ამ ავარებს იქაური ლაქიები და რესტორატორებიც კარგად იცნობდნენ და ისევ ნაცადი ხერხი სცადეს: მათს წინაშე პირქვე დაემხენენ, ძველი ნისია აპატიეს და შეჰპირდნენ უფასოდ სამჯერ კიდევ გაქეიფებთო. ამის შემდეგ ილიკომ ხეზე მიბმული თოჯის ბოლო ხანჯლით ჩასჭრა და ის კი აღარ იანგარიშა, რომ ის საწყალი ძლიერ მალა იყო ჩამოკიდებული. ლაქია თავზე დაეკა და სამუდამოდ გასულელდა. ბევრმა ასეთმა ცელქობამ ჩაუარა „ბრწყინვალე“ ოხუნჯებს, მაგრამ კოკა ბოლოს მაინც წყალზე გაუტყდათ.

ერთ ღამეს საზაფხულო კლუბში ნაცნობ აფიცრებთან ფიცხი ლაპარაკი მოუფიქრა. უცებ ხუთივემ რევოლვერი იშეშლა და ცის დაცხრილვას შეუდგა. მერმე იმ აფიცრებს იარაღი მოსთხოვეს, თან უყვიროდნენ: „რა უფლება გაქვთ, რომ კლუბში შეიარაღებული შემოდინართ?“

საცაა სისხლი უნდა დაღერილიყო, მაგრამ ერთმა მოხუცებულმა გენერალმა აფიცრებს უთხრა:

„ცელქი ყმაწვილები არიან და ნუ აპყვებით, გადით და იარაღი შეკარეს ჩააბარეთ.“

„მაშ იმათაც ჩააბარონ“ — მოითხოვეს აფიცრებმა.

ყველანი დათანხმდნენ. გაეიდნენ და იარაღი შეკარეს ჩააბარეს. აფიცრები ისევ კლუბში შებრუნდნენ, ავარებმა კი თავიანთი იარაღი უკანვე მოითხოვეს, მერმე დანარჩენიც მოიტაცეს, ეტლებში ჩასხდნენ, ერთ-ერთ ბაგრატიონს შინ მიადგნენ, ის იარაღი ფეხქვეშ დაუყარეს და მოახსენეს:

„რუსის ჯარი იარაღაყრილია. ახლა გთხოვთ ივერიის ტახტზე აბრძანდეთ და იმეფოთ“. ჩვენს მეფეს მიხეილ პირველს გაუმარჯოს!

მთავარმართებელმა გალიცინმა ეს კი ველარ მოითმინა და ხუთივე „მხსნელი საქართველოს“ რუსეთში, ვადაასახლა. მაგრამ ერთი წლის შემდეგ გალიცინის მომდევნო მეფის-ნაცვალმა ვარანკოვ-დაშკოვმა ხუთივე ახალგაზრდა შეიწყალა და უკანვე დააბრუნა.

იმ შანტაჟშიც ისე არ შევიდოდნენ, რომ დავიდარაბა არ აეტეხნათ. ახლაც ორომტრიალის სუნი დააყენეს: მოვანშმე შეზობლებს წაეკიდნენ და ხანჯლებზე იკრეს ხელი. შანტანის პატრონი რვა-ფუთიანი სხირტლაძე, ბოქაული და ზოგნი სხვანიც შუაში ჩაუდგნენ და მტრის შებრალებას ემუდარებოდნენ. ბოლოს მტრის ლაშქარმა გაქცევა ამჯობინა და მიიმალა. ამის შემდეგ ძღვევამოსილმა ხუთიველმა ისკუბა და ესტრადაზე ავარდა. ორგესტრმა დაუკრა. ავარებმა ჩოხები აიყვეს, შუადაშუა ხუთი ქალი ჩაიყენეს და ევილ-კივილით კეკეოკი ჩამოუარეს. მათ შო-

რის მადამ ჰოპკინსიც ურია. მისი ზანგი „ქმარი“ ყოველ ღამე სწორედ დროზე ხდებოდა უქეიფოდ და შინ მიდიოდა. ახლაც აეფიქრებოდა და ცოლის გაცილება ილიკოსთვის მიენდო.

ყვირილ-ბრახუნის დროს ელექტრონიც ჩაქრა. სტუმრები უკვე გაქრეფილყვნენ.

აეშაროვმა ახლო მიიკრა ქეთევანი და წამოიყვანა.

აეარები და მათი ქალებიც გადიოდნენ. ამ დროს მეტროდოტელმა ილიკოს შაშნარევი ხმით შესძახა შორიდან:

— ბატონო, სხირტლადემ შემოგივალათ: დღევანდელი ცხრა თუმანი მაინც გადაიხადეთო უწინდელი ვალი კი დარჩესო.

— ესეც ჩასწეროს — მიუგო ილიკომ.

— არა შერება, ბატონო, არ ჩაეწეროს.

— მაშ დაიხსოვოს. — მიუგო ილიკომ და ყველანი სიცილ-ხარხარით გამოვიდნენ.

აეშაროვი და ქეთო შორიანლო მისდევდნენ. ვერის დაღმართისა და ყორანაათ ქუჩის კუთხეში, ზემელის აფთიაქის ქვემოთ, ქუქუიანი სასტუმრო იდგა, რომელიც საბეჭურიან პრაპორშიკს ეკუთვნოდა. წინამავალი ვაფი და ქალებიც სიცილ-კისკისით შევიდნენ იმ სასტუმროში.

— ილიკო საცაა გამოვა და მოვეცადოთ. — უთხრა ქეთომ აეშაროვს.

— ხვალ შეუადღეზე ადრე არ გამოვა — მიუგო აეშაროვმა და გაიცინა.

„რა მოამიტი ვარ!“ — გაიფიქრა ქეთომ და იგრძნო, რომ სირცხვილისგან ლოყები აეწვა.

იქვე კუთხეში ცარიელი ფაიტონი შეხვდათ. როტმისტრმა მეეტლეს სახურავი ააწვინა და, როცა ჩასხდნენ, ქალს წელზე ხელი მოჰხვია და ჩასტორჩულა:

— მაშ ჩემი ხარ, ჩემი. ხვალვე მოვალ' და შენს დედამას მოველაპარაკები.

— ნუ, ნუ იხამ. — ძლივს წამოიხურჩულა ქეთომ. — ცოტა კიდევ მოვიცადოთ, მოვიფიქროთ.

— ჩემო ღვთაებავ, საფიქრებელი რაღა დაგრჩა? — კითხა შეშინებული საჭრომ.

— ბევრი არაფერი, მაგრამ მაინც... ორიოდე კვირაც დამაცადე... მოვისაზრებ მეთქი.

რა თქმა უნდა, საჭიროა მოისაზროს. დღევანდელმა ვაშაშა. თავბრუდამხვევმა შამპანურმა, ტკბილმა ბუტბუტმა და ცხარე ხვეენა-კოცნამ ქეთოს რაღაც დაუწვია, რაღაც მოუელა და რაღაც გაუცოცხლა. ერთობა, იედითი, ზურაბი, მართა — ყველანი დაშორდნენ, განისლოვანდნენ. ყველამ დაჰკარგა სითბოც, სიხლიც, ხორციც და ყოველი მათგანი უგრძობ-ბელ, ხელშეუხებელ და უჩინარ მცნებად გადაიქცა.

ახლა მარტო ავშაროვი იყო თბილი მეგობარიც და ცხელი სისხლ-
ხორციანი სინამდვილაც, რომელსაც ქეთო კიდევ ეჭვქვეშაობდა, კიდევ
უსმენდა და კიდევ ემორჩილებოდა. ეს მორჩილება უცნაურ-სამართ-
რამ იყო. იღუმალმა სიხარულმა და სიტკბოებამ გაუყვინთა ძვალ-რბი-
ლი და სალი გონება დაუხშო, მოსაზრების უნარი მოუღუნა, მაგრამ სად-
ღაც კუნჭულში მიკუნჭული ვინმე მაინც ჩასტურჩულებდა სუსტად და
ბუნდოვანად: „ზურაბი... ივლითი... დეკაბრისტის ცოლი... ერთობა“.

ქეთო თითქო ლამობდა ეს „ვინმე“ გაეღვიძებინა, წინ წამოეწია და
მხოლოდ იგი ექცია უზენაეს დამრიგებლად და მსაჯულად, მაგრამ ღონე
ალარ შესწევდა. „ავშაროვმა დაგათრო, მოგზიბლა, გაგაბრუნა. ჯერ ნუ
შეაფიცავ, ჯერ გამოფხიზლდი და მოისაზრე, თორემ... თორემ... თორემ...“

და ვერ იჭნა, ვერ ვადასკრა, თორემ რა დაემართებოდა, ეს „თორემ“
რას უქადიდა, რას უმზადებდა მას საწყალ ქეთოს, რომელიც იღუპებოდა
და მხსნელი არსად მოსჩანდა.

ეტლი ახატნელის სახლის წინ შედგა. ორივენი ჩაბნელებულ კიბეზე
ფეხაკრეფით ავიდნენ, და მეორე ქალი ვერ შეამჩნიეს, რომელიც ქვემო
სართულის ფანჯარასთან იდგა და ისინი რომ იცნო, გახარებული გატ-
რიალდა.

კიბე რომ დალიეს, ერთმანეთს ერთხელ კიდევ გადაეხვივნენ. ღვი-
ნით და ალერსით დამთვრალმა ქეთომ საქმრო ძალით მოიშორა და ზა-
რი დარეკა.

ავშაროვი კი ქურდივით დაეშვა კიბეზე.

(გაგრძელება შემდეგ №-ში)





ქართველი
წიგლმწიფეები

გიორგი კახანიძე.

დიღა დნაპრზე

ვხედავ: ტალღა პირს ჰბანს რიყეს,
გემს მივყავართ ისევ ქვევით;
ნაპირიდან ყოველი ხე
გვესალმება ხელის ქნევით.
ტყის გადაღმა მიწის ახლო
ცამ აანთო მზე ბრწყინვალე.
ვდგები, — თითქოს გემზე ვსახლობ, —
რომ შევხედო მინდვრებს მწვანეს.
ცის ლაქვარდი, დღესაც წყნარი,
დაფრქვევია ტალღებს შუქად,
ჟანგისფერი დნებრის წყალი
გზად გვიდევს და მოგვსდევს უკან.
მოწყვეტილი ქალაქ ფრუნზეს
ძმა ყირგიზი, ჩემი კბილა,
ჩემთან ერთად სივრცეს უმზერს
და ორივეს გვხიბლავს დიღა!
გვხიბლავს მზე და მიწა ვრცელი,
მეთევზეთა ცურვა მარდი,
თეთრი ნისლი მინდვრის მცველი,
და შევჩენკოს დიდი ლანდი!
გემზე მოაქვს ნიავს ახალს
სურნელემა ტყის და მიდის...
დნებრი ღელავს... არ მინახავს
ჯერ მდინარე ასე დიდი!
მაგონდება, როგორც დედა,
საქართველო — ჩემი მხარე,
სადაც ურმით წყლებში ბევრგან
შეუძლიათ გასვლა ხარებს;
სადაც ქვის ქვეშ ლამაზ თევზებს

იჭერენ და შფოთავს წყაროც...
 რა დიდი ხარ, რას არ შესძლებ,
 ჟანგისფერო დნებრის წყალო!
 ეწედები სოფლებს აზრის ფრთებში
 ველს განვიცდი როგორც ნახატს...
 ამ მიდამოს დავშორდები
 და, ვინ იცის, როდის ვნახავ!
 მიდის გემი... მღერის, შართობს
 ძმა ყირგიზი, ჩემი კბილა
 და ჩაგვეკქერის გულში ფართოდ
 უკრაინის ჩუმი დილა.



ე. რ. კ. ნ. შ. ლ. ი.
 (ს. შ. ი. რ. კ. ნ. შ. ლ. ი.)



3. ჩხიკვაძე.

გურჯაყან ლაღეშქელიანი

(რომანი *)

თავი მესამე

I.

უბედური შემოდგომა დაუდგა გადმოხვეწილ სვანებს. მთის ნაშიერნი ბარმა დასცადა. ათში ცხრას გააცივა. უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში შვიდი სვანი მიაბარეს მიწას... ყასბულათ მარგიანი გადაურჩა სამეგრელოს ხაშმს; სამაგიეროდ ნოშრეენ, ზეზეურ ჩამოაბმო გაავებულმა ციებ-ცხელებამ. სისხლხორცით სავსე ვაჟკაცს კომშის ფერი დაედო. თვალეზი ჩაუღრმავდა. ყვრიმალის ძვლები თითქო წამოეზარდენ. უმაღობაც დასჩემდა ნოშრეენს და ცული კვებისაგან სახსრებში მოიშალა.

ყასბულათს დარდი მოერიო. აქამდე გულზეიადი და შეუპოვარი სვანი. ერთბაშად გამოიკვალა. გულჩათხრობილი გახდა. უმატა ოხვრას და ყვედრებასაც.

სოზარის იმედიოლა სულდგმულეზდა ყასბულათ. ამდენი ხნის ხიზნობაში სოზარს ფრჩხილი არ წამოსტკენია. ხერხეაც შესანიშნავი ისწავლა. ხანდახან ყასბულათს სჯობნიდა ხელმარდობაში და გახარებული მამა თვეთნულდს ლოცულობდა.

მაგრამ სიხარული ყოველთვის ხანმოკლე იყო, ბოლოჩაშხამებული. დრო მიდიოდა. დადიანი პირობას არ ასრულებდა. ბოლოს, პირი შეიკცხინა, პირობაზე უარი სთქვა და არამც თუ აზატობა უწყალობა სვანებს, უსასყიდლოდ ფაცხის დადგმის უფლება არ მისცა. სანაშენოდ ყამიროც კი არ გაიმეტა.

ხერხზე მომეშავეებს დღის ქირაც მოუკლო მთავარმა... პირობით ვათვალისწინებულ ვადებში ხე-ტყის ჩაუბარებლობისათვის საგანგებო ჯარიმა დაუწესა. როზგილა აკლდა სვანეთიდან გადმოხვეწილებს და გუშინ დივანბევის ბრძანებით ხანშესულ ჩხვიმიანს ათი როზგი უწყალობეს.

*) გაგრძელება იხ. „მნათობი“ № 2.

იჩივლეს სვანებმა. მთავარი დავით დადიანი პირდაპირ ანახლეს... როზვის დაკვრით გაცეცხლებულებმა ჩოხის სახელოები წაიშლავეს. ტალავარში იყო დავით. კანცელარიის მდივანს აწეულე ხმით ესაუბრებოდა. დროგამოშვებით ბოლთას ცემდა ახალ ხრეშმოყრილ ნეივანში. ნეივანი ქუნულა ბზის ბურქვებით იყო დატიხრული. წერწეტა კიპაროსები ალევებს შეჯიბრებოდენ ტანადობასა და სიმაღლეში. დავით დადიანს თავი მოსწონდა, რომ მის სადადიოში ხეც თვალტანადი იზრდებოდა. ქალები ხომ ევროპელ მოგზაურებსაც უბრმავებდენ თვალებს...

ცხელი ქვეყნის ფლორაც საუცხოოდ ზეირობდა ოდიშის მიდამოებში. დავით დადიანს სატრაბახოდ ჰქონდა შორეულ ქვეყნებიდან შემოტანილი ვარდის ხეები, ცხელი ქვეყნების მცენარეები. ერთს მათგანს „არაუკარია“ ეწოდებოდა. დაბალი, ჯუჯა, ეკლიანი ფოთლებით იყო შემოსილი. ხელის მიკარება, მართლაც შეუძლებელი იყო. დავით ხშირად ჰკითხავდა თავისიანებს: კაცო, ეს „არაუკარია“ ქართული სიტყვა ხომ არ არისო. ლაბეს მისდევდა ქანდრებივით ტანაყრილი თეთრი ხეები, რომელთა ფოთლებს საამური სუნი სდიოდა, გლეხები „წამლის ხეს“ ეძახდენ და თურმე როდი ცდებოდენ. ჭაფურის ხეს სხვა მეტსახელი არც მოუხდებოდა.

პალმების და პორტენჯიების ჯიშებს სათვალავი აღარ გააჩნდა. დავით დადიანი დიდის მზრუნველობით უვლიდა ცისფერ პორტენჯიებს. მასავით მოწყენილსა და უხასიათოს.

სვანებს რომ შემოუძღვენ ტალავარში, დავით დადიანს ყვავილების სასხლავი ეჭირა ხელში და ჩაის ვარდებს დაზიანებულ ტოტებს აცლიდა. სვანების მოსვლა და ხმაურობის ატეხა ერთი იყო. საჯალაბოს წინ დივანბეგი დაინახეს სვანებმა და რისხვად ვადაიქცნენ. — დაწყნარდით, მეგობრებო! — ცივი მაგრამ დარბაისელური ხმით მიმართა მთავარმა ვანაწყენ სვანებს.

ყასბულათმა ანიშნა თავისიანებს დაჩუმებულთიყვენ. თითონ წინ წამოდგა და საჩივარი გაიმეორა.

თავი იმართლა მთავარმა. დივანბეგი რუსხელმწიფის მორჩილად გამოაცხადა. გაროზგენებაც რუსულ კანონსამართალს მიაწერა.

„ჩქარა სვანეთშიც გეწვევათ გარდამთიულნი და ვნაბთ როგორ წინააღმდეგობას გაუწევთ უცხოურ მართლმსაჯულებას“. — წაქეზებისთვის გადაუქრა მთავარმა სვანებს. სასხლავი ალევანდრის გამხმარ ტოტზე ჩამოჰკიდა. სვანების მეთაურს ყასბულათს პირისპირ დაუდგა და ისე მიმართა თითქო მის ტოლსა და სწორს ებაასებოდა: რა ექნა, ძმობილო, რუსის კანონებს მე ვერ შევეცვლი... ინე, მეც ძალიან ვწუხვარ, რომ რუსული კანონსამართალი იკიდებს ფეხს დადიანის მიწამამულზე, მაგრამ...

შხრები აიჩეხა. აღარ დაასრულა. შებრუნდა და სახლთხუცეს ჩიქოვანს ისე შეხედა, თითქო ამან უნდა დაასრულოს მთავრის აზრიო.

კანცელარიის მდივანს ეუცნაურა მთავრის დღევანდელი სიტყვილი სევანებთან თავმდაბლობამ და ყასბულათ მარჯიანთან თანასწორ პირობებში მასლაათმა სახლთხუცესიც კი გააკვირვა... საერთოდ, ეუცნაურა ეკისო იყო დავით. განათლებულ მთავარს ბევრი ხელოვნური ეუცნაურებოდა. შობიდანვე თან შეზრდოდა, მაგრამ გადმოხვეწილ ზიზანთან „გამშობილებამ“ შინაურების თვალშიც გადააჭარბა ყოველგვარ მოლოდინს.

წათამაშებულმა ყასბულათმა სამოსახლო მიწებზე ჩამოუგდო სიტყვა — დადიანს პირობა მოაგონა.

ახლა კი იფიქრა მთავარმა. ცერზე შემოტრიალდა და თითქო ძაღლს ტუქსავსო, რიყის ქვებივით მიიყარა: არ მახსოვს, არ მაგონდება: რომელ პირობას მედავებო.

მაგიდას მიუახლოვდა. კანცელარიის მდივანს დაუცაცხანა: შეადგინეთ მოხსენება სევანების შესახებ... ზეგ მომახსენეთ... არა, ხვალ, ხვალვე მომახსენეთ... სამოსახლო მიწები... — ბრაზობდა მთავარი, — რაღა უქირს დავით დადიანს თუ სევანები დაასახლა სამეგრელოში.

ყასბულათმა სიტყვის შებრუნება დააპირა, მაგრამ სასახლის აივანზე სამეგრელოს დედოფალმა ეკატერინემ გამოანათა. ყასბულათ პირველად არ ხედავდა დედოფალს, მაგრამ მის დანახვას ვერასოდეს ვერ ხვდებოდა გულგრილად. დღეს სათქმელი ყულში გაუქვავდა. ვინ იცის სანამ იქნებოდა არ მონუსხულ ჩიტვიით გაშტერებული, რომ ჩხვიმიანს არ გამოეყვანა უხერხულ მდგომარეობიდან.

დედოფლის დანახვაზე მთავარმა დასტოვა ტალავარი და სასახლისკენ გაეჩქარა... ბევრს დარჩა მთავრის მიერ მიუღებელი. საღვამიჩოდან ჩამოსული აზნაური კოკი ღვამიჩავა წვერს იგლეჯდა: დამიბარა, სამი დღე მაყურყუტა და ნახვას არ მალირსაო.

თავადი ვიორგი ჩიჩუა ერთი კვირაა საჩჩელოს პირზე იჯდა. ჩიჩუა რახანია ატყობდა, რომ მთავარი ცუდი თვალით უყურებდა მას, მაგრამ მაინც არ ეშვებოდა. არც მთავარი სთმობდა. ორჯელ დაუნიშნა შეხვედრა და ორივეჯელ ოსტატურად გააცურა. დღეს, დილიდანვე უცდიდა ჩიჩუა მთავარს, დავითმა თავადები და აზნაურები აღრე მიიღო. ჯერი მოდგა ჯალაბებსა და შინაურებზე. არც ხიზნები დასტოვა უყურადღებოთ და თავადი ვიორგი ჩიჩუა კი...

„დედას გიტრებ თუ ატყდა ბრიგონ-ბრიგინი... მანამ ყველაფერი მიპატეებია“. — გაივლო გულში ჩიჩუამ, ცხენს მიახტა და შინისკენ გააფრინა.

— ეჰე — ჰე! — მძიმედ ამოიოხრა მარჯიანმა და ხანშესულ სევანებთან ერთად ტალავარიდან დაიძრა. პირდაპირ კარავში გაემართენ სევანები. მთავრის ეზო უხმოდ გაიარეს. კარავში ფრთხილად შევიდნენ, თითქო ვინმეს ვალეიძებას ერიდებიანო.

ყასბულათმაც უღიმღამოდ შედგა ფეხი კარავში. ხელზე გაშლართულ ნოშრევანს განის კარიდან მოვარდნილ შუქზე შეხვდა. ცეცხლი ეკიდებოდა ნოშრევანს. სიცხისაგან თვალები წამოცვენას ღწმობდენ. ყასბულათმა საგლოვიარო ჩაჩი თავიდან მოიქიშტა, ხელში შექუჩა ალაპყრო და ხმამაღლა შეჰლაღადა: ღერბეთ, დაილოცა შენი სამართალი!

მთავრის პასუხის მომლოდინე სვანებმა აღარაფერი ჰკითხეს მარგვანს. სახეზე ამოიკითხეს, რომ სანუგეშოს ვერაფერს იტყოდა მათი წინამძღოლი.

ქურდან მანავაძემ, გუშტი ქალდანმა და ჩხვიმიანმა საწოლზე მოიკალათეს. ჩხვიმიანმა ისლის ჩეჩქი დააგო ძელზე, ზედ ტომარი წააფარა და მხართქოდ წამოწვა.

ჩხვიმიანს ახალგაზრდა მხერხავეები მოუსხდნენ გვერდით. ყასბულათის ხათრით ხმის ამოღებაც ვერ გაეებდათ. ისდნენ და სდუმდნენ. ჩიბუხებს ათიხთიხებდნენ მხოლოდ. ცეცხლის პირი და წახვეული ღადარი ნაფურთხებით მოქარგეს. ხმას კი არ იღებდენ.

ბოლოს ველარ მოითმინა ბიმურზა ვიბლიანმა, მოხუც ვიბლიანის შვილმა, და ჩურჩულით ჰკითხა ჩხვიმიანს: რა სიტყვა მთავარმა?!-ჩხვიმიანმა თავი ასწია, აბოლებული ჩიბუხი პირიდან გამოიძრო და თითქო ვინმეს უწყრებო, კუშტად მიუგო: არაფერი.

— ჯორზე შეჯდა? — არ ცხრებოდა ბიმურზა.

— შეჯდა და ჩვენ უხანგები დაუქორეთ. — გესლიანად დაუმატა ჩხვიმიანმა.

ყასბულათმა წყენით გადმოხედა ჩხვიმიანს. ჩიბუხი ზედიზედ მოქაჩა და ნისლი დააყენა. ჩხვიმიანს პასუხი არ გასცა გადაკრულ სიტყვებზე. დარეჯან. წყალი! წამოიძახა ნოშრევანმა. ნიკაპზე მიბჯენილი ნაბდის ქეჩა გადასწია, მუცლამდე ჩაიტრეტლა... თითქო აღუღებულ ქვაბს ზუფი მოხადესო იფეთქა ოშხივარმა. ოფლის მძივები ზანტად მოცურავდნენ განიერ შუბლზე. გულმკერდზე. ილღიებში... ყურის ძირთან, სართუმლად დადებული ძელის წანაჭერი ოფლის ნაკადულს დაესველებინა.

ყასბულათმა ფიცხლად მიიბრინა ნოშრევანთან. ნაბდის ქეჩა გაუსწორა, ოფლიან შუბლზე კოჭიებდინა ხელი მოუსვა.

თვალები დახუჭული ჰქონდა ნოშრევანს. მზრუნველი ხელი მაინც ესაიპოვნა... სულშეხუთულმა ამოიქშინა და ისევ ბოდვას მოჰყვა. სიტყვჯერ კიდევ მაღალი ჰქონდა ხურვებამოუხდელ ავადმყოფს.

— სოზარ სად არის? — დაფანტულად იკითხა ყასბულათმა.

— ცხაკუნია ურიასთან წაეიდა. ქერჩიდან ტარანი მოუტანია. უპასუხა გუშტი ქალდანმა.

— ფული?! — დარცხვენილ კილოთი ჰკითხა ქალდანს ყასბულათმა. ჯერ ძველი ვალი არ მიგვიცია ცხაკუნიასთვის.

— ავადმყოფისთვის, თორემ... — ჩაღუნა თავი ქალღანმა, თითქო ის იყო დამნაშავე, როგორც უფულობის ისე ვალის გადაუხდელობისა.

— წყალი... დარი-ჯო... — კვლავ აბოდილდა ნოშრევანის წინაშე.
 ყასბულათს ეუცნაურა ნოშრევანის ბოდვა. დარეჯანის ხსენებამ გააკვირვა, მაგრამ ამოცანა ადვილად ახსნა და ახლა სხვა, უფრო მოსაწყენ ფიქრებს მისცა თავი გადმოხვეწილ სევანთა წინამძღოლმა: სჩანს, დაღ უწყრა და მაღალმა ღმერთმაც მარგიანზე მოიცალა. რაც ის მუდრევი ოქრო იპოვნა, ყასბულათის ოჯახის ბედი უკუღმა შეტრიალდა. თითქო იმ დღეს ჩაესვენა მთელი სევანეთის მზეც. მაშ, რას მიაწეროს კაცმა შავი ქირის გაჩენა? მთავრებს შორის შუღლი და სისხლის ღვრა? ახალგაზრდა სევანები როგორ გაიმეტეს მონებად? ტყვეობისაგან დახსნილებს რატომ სევანეთში არ მისცა თათარყანმა თავშესაფერი? არა, ეჭვი არ არის ღმერთმა იწყინა ხელშეუხებ განძის მითვისება. რაც ის ოქრო ყასბულათის ოჯახში შეიტანეს, მარგიანს მოსვენება აღარ უნახავს. უბედურება და ფარსაგი არ აცდენია. დღე დღეს მისდევს, ზამთარს გაზაფხული და მარგიანის ოჯახში ახალ ახალ განსაცდელს ბოლო აღარ უჩანს. ეგონებ, ამოწყვეტის კარსაც მიაღწეა... და მშვიდობით, გელა მარგიანის ჩამომავალი!

ყასბულათ თხისურ ჩაჩს დაწვდა. ცრემლიანი თვალებით დახედა საგლოვიარო თავსახურავს.

საცოდავო ყასბულათ! რას იფიქრებდი, რომ სევანეთში ოჯახისა და ჯალაბის სანახავად ჩასული, ძაძითა და ჩაჩით დაბრუნდებოდი უკან. როგორ მიუხაროდა სევანეთში. როგორც მიიჩქაროდა ხელმოკლე ოჯახში. ყასბულათ დღეების თვლას შორჩა და ახლა წუთებისღა ითვლიდა, ჩქარა შეეღო კოშკის კარი და ყასბულათისა და მოსწრებულ ვაყების გადახვეწით გატანჯული ოჯახი ენუგეშებინა.

ყასბულათს თვალისწინ წამოუდგა სევანეთში ჩაპარვ-ს სურათი. ღამ-ღამობით იარა ყასბულათმა. თავის სოფელში გვიან ღამით შევიდა. ბნელოდა, მაგრამ მონადირე სევანი ალღოს როდი კარგავდა. ბილიკებს ადვილად პოულობდა თვალჩხია მარგიანი. შუალამისას მთვარეც ამოვიდა. კაშკაშა მთვარე თვალს ესიაზოვნა, მაგრამ გულში არაფრად ებიტნავა მტრებით დაყურსულ განდგომილს. თათარყანის კაცს რომ საღმე შეეფეთოს, ხომ ჩაშხამდება ყასბულათს ეს თავხედობა?! ამიტომ გზა-ბილიკს გვერდი აუქცია. ტრამალ-ტრამალ დაჰყვა და ნაშუალამევს თავის ეზოსაც მიუახლოვდა.

მთვარის შუქზე ეზო-მიდამო ეუცნაურა მარგიანს. ყორეს დააკვირდა, მხარი ხომ არ შექცაო. არა, მისი ხელით ნაშენი ყორე იცნო, მაგრამ ეზოს რომ ვეღარ ცნობილობს?! ეს მოტიტვლებული კარმიდამო, კვამლით შექვარტლული კოშკი... არა, აქ რალაც გაუგებრობაა, მაშ, სად გაქრა სახლი, ბოსელი, საჭათმე, სათიფე და ერთმანეთზე წადგმული ხე-

ხელები?! იაქეთ დასობოლი კოშკის კედელი რაღა ჯანდაბალ უნდა ყასბულათს?! 

ვერაფერი მოიაზრა. შიშით სუნთქვა გაუმძიმდა. გულს დაუტყდა ეს-
მოდა გაოგნებულ ყასბულათს.

ყოვეს მიეყრდნო. თითქო თვითონაც ჩაიკრა ქვის კედელში. ძაღლის ყეფამ გამოაფხიზლა. წამოდგომა სცადა, მაგრამ წელი ველარ წამოსწია.

— ვაი, ოჯახო! — ყრუდ დაიგმინა ყასბულათმა და ისე დამძიმდა, რომ მუხლებმა ადგომისას ლაწა-ლუწი გაადინეს.

ტატიტ წავიდა კოშკისკენ. ფეხმარდი სვანი, დამბლა-დაცემულივით მიიგრინებდა. თავი უსწრებს წინ... თქმო და ფეხები უკან რჩებიან.

უზოში დანახშირებული ლანდურები ყრია. გარუჯული ქვები. თავ-წამწვარი ლარტყები... ნიგოზსაც მიწვდომია ხანძრის ძალა. ცალი მხარე შეუტრუსავს.

ყასბულათ დგას გაშეშებული, დაჰყურებს: ნახშირს, ნაცარ-ტუტას და დროგამოშვებით თავისთავს ეკითხება: ნუთუ ეს სინამდვილეა?

კოშკის კარს მიადგა. წალმა-უქულმა შეტრიალდა. დაკაენება ვერ გაბედა. — „კოშკიც თუ ცარიელია? მაშინ? მაშინ?“ — ხმამალა აღმოხდა ყასბულათს.

ბოლოს გაბედა დაკაენება. დაიძახა კიდეც.

კოშკიდან ხმაურობა მოესმა ყასბულათს... საშინელი შიში უეცარ სიხარულის გრძნობებს გადაებლანდა.

მოგვიანებით გაიღო კოშკის კარი. თმაგაწეწილი ასმათ მოთქმით შემოეგება დიდი ხნის უნახავ ქმარს.

— რა მოხდა, დედაკაცო? კარმიდამო ვინ გადამიწვა! ვინ დაგყარათ ასე დეთისანაბარა, თქვე ცოდვიშვილებო! — წაუშინა ყასბულათმა.

ასმათმა ლოყების მოპოტნა და ერთი ხმამალა შეკივლება ძლივს მოისწრო... გული შეუღონდა და კარის ზღურბლთან ჩაიკეცა.

გაშეშდა ყასბულათ. ასმათის საქციელმა სულ მთლად შეურყია გონება.

ყასბულათს უნდა ყველაფერი ერთად შეიტყოს, ყველაფერი ერთად იკითხოს და ბარემ ან სიცოცხლის გახდეს, ან სიკვდილის, მაგრამ იღუ-მალ შიშით კროჭა შეკვრია. კრინტი ვერ დაუძრავს. რა ჰკითხოს? როგორ ჰკითხოს? რა უფრო საშინელი იქნება ყასბულათისთვის: ოჯახი... შეი-ლები... თუ ორივე ერთად. იქნება ისიც... არა... ეგ შეუძლებელია. ოქრო არ იცი ასმათმა. აბა, რა იცის ოქრო ასმათმა? — გადაათეთრა თვალები მარჯიანმა. დენტვივით იფეთქა. ხელები ჭორის ქანგებივით დაკვარჩხა და გააღმასებულმა, თავგამეტებით წვედა ასმათს საყელოში.

მაგრა შეანჯღრია ჯერ კიდეც გონს მოუსვლელი ასმათ. თვალი რომ გაახელინა, ერთბაშად მიაყარა: ჩქარა სთქვი, სთქვი მეთქი დედა კაცო, რა მოხდა? რა მოუვიდა ჩემს ოჯახს?!

ხმაურობაზე უწლოვან ბავშვებს გაედღობა. ატორდენ უსბუღლათ ცოტათი გულს მოეშვა. იფიქრა: ბავშვებიც ცოცხალნი ყოფილანო. მაგრამ ახლა რაღაც სხვა გრძობამ გაუელვა და ისევე მძლავრად შეწვლირიბა ბევრი ტანჯვის გადამტანი ასმათ...

გონს გვიან მოვიდა ასმათ. თვალი გაახილა თუ არა თუნგს მიწვდა. სულშებუთულმა კშენითა და ხრილით დალია წყალი... მოსულიერებულმა, ბეჩავის თვალებით დაუწყო ცქერა დიდი ხნის უნახავს ქმარს. გული ატრუყდა და მოთქმით დაიწყო: იმ სახკარ-ამოსაწყვეტმა (თათარყანზე ამბობდა ასმათ!) სიცოცხლეში გაჩენის დღე გვაწყველინა სვანებს, წაშავდა და ღეთის რისხევა დაგვატეხა თავს. ამინდიც კი შეიცვალა. მთელი ზაფხული ცას მტვერი მიცვიოდა, *ცვარი არ ჩამოვარდნილა... იმ სულწაწყმენდილის დამარბვაზე ჩამოსკდა და ჩამოინგრა. ცა ფეხად მოდიოდა. თავმესაფარი აღარ იშოვებოდა. გარედ, ხან წვიმდა ხან თოვდა. ზოშკაკალიც წამოაყარა სამხრობისას. მთები ერთიანად ჩამოთოვა. ისე აცივდა, კბილს კბილზე ვეღარ ვადგამდით.

ასმათმა ამოიოხრა. ამოთუთქელი თვალები ძაძის კალთით ამოიწმინდა და ჩახლუჩილი ხმით განაგრძო: დიდი თუ პატარა სამოახლოთ გავგვალეს. დამარბვა გამოაზოგეს. ერთი კვირა ყავდათ ჩაყინულბუბული. აფხაზეთში ვიღაც ნათესავი ყოლია. მის ჩამოსვლას ელოდენ. აღარ აღირსა ჩამოსვლა იმ სახკარდასაწყვეტმა. აქ, სიცოცხლე გავვიმწარეს. დილა აღრიან მოსულებს შევლაამემდი არ გვიშვებდენ ოჯახების მისახედავად. უჭმელ-უსმელობას ვინლა სჩიოდა. შედიეული აგვალბინეს. ვაი, შენს დუდას შევლო. — კვლავ ამოიოხრა ასმათმა და თვალები მოიწმინდა.

ყასბულათ შეკრთა. საწოლებს გადახედა. სიბნელეში გარკვევით ვერაფერი შენიშნა. სუნთქვა ისმოდა ბავშვების. დროჩართვით ნელი ხრუტუნო. ბავშვების სუნთქვამ ცოტათი დაამშვიდა რაღაც დიდი უბედურების მომლოდინე ყასბულათ.

„ერთი კვირა უპატრონოდ ეყარენ — ჩაურთო ასმათმა, როცა შეატყო რომ ყასბულათის გულისყური ბავშვების საწოლისაკენ იყო მიპყრობილი. — მზია იყო მათი ძიძა, მათი მომვლელი. იმ სულკატანის დამარბვის დღეს (რატომ არ დბიქცა ის დღე!). დილიდანვე თქეში მოდიოდა. დავახემსე ყველა და ცეცხლის პირას დავტოვე მზიას შემხედვარე. საღამო ხანს რაღაც წივილ-კივილი შემომესმა. გულმა რეჩხი მკრა. წელმოწვეტილმა სურზე გამოსვლა ვეღარ შევძელი. გამოვიბედე: ცას წვდება გაავებული ცეცხლის აღი. ისმის ყვირილი... ხმაურობა. ნამდვილად ვილუპები მეთქი, გავიფიქრე. გამოვიქეცი. სული ძლივს მოვიტანე. ვიყურები: რას ვხედავ ამას. მზიას იღლიებში ამოუჩრია სოკრატ და არგიმდი... გამორბის... თმები შეხრუკული აქვს მას და პატარებსაც... შემეკრა ჰკუთავონება. ენა ჩამივარდა.

ცეცხლის ალი კოშკის მწვერვალს ელამუნებოდა. ბავშვები რომ ცოცხალი დავინახე, გინდაც არაფერი მომხდარიყოს. გული გაეჭყვინტა... ველარ მივხვდი რომ... ვაი, შენს დედას შვლო! ჩამოინგრა... მწვერვალზე დგომიდანავე დასაწყისი და მამის მომაგონდა... ვიკივლე: გივერგოლა საღ მყავს მეთქი!

გაქვავდა ასმათ.

გაქვავდა ყასბულათიც.

თვალეზს აღარ ახამხამებს შვილის დამკარგავი მამა. თთქო შუშის თვალეზი უდვას. ასმათს შესცქერის, მაგრამ წამწამები აღარ მოძრაობენ. მოგვიანებით კაკალი გადაბრუნდა ბუდეში. ქუთუთოები არ შენძრეულა.

— შერე? — ძლივს ამოიღულღულა ყასბულათმა.

— ძვლებიც ველარ მოვაგროვე... რომ დამემარხა ქრისტიანულად... დაასრულა ასმათმა. და თითქო პირველად შეუცხადესო გივერგულას დალუბა — ხმამაღალ მოთქმას მოჰყვა.

ყასბულათს ენაც გაუქვავდა. უზომო სიმწარისაგან ცრემლიც კი ამოუშრა. სახლკარი დაეწვა მარგიანს. შვილი... შვილიც ცეცხლმა ჩანთქა. თვითონ ყასბულათ და მოსწრებული შვილები ოჯახიდან გავარდნილებია...

„ჯანდაბას!“ — ანუგეშა თავი მარგიანმა. — ყველაფერს ეშველებო, სახლკარს, ეზომიდამოს... მაგრამ დაღუბულ შვილს... ველარავინ გააცოცხლებს.“

ყასბულათმა ჩიბუხი დასტენა. ლადარში ამოუსვა გასაჩაღებლად. „საცოდავი გივერგოლა! ჩიყვიანი იყო ის ეყოფოდა და... ემ მისი დანაკლისი დღე ღმერთმა მის ერთადერთ დასა და ოთხ ძმას შემატოს“...

ასმათის მოთქმასა და ცრემლების დენაში ყასბულათმაც მოიოხა გული... ბრალი მისი ვინც დაიწვა და დაიღუბა თორემ... ცოცხლების შემხედვარე ყასბულათ დღესვე გამოიტირებს ჩიყვიანს გივერგოლას. მახინჯის დანაკლისს ადვილად აიტანს გულკაეი სვანი... აიტანს კი არა, ცოცხალი შვილების სადღეგრძელოდ წარბსაც არ შეხრის, თუ... ყასბულათს ეშინია აზრის დასრულება. გუნებაშიც ვერ გაუვლია ის ტაბუსმაგვარი უხსენებელი, რაც მას ამჟამად ყველაზე მეტად აწუხებს და სამი დღეღამას უძინარს, თვალის დახუჭვის საშუალებას უსპობს.

ყასბულათ აღარ გრძნობს დალილობას... მონადირე სვანი დღესაც ისეთივე კაყის ნატეხია, როგორც მას ეგულებოდა თავისთავი ამ ათი წლის წინად, ყასბულათ დღესაც ისევე ფიქრობს ფეხწამოკრულ ოჯახის წამოკლებასზე, როგორც ამ რამდენიმე წლის წინად ოცნებობდა, ოქროს განძის პოვნის დროს. მაგრამ ოქრო? თვალეზი გაუჯიუტდენ ყასბულათს. მისი სხეულის ყოველი ნაკვეთი თითქო განგებ გაურბის მოსვენებისა და ტკბილსანეტარო ძილს.

ყასბულათ ველარ ეტევა ვიწრო კოშკის გამოკეტილ კედლებში. ის გარედ გავარდნასა და საფეხე მკერდით ამოსუნთქევას ლაშქრის უნაღვეს მაგრამ ასმათს რომ აღარ ეძინება. ცალკე შეიღვეს კალკე ამდენი ხნის უნახავი კმრის მოსვლით მოვარდნილი სოხარული... ასმათ ზეგ დილაამდე არ დახუჭავს თვალს, ოღონდაც ოჯახის ბურჯსა და იმედს თვალეებში უცქიროს.

ყასბულათსაც ჩვეულებად აქვს ცოლშვილის ცქერით გულის გალადება, მათი მოფერება და აღერსი... მაგრამ ახლა რომ უცქერს ასმათის მოხაფხაფე თვალეებს, გულში თითქო იწყევლება „დახუჭე და აღარ გამოახილოო“...

გარედ მიეჩქარება ყასბულათს. მიეჩქარება ბოსელში. ბოსელი სად ლაა, მაგრამ ის ადგილი, სადაც ერთ დროს ბარი დაკრა ყასბულათმა და საგანგებოდ შეზვეული ოქრო მიწაში ჩამარხა... ის ადგილი ნათლად ახსოვს.

მოთმინება აღარ ჰყოფნის. ტანგაუხდელი წევს ტყაბუჭებზე და თვალეებს აღარ ახამხამებს. თავს იმძინარებს—და ასმათის დაძინებას ელოდება.

ჩაჭრა შუაღეცხლი. უკანასკნელმა ნაპერწკალმა გაიჩინახალა კერის მახლობლად... რალაც გატკაცუნდა მუფეზლის ჩაჭრობისას და კერასაც ჩაეძინა.

სიბნელემ მოიკვა ყველაფერი.

ბავშვების სუნთქევასა და ხრუტუნს ასმათის ხმაშალალი სუნთქევაც შეუერთდა.

ყასბულათმა დრო იხელთა. ფრთხილად წამოდგა და ისე შეუმჩნეველად გავიდა გარედ, როგორც ნადირობის წინ გაიპარებოდა ხოლმე ოჯახიდან.

აგვიტოს თბილი ღამე იყო. კაღეები და ჭიადღეები კრუალით აყრუებდენ ჩაძინებულ მიდამოებს. ენგურის ნაპირას... შალ. კუთავდა. სერის თავზე ბუ გასძახოდა დაკარგულ მეგობარს.

ყასბულათმა, ეზოში გასვლისთანავე, პირჯვარი გამოისახა და მოკრიალეებულ ცას ახედა. ცქიილა ვარსკვლავები თითქო კოცნას უგზავნიდენ ყასბულათს: მოწყდებოდენ და შურდულივით მოეჩანებოდენ დედამიწისაკენ. ყასბულათს აფრთხობდა ვარსკვლავების ცვენა (ცუდათ ჰქონდა დაცდილი!), მაგრამ ახლა, რომ შესცქეროდა ამ სანახაობას, გულში ასე ფიქრობდა: ნეტა რაც ვარსკვლავებია ცაზე სათითაოდ ჩამოცვივდეს დაბლა... გათენებამდე კაი დროს გავატარებდიო...

ნიგვზისკენ წავიდა. შეტრუსულ მხარეს გულდაწყვეტით შეხედა. ნიგვზის ძირიდან შალა რომ აიხედა საოცარი რალაც დაინახა. გრძელშტოება ნიგვზის შუაგულში, თითქო ვანგებ გამოეჭრა ტოტები ვიღაცას. ცის ნაჭერი მოჩანდა. კრებული იდგა ახლა ვარსკვლავეთის ამ თითქო შემოლობილ ნაჭერზე. თითქო ჭიდან შეცქეროდა ყასბულათ კრებულს. ირ-

გვლივ საშინელი კედლები, ზევით... სულ მალა, კრიალა ვარსკვლავები... რძესავით საამური და ბუმბულივით მსუბუქი ლაქვარები...

კიდევ გადადგა ნაბიჯი ყასბულათმა. მოაგონდა რომ ბარს წებბენელად იყო წამოსული ნიგვზის ძირისკენ. დიდხანს ეძია. ბალახები ფეხით მოაფათურა... მოგვიანებით იპოვა: დაეანგული და ტარწამწვარი.

უპატრონოდ მიყრილ-მოყრილი რომ ნახა ხელთსაწყო-იარაღები გული ეტკინა. დაეანგულ ბარის პირს ჯერ ხელი გადაუსვა, გასწმინდა... შემდეგ კბილი გაუსინჯა და ისე მორიდებულად დაჰკრა მიწას... გეგონებოდათ-ყასბულათ ბარს უფროთხილდება, არაფერი ეტკინოსო. ყასბულათს მართლაც ეცოდებოდა მოუვლელი ხელსაწყო.

ბარის ძებნის შემდეგ მიჩნეულ ადგილის ძებნას შეუდგა. მესხიერებამ უღალატა და ორ-სამ ალაგს ტყუილებრულად ამოჩუგნა მიწა. მესამე ადგილსაც გაწვილდა.

სუნთქვას უნებურად მოუხშირა ყასბულათმა. წელის არეში ციებამ გაჰკრა და მთელი სხეული ხორკლებით დაეფარა. ხორკლები ოფლმა შესცვალა. ოფლის გამოსვლა სისუსტეს მიაწერა ყასბულათმა, სახსრებში მოშლა და მუხლების კანკალი დალილილობით ახსნა. გულში კი თითონაც კარგად გრძნობდა, რომ არც სისუსტე და არც დალილობა აქ არაფერ შუაში იყო.

ახლა გუმანი კოშკისკენ დაიქირა ყასბულათმა. საძირკვლის საყრდენ ქვას დაუბირდაპირა (სახლი დაიწვა, მაგრამ საძირკველი ჯერაც თავის ადგილას იყო). დაჰკრა ბარი და ამოგორებულ კოლბოში ისე დაფშენა, თითქო მიწავეშლს თხრიდა ქურდულად და ხელისცნობით...

კვლავაც დაჰკრა ბარი. ორმოში ძალღივით ააფათურა ხელები... თმები ყალყზე დაუდგა — სულიც ეხუთება ყასბულათს ამ ჩუმსა და გულისგამწყალებულ ჭაპანწყვეტაში... ბოლოს ასე გაიფიქრა: „დიდი ხნის ამბავია და მიტიტვლებულ ადგილზე კვალი ვეღარ მივაგენიო“... ამის იქით ვეღარ მიდიოდა მისი გონება. „დაკარგვასა“ და მის ბადალ ცნებებს გაწეგებ ივიწყებდა... ეს სიტყვები არც კი არსებობდნენ ყასბულათისთვის.

მამლებმა მოუხშირეს.

აქაიქ ვარსკვლავებიც გაჰქრენ ცის წიაღში. განთიადის მოახლოვების ნიშანი იყო. წელან, ნიგვზის მალა მყოფი კრებული, ახლა თურქეთის მხარეს გადასულიყო...

„თენდება!“ — სასოწარკვეთილი ხმით აღმოხდა ყასბულათს. უკანასკნელად კიდევ დაჰკრა ბარი და... ოქროს სპეციფიური ჩხრიალი რომ გაიგონა სიხარულისაგან ჭაღარა გაუხშირდა.

ჩაჯდა ყასბულათ. ჩაიკეცა. ოქროს ხელი აუსვარა. პოვნის დღე მოაგონდა. მისი მაშინდელი ოცნება. ეს ოცნება დღესაც გაუნადლებელია... ყასბულათს როდი დაავიწყდა ოცნების ის წუთები. მოაგონდა მეორე დღე.

ტარას შევჩენკო

ღ ე ქ ს ე ბ ი

ვაჟბატონებო რომ მოგასმინათ *)

ვაებატონებო, რომ მოგესმინათ
საბრალო ხალხი სად კენესის, გმინავს.
თქვენ ელეგიებს აღარ იმღერდით,
არ შეამკობდით თქვენ ასე ღმერთსა,
და არც ჩვენს ცრემლებს გაამასხრებდით.

არ ვიცი რატომ თქვენ სთქვით, რომ არი
ქობმახი ტყეში სამოთხე წყნარი.
მეც ზომ იქ ძველად ვტანჯულვარ, ვწყველი...
იქ დავაფრქვით მხურვალე ცრემლი,
პირველი ცრემლი... და მე არ ვიცი
თუ თვით ღმერთს დარჩა იმ ქობის გარეთ
სხვა ბოროტება, სიაცე ბილწი,
მწვანე სამოთხეს რომ შეადარეთ.

მე მას სამოთხეს ვერ დავუძახებ,
კრიალა ტბასთან, ტყეში რომ ენახე,
სოფლის განაპირს — პატარა ქობი.
იქ დედა მწერებში მაწვედა ოხვრით,
მწერებში ვახვეულს მიმღერდა ნანას,
პატარა შეილში აქოვდა ვარაშს
თავის გულისა... ჰო, იმა ტყეში,
იმ შავ ქობში და იმ სამოთხეში.
ენახე მონობა და ჯოჯოხეთი,
მძიმე შრომისგან დაღრღნილი პედი.
და თვით ლოცვისთვის რომ არ ეცალა,
ტანჯვით უდროოდ გამოგვეცალა
კეთილი დედა, მოხრილი მხრებში,

*) ტარას შევჩენკომ ამ ლექსით მიმართა თავად-ახნაურულ მწერლებს, რომლებიც სამოთხედ ხატავდნენ მაშინდელ გლეხის ცხოვრებას.



ეროვნული
გრაფიკოსთა

შრომამ ჩააგდო ცივ სამარეში...
მტრულ მამასთან მოვთქვამდით ბავშვნი,
(ტიტვლებს, პატარებს რა გვეშველებია...)
და მამაც ჩაქვდა პანის ყმობაში,
ველარ გაუძლო საშინელებას.
ჩვენც შევერიეთ ქვეყანას გაშლილს,
თაგუნებივით გაეძვერით ზალზში.
მე დავდიოდი სკოლაში მკრთალი,
შეგირდებისთვის დამქონდა წყალი,
ძმები შინაყმად დაუდგნენ პანებს,
სანამდე ჯარში არ წაიყვანეს.
დები კი... ვაი, თქვენ ჩემო დებო,
ჩემო მტრედებო ახალგაზრდებო,
სხვათ სამსახურში გაზრდილხართ, სკვნებით.
რათ, ვისთვის ცხოვრობთ ამ ქვეყანაზე?..
გაგიუთურობათ ეგ ნაწნავები,
და მონობაში ჩაკვდებით ასე...

როს წარმოვიდგენ, შემზარავს, შემშლის-
საშინელებით იმ ჭობის ჩერო.
ასე დავაწყეთ ჩვენს სამოთხეში
საქმენი ჩვენნი უფალო ჩვენო
შენგან კურთხეულ დედამიწაზე.
ჩვენ ჯოჯობეთად ვაქციეთ ასე
სამოთხე... შენგან კი სულ სხვა ველით...
ჩვენ ძმებთან ეცხოვრობთ ძმურად და წყნარად,
ძმებთან ვმუშაობთ — გადავხნათ ველი
და შეეფხვიეროს კრემლებით ეფარავთ.
თან ასე ვფიქრობ, არ ვიცი არა...
ასე მგონია... უფალო მაშინ,
თუ შენ არ გინდა, ჩვენ ტიტლიკანა
რათ ეწამებით სამოთხის ბალში.
ან და უფალო შენ იქნებ ცაში,
რომ ვადმოგვეურებ, იცინი, გართობს,
პანებთან მსჯელობ, თუ როგორ მართო
ჩვენი ქვეყანა... ერთი გახედე,
მწვანე ტყეები რომ ცახცახებენ,
ტყიდან ტბა მოსჩანს, ვით ტილო თეთრი,
და ბზების წყრივი გამდგარი ტბაზე,



ძირს გადმობრილი თეთრ ლაქვარდს ერთვის
 და წყალში წყნარად მწვანე შტოს არწევს
 მართლა სამოთხე... მაგრამ ო ლმერთო, გინჯლირთხე
 ნახე, იკითხე მართალი გულით,
 იმ სამოთხეში რა ცეცხლი ენთოს...
 ღაღადი, ქება და სიხარული,
 შენ ერთს, უწმინდეს... პატივის გებათ...
 რომ გაიმეტე სიკეთე ბლომად?
 ოჰ... ტყუილია. სულ არვის ქება...
 ყველგან სისხლია, ცრემლი და წყრომა...
 გინება ყველას... რაიმე წმინდა
 ვერ ნახო, მოვლო თუნდ ქვეყნის კიდე-
 და მგონი თვით შენ, ტანჯულ მიწიდან,
 ხალხმა უფალო დაგწყველა კიდეც.

თარგმნა დავით ბაჩიაილაძემ



В неволи тяжко--

ეგ ბორკილები ერთობ ძნელია,
 თუმც როს არ ვიყავ მე პატიმარი.
 გარედ ცხოვრება სანატრელია,
 თუნდ სხვის მიწაზე, დაუფიწყარი.
 ახლა ის ყოფა, მძიმე ლოდები,
 ვით ხსნა, შემექნა მე სანატრელი.
 მას გამუდმებით მოველოდები
 და სუსტ გონებას ვკრულავ და ვსწყველი:
 რად გამაბრიყვეს? ასე რად მოხდა,
 რომ ლაფში ჩაპკლეს თავისუფლება?
 როს წარმოვიდგენ, გული მიკვდება,
 რომ სხვაგან მელის მე დასასრული...
 უკრაინაში არ მომიხდება
 უკვე ცხოვრება და სიყვარული!..

თარგმნა იანამაძეა

і тут і всюди — скрізь погано...



ქართველთა
წიგლისწამბისი

აქაც და სხევაგან ხსნა არსით არი!
ვინმე საბრალო აღრე წამოდგა,
რამოდენიმე დაართო, მიწვა
მოსასვენებლად ის უწყნარი.
თავისუფლება კი სდარაჯობდა...
„გაიღვიძეო“, ეუბნებოდა.
„იტირე, მზე არ ამოვა მხსნელი,
უკუნეთია განუსაზღვრელი.
სიმართლეს ქვეყნად ნულარ მოელი!“
იტულლუტა მან. პატარა სული
დარჩა იმისგან მოტყუებული
ამოდის მზე — ღა მას დღეც მოჰყვება,
დღე სიმართლისა, სიცოცხლის მფენი.
ქვეყნად სიმართლე აწ დამყარდება!..
შეფორიაქდნენ უკვე მეფენი!

თარგმნა იანსაშაშა

ანდერძი

როცა მოგკვდე, გამასვენეთ,
ჩამდეთ ცივ სამარეს
იმ საყვარელ ტრამალებში
უკრაინის მხარეს.

რომ ჯეჯილი უნაპირო
დიდი დნებრი ლურჯი
ახლო ჩანდეს და ისმოდეს
როგორ ღმუის ურჩი.

როცა დასძრას უკრაინით
მან ლილისფერ ზღვაში
მტრების სისხლი, მაშინ ველებს
და მთაგორებს მაშინ
მივატოვებ, მოვაშურებ
ღვთის სამყოფელს ერთი
რომ ვილოცო. მე მანამდე
არა მჯერა ღმერთი.

გამასვენეთ და აღსდექით
 ლეწეთ ჯაჭვი რისხვით
 და შეღებეთ გამარჯვება
 მტრის ვერაგულ სისხლით
 თაფისუფალ დიდ ოჯახში
 ახალ ქვეყნად მაშინ
 მეც მახსენეთ. მომიგონეთ
 ტყბილ სიტყვების თქმაში.

ეროვნული
 ბიბლიოთეკა

თარგმნა ირაკლი აბაშიძემ.



ზიორაზი ქუჩიუზვილი

ორი სუკათი

1.

მზე გამობრძანდა ცათა კოშკიდან,
მზის სიცილს მოჰყვა ქვეყნის თენება;
მზემ ოჭროს კიბე ძირს ჩამოჰკიდა,
მზეს ჩვენი მიწის ნახვა ენება.

მზე სხივთა ფუნჯით ძირს ჩამოვიდა,
ჰქარგავს ხმელეთის აღმოცენებას;
ამდენ საღებავს ვინ იშოვიდა,
ან ვინ შეჰქმნიდა ასეთ შევენებას?!

2.

მოდის ტრიუმფით გაზაფხული და
მოაქვს ყვავილთა ნელსურნელება;
ჯეჯილი თავს ჰყოფს მორცხვად ხნულიდან,
საცაა ვაზიც შეიყვლება!

ამაღლდი სულო! აჰყე ოცნებას!
თუ გემგოსნება, მომართე სიმნი!
ვაშა, ბუნების გამოცოცხლებას!
ვაშა, გაზაფხულს! ჰიმნი მზეს, ჰიმნი!

ს. თაყაიძე

ფ რ თ ე ბ ი

რომატი

I

სულმოუთქმელად აირბინეს უკანასკნელი საფეხურები, ბებერი ციხის ხავსიან კედლებს ხელიხელჩაკიდებული შემოუარეს და კლდის პირად ჩამოსხდნენ.

შუქმოსილ ქედზე გადმომდგარი მთვარის ორეული რიონის მოვერცხლილ ქაელებში დასცურავდა და რიონჰესის წყალსარინი კაშხალი ცალ ფეხზე შემდგარ თეთრი ყანჩების გუნდივით გარინდულიყო მთის ძირას.

მძიმედ სუნთქავდნენ გულაჩქოროლებულნი და სდუმდნენ, თითქო მათ სათქმელს უხმოდ მტყველებდა ვარსკვლავებით აბიზინებული ზეცა, გულსავსე მთვარე, ფერადფერადი მთები და მოკაშკაშე ნათურებით აყვავებული ქალაქი.

საზეიმო კრება რომ დამთავრდა და დარბაზიდან გამოვიდნენ, შეუმჩნევლად ჩამოშორდნენ ამხანაგებს და ურთიერთს გაუღიმეს გაბრწყინებული თვალებით.

და ამ ღიმილში იმდენი ახალგაზრდული სიძლიერე, სიხარული და ბედნიერება იყო, რომ არც კი მოუსაზრებიათ, თუ როგორ გაჩნდნენ ამ კლდის თხემზე.

რამდენი ხანია იცნობენ ერთმანეთს, ერთად მუშაობდნენ რიონჰესში, კომკავშირშიაც ერთად იზრდებოდნენ, მაგრამ ასე პირველად განმარტოვდნენ ამ მთვიარის ღამეში.

ლადიმ საყელო შეიხსნა და წამოგზნებულ სახეზე ოფლი მოიწმინდა, მერმე ნათელას გადახედა და განცვიფრებით დააქცერდა მის გულმკერდს, ეგზომ რომ შემადლებულიყო მძიმე სუნთქვით აწვირთებული.

ქალმა ვაჟური მზერის სიმწვავე იგრძნო, მაგრამ არ შეიმჩნია, მარცხენა ხელით ლაწვებზე გადმოფენილი თმა მოხდენილად გაისწორა და ოდნავ აწეული ხმით-სთქვა:

— ლადი, ხედავ, რა ლამაზად მოჩანს მთვარის სხივებში ჩვენი რიონჰესის კაშხალი? აქედან რომ უყურებ, ასე გეგონება, თითქო დიდი არა-

ფერი იყოს, მაგრამ რამდენი შრომა და ბრძოლა იყო საჭირო რამდენი სიმძნელე გადავლახეთ, სანამ ამ მშენებლობას დავემთავრებოდით...

— გადავლახეთ, დავემთავრეთ! — მკრინავი ხმით გასაყვირებლად უკვირებოდა. — შენ ისე ლაპარაკობ, თითქო თამაზ ბედანელივით ამ საუკუნის საქმის ჩამდგმელი იყო. აბა რა გვაეკეთეთ ჯერ ჩვენ? შენ სახელოსნოში მუშაობდი და სახარატო დაზგაზე თლიდი არხინად პაწია ნაწილებს, მე კი, თუმცა საინჟინერო დავემთავრე, მაგრამ აქ გადავდგი პირველი პრაქტიკული ნაბიჯი, ნამდვილ სწავლას მხოლოდ ახლა ვიწყებ. შენ კი თავმომწონედ იძახი — გადავლახეთ, ავაშენეთო...

— რატომაც არა? განა ჩვენისთანებისაგან არ შესდგება ძირითადი კადრი? განა ჩვენ არ ვიბრძოდით თავგამოდებით გეგმების შესრულებისათვის? და კიდევ — ეს ხომ ჩვენი საერთო საქმეა, ჩვენი დიდი სოციალისტური ფრონტის ნაწილი. აქ ყველა ერთნაირად შრომობს თავისი უნარის მიხედვით.

— ეგ გაუპიროვნებაა, ამხანაგო ნათელა. ხომ იცი პარტიის ხაზი...

— კარგი ერთი! — გააწყვეტინა სიტყვა ნათელამ და მისი ხმა დაზგაზე დარხნულ ფოლადის ბურბუშელასავით აშრილდა. — გააწყალეთ გული... აქაოდა ინჟინერი ვარო და თავი ბუმბერაზად წარმოუდგენია. დაგავიწყდა, შენც რომ ჩემსავით სახელოსნოში მუშაობდი ზეინკლის შეგირდათ? განა მე კი არ შემიძლია დაგეწიო? დამაცადე ცოტა...

ლადი გრძნობდა, რომ ეს არ იყო მეტყარა. ეს უფრო ალერსი იყო, ნათელასებური ალერსი, გულის სიღრმიდან ნაზად და ტკბილად დამრული და უშალვე ხმაშეცვლით აწკრიალებული შორეული ზარის რეკასავით. ასეთი იყო ის მუდამ: სკოლაში და სახელოსნოში, გართობისა და ფიზკულტურული ვარჯიშობის დროს, პირამთქმელი და ვაჟკაცცივით შეუპოვარი. მარტოდენ მისი გაბრწყინებული თვალები, ყურძნის მოგრძო მარცვლისებური თვალები ამხელდა, რომ ამ შავგვრემან გოგონას ღიმილში მთელი ქვეყნის ოდენა გრძნობები გამოსჭვივოდა.

და ლადისთვის ეს იყო ყველაზე უფრო ახლობელი, მშობლიური ქვეყანა, აღსავსე უნათლესი მისწრაფებებით.

ლადი აღანია ახლა უკვე ოცდა ოთხი წლის ჭაბუკია და უნივერსიტეტში სწავლის დროს რამდენ ქალს არ გადაეყარა, მაგრამ ნათელას სახე ვერც ერთმა ვერ დაჩრდილა. და არც ეცალა ლადის ვისმესთვის ხანდაზმით ედევნებინა თვალი: დაწინაურებული მუშფაკელი იყო, მუდამ საზოგადოებრივი მუშაობით დატვირთული და თანაც ორმაგი ენერჯია სჭირდებოდა, რომ სწავლაში არ ჩამორჩენილიყო. ხოლო როცა შესვენების დროს სიყრმითვე შემოჩვეული ოცნება გაიტაცებდა, სიყვარულის სხივდაუშრეტელ თვალივით აენთებოდა ნათელას სახე და უსაზომოდ ტკბილი იყო სიცოცხლე, ბრძოლა და შრომა ყოველდღიური.

აი ახლა მის გვერდით ზის ნათელა, ოდნავ ეხება მის მხარეს და მთელი გულთი გრძნობს, რომ რაღაც დიდი, უსაზღვრო, ენით გამოუთქმელი თანახიარობა აერთებს მათ. რა არის ეს? ქალღვთის სიყვარული, ადამიანის წარმოშობიდან მილიარდჯერ განმეორებული? არა, რაღაც უფრო დიდი და ახალი მისწრაფების იდეალური სიმიამ თითქო გაბმული მათ შორის. აკი განიცადა ერთხელ მთელი სიმძაფრით, თუ როგორ აღიოდენ ისინი რიგრაივით ანთებულ მწვერვალზე. შუალამე გადასული იყო, გვირაბში სამუშაოდ რომ გაეშურა. ბნელი და ნესტიანი ღამე იყო და ვარსკვლავები მხოლოდ აქაიქ ბეტუტადნენ ჩირგვებში ჩასაფრულ მგლის თვალეზივით. გვირაბის გარუჯულ პაერშიაც ასე ციმციმებდნენ შუქმიღებული ნათურები. სახეშემურული მუშებიც ხომ სინათლისათვის იბრძოდნენ აქ... მაგრამ დილით, როცა გვირაბის გასაღვალს მიუახლოვდა, თვალის მომჭრელი კაშკაშით შემოედგათ ამომავალი მზის შუქი... გადადგა ფერდობზე და თვალი ჰკიდა მზის ღვივლით გასხივოსნებულ ველებს, ხის ფოთლებზე სიხარულის ცრემლებივით მოკამკამე ცვარნამს და აღმავალ გზასავით გაწოლილ მთებს...

და მაშინ ეზმანა ლადის: რიგრაივით ანთებულ მწვერვალზე აღიოდნენ ისინი და არ არსებობდა ისეთი ძალა, რომელიც შესძლებდა მათი ძღვევამოსილი წინსვლის შეჩერებას...

— შენ ახლა თამაზი ახსენე — განაგრძობდა ნათელა ოდნავ დამტკბარი ხმით. — მე სულ იმას ვნატობ, რომ ჩვენი... პო მთელი ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრება ისეთივე შინაარსით იყოს აღსავსე ისეთივე გმირული თავგამეტებით ვიბრძოდეთ, როგორც თამაზი იბრძოდა და დღესაც იბრძვის. არ მიყვარს მე, ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი რომ მარტო პირად წარჩინებაზე ზრუნავს.

— მაინც ვინ გყავს მხედველობაში? მეც ხომ არ გამრიე მათ შორის?

— ვითომ არ იცი! — წარბშერქმით წამოიძახა ნათელამ და შემდეგ აღშაცერად შეავლო ღვივამდგარი თვალეზი. — აი თუნდაც შალიკო ქავთარაძე. ხომ კარგი ბიჭია, მშვენიერი ლაპარაკი იცის და კამათშიაც ტოლი არა ჰყავს, მაგრამ მე მგონია, რომ მას იდეურობა აკლია, ის უფრო თავის პირად კეთილმოწყობაზე ოცნებობს.

— რა ვიცი, ქალიშვილებს კი ძალიან მოგწონთ და! — შეესიტყვა ლადი, ხოლო გულში ფრიად გაეხარდა, ნათელა რომ ასე ახასიათებდა შალიკოს, ვინაიდან მას თავის მეტოქედ სთვლიდა.

— კარგად იცი შენ, მომწონს თუ არა. ისეთი კაცი, რომელსაც ენაზე შექარი აქვს დაყრილი და გული კი ეგოიზმით აქვს გატენილი, მე არასოდეს არ მომეწონება.

— ენახოთ! — თითქო თავისთვის ჩაილაპარაკა ლადიმ. — შენ აქ რჩები და მე კი...

— ახ, თავს შაბრალებს ყმაწვილი! — წამოიძახა ნათელამ და სიტყვები მაცდურად მომუწა. — შენ რა გიშავს, თამაშს მიყვები ახალ მშენებლობაზე. ამისათვის ახლა მომზადებული ხარ, დამოუკიდებელი ხარ. ნეტავი, მეც იქ მოვდიოდე!

— მრათლა, ნათელა, წამოდი ჩვენთან! — თითქო შეევედრა ლადი და ათრთოლებული გულის ნატვრა ვედარ დაშალა. — შალე დამთავრდება მოსამზადებელი მუშაობა. სახელოსნო იქაც გაიხსნება... თორემ ხომ იცი — გული გულს რომ დაშორდება...

სიტყვა ვედარ დაასრულა, ისე მწვევედ დაირხა ლადის დემილში ნათელას შეუკავებელი სიცილი. დატუქსულ ბავშვივით აიმრიზა ლადი და ნათელას საყვედურით შეაგლო თვალი. გამსჭვირვალე შარმაშივით დაეშვა თითქო მათ შორის ეს სიცილი, ესოდენი სიმძაფრით რომ სუსხავდა ლადის იდუმალ ნატვრას.

— გული გულს რომ დაშორდებაო! — გაიმეორა ნათელამ, — შენ რალაც ძველი ანდაზების ენით ლაპარაკობ ამ საღამოს... აი მე გადავწყვეტი, დავეუფლო ტექნიკას და გადავლახო ყველა მანძილი.

— როგორ?

— როგორ და ტფილისში გადავდივარ, საავიაციო სკოლაში უნდა მოვეწყო.

— რას ამბობ, ნათელა?! — შეშფოთებით წამოიძახა ლადიმ, ვინაიდან კარგად იცოდა: თუ ნათელა რაიმეს გულში ამოიღებდა, შემდეგ უკან აღარ დაიხვედა.

— რამ შეგაშინა? შენც ხომ არ გინდა სიტყვა — ავიაცია ქალის საქმე არააო. მაშინ ბარემ ისიც დაუმატე — ქალის საქმე მარტო ოჯახია, კერას არ უნდა მოშორდესო.

— არა, შენც ხომ იცი, რომ მე ასეთი შეხედულებისა არა ვარ, მაგრამ რალა მაინცდამაინც საფრენოსნო სკოლა აირჩიე? მუდამ საფრთხეში იქნები.

— საფრთხე! საწყალი დედა რომ ცოცხალი იყოს, ისიც ამას მეტყვოდა.

— სიყვარული უკარნახებდა და იმიტომ გეტყვოდა.

— ეშმაკი ხარ შენ, ლადი! — დარბილებული ხმით სიტყვა ნათელამ და ლადის მხარზე ხელი ჩამოადო. — განა არ ვიცი, რისი თქმაც გასურს... საფრთხეო! რა არის საფრთხე! ძველად ხალხს ურმის მეტი არაფერი გააჩნდა, მაგრამ მაინც იმტერუოდენ. ჩვენი თაობა კი სულ სხვაა. განა ჩვენი სტრატუსტატმა არ დაიპყრო უდიდესი სიმაღლე მსოფლიოში? განა ჩვენი მფრინავების გმირობა არ აოცებს მთელ ქვეყანას?... აი, შენ მშენებლობის ახალ ფრონტზე მიდიხარ, განა იქ არ იქნება საფრთხე და სიძნელე? მაგრამ მე ხომ არ ვიშლი...

ტკბილმა ყრუანტელმა დაურბინა ლადის მთელ სხეულში, ნათელას ხელი რომ დაეყრდნო მის მხარს, და გმირული მუსიკის პანგებივით შემოენთო ნათელას სიტყვები... და მან არ იცის — მარტოოდენ გულში ნა-

ფეთქი სიხარულია ეს, თუ თვით მათ გამოცხათ ფრთები შორეული მანძილების დასაპყრობად... თან ცალი თვალთ თავის გულში რხედება და უკვირს, თუ რამ შეაშფოთა. იმან ხომ არა, ნათელა რამ მსვენ მსვენელია მისი და ვერ შერიგებია, მას რაიმე საფრთხე მოელოდეს... მაგრამ ეს ხომ არ შეჭყერის ლადის...

— შენ ჯერ კარგად არ მიცნობ მე, ლადი...

ჩაილაპარაკა ნათელამ და თავისი ბავშვობის სევდიანი დღეები მოაგონდა, თან ისეთი გრძნობა აღედრა, მზად იყო აღსარებასავით ეამბნა ლადისათვის ბუნდოვანი ზმანებები, დედის სიცოცხლეშიაც რომ შეუღლანებდა ხოლმე ნაადრევად შეშფოთებულ გულს. უნდოდა ეთქვა: მათ აქ, კომკავშირში გაიცენეს ერთმანეთი და ლადიმ არ იცის, თუ როგორი იყო ნათელას ბავშვობა. პირველი შთაბეჭდილებები კი ფრიად ღრმად აღიბეჭდა მის მეხსიერებაში.

ჭუთაისელი შეძლებული ვაჭრის ქვრივი იყო ნათელას დედა, ხოლო მამა მას არ ახსოვს. ერთი დიდი სურათი ეკიდა კედელზე, მაგრამ ეს შავ ჩაჩჩოში ჩასმული მოხუცი ისე მრისხანედ გამოიყურებოდა, ისეთი წერილი და ავი თვალები ჰქონდა, რომ ნათელას მისი მუდამ ეშინოდა. აი, შეილო, ეს იყო მამაშენიო, ეტყოდა ხოლმე დედა, მაგრამ ნათელა იმ სურათს შეიხვე თვალს აარიდებდა და დედას მოეხვევოდა.

პატარა იყო მაშინ ნათელა, სამი თუ ოთხი წლისა, მაგრამ ბავშვებში სათამაშოდ იშვიათად გაერეოდა, ვინაიდან უმაღლეს ვარს შემოეხვევოდნენ ბიძიშვილები და დაუწყებდნენ სისინს: აი, შე მოთრეულო, აი შე ნაბუშეაროო.

რა იცოდა მაშინ ნათელამ, თუ რას ნიშნავდა ეს სიტყვები, მაგრამ იმას კი ჰგრძნობდა, რომ რაღაც დიდ შეურაცყოფას აყენებდნენ, ისიც შეუშინებია ნათელას, ნათესავეები რომ დაუფარავი სიძულვილით შეჭყურებდნენ.

ერთხელ ბიკოლამ დაისვა მუხლზე და მოფერებით უთხრა: საწყალი გოგო, ამას ჰგონია მართლა მარიამის შვილი ვარო. ჭუნაში გიპოვნა და სამადლოდ გზრდისო...

ატირდა მაშინ ნათელა და დედას უამბო, მარიამსაც ცრემლი მოერია, მიეფერა და დაარიაგა:

— ამას შურით სჩადიან, შეილო. გულზე სკდებიან, ჩვენი ჭონება რომ შენ გრჩება. რამდენიმე დუქანი მაქვს გაქირავებული და ის უნდა ჩაიგდონ ხელში...

მიანიც ასე მოხდა. ხუთი წლისა იყო ნათელა, როდესაც დედა მოუკედა, და რაც ჭონება დარჩა, მისმა ნათესავეებმა მაშინვე დაიტაცეს...

წამოიზარდა და საშინელი ეჭვი ჩაენერგა გულში: შეიძლება მარიამს მართლა ნაშვილები ჰყავდა? ეს ეჭვი კიდევ უფრო გაუძლიერდა, ვინაიდან დარწმუნდა: სახით არც დედასა და არც მამას არა ჰგავდა.

მამ ვინ იყენენ მისი მშობლები? რა მოუვიდათ? როდის დაიბრუნენ?..

უნებლიეთ დაებადებოდა ნათელას ეს კითხვა წინათ, როცა ჯერ კიდევ თორმეტი წლისაც არ იყო, მაგრამ ვინ მისცემდა მას მისი უსუსულობის ნიშანს, რომ ოდესღაც კატორღელ ასაღო გურგენიძის ტყვეობის საავადმყოფოში გარდაიცვალა სახადით, უპატრონოდ დარჩენილი ექვსი თვის ბავშვიც მასთან ერთად დაიღუპა და ამაზე საესეებით დამაჯერებელი ოქმიც კი არის შედგენილი. ამ ოქმისათვის კარგა მოზრდილი თანხა დახარჯა მარიამის მეგობარმა და ის „დაღუპული“ ბავშვი სანატრელ ასულად მიჰგვარა უშვილობით დამწუხრებულ ქვრივს, ხანდაზმულსა და საკმაოდ მდიდარს. მარიამმა და მისმა მეგობარმა სამარეში ჩაიტანეს ეს საიდუმლო, ხოლო მეტი არაფერ იყო ამ ქვეყანაზე, ვინც შესძლებდა გაეფანტა ნათელასათვის ბავშვობიდანვე აღევნებული ბუნდოვანი ფიჭვი.

მერმე, როდესაც სახელოსნოში დაიწყო მუშაობა და კომკავშირშიაც მიიღეს, თანდათან ჩაფერფლა გრძნობა ობლობისა და ახალი ქვეყნის ახალ-მისწრაფებებით გაიმსქვალა. ოთხი თუ ხუთი წლის წინათ კი არაერთგზის აპყოლია ბავშვურ ოცნებას — ნეტავი ფრთები მომცა და მთელი დედამიწა შემომატარაო, იქნება სადმე გადავეყარო დედასავით ტკბილ მეგობარსო.

უნდოდა ეთქვა ეს და კარგა ხანს სდუმდა ჩაფიჭრებული, ეგონა, ლადის რომ მხარზე ხელი დააყრდნო, ამით გადასცა მას თავისი გულის-ნადები.

და კიდევ უნდოდა ეთქვა ნათელას: ღრმად გაიღვა ფესვები მის გულში შეურიგებლობამ დამონებულ, უმწეო, მიწაზე მიჯაჭვულ ადამიანის ბედისადმი, ხოლო ჩვენმა პირველმა სტრატოსტატმა რომ მსოფლიო რეკორდი დაამყარა, მაშინ ურყევად გადასწყვიტა — უთუოდ თვითმფრინავს დაუფლებოდა. თანაც, ლადი ხომ ინჟინერია და ნათელა რატომ უნდა ჩამორჩეს მას...

ბოლოს კი სიტყვიერადაც დაუმატა:

— რა საშინელი იქნებოდა, ლადი, ჩემი მდგომარეობა, ჩვენს დროს რომ არ მოესწრო! ახლა ხელზე მოსამსახურედ ვიქნებოდი სადმე, დღეს კი საფრენოსნო სკოლაში მივდივარ... იცი, მე მგონია, ჩვენ ყველანი ფრთოსნები ვიქნებით მალე. ჩვენს ფრთებს ხომ განახლებული ცხოვრება და ბედნიერება მიაქვს ყველგან, განა ბედნიერი არა ვართ ჩვენ, ლადი, რომ ასეთი ქვეყნის შვილები ვართ!..

მზის ამოსვლისას რომ სიცოცხლეს ეშხით დამტკბარი ფრინველთა გუნდი აიჭრება ხოლმე სივრცეში და ლადი სრბოლით გაინაგარდებს ეინატეხილი, ისე აელვარდა ამ ორჯერ განმეორებული სიტყვის — ბედნიერების თითოეული ანბანი და ნეტარებით გულანთებულმა ლადიმ ნათელას წელზე ხელი მოჰხვია.

ქალმა ისე აირიდა ვაჟის ხელი, თითქო მეტად ღრმა დიქრეზმა იყო გართული და სურდა უხილაგი შეხებისაგან თავი გაენთავისუფლებინა, თან ლადის მხარზე დაყრდნობილი ხელი აიღო, ოდნავ შეხსუნდა და კდემამოსილი ღიმილით მოუხედა.

და ამ ღიმილის შუქში ლადი თითქო პირველად ხედავს ნათელას, ასე მიმზიდველსა და სანატრელს, სიყვარულის თვალით ხედავს ყურძნის მოგრძო მარცვლისებურ შავ თვალებს, მტკიცედ შემალღებულ შებღას, შავი თმის მოკლე კულულებს და ღიმილით გასხვივსნებულ ტუჩებსა და ლაწევებს.

უნებლიედ გაშალა ხელი და გადაიხარა მისკენ, მაგრამ ნათელა მკისვე წამოდგა; მთვარის სხივებში გამოინაცვთა ტანკენარი. იმაყად გადმოხედა მალლიდან და მისებური მტკიცე ხმით უთხრა:

— ჯერ მე საავიაციო სკოლა უნდა დავამთავრო, შენ კიდევ ახალ მშენებლობაზე დამოუკიდებელ მუშაობას უნდა შეეჩვიო და მერე...

— მერე რა, ნათელა?

— მერე რა! — ტუჩების ეშხიანი მომუწვით გააჯავრა ნათელამ. — ეგ შენი ჭკუის საქმე არაა. — დაუმატა შემდეგ და ლადი სიცილით დაეშვა ნათურებით აყვავებულ ქალაქისაკენ.

II

შკატი სიცივისაგან წელში მოხრილი ასალო გურგენიძე მოზომილი ნაბიჯით ჩადიოდა დაღმართში, მაგრამ ქარმა ისეთი სიმძაფრით დაუბერა, რომ თავი ვეღარ შეიმაგრა, გაყინულ თოვლზე ფეხი დაუტდა და ბანჯგვლიან დათვივით დაგორდა ნამქერში. ზეაფში რომ ჩაეფლო და წამოჯდა, ირგვლივ მიმოიხედა — ხომ არავენ დამცინისო. მერმე სახე მოიწმინდა და ბარმაქსიზს გადახედა.

ბერძნების დაბალი სახლები და გომურები, ტაფობში უწესრიგოდ მიმოფანტული, ქარბუქში იყო გახვეული. მხოლოდ ეკლესიის მაღალი გუმბათი და რკინის ჯვარი გაჩხირულიყო სივრცეში, და ასალოს, ათას ვაჭირვებაში გამოვლილს, რატომღაც საპატიმროს შავ ეზოში აყუდებული სახარჩობელას ბოძი და იქვე ჯვარით ხელში ატუხული მღვდელწ მოაგონდა. მკისვე გაუელვა თვალწინ, ქუთაისის ციხიდან შერკვილადის რაზმელები რომ გაიყვანეს დასახარჩობად და კოლია ლორთქიფანიძემ, სახარჩობელაზე მიმავალმა ომანიანმა ვაჭკაცმა, მარსელიოზა წამოიწყო...

ბარბაციტ წამოდგა და ცდილობდა ქარისათვის სახე აერიდებინა, მაგრამ გამთოშავი სუსხი ყოველი მხრიდან ხედებოდა და სულს უხუთავდა. კაცმა არ იცოდა, თუ საიდან უბერავდა ეს მტეხვრავი ქარბუქი; თრიბლეთის თოვლიანი მთებიდან და ტბისყურის ხევიდან მოქშუოდა იგი, გულთოვლიდან, ჭოჭიანის ხრამებიდან და ბედანიდან მოზუზუნებდა ეს

აწყვეტილი სტიქიონი და უღმობელი სიმკაცრით ტრიალებდა / ქციის თვალწევდენ ხეობაში.

დიდის წვალეებით მიიღწია სახლამდე ნამქერით გაცხიქსკანში მოკლე და ვიწრო კიბით მეორე სართულზე ავიდა, დიდხანს აწყვალა გასაღები გაყინული თითებით, და ოთახში რომ შევიდა, სული ისე მოითქვა, თითქო წყალწადებულმა თავს უშველაო.

ტახტზე ჩამოჯდა მუხლებმოკვეთილი და უნებლიედ გაიფიქრა:

— დავბერდი ჩამდილად...

ორმოცდა ათი წელი შეუსრულდა ასალოს და ახლა პირველად იგრძნო ასე დამაჯერებლად, რომ ძარღვებში მოხუცებულობის სიცივე ჩადგომოდა. დღემდე ისიც კი სწყინდა, ახალგაზრდები რომ ბიძიას ეძახოდნენ, ეინაიდან გული მუდამ სავსე ჰქონდა შრომის ხალისით; ერთხელაც არ უფიქრია მარტოოდენ პენსიით დაკმაყოფილებულიყო.

დაბამული ქურთუკი გაიხადა, საყურებიანი თბილი ქუდი დაბერტყა, ჰალარა უღვაშებზე შეყინული ქირხლი მოიწმინდა და ღუმელში ცეცხლი აანთო.

დიდი არ იყო ეს ოთახი, მაგრამ აქ ხუთი კაცი ცხოვრობდა. ოთხი ტახტი იდგა შიგ, ხოლო მეხუთე იატაკზე წევბოდა. ჰვედა სართულში ამ სახლის პატრონი იყო მოთავსებული თავისი შრავალრიცხოვანი ოჯახის წევრებითა და პირუტყვით; ამიტომ მთელი სახლი დღისითა და ღამით წივისა და ნაკელის მყრალი სუნით იყო გაჟღენთილი.

ასალომ ღუმელზე ჩაისათვის წყალი შემოდგა და იქვე, პურის ნატეხებით, ყველით, თამბაქოთი, კიჭებით, თფშებითა და გაზეთებით შეზვინულ პატარა მაგიდასთან ჩამოჯდა.

გაიღო კარი და ოთახში ქართან ერთად ლადი ალანია შეიქრა. მოკლე დაბამული ქურთუკი ეცვა ლადის და თავსა და ყურებზე პილოტის ქუდი ჰქონდა შემოგარსული. ქარბუქში სახე წამოქარხლებოდა და თვალები უბრწყინავდა. ირიბად შეათვალიერა ასალო და ღმილით უთხრა:

— როგორ კრიტიკულად ჩაფიქრებულხარო, ბიძია ასალო, ცუდ ხალათზე ხომ არ ხარო?

ასალომ არ უპასუხა, მიბრუნდა და ღუმელში ცეცხლი შეუკეთა.

— გაგონილა ამისთანა ამინდში მოწყენა? აბა ყური დაუგდე: ხომ სამხედრო მარშივით გუგუნებს სახურავზე ქარი, თითქო შეტევაზე გადასულ რაზმს იერიშზე იერიში მიაქვსო. თქვენ კი მგონი მორიგ კრიტიკულ გამოსვლისათვის ემზადებით.

— კარგი ერთი, თუ ბიჭი ხარ, თავი დაანებე ხუმრობას! შენ რა გოშავს — ჩიტი გიფრინავს გუნებაში, მე კი ამ საძაველ ამინდში კინალამ გაგაგაულე.

— არა უშავსრა, ბიძია ასალო, შეგეჩვევით. ეს ზამთარიც მალე გაივლის, მშენებლობა გაფართოვდება, საცხოვრებელი სახლები აშენდება

და მერე აქედან წასვლაც აღარ მოგინდებათ. ხომ იცით ჩვენი ტემპების ამბავი...

— რა ტემპები უნდა გაიშალოს, ბიჭო, აქ? ტფილისიდან დაქვემდებარებას ას რვა კილომეტრია, სავარგისი გზა არ მოიპოვება და ტრანსპორტი. რა საშუალებით გინდა გადმოიზიდო იმდენი მასალა, რომ მშენებლობა ოდნავ მაინც გაჩაღდეს? განა მარტო ის კმარა, ტვილდიანი, დვალიშვილი და გოგოლაძე რომ თხუნელელებით თხრიან ასაქცევ გვირაბს?

— ასე იცით თქვენ ყოველგვარი სიძნელის გაზვიადება. — ოდნავ ნაწყენი ხმით შეესიტყვა ლადი. — ხომ ავაშენეთ რიონჰესი? ამასაც ისევე წარმატებით დავამთავრებთ...

— რიონჰესი! ქუთაისი და აჭაურობა ერთი და იგივეა?

— ეჰ, დავანებოთ თავი, ამხანაგო ასალო, ამ საგანზე დავას. თქვენ ის შითხარით, სამეჭანიკო ნაწილის საქმე როგორაა?

— როგორ იქნება! უბრალო ჰანჭიკი რომ მიგაკლდეს კაცს, ერთი კვირა უნდა უცადო, სანამ ტფილისიდან მიიღებდე...

ლადიმ შეატყო, რომ ამ საღამოს ასალო მართლაც ერთობ ცუდ ხასიათზე იყო და მასთან გულდამჯდარი ბაასი არ შეიძლებოდა; ამიტომ ქურთუკი გაიხადა, მოიშლილფა, მაგიდიდან ძველი გაზეთი აიღო და თავის ლოგინზე მიწვა.

ღილიდანვე ებრძოდა დღეს ქარბუქს, თავს დასტრიალებდა თავის უბანს, სადაც ის სამუშაოთა მწარმოებლად იყო დანიშნული. ეს იყო მისი პირველი საწარმოო გამოცდა და თავს ისე გრძნობდა, როგორც საბედისწერო ომის ფრონტზე გაგზავნილი ახალგაზრდა მეთაური. ძველი, გამოცდილი ოსტატებისაგან ყოველდღიურად სწავლობდა გვირაბის საქმეს და ხორცს ისხამდა სასწავლებელში მიღებული თეორიული ცოდნა. ხელმძღვანელიც იყო და შეგირდიც. უდიდეს სიხარულს განიცდიდა, როცა პირადი დაკვირვებით მოაგვარებდა რაიმე საქმეს, მაგრამ არც იმას ითაკილებდა, უბრალო მუშა რომ განუმარტავდა — ეს ასე უნდა გაკეთდესო.

სამუშაო კი უსაზომოდ დიდი და რთული იყო. დაიწყო უდიდესი ჰიდროელსადგურის მშენებლობა ისეთ მიდამოში, სადაც არავითარი ხელსაწყო და ტექნიკური მოწყობილობა ადგილობრივ არ მოაპოვებოდა, ხეტყის მასალაც კი მეტად შორი მანძილიდან უნდა მოეტანათ ამ გაშიშვლებულ მთებში.

აი დღესაც რამდენი შრომა დასჭირდა ლადის, რომ ათიოდე ძელი ეშოვნა გვირაბის გასამაგრებლად. დალილობას მაინც არ გრძნობდა, ათვალთვრებდა გაზეთს და გონების ერთი კუნჭულით კვლავ ზვალინდელი საქმისათვის ფიქრობდა.

ანაზღაოთ თვალი მოჰკრა ქრონიკას. გულდასმით გადაიკითხა. უცნობი ბილოტის გასაოცარ გმირობასა და სიმამაცეს მოუთხრობდა ეს რამდენიმე სტრიქონი, გაზეთის სვეტებში ობლად მომწყვდეული, მაგრამ ახლა ამ

სტრიქონებმა თითქო ტყეობიდან თავი გაინთავისუფლეს, უმაღლე მიატოვეს ქარბუქში გახვეული ქციის ხეობა, გადაუარეს შედეგს, მანვლისა და კოჯორს, და ტფილისზე რომ გადაიეღვეს, მყისვე გამოიჩინეს ნათელას სახე, მიმზიდველი ღიმილით გაშუქებული...

ლადი უცებ წამოიჭრა, გახეთი ლოგინზე დააგდო და ლუმელის სიახლოვეს, კედელზე მიწოლილ, თავჩაქინდრულ ასალოს გადასძახა:

— ბიძია ასალო, ასეთი გმირები თუ იყვნენ თქვენს დროს?

ასალომ ნელა ასწია თავი და ცალყბად შეათვალიერა ღიმმორეული ქაბუკი; მასაც უნებლიედ გაეხსნა ტუჩები და ოქროს კბილი ააეღვარა.

— რაო? თქვენს დროსო? განა ახლა ჩემი დრო არ არის? რავე, მკედრებში ხომ არ მთვლი?

— არა, მე მინდოდა მეტქვა, — თქვენი ახალგაზრდობის დროს-მეტქი. — განუმარტა ლადიმ, რომელსაც კვლავ ნათელას სახე ედგა თვალწინ და უნდოდა უცებ მოვარდნილი სიხარული და მღელვარება დაეფარა.

— იცი, რას გეტყვი, ჩემო კარგო! — მამაშვილური კილოთი წამოიწყო ასალომ. — გმირობაც საქიროა, მაგრამ მეტს რომ ისწავლიდეთ, უფრო კარგი იქნება...

— არა, მე საერთოდ ვამბობ, — გააწყვეტინა სიტყვა ლადიმ.

— ჰო, ეს სხვაა... მაგრამ თქვენ მეტიც მოგეთხოვებათ. არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ მზამზარეულზე მოდიხართ... იცი შენ რა არის დღეში ათი-თორმეტი საათის მუშაობა რომელიმე გაბეყილი კაპიტალისტიანთვის? უმუშევრობა გამოგიცდია? ეანდარმი ვინახავს?.. ალიხანოვის და მსჯელი რაში ვინახავს? ყახახების მათრახი ვიგემნია?.. თქვენისთანა პირობები რომ გეკონოდა, თქვენზე ნაკლები ბიჭები ჩვენც არ ვიქნებოდით. რა გაქვთ თქვენ გასაჭირი?

— ეჰ, გააბა თავისებური კრიტიკა! — მოუთმენლად წამოიძახა ლადიმ. — პირველად კარგად დაიწყეთ, ამხანაგო ასალო, და მერე მარჯვნივ გადაუხვიეთ. ვინ უარყოფს, რომ თქვენმა თაობამ უდიდესი საქმე გააკეთა, მაგრამ არც ის ვარგა, მეტისმეტად რომ გაყოყონდებით ხოლმე. თქვენ გიყვართ ხოლმე ლაპარაკი, წინათ ასე და ასე ვიბრძოდითო და ეს ისე გამოგიდისთ, რომ ჩვენი ებოჭა სავსებით იზრდილება. განა ახლა ყოველდღიურად არ სწარმოებს უდიდესი რევოლუციური ბრძოლა? განა კლასობრივი მტერი მოისპო? განა ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს ომით არ ემუქრებიან პირსისხლიანი ფაშისტებში?..

ლადისა და ასალოს კამათი, ალბათ, კარგა ხანს გაგრძელდებოდა, მაგრამ სამუშაოდან დაბრუნებულმა ამხანაგებმა მოუსწრეს და დავით ტვილიანმა ისე აღმართა ხელი, თითქო ხმალი იშიშვლაო:

— ე, ბიჭო, ვუშველოთ რამე, თორემ ჩვენს კრიტიკოსს ლადი ჩაუვლია ხელში და ტყავს აძრობს.

— ნუ გეშინია, არც ლადი დააყრიდა ხეირს. — სთქვა კონსტანტინე-მა პრივადირმა — ვასო დვალიშვილმა, რომელიც დავეითის ნაშევრდელი იყო, მაგრამ ახლა გვირახბის დახელოვნებულ ოსტატაქსამსკისა და დიდის წარმატებით ეჯიბრებოდა თავის მასწავლებლებს.

— მოკლილი ყოფილხართ, რა დროს კამათია? — თავისებური სიღრ-ჯით დაურთო ნიკო ვოგოლაძემ. — ისეთი ამინდია, რომ ძალდი გარეთ არ გაიგდება. მართალი ყოფილა, რომ ამბობდენ — ეს მხარე საქართვე-ლოს ციხიარად ითვლებოდაო და ქართველი მეფეები დამნაშავეებს აქ აგზავნიდენ სასჯელის მოსახდელადო.

— ქორჩანები ავრცელებენ მასეთ ხმებს. ამით აფრთხობენ აქედან მუშებს! — განმარტა ლადიმ. — ეს მხარე ძველი ქართლის მოწინავე რა-იონი იყო. ძალიან მჭიდროდაც იყო დასახლებული, მაგრამ შემდეგ, მე-თვრამეტე საუკუნეში შტრებმა ააოხრეს...

— არ ვიცი ძველად რა იყო და ახლა კი თამაზის ხათრი, თორემ აქანე თოკით რომ დამაბა. მაინც არ ვაეჩერდები. — ჩაილაპარაკა დავეითმა და თავისი მოზრილი წარბები კიდევ უფრო შეკუმუნა. ტუფსედან მო-ყოლებული სად არ მიმუშაენია, მარა ამისთანა ურჯულო ადგილი ჯერ არ მინახავს. რა მოწინავე მხარე იქნებოდა, კაცო, ეს გადაფხვილი შთები, ეს გამუდმებული ქარი, თოვლი და ყინვა!

— კაცო, რაღა გამოუცდელივით ლაპარაკობ შენ! — ველარ მოითმინა დვალიშვილმა. — ზამთარიან ახლა და ზამთარში თოვლი და ყინვა იქნება, აბა ია და ვარდი ხომ არ აყვავდება!

— სთქვა რუქამ არაკი! — არ უთმობდა დავეითი. — შენ, ბიძია, ჯერ პირზე დედის რძე არ შეგშრობია და მე მასწავლი, რა არის ზამთარი? შენ ეს მითხარი, ამისთანა უსაშველო ქარი მოგსწრებია სადმე? დაიწყებს ზუზუნს და მერე აღარ შეწყდება ეშმაკების საბერველივით...

ივანშეს და მაშინვე ჩაწვენენ ლოგინში. მხოლოდ ნიკო ვოგოლაძემ ჩაიცვა თბილი ქურჭი, ყაბალახით თავბირი აიხვია, ფარანი აანთო და გვირახბისავენ გაეშურა, ეინაიდან მისი ბრიგადა ლამით მუშაობდა.

დადლილი იყვნენ, მაგრამ ჯერ ძილი არც ერთს არ ეკარებოდა; საო-ცარი სიმძაფრით აწყდებოდა ქარი სახლის კედლებსა და სახურავს, ზუ-ზუნებდა, ღმუოდა, უსასოოდ გმინავდა და მოსთქვამდა ნაპრალებში მო-მწყვედიელ ჭპირისუფლო მგზავრავით.

ლადი ალანის პროპელერის შორეულ შრიალს აგონებდა ქარის ეს გა-ნუწყვიტელი ჭროლვა, შეკაყურებდა ქერს და თითქო თვალს ადევნებდა სიერცეში მონაგარდე არწივს. ფოლადის ფრთებით ებრძოდა ეს უძლვე-ლი ფრინველი გრიგალს, აღიოდა ცის ტატნობზე, მკვეთდა უცებ მოზე-ვებულ ღრუბლების ტალღებს, შურდულივით ეშვებოდა მიწისაკენ, მზუი-ლით გაიგლეგებდა ახლოს, სულ ახლოს და ლადი ალანია ნათელას მოა-ლერსე თვალთა შუქში ეხვეოდა...

იდაყვზე ჩამოედო კალარა თავი ასალო გურგენიძეს და არ სალამოს ესოდენი დამაჯერებლობით მოახლოებულ მოხუცებულობას ვერ შერიგებოდა, გულმტკივნეულად ანგარიშობდა განვლილ წლებს და სწავლებდა — ასე მალე როგორ მიიწურა სიკვამლისა და სიმწიფის დღეები! აგანა აგერ ახლა არ იყო, ბათოშში რომ მუშაობდა, ამხანაგებმა წრეში რომ მიიღეს და შემდეგ, დევნილობის დროს, ელენე რომ გაიცნო...

— დავით, მოდი ამ სალამოსაც ნუ დაიზარებ და ერთი შენებური ზღაპარი მოგვიყვივი! — მიმართა ვასომ ტვილიანს. — ამ წყევულმა ქართველმა არ დამაძინა.

— ზღაპრები რაც ვიცოდი, სულ გამოვფქვავე ძველი წისქვილივით. მეტი დედაჩემსა და ბებიჩემს არ უსწავლებია... მხოლოდ ერთი ამბავი მომაგონდა ახლა... ვერ არის, ბიძია, ჩვენი საქმე კარგად, თუ გასამაგრებელი მასალა დროზე არ მოგვაწოდეს, უთუოთ რაიმე მარცხი მოგვივა. ხომ შეხედვ, დღეს გვირაბში უზარმაზარი ქვა კინალამ ჩამოინგრა...

პო, იმას ვამბობდი. ტყიბულის მალაროებში ემუშაობდი მაშინ. ვინ აქცევდა მაშინ ამდენ ყურადღებას უშიშროების ტექნიკას... ერთხელ, გახურებულ მუშაობაში რომ ვართ გართული, უცებ რალაკამ იგრილა და ჩვენ, ექვსი კაცი, სიბნელესა და ნახშირის მტვერში გავვხვით. სულის მოთქმა აღარ შეიძლებოდა, ისე დაგუბდა ჰაერი. ცოტა რომ მიწყნარდა და გავძვერ-გამოვძვერით, დავმრწმუნდით, რომ მალაროდან გასვლა აღარ შეიძლებოდა: გასასვლელი ჩამონგრეული იყო. ყველანი მეტის-მეტად შეშინდნენ.

ტყვილი იქნება, რომ ვთქვა, არ შემშინებია-მეთქი, მარა იმედი მაინც არ დამიკარგავს და ბიჭებს ვამხნევებდი.

იცი, რას ნიშნავს, ასეთ დროს თუ გული გაგიტყდა? სულ ახლოს რომ იყოს გასასვლელი გზა, ვერ დაინახავ და უსათუოდ დაიღუბები...

ვადის დრო, ველით მშველელს, მარა არავითარი ჩამიჩუმი არ ისმის... სული გვეხუთებოდა სიბნელეში. შიმშილი და წყურვილი ცალკე გვაწუხებდა. ეხედავ, ამხანაგებმა ძალზე მოიწყინეს. ზოგიერთს ძალაუნებურად ამოხდებოდა გმინვა — „ვაი ჩემო ცოლ-შვილო, რაღა უპატრონოდ გტოვებთო“. მე კი ვუმატე ხუმრობას და სიმღერაც წამოვიწყე, მარა არავინ ამყავა...

საშინელება იყო ეს დღემილი და მოლოდინი... გამიგონა, ხანდახან მოხდება თურმე და ახლად დამარხულ მკვდარს სამარეშ გამოელევიძება, ასე იყო ჩვენი საქმეც...

ბოლოს დავრწმუნდით, რომ ჩვენზე არავინ ზრუნავდა, ცოცხლად დამარხული ვიყავით... მოვიკრიბეთ უკანასკნელი ძალღონე და დავიწყეთ უგზო-უკვლოდ მალაროში ხეტიალი. მოულოდნელად ერთი ძველი მალაროს გზა აღმოვაჩინეთ. დიდხანს ვიბობდეთ თბუნელებივით და, როცა ძალღონე სრულებით გამოგველია და არავითარ ხსნას აღარ მოველოდით,

უცებ მცირე სინათლემ შემოგვაშუქა. ეს უკვე ხსნა იყო, გასახლელებთან მიახლოებული ვიყავით...

ერეკნული

გარეთ რომ გამოვედით, მხოლოდ მაშინ გავიგეთ, რომ ვინაობა თბილისში დღედაღამე ეყოფილვართ ჩარჩენილი და ყველას დაღუპული ვეგონეთ... ასეა, ჩემო ვასო, სადაც არ უნდა იყო და როგორ მძიმე პირობებშიაც არ უნდა მოემწყვედე, ფარხმალი არასოდეს არ უნდა დაჰყარო...

მალე ჩაეძინათ.

ქარი კი ისევ ზუზუნებდა და გმინავდა ნაპრალებში გადაჩეხილ უთვისტომო მგზავრით.

სძინავთ ახალი ცხოვრების მშენებელთ, ისვენებენ, ძალღონეს იკრებენ ხვალისდელი შრომისა და შემოქმედებისათვის.

გარეთ კი ღრიალებს და ბობოქრობს უღმობელი ქარბუქი; თრიალეთის თოვლიანი ქედიდან და ტბისყურის ხევიდან მოიგრავნება იგი, გულთოვლიდან, ჭოჭიანის ხრამებიდან და ბედანიდან მოზუზუნებს, აბობოქრებულ ზღვის ტალღებივით ბორგავს ქციის ტრამალებში.

სძინავთ შრომის გმირებს, ხოლო ღუმელში ცეცხლი ჯერ კიდევ არ ჩამქრალა და აეტორი ზის ამ ნელთბილ ღუმელთან, შეჭარბის ხვალისდელი დღის ბრძოლებსა და გამარჯვებებს, ყურს უდგებს ბნელ ღამეში ატეხილ გრივალის შრისხანე ღრიალს და განვლილ საუკუნეთა წიაღში იხედება.

აეტორი თვალს აელებს ძველი ქართლის მეწინავე სადროშოს, თრიალეთის მოხასხასე კალთებზე შეფენილ ცხვრის ფარებს, გოძელ-ხანჯლიან მწყემსებს და ესმის, თუ როგორ ჰკენესის და ჰგოდებს მათი საღამური... მონებისა და ყმების უმწეო ბედს სწყევლიან ისინი... წითელსაყდრიდან სომხითამდე სოფლიდან სოფლებში დათარეშობდნენ ორბელიანების, ბარათაშვილების, ციციშვილების, წალკელების მათრახიანი მოურავები და თავზარს სცემდნენ პირუტყვივით უფლებახდილ ყმებს... მაშინ აქ შებატონებებს მიჰყავდათ და მონებად ჰყიდდნენ უმშვენიერეს ქალიშვილებსა და ვაჟებს. მშობლები აკვანშივე ნიშნავდნენ ჩვილ ბავშვებს, იქნება ბატონმა არ წავგართვასო... მერმე მოვიდნენ შავ-აბასის ურდოები, ოსმალოები და ლეკები და გააპრტახნა, აოზრდა, ნანგრევებად იქცა ოდესლაც მკიდროთ გაშენებული სოფლები...

აეტორი ზის ნელთბილ ღუმელთან, თავის გმირების სიახლოვეს, და ესმის დიდი პოეტის — დავით გურამიშვილის ხმა, თავისი კლასის გახრწნასა და გადაგვარებას რომ ვერ მალავს:

„მე კი ვფარავ, მაგრამ ჩემი
სატკივარი არა ჰფარავს,
მეტად მწარედ გული მტკივა,
მაერულებს და ტანში შზარავს...“

„მე თუ გინდა თავიც მომპრან,
ტანი გახდეს ვასაბერად,
ვინც არა ჰგავს კახაბერსა,
მე ვერ ვიტყვი კახაბერად“...



ქართველთა
მწიგნობართა
კავშირი

გავერანებულ სამფლობელოებიდან რომ შემოსავალი შემოაკლდათ, ერთმანეთს დაერივნენ დაშვებული შგლებივით ქართლ-კახეთის მებატონეები და:

„ქართლის ჳირსა ვერცინ მოსთელის
თუ არ ბრძენი, ენამჳევრი,
იფქლი ლვარძლად გადაიქცა,
ზედ მობრუნდა ცეცხლის კვერი!“

აი ახლა ავტორის გვერდით მშვიდათ სძინავს ლადი ალანიას, ახალი ეპოქის ძლევა მოსილებით გულსასვე კაბუკს, და მას სიზმარშიაც არ მოვლანდება ის სურათი, რასაც ავტორი გონების თვალით სკვერეტს ამ მრისხანე ღამეში:

ჩვილი ბავშვებითა და ბოხჩებით დატვირთული, თავზარდაცემული დედები და მამები ქციის ხრამებში გამოკვეთილ გამოქვაბულებსაკენ მიეშურებიან თავშესაფარად. გზადაგზა რჩებიან სნეულები, ბებრები და ყმაწვილები, რომელთაც სიარული აღარ შეუძლიათ, და არავენ არის მათი მშველელი. ლტოლვილებიც ვერ აღწევენ თავს მდევნელებს და აი უმწყო დედებს ჰგლეჯენ ხელიდან ბავშვებს, ერთიმეორეზე აბამენ მათ და მიჰყავთ ვასაყიდათ ახალციხის ბაზარზე...

ხოლო კავკასიონის ქედს გადაღმა კი მღეროდნენ რაებადინ ბელადზე შეთხზულ სიმღერას:

„სისხლით შველებოთ ურწმუნო საქართველო და ვერცხლზე გადაცვალოთ ღამაზი ქართველი ქალები...“

„სადაც ჩვენი ხელი შეეხო, იქ ტირილი აეარდა, სადაც ჩვენ ფეხი დავდგით, იქ ცეცხლი დაიღვარა...“

„შეიპყრეს თლილ თითებიანი და ღამაზ თვალებიანი ქართველი ქალები, დაატყვევეს ნათელ სახეებიანი ყმაწვილები, შეიჭრენ შუაგულ ველებში და მოიტაცეს სახელგანთქმული მზეთუნახავი...“

„ეს ღრუბლები კი არ დააწვა მთებს, კვამლის ფარმა დაჰფარა შირაკი, ეს გაზაფხულის წვიმა კი არა, სისხლის რუები დაექანა ალაზნისაკენ“...

ასე აოხრდა ქციისა და ალგეთის ხეობებში მცხოვრები მოსახლეობა. მარტოოდენ ძველი ეკლესიების ნანგრევები, სასაფლაოებზე ძეგლებად

გამოკვეთილი ვერძები და ხრამებში გამოქვავულები—^{და მოწმობენ, რომ ისინი აქ ცხოვრობდნენ და ეწოდნენ ბატონყმობის სისტემის უფლებს.}

მერმე, როდესაც მანგლისსა და წალკაში თურქეთის გამარჯვებული რუსის ჯარი დაბანაკდა, აქ მოვიდნენ ბეგებისა და ფაშების მიერ მრავალტანჯული ბერძნები და სომხები, გათხარეს გადაშენებულ სოფლებში მიწები, ვაიკეთეს ვომურები და უსაზომო ჯაფით ებრძოდნენ ცხოვრების მონურ პირობებს...

დღეს კი ავტორი ზის ნელთბილ ლემელთან, თავისი გმირების სიახლოვეს და შეუქამდვარი თვალებით დაეძებს ფერებს, რათა ღირსეულად ასახოს ესოდენი ძლევა მოსილებით დაძრული რაზმი; რიონჰესის მშენებლობაში აღიზარდა იგი და ახლა აქ მოვიდა საიერიშოდ, რათა ქციის სანახებშიაც აენთოს სოციალისტური შრომისა და გამარჯვების სხივადღურეტელი რიერაჟი.

III

ბროლზე ანასხლეტ შექივით კამკამებს ქციის ხეობაში ნაქარბუქალი დილა.

გაყინულ ტბასავით გადასარკულ ტაფობიდან ცივი ქარი მოსისინებს და თეთრი ნისლივით მოჩანს თოვლით დატვირთული თრიალეთის ქედი.

ტაფობის ყურეში, სადაც ქციის დახრამება იწყება, ძველი ციხის ნანგრევებით დაყუდებულა მდინარისაგან გარღვეული კლდე და ფერად-ფერად ჩუქურთმებსა ჰგავს ამ დილით ეს ნაცრისფერი ქვეები.

ნელი რონინით მოიკლავება ქცია თვალუწვდენელ ტრამალტში, ხოლო აქ კი ხმას იმაღლებს, აჩქერდება და ჩქრილით ეშვება მაღალ ხრამში.

აქ უკვე ვალმა-გამოღმა ამოთხრილია სანიშნოები, სადაც ამოყვანილი იქნება ხრამჰესის კაშხალი, და გორებით შემორკალულ ველზე, ათეული კილომეტრის მანძილზე დადგება წყაროსთვალავით კრიალა ტბა, აღსავსე სისხლის-ფერ წინწყლებიანი კალმახებით.

წყალსარინ გვირაბში გაცხარებული მუშაობაა. ტვილდიანისა და დვალისშვილის ბრიგადები ეჯიბრებიან აქ ერთმანეთს და ჯერ არავენ იცის, რომელი აჯობებს.

ახალგაზრდული თავგამეტებით ბურღავს ვასო დვალისშვილი სალ კლდეს და სახე ოფლით აქვს შეფონილი.

გარეთ მტებრავი ყინვაა, ხოლო ამ ვიწრო ხერელში დაგუბებული ჰაერი სწვავს სხეულს, სულს უზუთავს, მაგრამ ის ამას თითქო ვერ-ამჩნევს. პირსაც იშვიათად მოაბრუნებს, რათა ამ სიბნელეში თვალი ჰკიდოს შექდამცხრალ ნათურას, შიღულელ იმედივით რომ ბუტტავს გვირაბის თალზე. ცალი მხარი ნესტიან სიპზე აქვს მიყრდნობილი და კუნთებდაჭიმულ ხელებში მომარჯვებული ბურღი ყრუდ ხრიალებს კავივით მაგარ ქვაში.

არც რაიმეზე ჰფიქრობს ის ახლა, ვინაიდან უფიქრალად იტყობს, რომ გეგმა გადაჭარბებით უნდა შეასრულოს და თანაც დაეით ტელიდიანის წინაშეც არ უნდა შერცხვეს.

მაგრამ განა მარტო ეს აესებს მის ძარღვებს ესოდენი სიმძლიერებით?

არა, არის კიდევ უფრო დიდი, უსაზომოდ დიდი; მთელი ქვეყნიერების შემცველი მისწრაფება, რაზედაც ის ამჟამად არ ჰფიქრობს, მაგრამ თავისთავად განიცდის მთელი არსებით: გაჩენის დღიდან მონობაში უტარებია თავისი სიცოცხლე მშრომელ ადამიანს, ერთხელაც არ უგრძნია შრომისა და შემოქმედების ამამაღლებელი სიხარული, მუდამ სწყევლიდა ჯაფას უმადურს, ვინაიდან მის ნაყოფს მუქთახორები ითვისებდნენ. მაგრამ ახლა დედამიწის ერთ მეექვსედზე საბოლოოდ გაიმარჯვა მან და ყველა ქვეყნის ტვირთმძიმენი შეჭხარაიან მისს ალისფერ დროშას, მისკენ ისწრაფიან, მისი იმედით გამოდიან ბარეკადებზე, მისთვის სწირავენ თავს და იციან, რომ გამარჯვება მათია.

ვასო დვალიშვილიც ხომ ამ რაზმის წევრია, აღსაფხვ მისი ძღვევამოსილებით, და ახლა რას ჯიუტობს ეს ოხერი ჭვა, რომ ბურღი ბოლომდე ვერ დაიყვანა!

სამაჯურით სახეზე ოფლი მოიწმინდა და მომეტებულის ძალით განაგრძო ბურღვა...

ვასოს არც კი ახსოვს, თუ როდის დაეზოცა დედმამა. ბაბუა ზრდიდა დაობლებულს, ხოლო როცა ისიც გადაიცვალა, მოჯამაგირეობით ირჩენდა თავს. ოდნავ რომ წამოიზარდა, ტყიბულის მალაროებში დაიწყო მუშაობა. ამ დროს რიონჰესის მშენებლობა გაჩაღდა და იქ გადავიდა. აქ აღიზარდა კომკავშირში და გვირაბებში თავდადებული მუშაობითაც მალე სახელი გაითქვა. კომკავშირელთა ბრიგადა, რომელსაც ვასო მეთაურობდა, მუდამ მოწინავე და სანიმუშო იყო. გარდამავალი დროშაც მათ ხელში იყო—და ყველაზე უფრო ძნელ უბნებშიაც ისინი მუშაობდნენ... ერთხელ გვირაბი ჩამოინგრა და რამდენიმე მუშა ჩარჩა შიგ. ვასოს ბრიგადამ შეტად მძაფრი იერიში განავეითარა და ყველაზე უფრო ადრე მიუახლოვდა მიწაში მომწყვდეულ ამზანაგებს. აი უკვე ესმით მათი ხმა და სახეშემურული, ოფლში გაწურული ვასო გაშალებით თხრის მიწას. ერთის დაკვრით არღვევს ვეება ქანებს და ომახიანად გააკვივის:

— ნუ გეზინიათ, ბიჭებო, ახლავე მაქ გაეჩნდებით!

და მართლაც მალე მიუსწრეს, სამშვიდობოზე გამოიყვანეს სულშებუთული ამზანაგები...

მაგრამ განა მარტო ეს? ყველაზე უდიდესი თავგანწირვა, გონების სიმკვირცხლე და გაბედულება ვასომ მაშინ გამოიჩინა, როცა მოულოდნელად თვალი მოჰკრა დაღმართში მოწყვეტით დაქანებულ ვაგონეტს: მუშებს ვაგონეტი გამოქცეოდათ, ზედ შერჩენილიყვნენ და ახლა თავზარდამცემი სისწრაფით ეშვებოდნენ თავქვე. ამათ ხომ აუცილებელი სიკე-

დილი მოელოდათ, ხოლო გვირაბში რომ მუშები იყვნენ, ისინი უთუოდ დაიღუპებოდნენ. ვასომ მყისვე მოისაზრა თუ როგორ უნდა მოქცეულიყო. გრძელ კეტს ხელი ჩაავლო და, როგორც კი ვაგონეტზე გასწორდა, ბორბალში ჩაარქო, ზედ დაეკიდა და... ხრამში გადაიჩეხა მწრიალასავეით დატრიალებული... ვაგონეტის სვლა კი შეიანელა, ამხანაგებიც სიკვდილისაგან იხსნა, მაგრამ თვითონ ისე მიიმედ დაშავდა, რომ ექიმები საჭიროდ სთვლიდნენ მეტად რთულ ოპერაციას, რაც მას სამუდამოდ დაასახიჩრებდა. მხოლოდ ამხანაგების განსაკუთრებული მზრუნველობის შეოხებით გადარჩა ვასო, სრულიად გაჯანსაღებული გამოვიდა საავადმყოფოდან...

და ახლა რას ჯიუტობს ეს ოხერი ქვა, ნუთუ დღეს ნორმა გადაჭრბებით ვერ უნდა შეასრულოს?

ხელშეცვლით მოიმარჯვა ბურლი და იგრძნო, რომ გვირაბში ჰაერი მეტისმეტად დამძიმებულიყო. ასეთ დროს, რაკი ჯერ ვენტილატორი არ ჰქონდათ, საჭირო იყო მცირე ხნით გამოსვლა და სულის მოთქმა, მაგრამ ვასოს ნებისყოფა ამ კლდეზე უფრო მაგარი იყო და ბურლს სანამ ბოლომდე არ დაიყვანდა, აღარ ეშვებოდა.

— ვაგონილა, კაცო, ასეთ ჰაერში მუშაობა! — მოესმა ვასოს და უმალვე დავით ტვილდიანის ხმა იცნო.

ვაუჯვირდა: დავითი ხომ მეორე მხარეს მუშაობს და ახლა აქ რამ მოიყვანაო. არ უყვიარდა ვასოს მუშაობის დროს შეჩერება და ლაპარაკი, მეტადრე ახლა, როცა ამ ფოლადივით მაგარ ქვას ებრძოდა, მაგრამ რაკი ეს დავითი იყო, ბურლი ამხანაგს გადასცა, თვალის უბებში ჩამდგარი ოფლი მოიხოცა და ტვილდიანს შეეგება.

გვირაბის თაღზე მიმავრებულ ნათურასთან იდგა დავითი, მაღალი. ახოვანი. გვირაბში ვერ იმართებოდა, წელში ოდნავ მოხრილიყო და ყაბალახით შეზვეული თავი ისე ეკირა, თითქო რალაცას ეპარებოო. ქალაქაშერეული უღვაშები, სწორი ცხვირი, ქუფრი თვალეები და ღიმილით შენაოკებული ღაწვები ბუნდოვანად მოჩანდა ნათურას მცხრალ შუქში.

— ვასო, რაკი აქ ვენტილატორი არა გვაქვს, უფრო ხშირად უნდა გამოხვიდეთ და ჰაერი გაწმინდოთ, თორემ არც ის ვარგა, რომ რამდენიმე დღე ნაყოფიერად იმუშაოთ და მერე დასნეულდეთ. მე ამას იმისთვის ხომ არ გეუბნები, რომ...

— არა, დავით, ეგ რა შუაშია. — შეაწყვეტინა ვასომ, ვინაიდან მყისვე მიუხედა, თუ რისი თქმაც სურდა მას. — დღეს ისეთი ოხერი ქვა შეგვხვდა, რომ ბურლი სულ ვერ იკიდებს პირს. ასე თუ ვაგრძელდა, ჩვენ ამ გვირაბს ვადამდე ვერ გავიყვანთ.

— ხრა უშავს, ხან მაგარი ნიადაგი შეგვხვდება და ხან რბილი. ვაგვიაროთ იქით, მეორე სინათლისაკენ. მე იქ ერთი ადგილი ვნახე, წყალი მეტის-მეტად მოკონავს და უთუოდ უნდა გაამაგროთ.

სიბნელეში შეჩვეული ნაბიჯით მიდიოდა წინ ოდნავ წიგნს მოხრილი დავითი, ვასო უკან მიჰყვებოდა და დავითმა რომ სიტყვა გადაუკრა, იმაზე ჰფიქრობდა.

მართლაც და, ახლა ისინი ხომ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. მათ შორის ვინც მეტ წარმატებას მოიპოვებს, სახელიც მისია და ჯილდოც. დავითმა კი იმისთვის ინახულა ახლა ვასო, რომ მისი ნამუშევარი დაათვალიეროს და თავისი გამოცდილება გაუზიაროს.

და ვასოს უნებლიედ მოაგონდა მისი გამზრდელი ბაბუა.

ერთი მოსაზღვრე მეზობელი ჰყავდა ბაბუა-მისს და მუდამ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, არა, კი არ ეჯიბრებოდნენ (ამ სიტყვამ ახლა სხვა შინაარსი მიიღო), ერთიმეორის ქიშპობაში ლევენენ სულს. შეიძინდა რაიმეს მეზობელი, ბაბუასაც უთუოდ უნდა შეეძინა, ეზოში ვენახს გაათართოებდა, ბაბუაც ასე უნდა მოქცეულიყო, თორემ ველარ მოისვენებდა. ხშირად იტყოდა: მტრის გულის მოსაკლავად არ უნდა დაგლახდე კაციო, და ეს მტერი მისი მეზობელი იყო, რომელიც ხანდახან წინ უსწრებდა და შურით გულს უშხამავდა. ერთმანეთს რომ შეხედებოდნენ, ტბილად საუბრობდნენ, კაცი ვერ შეამჩნევდა, რომ მათ ერთიმეორის მიმართ რაიმე შური ედოთ გულში. რამდენჯერ შესწრებია ვასო მათ დიპლომატიურ შეხვედრას:

- რავა ბრძანდებით, ბატონო აღმასხან?
- გახლავართ ღვთისა და თქვენი წყალობით.

მცირე დუმების შემდეგ:

- იი ვენახი რომ ჩარგეთ ამას წინათ, ძაან კაი ჯიშის უნდა იყოს?
- რა ვიცი, ბატონო, რაღაცა ქე ჩავყარე მიწაში და ვინ იცის, რა იქნება...

სად გაჰქრა ახლა ეს დაუძინებელი მტრობა? ნუთუ ვასოს ბაბუასთან ერთად ჩაიფერფლა ის დრო, როცა აღამინები მგლებივით უთვალთვალებდნენ ერთმანეთს?

— აი, ხომ ხედავ, როგორ მოწვეთავს წყალი — ეუბნება დავითი. — ეს ადგილი სანდო არ არის. მართალია ქვაა, შარა ამას ისეთი ბზარები აქვს, რომ შეიძლება ჩამოინგრეს. დღესვე უნდა გაამაგროთ. ხომ იცი, კოკა წყალს მუდამ არ მოიტანს...

ფეხის ხმა შემოესმათ და ლაღი ალანია აჩრდილივით გამოინაკეთა გვირაბში.

— გამარჯობათ, ამხანაგებო!.. დავით, შენ საიდან გაჩნდი აქ? რაზე მუსაიფობთ ასე ტბილად?

— ტბილი მუსაიფისათვის გვცალია ჩვენ ახლა! — უპასუხა დავითმა. — აი, ნახე, როგორ მოდის აქ წყალი. სანამღი უნდა ველოდეთ გასამაგრებელ მასალას? მარტო დაპირებით რომ საქმე კეთდებოდეს, ამ-

დენ ხანს ეს გვირაბი გაყვანილი იქნებოდა. მოხდებოდა მარცხი და მერე გვიან იქნება.

— მართალია, მაგრამ შენც ხომ იცი, რომ ამ სასაგულოდ უმძინდებმა შეგვიშალა ხელი. მასალების გადმოზიდვა დროებით შეწყდა...

— ეგ უთაობის ბრალია. წინასწარ უნდოდა მომზადება. რაიმე რომ მიაკლდებათ, მაშინ დაიწყებენ ძებნას, საქმე კი ბრკოლდება.

— კარგი, ნუ ჯავრობ, დაეით! განაგრძეთ მუშაობა და მასალას სადაც იქნება გავაჩენ.

ყრუდ გუგუნებდა მათი ხმა გვირაბში, აწყდებოდა დაბალ თაღს და გარუჯულ ჰაერთან ერთად გამოსავალს დაეძებდა.

ვასო კვლავ სამუშაოს მიუბრუნდა.

დავითი თავის ბრიგადისაკენ გაეშურა.

თოვლში გაკვალული ბილიკით ადიოდა ლაღი ფერდობზე, ჩაფიქრებული იყო და მდინარის ჩხრიალი მის სმენამდე ვერ აღწევდა. არც ის შეუმჩნევია, სუსხიანი ქარი რომ გადმოიჭრა გორაკიდან და ხრამში შრი-ალით გადაეშვა.

ვაკეზე რომ ავიდა, თრიალეთის ქედს შეავლო თვალი, თოვლით შესუდრულს, ყომრალ ღრუბლებში გახვეულ სამსარის მთებესაკენ გაიხედა, შემობრუნდა და აღმოსავლეთისაკენ რომ პირი ქნა, უნებლიედ აღმოხდა:

— მაინც რამხელაა ეს გადათეთრებული ქვეყანა!..

თოვლი, ყინვა და ქარი...

გომურებში პირუტყვებთან ერთად შეყუდრული ადამიანები, ქედმობრილნი ბუნების ძალთა მრისხანების წინაშე!..

გულის ჯიბეზე მოივლო ხელი და უმალვე მოაგონდა, ამ დილით რომ ნათელას წერილი მიიღო. სწრაფი ნაბიჯით განაგრძო გზა და სიმღერა წამოიწყო.

უხადო სიხარულით იყო ატლერებული ეს სიმღერა, ძველი ხალხური სიმღერა, უამრავი ადამიანის გული რომ აუტოკებია ჭაბუკური გატაცებით; ნათელას ღიმოსილი სახე ციმციმებდა ამ სიმღერაში, ფრთებს ისხამდა, ადიოდა მაღლა, სულ მაღლა და ვარდისფერ შექში ხვევდა თოვლით გადათეთრებულ მიდამოს... ერთი ბებური დედა ჰყავს სოფელში ლადის და იმისი მოალერსე ხმაც ამ სიმღერაში იყო ჩაქსოვილი, ისიც მასთან ერთად შეჭხაროდა სიყვარულის თვალით ხილულ ქვეყნიერებას.

დიდის წარმატებით ესწავლობო საავიაციო სკოლაში — სწერდა ნათელა. — არც ისე ძნელი ყოფილა ეს საქმე, როგორც ვარედან ეჩვენება კაცს. მართალია, რთულია და დიდ გაბედულებასაც მოითხოვს, მაგრამ განა ყოველი სერიოზული საქმე ასე არაა? რათ ვარჯა ისეთი ახალგაზრდა ვაჟი, ვინდ ქალი, რომელსაც ჩვენს დიდ ეპოქაში გამბედაობა და სიმამაცე არ შესწევს? ვის რათ უნდა ახლა ფერმიხდილი და ნაზი კნინები, უძღურების ესთეთიკით დაავადებულნი? ასეთი ქალი მხოლოდ იმას

მოეწონება, ვისაც ტვინი ძველი შეხედულებებით აქვს ვატყობო, ხანდახან ტფილისის ქუჩებში გამოჩნდება კენტად ასეთი ტიპი და გულს ზიზლით აესებს. ჩადრიან მონებს ჰგვანან ისინი. განა შეიძლება მოენა მოეწონოს?..

ბინაშიაც კარგად მოვეწყვეო — სწერდა კიდევ ნათელა — და ახლა არაფერი ხელს არ მიშლისო...

ბარათის კიდურზე წერილი ასოებით წაეწერა:

„მალე ისეთ სისწრაფეს განვავეითარებ, ამხანაგო ინტინერო, რომ ნგონი დაგეწევი კი არა, კიდევაც ვაგასწრებ“.

არც ერთი სიტყვა სიყვარულზე, თითქო მარტოოდენ ამხანაგობა და კარგი ნაცნობობა აკავშირებდა მათ. მხოლოდ სტრიქონსა და სტრიქონს შუა სჭერეტდა ლაღი ნათელას თვალებს. ყურძნის მოგძოო მარცვლისებურ თვალებს, გიშერში მომწყვედეულ შუქივით რომ ციმციმებდა შიგ. ღიმილი მოალერსე.

და ეს ასხივოსნებელი თვალები კაშკაშებდა ახლა თოვლში მიმავალ ლაღის სიმღერაში.

სოფელში რომ ჩაუხვია, გომურებიდან ამომავალი წივის კვაპლის სუნი მოხვდა და მაშინვე წარმოესახა ის უდიდესი გარდაქმნა. რასაც ესოდენი სიმძაფრით განიცდიდა ეს კუთხე.

რამდენი ხანია ეს ხალხი მომწყვედეული იყო მღვდლების, ჩარბებისა და კულაკების მონობაში! არც საბერძნეთის ძველი კულტურისაგან შერჩენიათ რაიმე, დედაენაც დაუკარგავთ და მხოლოდ ქრისტიანობას ჩაბლაუტებიათ. მღვდელი რომ ეკლესიაში ბერძნულად ანიჭიფებს საბარბას, მისი მათ არა გაეგებათ რა. მთელ საქართველოში ხალხმა ეკლესიები თვატრებად, კლუბებად და სამკითხველოებად გადააქეთა. აქ კი აქამდეც ქედმოხრით ლოცულობენ.

აი ახლა ეს ჩიხტიკოპიანი და წითელ წინსაფრიანი ქალი საყდრისაკენ მიეშურება. ყვეთელი გროშებისაგან შექედილი კოპი წარმოუდგამს შუბლზე და ჰგონია — ამაზე ულამაზესი თავსართავი ქვეყანაზე არ მოიპოვებო. ესეც ხომ იგივე ჩადრია — ნიშანი მონობისა და უფუღებობისა. ესეთი კი „ნამუსად“ სთვლიან. ნათელამ უნდა ნახოს ესენი, რომ „ფერმიხდილ კნეინებთან“ ერთად ამათაც თავისებური შრისხანებით შეუტოოს...

ქვის ერთსართულიან შენობაში მოთავსებულ სკოლის გვერდით რომ მიდიოდა, პიონერების ხმაურობა შემოესმა და დაორთქლილ ფანჯრის მინებთან მომდგარ ბავშვებს მიუხედა, ერთმა შევეგრემანმა გოგონამ წარბები შეიკმუნა. შრისხანე გამომეტყველება მიიღო და თითი დაუქნია, მერმე ღმობიერად გაულიმა და მის გვერდით მდგარ ყმაწვილს ჰუნჯურად ანიშნა — შეხედე იმ უცხო კაცს რანაირი ქუდი ახურავსო. ლაღსაც უნებლიედ გაელიმა და ეკლესიაში მიმავალ, თავშეხვეულ დედაკაცს ნაცვლად ლამაზ კულულებიანი კომკავშირელი წარმოესახა.

აქაც ხომ ფართოდ იშლება მშენებლობა ამ ყოველგვარ ავტოკრატულ ავტორიტეტზე, აშენდება ახალი სახლები, მაშინ სამუდამოდ გაქრება კრუმორწმუნეობა და უმეტრება, ის შავანაფორიანი მღვდლები და მღვდლები დარჩება. ახლა კი დაფეთებულივით შეკუმშვებს და უმცირესებს მასულ მშენებლებს, კულუმბურებით ატრიალებს თვალს. მის ღმერთს რომ მართლა რაიმე ძალა მისცა, უმაღლვე მუსრს გააელებდა ყველას. არც ერთს არ დაინდობდა, ყორანივით დასჩხავლებდა და ჯოჯოხეთში გაისტუმრებდა. კარგად იცის სულწაწყმედილმა, რომ ეს ღმერთო ინჟინრები, ეს წელშაგარი მუშები, ეს შეუპოვარი კომკავშირელები ნიადაგს აცლიან მის მეთფებას. ამიტომაა აღბეჭდილი მის სახეზე უსაზომო მწუხარება. რამდენჯერ შეხვდა ლადი და გალიმებული არც ერთხელ არ უნახავს. ქვეშევრდომ იყურება, ახალ მოსულს არასოდეს პირდაპირ არ შეხვდავს. აქაურ გლეხებში კი დაძვრება და თავზარს სცემს კბილჩაცვენილ დედაბრებს. — მეორე მოსვლა გვიახლოვდება, თუ რაიმე სასწაულმა არ გვიშველაო...

რამდენიმე ნაბიჯით გასცილდა სკოლას და რალაცამ უცნაურად დაიწყო რაკრაკი, თითქო მახლობელ ხევში საცხველზე წყალი მიუშვესო. ირგვლივ მიმოიხედა და სკოლის სახურავზე წერილი წკნელისაგან უზნოდ დაწულ ბუდეში დაყუდებულ ყანჩას ჰკიდა თვალი.

მრისხანედ გადმოჰყურებდა ეს ახმახი ფრინველი და გამალებით არახუნებდა უშველებელ ნისკარტს. ლადიმ რომ თვალი გაუსწორა, ყვითელი ნისკარტი მომუწა, თავი გადასწია და ქედმაღლად დააშტერდა ამ შეუჩვეველ კაცს.

ჰო, ეს ქვეწარმავლებით გამოძღარი ყანჩაც ხომ ისეთივე ღეთისაგან კურთხეული წმინდანია, როგროც აქაური მღვდელი. მასაც ფრთების კიდურებზე მღვდლის ანაფორასავით შავი ფერი დაჰკრავს და ამიტომ მას რომ ვინმემ ხელი ახლოს, უზენაესის რისხვას ვერ გადაურჩება. ყანჩაშაც კარგად იცის ეს და ცხოვრობს თავისთვის ნებიერად, ყოველ განაფხულზე ანახლებს ბუდეს, ზრდის ბარტყებს და უშვებს სანადიროდ ტბების ნაპირებზე.

ზრამქვისის სამუშაოთა სამართველო ფრონტზე დროებით დაბანაკებულ ჯარის შტაბსა ჰგავდა; თემშარის პირად ქვის მოგრძო სახლის მეორე სართულში იყო მოთავსებული. ქვევით სახლის პატრონი ცხოვრობდა. ხოლო ზედა ნაწილი რამდენიმე ვიწრო საკნად იყო გადატიზრული და სამუშაოთა უფროსის მთელი აპარატი, ინჟინერი ბაგრატ თეზელი და პარტკომიც აქვე მუშაობდნენ და აქვე იძინებდნენ.

ლადიმ სულმოუთქმელად აირბინა მოკლე კიბე, ვიწრო აივანზე შეჯდუფულ ხალხში გაძვრა და ბაგრატ თეზელის „კაბინეტის“ კარი შეაღო. თვალი თოვლიან სივრცეებზე ჰქონდა შეჩვეული და ახლა თუნუქის ღე-

მელისაგან დამდგარ სითბოსა და თამბაქოს კვამლში ბუნდოვანად ხედვდა თეზელის მკრთალ სახეს.

იქვე, მაგიდასთან იჯდა საქმისმწარმოებელი ქერა ექვთიმე ლომილით შეველო ლადის თავისი ცისფერი თვალები ზღაპრულად დახუჭუჭებული თმა თეთრი თითების ოდნავი შეხებით გაისწორა.

ლადის არ შეუმჩნევია ეს გამომწვევი ღიმილი, ბაგრატს ესაუბრებოდა გულმხურვალედ: გვირაბში მუშაობა ბრკოლდება და გასამაგრებელი მასალა უთუოდ უნდა ვიშოვნოთო.

ჩვეულებრივი სიღინჯით ისმენდა ბაგრატი და გულფიცხელ ლადის გუნებაში არ მოსწონდა ეს შეურყეველი სიმშვიდე.

მუდამ ასეთი იყო ბაგრატი, იშვიათად უნახავს აღელვებული; ნაზი და სათნო გამომეტყველება ჰქონდა სახეზე აღბეჭდილი, ოდნავ დამცინავი ღიმილი გადაჰკრავდა ხოლმე ბაგეებზე, ხოლო ღრმად ჩამჯდარ თვალებიდან ნებისყოფის სიმტკიცე გამოსჭვივოდა.

— მუშაობა არ უნდა შეეფერხოთ. დადგება ამინდი და მასალასაც მივიღებთ. — მოკლეთ მოუჭრა ბაგრატმა.

არ დააკმაყოფილა ლადი ამ პასუხმა. გარეთ რომ გამოვიდა და აივანზე გადადგა, ვასო დვალიშვილის ბრიგადა და გვირაბში შეონავი წყალი წარმოუდგა თვალწინ. გვირაბი რომ ჩამოინგრეს, ხომ განსაცდელში ჩაცვივიან ბიჭები!

ტაშბაშისაკენ გაიხედა და თოვლით შეფიფქულ ფერდობს დააცქერდა, კვალავ მოაგონდა, ამასწინათ დროებითი ელსადგურის გვირაბისათვის რომ ხე-ტყის მასალა წაიღეს. თაველისაკენ გაეშურა და ცხენი შეაკაზმინა.

სოფლის პირად ხევში რომ გავიდა, კვლავ სუსხიანმა ქარმა დაუბერა. ლადიმ ფერდობიდან ახვეტილ მშრალ ნაშქარს სახე აარიდა და ცხენი ააჩქარა. მაგრამ მალე ისეთი მძაფრი ქარბუქი-დატრიალდა, ისე ამოივსო სივრცე ნისლად ამდგარი თოვლით, რომ ცხენზე ჯდომა აღარ შეიძლებოდა, მტეხვრავი ყინვა ძვალრბილში ატანდა და სულს უხუთავდა. გადმოხტა ცხენს ფაფარში ჩაველო ხელი და გზას ალლოთი იკვლევდა. ფიზკულტურული ვარჯიშობით გამამგრებული კუნთები ჰქონდა და ზევევიით მომსკდარ ქარბუქს შეუბოვრად ებრძოდა.

გვზი მარჯვნივ აიღო, ვინაიდან მარცხნივ ხრამი ეგულებოდა. ცხენს რომ მხარით აწეებოდა, ცხოველის საამო სითბოსა და მეგობრობას გრძნობდა, ვინაიდან მთელი ქვეყანა განუჭვრეტელმა ბორმა დაფარა და მარტოოდენ ეს ცხენი იყო ახლა მისი ერთგული თანამგზავი.

აღმართ-აღმართ მიდოდა და ეგონა — ერთ ადგილს ვტყეპნიო. სამოსზე ყინვად ქცეული თოვლი შემოვგლისა, მაგრამ სიცივე სრულებით არ აწუხებდა, ტანი ოფლით ჰქონდა შეეონილი. ოდნავ რომ აიყვავა,

ანამჭკრებელი არმური შეთხელდა და რამდენიმე მეტრის მანძილზე საგნის დანახვა შესძლო.

ახლა მიხვდა, რომ გზა აბნეულია და გორის თხემზე ^{ქარი} ქარი თუმცა მეტი სიძლიერით უბერავდა, მაგრამ მიწიდან ^{მხვეტილი} მხვეტილი ზოგელი თვალეზში არ ეფრქვეოდა.

გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და ქვის პატარა შენობა გამოჩნდა. გაუკვირდა — ამ გორზე ეს სახლი საიდან გაჩნდაო.

სამხრეთიდან შემოუარა და ფიცრულ კარს მიადგა. უბოკლომოდ იყო ვადარაზული. ფეხით თოვლი გადაჰყარა და კარი შეაღო. ცხენი თუმცა გორის ოდენა იყო, მაგრამ დაბალ ბქეში ძლივს გაძვრა, ქვის იატაკზე ნალები ააჩხარუნა და ტანი ვაიბერტყა.

ლადიმ სახე მოიწმინდა, კუთხეში ჩამოჯდა და თლილი ქვისაგან ნაშენი კედლები შეათვალიერა.

ეამგადასულ საუკუნეთა მყუდროება სუფევდა ამ ვიწრო საყდარში და აღმოსავლეთით გამოჭრილ სარკმელიდან გადმოღვრილი შუქი იღუმალ-აჩრდილივით დაბორიალობდა ოდნავ შემალღებულ თაღზე.

სარკმელის პირდაპირ რგვალი ქვა იდგა, გრდემლივით თავგადათლილი და თავღლის სანთლების ნამწვეავებისაგან შექვარტლული. იქვე ძველი ხატი იყო ჩამოკიდებული: ხელშუბიანი მხედარი მერანის ფეხთქვეშ გართხმულ გველეშაპს ჰკლავს.

ლადიმ თავის ცხენს მოუხედა და უნებლიედ გაიღიმა. მშვიდად დგას ეს მორჩილი ცხოველი და ფართო თვალებით შეჰყურებს ქარბუქში გზა-აბნეულ ქაბუქს.

ხატზე ამობურცული რაში კი ყალბზე შემდგარა და რამდენი საუკუნეა ჰკლავს ვითომ ეს რაინდი ამ ურჩხულს, სურს ჩასცეს ლახვარი საზარლად დაღებულ ხახაში. მაგრამ რალაც მოჰგონებია, ხელები გაშეშებია და უაზროდ დაჰყურებს ჯოჯოხეთურის ძალით მონუსხული.

მას რომ ამ საფრთხობელასათვის თავი გაესრისა — გაივლო გულში ლადიმ — რალა ეშველებოდათ მაშინ მონათმფლობელებს, ფეოდალებსა და მღვდლებს, როგორღა დაიმორჩილებდნენ მშრომელთ, რომელთაც უსაზომო ჯაფით უშენებიათ თითოეულ სოფელში რამდენიმე ეკლესია. ახლაც რომელიღაც მორწმუნეს ბავშვის თმა მოუტანია აქ და განრისხებულ ხატისათვის მიუერთმევია. მაგრამ ამ ბავშვს აღარ სჭირდება დღეს მისი მოწყალეობა: უკლასო საზოგადოების მშენებელთა დაუცხრომელი ენერჯია აქაც შემოიჭრა და დაუნდობლად უსრესენ თავს ურჩხულებსა და მის წიწილებს...

ლადიმ საყდრის კარი გამოაღო. ქარი ისეთი სიმძვრით აღარ უბერავდა. ბუნდოვანად მოჩანდა დაბლობში თოვლით შეზენიული სახლები.

ცხენს წინ გაუძღვა და სრიალ-სრიალით დაეშვა სოფლისაკენ.

IV



ხრამის პირად, ბეჭობთან ორი ფიცრული შენობა ედგა და მდებარეობდა ხელოდ, დადგეს შიგ შიდაწვის ძრავი, სახარატო და სამსჯღობის მსახურნი რამდენიმე გირაგი და ამ არეს უკვე სამეკანიკო უბანი დაერქვა.

ასალო გურგენიძე დღეს დილიდანვე აქ მუშაობდა და მოტორის რომელიღაც ნაწილს ასწორებდა. მეტად გამჭირიანი თვალი ჰქონდა ასალოს და მანქანას საათივით ააწყობდა ხოლმე, მაგრამ ახლა რატომღაც საქმე გაუჭიანურდა და გული მოსდიოდა, ბუზღუნებდა და იწყებებოდა. რამდენჯერმე გაიმეორა დღეს:

— დაიქცეს აქაურობა! არავითარი ხელსაწყო არ გამაჩნია და რითი უნდა ვიმუშაო!..

ახალგაზრდა ზეინკალი — სერგო ნიკურაძე ეხმარებოდა და მასაც ბევრჯერ შეუტია.

სერგომ კარგად იცოდა ასალოს ხასიათი და მის უსაფუძვლო მუქარას ღიმილით იგერიებდა, მაგრამ ბოლოს მოთმინების ძარღვი გაუწყდა.

— მომაწოდე, ბიჭო, ქანჩსალები! დაგიღია ხახა და მიყურებ გამოლენჩებულ მოზვერავით! — შეუბღვირა ასალომ.

— რა მოგივიდა დღეს, ბიძია ასალო? რაც უნდა გავაკეთო, ყველაფერს იწუნებ! შენ რომ საქმე ვაგიძნელდეს, იმისთვის ვარ მე გამოლენჩებული?.. ლანძღვა მეც კი ვიცი...

სერგოს სიტყვებმა კი არა, მისმა ხმამ, გულის სიღრმიდან წრფელის გრძობით დაძრულმა ხმამ გამოარკვია ასალო. ქანჩსალები გამოართვა, მოტორთან ჯიჯიკე ჩამოჯდა, ჯერ თავისთვის გაიღიმა ულვაშებში და შერე ღიმიამდგარი თვალები შეავლო სერგოს.

მოქანდაკეებს უყვართ ხოლმე ასეთი სახის გამოკვეთა: ფართო თვალები, მაღალი შუბლი, ოდნავ შემადლებული სწორი ცხვირი, გადაგლეხილი ღაწვები და მკვეთრად მოხაზული ნიკაბი. ტანმორჩილი იყო სერგო და ემჩნეოდა: ზრდა ჯერ კიდევ დამთავრებული არ ჰქონდა.

ასალომ რომ ღიმილით მოუხედა, სერგომ სახე აარიდა, თითქო სცხვენოდა თავისი გულნაწყენობისა.

— მართლა გაიბუტე, ბიჭო? — დარბილებული ხმით შეეკითხა ასალო. — მუშაობის დროს კაცი რას არ იტყვის, მაგრამ განა ამას ყურადღება უნდა მიაქციო?

— ეგ მეც კი ვიცი, მარა ყველაფერს საზღვარი აქვს... „გამოლენჩებული“, „უტვინო“, „ხახადალებული“... ბარემ უფრო მეტად გინებაც დაუმატე და ის იქნება!

— ჰაი, ჰაი, როგორ ვაამაყდა ახლანდელი ახალგაზრდობა!.. შენ ხელობას, ძამია, გინებას ვინ მაქმარებდა. როზგის მეტი არაფერი დამკლე-

— მშვენიერად მოწყობილი ყოფილხართ, არჩილ! ჩიტის ჩიქს მუტი არაფერი არ გაკლიათ. — გაიკვირვა ასალომ.

— ებას ნუ მიქცევთ, ბატონო ასალო, რა მოწყობაა ეს? — ეკითხებოდათ ძველი ღრო, ოთხ კაბეიკად ბამბასავით თეთრ პურს რომ იყიდით?

— თქვენ კი, როგორც სჩანს, არაფერს იკლებთ, მაშინაც კარგად ცხოვრობდით და ახლაც უზრუნველყოფილი ხართ.

— ამისთანა უზრუნველყოფას რა ვუთხრა მე! მაგრამ დავანებოთ ამას თავი. მოიწით სუფრისაკენ.

არჩილმა ღვინის ჭიქა კონიაკით აავსო და ასალოს მიაწოდა.

— აბა ნახეთ. ეს ზე საგანგებოდ მაქვს არჩეული. ერთი მეგობარი მყავს საწყობში და ის მიგზავნის.

ასალო დილიდანვე მეშობაში იყო გართული და ახლა კონიაკი რომ გადაჰკრა, მუტი სიმწვავით იგრძნო შიმშილი, გამალებით ილუკმებოდა ნამცხვრებსა და ყველს.

— კარაქიც შეაყოლე, ასალო ჩემო! აქ ასეთი სასტიკი ყინვებია, რომ კაცს გაძლიერებული კვება სჭირდება.

— ეგ მართალია, მაგრამ ვაზეთში რომ გისაყვედურებენ — მუშათა მომარაგებას საჭირო ყურადღება არ ექცევაო, რატომ გწყინთ ეს? განა მუშებს კი არ ესაჭიროებათ გაძლიერებული კვება?

— თქვენი არ მიკვირს, ასალო ჩემო! ეს ქვეყანა ასეა მოწყობილი და მე ხომ ვერ გარდავქმნი. — წამოიძახა სანებლიძემ და გადმოშალა თავისი გულის ნადები, თავისებური ენამკვეთობით გაჰკრა კბილი „ტემპებსა“ და „უკლასო საზოგადოებას“. ისე კი, მე რომ მკითხო, ასალო ჩემო, მე რომ აღარ ვიქნები, მერე ქვა ქვაზედაც ნუ დარჩენილა, წყალსა და მეწყერს წაუღია!..

ასალოს მუდამ ზიზღს ჰგვრიდა ეს უამრავჯერ გაცვეთილი ფრაზა, ეს ღორული მცნება, რომელშიაც ადამიანობის ნასახიც არ არის.

„მე თუ არ ვიქნებიო“... გაიძახოდნენ საუკუნეების მანძილზე მონათმფლობელნი და სისხლს სწოვდნენ შრომელთ, მუსრს ავლებდნენ ერთმანეთს.

„მე თუ არ ვიქნებიო“... გაკვირვს ახლაც ბურჯუაზია და სურს შეაჩეროს ცხოვრების ჩარხის ტრიალი.

„მე თუ არ ვიქნებიო“... იმუქრებიან სისხლმოწყურებული ფაშისტები და ცდილობენ ჩაახშონ აღმავალი კლასის საკაცობრიო მისწრაფება.

„მე თუ არ ვიქნებიო“... ბანს აძლევენ ყველა ქვეყნის მეშინები და ქვერწამავლებივით დაძვრებიან კაპიტალიზმის ჯურღმულეებში, იკბინებიან, ერთმანეთს შხამავენ...

ახლაც ვერ მოთმინა. სანებლიძემ რომ ჩაის ჭიქა ღვინით გუვსო, ერთი მოთქმით დალია, და:

— არ მეგონა, არჩილ, თუ თქვენც ასე გადაგვარდით. სომ გქონდათ ერთხელ კავშირი საზოგადოებრივ მოძრაობასთან? მაშინ, როგორ შეეძლოდით მაგ სიტყვებს?..

— ნუ მომაგონებ, თუ ძმა ხარ, ახალგაზრდობის ცოდვებს! — შეაწყვეტინა სანებლემ და ჭიჭა კვლავ ღვინით გაუვსო. — ასე რომ მეგონე ბოდა, ვიცოდი. მაშინ რასაც ვიზამდი.

ასალომ ეს მეორე ჭიჭაც გამოსცალა და შეატყო, რომ შეზარხოზდა. თუმცა შეიძლება კონიაკისა და ღვინის ბრალიც არ იყო, სანებლიძის სიტყვებმა ააგზნო და ქაბუჯური გატაცებით წამოიწყო:

— ეჰ, ვატყობ, მართლაც ზედმეტ ადამიანებად გადაიქცენ ზოგიერთები! ჭაობში არიან ჩაცეწილი, ტალახში ჭყუმპლაობენ და ირგვლივ ვერაფერს ხედავენ. არაერთარი პერსპექტივა არ გააჩნიათ და წარსულს ებლაუტებიან. თითქო თვალეები უკან აქვთ გამოზმული და წინ ვერაფერს ხედავენ. „სადმე რაიმე მოხდება, ვინმე რაიმეს მოიმოქმედებს“, — აი ესაა მთელი მათი ფილოსოფია, თვითონ კი დადიან და ბუზღუნებენ, არაერთარი შემოქმედებითი ენერჯია მათ გულში არ გაიფრქვება... საბჭოთა ქვეყანაში რომ უდიდეს გმირობასა და სიმამაცეს გამოიჩინეს რომელიმე მფრინავი, ირონიულად ჩაიციანებენ და იტყვიან: ეს რაა, ამერიკაში უკეთესი ბიჭები არანო. თქვენი არ ვიცი და, მყავს მე ისეთი რამდენიმე ნაცნობი, რომლებიც ცხრაას ხუთში იარაღით ხელში ებრძოდნენ თვითმპყრობელობას, მაგრამ ახლა რას აკეთებენ ისინი? არაფერს, ჭაობში არიან და იმისი უნარიც კი არ გააჩნიათ, რომ ისტორიის მიერ გადტრით დაყენებულ კითხვას უპასუხონ: კომუნისში თუ ფაშისში? ვისთან არიან, თუ ცოცხლები არიან?

არჩილი ნებანება სევამდა ღვინოს, ალმაცერად შეაველებდა ხოლმე ასალოს თვალს და სკეპტიკურად იღიმებოდა.

— თუმცა შესაძლებელია მათ უკვე მოსჭამეს თავიანთი დრო. — განაგრძობდა ასალო. — მაგრამ მაინც გული გეტკინება კაცს, როდესაც წარმოიდგენ თუ როგორ დაეცენ ისინი, დაჰკარგეს ისტორიული განვითარების შეგნების უნარი, და ეს უსიცოცხლო განწყობილება, ეს ჭაობის შხამი სწამლავს საზოგადოების ჩამორჩენილ ელემენტებს...

— ჰაი, შე ძველო, ძველო! — შეესიტყვა სანებლიძე. — მე მისაყვედურე გადაგვარება და მეგონია შენც საკმაოდ გამოცვლილხარ! მარა მოდი ჯერ ეს ჭიჭაც გამოვცალოთ...

ასალო მოწყურებულივით დაეწაფა სასმისს, ძირამდე გამოსცალა და მკისვე დააყოლა:

— სრულებითაც არ გამოვცვლილვარ მე! ისევ ისა ვარ, რაც ვიყავი. მხოლოდ ხანდახან გზა მეზნეოდა და...

— უყურე ერთი, ეს კიდევ თავისას არ იშლის! კაცო, მუდამ ასეთი დაუდევარი უნდა იყო შენ! თვითმპყრობელობას ებრძოდი, მენშევიკე-

ბის მთავრობა არ მოგწონდა, ხომ გახსოვს რომ ამბობდი, ეს მუშათა ინტერესების დამცველი მთავრობა კი არ არის, არამედ ბურჟუაზიის და მემამულეების, ბოლშევიკები რომ მოვიდნენ, პირველ საბჭოთა რევოლუციის და ახლა კი ვადმომდგარხარ და რალაც ჭაობზე და შხამზე ლაპარაკობ!

— ჭაობი და შხამია, აბა რა არის, როდესაც კაცი თავის ცხვირის წინ ვერაფერს ხედავს! უზარმაზარი საქმე კეთდება, ალორძინებისა და წინ-სვლის ცეცხლი ანთია ცხოვრების ყოველ კუნჭულში და ისინი კი წუწუნებენ! ტომას მორი ოთხი საუკუნის წინათ ოცნებობდა განახლებულ, პედნიერ კაცობრიობაზე, მარქსი და ენგელსი პროლეტარიატის ძლევამოსილებაში ხედავდა ამ ოცნების განხორციელების საფუძველს, თქვენ კი მიმდინარე დღეების დედააზრიც ვერ გაგიგიათ და, მგონი, არავითარი ოცნებაც აღარ გაგაჩნიათ! აი, რას ეუძახი მე ჭაობსა და შხორს...

სანებლიძემ პირქუშად შეათვალა ასალო, თითქო პირველად ხედავსო მას, თაფლისფერ თვალებში ანთებული სამეგობრო შუქი მყისვე ჩაეფერფლა და ცივად გაივლო გუნებაში: ამ კაცთან ზედმეტი გულანდილობა ზომ არ გამოვიჩინეო, რამდენი ხანია არ უსაუბრია მასთან ამ საგანზე და ახლა, ვინ იცის... მაგრამ არა, ასალო გურგენიძე ისეთ წრეში აღიზარდა, ისეთი ტრადიცია აქვს შესისხლხორცებული, რომ მისგან ეს მოსალოდნელი არ არის. თან კიდევ რალაც მოაგონდა, სასტიკად გაეღიმა და:

— იცი, რას გეტყვი, ასალო ჩემო! ოცნებაც კარგია და კაცობრიობაც, მარა რომელ კაცობრიობაზე ლაპარაკობ შენ? — წარბშერკმით შეეკითხა სანებლიძე და „პიროვნების თავისუფლებასა“ და „უამრავ მსხვერპლზე“ დაიწყო ლაპარაკი.

— მსხვერპლი! — წამოიძახა ასალომ და სახე ქაბუკივით აეგზნო, დიდრონი თვალებიდან თითქო ნაპერწკლები გადმოაფრქვია. — სად ან როდის მომხდარა დედამიწის ზურგზე, რომ რაიმე დიდი საქმე უმსხვერპლოდ გაკეთებულიყოს! განა ბურჟუაზიულმა რევოლუციებმა ნაკლები მსხვერპლი შეიწირეს? განა ჩვენ რომ თვითმპყრობელობას ვებრძოდით, მაშინ კი არ იღუპებოდნენ ათასობით მებრძოლი? ახლა განსხვავება ისაა, რომ მჩაგვრელი კლასი განადგურდა. პროლეტარიატის მტრები ისპობიან. ამას უძახი შენ მსხვერპლს? წყალსა და მეწყერს წაუღია, ვინც სოციალიზმის საქმეს წინ ეღობება! მხოლოდ ქრისტეს სამოსში გამოხვეული ბებერი მგლები — მაკდონალდები და სნოუდენები ცდილობენ მოატყუილონ მუშები, თითქო ბურჟუაზია, კბილებამდე შეიარაღებული კაპიტალისტები უსისხლოდ და მამა-შვილურად დასთმობენ თავიანთ ბატონობას. ისინი — ეს ქრისტეს მიერ მირონცხებული ფარისევლები სხვის თვალებში ბეწვს დაეძებენ და თავიანთ ქვეყანაში მილიონობით უმუშევრებს ვერ ხედავენ, არც კოლონიალური ქვეყნების მშრომელთა გმინვა ესმით, არც კაპიტალიზმის მიერ გასრესილი უამრავი მსხვერპლი ნიშ-7. „მნათობი“ № 3

ნავს მათთვის რაიმეს, ოღონდ ბურჟუაზიას ხელს ნუ ახლებ, რევოლუციურ ბრძოლას ნუ გააჩალებ. აი ამათ კვალს მიჰყევებ, მანამ შენს ქორებს ალბათ ის ხალხი, რომლებზედაც მე ვსთქვი, რომ „ქაობში“ უკან დაშვამს აერცვლებენ-მეთქი... ჰო, შენ კიდევ პიროვნების თავისუფლება და კერძო ინიციატივა ახსენე. არსად და არასოდეს პიროვნება ასე ხელგახსნილი არ ყოფილა, ოღონდ საზოგადოებრივი საქმე აკეთოს, ოღონდ სოციალიზმს ემსახუროს. ქება და ღიღბა მის, თუ ამ ასპარეზზე მეტ ინიციატივასა და უნარს გამოიჩენს! იმათ კი, ვისაც ეს ინიციატივა და თავისუფლება იმისთვის სჭირდება, რომ სხვების ტანჯვასა და უბედურებაზე თავისი ბედნიერება ააგოს, ნურას უკაცრავად და, საბჭოთა ქვეყანაში გასაქანს არავინ მისცემს.

არჩილს თითქო მადა ახლა მოუვიდა, სანამ ასალო ლაპარაკობდა, ყბა არ გაუჩერებია, მხოლოდ ხანდახან ჩაიციინებდა თავისთვის ცივად-მიუკარებლად ჩაიციინებდა. ბოლოს ჭათმის ბარკლის ძვალს ტვინი გამოწუწუნა, ღვინო დააყოლა და ხმამაღლა გადიხარხარა.

— რას არ შეეწყრება კაცი ამ დალოცვილ ქვეყანაზე! ზა, ზა, ზა... კაცო, შენ დღეს ხომ არ დაიბადე? ვაგონილა სადმე ასეთი მეტამოფოზა? არც ის მინახავს, კაცი რომ თავის თავს ასეთი გატაცებით ედავებოდეს. მსხვერპლი რა არისო, ბურჟუებს ესპობთ და ვანადგურებთო. ჰა, ჰა, ჰა... ასალო ჩემო, მე შენი სიტყვები მოვაგონე და შენ კი ასე ცხარედ დამესხი თავს...

კვლავ თავშეუკავებლად გადიხარხარა სანებლიძემ და გამკილაფი შუქით გაბრწყინებული თვალები შეანათა ასალოს.

არ შეუმჩნევიაო თითქო ასალოს სანებლიძის მოზეიმე ხარხარი, ოდნავი ჩრდილი, მოგონებათა სიღრმიდან გადმოჭროლილი ჩრდილი გადაველო მხოლოდ სახეზე და:

— არ ვიცი, შეიძლება მართლაც ხელმეორედ დავიბადე, მხოლოდ მშობიარობა კი კარგახანს გრძელდებოდა... ასეთი ამბავი უცებ არ ხდება. ახალი თვალებია საჭირო, ძლიერი და შორსმჭვრეტელი თვალები, რომ მზის უჩვეულო ბრწყინვალეობას გაუძლოს. ისე კი რამდენი ღორმუცელაა ამ ქვეყანაზე, რომელიც საკუთარი კუჭის მეტს ვერაფერს ხედავს...

„როგორ საძვგლად იკბინება დღეს ეს კაცი? მართლაც ერთობ შეეტობე“. — გაიფიქრა სანებლიძემ და მყისვე კილო შესცვალა, მეგობრული გამომეტყველება მიიღო და ტკბილად სთქვა:

— ყველაფერი გულთან კი არ უნდა მიიტანო, ასალო ჩემო! შე ისე, ზუმრობით მოვაგონე შენი სიტყვები. განა არ ვიცი, რომ მას შემდეგ ბევრი რამ გამოიკვალა!.. ჰო, რისი თქმა მინდოდა?.. მართლა, შენ ხომ კარგად იცნობ აქაური ვაზეთის რედაქტორს, გაგებული მაქვს, რომ შენი

განსაკუთრებული ხათრი აქვს. ჰო — და, უთხარი, აუხსენი ერთი, თუ ძმა ხარ, რომ ასე მუშაობა არ შეიძლება, დამანებონ ფუფუნება გასაქანი მომცენ...

გიგლიძის

V

ღამდებოდა, ასალო რომ სანებლიძის ბინიდან გამოვიდა.

გომურებიდან ამომავალი კვამლი თეთრი ნისლივით ეფინებოდა ბარმაქიზს.

არც კი შეუმჩნევია, ფეხქვეშ რომ შეყინული თოვლი აჩხრიალდა, საკმაოდ შეზარხოშებული იყო და თავის თავზე ზული მოსდიოდა.

აი თურმე რისთვის გაუმასპინძლა სანებლიძე დღეს ასე გულუხვად! რედაქტორს მოელაპარაკეო! კარგად იცის ასალომ, თუ რისთვის სჭირდება არჩილს ეს ხელგახსნილობა და, პირადი ინიციატივა კი არა, გამორჩენა. მერე ვის ხარჯზე? ახალი ცხოვრების მშენებლებს უნდა წაგლიჯოს ლუკმა!

— აი დედასა, ცუდათ ყოფილა შენი საქმე, ბიჭო ასალო, თუ ასეთი ვაებატონები თავის თანამოაზრედ გთვლიან და მოსაჭრთამავად გაპატიებენ! შენც ხომ ჭაობში ყოფილხარ და სხვას რაღას უსაყვედურებ!.. არა, ეს შეუძლებელია! — ხმამაღლა ჩაილაპარაკა ასალომ და კვლავ თავის თავს შეუტია:

— ვინ გიბედავს ამას? ღორმუცელა სანებლიძე? სხვისი ხელით უნდა გამოაცხოს გემრიელი ხაჭაპური და თავის ღამაზე ცოლს მიართვას... ჰო, მართლა! იმ ქალის ბნელი ამბავი ხომ ვიამბეს ერთხელ? შეიძლება სრული სიმართლე იყოს, სანებლიძისაგან ყველაფერი მოსალოდნელია. შენ კი დიდ იღვებზე ედავები, მგელს სახარებას უკითხავ, კედელზე ცერცვს აყრი. ჰაი, ჰაი, საიდან სად ჩამოსულხარ, ბიჭო ასალო! ახია შენზე, როგორ ბოროტად ხარხარება, შენი სიტყვები რომ მოგაგონა...

მიდიოდა და იმუქრებოდა... თბილი ქურჭი გახსნილი ჰქონდა, მაგრამ სიცივეს არ გრძნობდა, არც ყინვისაგან შეორთქლილი უღვეშები აწუხებდა, მხოლოდ ცრემლით გადაბინდული თვალი კი მოიწმინდა და ირგვლივ მიმოიხედა.

თეთრად გადაფიჭველ სოფელს კვამლის თეთრი ნისლი ებურა და ამ ნისლში ქალის ნაცნობი სახე ამოტივტივდა, თითქო ვისიღაც უხილავმა ხელმა ცამდე აწვდილი ფარდა იღუმალი შრიალით გადახსნა და ასალოს სევდიანი ღიმილით შემოაშუქა ელენეს ფართო თვალებმა.

რამდენი ხანია ესოდენი სიცხადით არ ზმანებია ეს საყვარლო სახე, რამდენი ხანია გრიგალივით გადავილიმა წლებმა დაჩრდილა იგი და ახლა საიდან ამოსცურდა ამ საღამოს ბინდში!..

ან-და, იჭნება მოხდა სასწაული და ასალო გურგენიძე ნაკელის სუნით გაქვნილი კვამლით დაბურულ ბოჩქაშიში კი არ იმყოფება, ათას

ცხრაას ოცდა ოთხმეტი წლის ზამთარი კი არ არის ახლა, არამედ ათას ცხრაას ცამეტი წელია და ასალო ციმბირიდან მოიპარება სამშონლოსაკენ, უსაზომო სიხარულით უტოკავს გული, საპატიმროებს კი თვით დააღწია და ფეხებზე რკინის ბორკილები აღარ ეტარუნებს. აი მაშინ, დაბურული ტყიდან გასასვლელი ბილიკი რომ იპოვნა და მშრალი თოვლით გადაფიქვულ ველზე გავიდა, სწორედ ასეთივე სიციხადით წარმოუდგა ელენეს მთაღერსე სახე, ერთ წამს შესდგა ბედნიერებისაგან ელდადაცემული, ხოლო შემდეგ ვეფხევივით მოწყვეტით გადახტა, ფრთებშესხმულივით განაგრძო გზა და სიმღერა წამოიწყო...

საოცარია, რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, ასალო უკვე აღარ არის ის ტანწერწეტი და თმაბუჭუჭა ქაბუკი, ნაბიჯიც დაუმძიმდა და ქალარაც მოერია, ხოლო ელენე კი არ შეცვლილა, ისეთივე მიმზიდველი იერი გადატყენია შავგვრემან სახეზე და ფართო თვალებიც შუქანთებულ წყაროსავით უკამკამებს... თუმცა არა, ის უზადო სიხარული აღარ სხივოსნობს ახლა მის ლამაზ თვალებში, უძირო ზღვასავით დაუშრეტელია თითქო ეს სევდიანი ღიმილი და ასალომ იცის, კარგად იცის, რომ მასში სიკვდილივით გარდაუვალი საყვედურიც არის ჩაქსოვილი...

ახ, ნეტავი არ გამოქვეულიყო მაშინ ციმბირიდან! მხოლოდ სამ თვეს გაგრძელდა მათი ბედნიერება: ასალო ვილაცამ გასცა და კვლავ კატორღაში გაისტუმრეს. ჩვილბავშვიანი ელენე კი ტფილისში დაიღუპა. ასალო მეტეხის ციხეში ეგულებოდა და სანახავად წამოსულიყო, მაგრამ ველარ ჩაესწრო. გზაში სახადო შეყროდა და საავადმყოფოში გადაცვლილიყო.

ბავშუს რაღა მოუვიდა?

მხოლოდ ერთხელ საპატიმროში მოჰკრა თვალი ასალომ ზეწარში გახვეულ ჩვილ გოგონას; რკინაბანდის ორმაგი ბადე იყო აღმართული მათ შორის, მაგრამ მაინც შეამჩნია, რომ დედას ჰგავდა საესებით.

რევოლუციის შემდეგ კატორღიდან რომ დაბრუნდა, მაშინ გამოირკვა, რომ ბავშვიც ტფილისშივე დაღუპილიყო უპატრონოდ. ან-კი რა გადაარჩინდა ექვსი თვის ბალანას საავადმყოფოში, სადაც ომში დაჭრილი ჯარის-კაცების ტევა არ იყო? ასალოსა და ელენეს ნათესაებმა კი ერთობ გვიან გაიგეს თურმე სოფელში ეს ამბავი. ტფილისში რომ ჩამოვიდნენ, ელენე უკვე დასაფლავებული იყო...

და ახლა რაღად გარინდულა აქ ობოლ ყმაწვილივით ეს ორმოცდა ათი წლის კაცი და ცრემლჩამდგარი თვალებით გაჟურებს კვამლის ნისლით დაბინდულ სივრცეს? ის ნორჩი ბავშვი მაინც შერჩენოდა, რომ არ ჩამჭრალიყო ელენეს ფართო თვალები, ახლა რომ ესოდენი სიციხადით ეზმანა!

რამდენიმე წლის წინათ ქუთაისში გაიარა გზად და მაშინ სწორედ ასევე მოელანდა. თითქო თვალი მოჰკრა ფილაქანზე გოგმანით მიმავალ ცქრიალა გოგონას; მხოლოდ ერთხელ მოუხედა მას ამ უცხო ქალიშვილ-

მა და მყისვე შესდგა, გაშეშდა ასალო. ო, ის თვალეში! სუთუ შეხედლებელია საფლავში დაფერფლილ ადამიანის სახე უცვლოვლად აღსდგეს, სრულებით არ დაჰკარგოს თავისი იერი და იმავე თვალეში შეხაროდეს ქვეყნიერებას?

არა, უთუოდ მოეჩენა ასალოს, თუმცა, როგორც კი გამოერკვა, მაშინვე აედევნა იმ უცხო ქალიშვილს, მთელი ქუთაისი შემოიარა, ყველა დაწესებულებაში შეიხედა, სკოლებიდან გამოსულ ახალგაზრდებს უთვალთვალა, მაგრამ მის კვალს ვეღარ მიაგნო.

ერთობ მწვავედ განუახლდა მაშინ ძველი სევდა და გულჩათხრობილი დაბრუნდა ტფილისში...

დღეს კი რაღაა თუ კი სანებლიძეები თავიანთ ტოლად და ამხანაგად სთვლიან?

— ჰაი, ჰაი, ბიჭო ასალო, საიდან სად ჩამოვარდნილხარ! — კვლავ ხმაძალა ჩაილაპარაკა თავისთვის და ცრემლით დანამული თვალეები მოიწმინდა.

— რა მოგივიდათ, ბიძია ასალო, თვალეებში ხომ არაფერი ჩაგვივარდა? ეს ლადი იყო, ინჟინერ ბაგრატ თეხელის ბინიდან გამოვიდა და თემშარაზე გარიხდული ასალო რომ დაინახა, მყისვე მისკენ გაეშურა.

— ახ, ლადი, შენა ხარ?.. ვბერდები როგორც ვატყობ, თვალეები ყინვას ვეღარ უძლებს და ცრემლი მომდის.

— რა დროს თქვენი დაბერებაა ჯერ! — თანაგრძნობით უთხრა ლადიმ და მკლავში ხელი გამოსდო. — თქვენ კიდევ მოესწრებით მსოფლიო რევოლუციას... წაეიდეთ ოთახში და ვახშმის სამხადისს შეუდგეთ, თორემ ამ ჩვენს სასადილოს ხომ არაფერი ეშველა, რამდენი ხანია ვგვირდებიან, მაგრამ სანებლიძისაგან მგონი არაფითარი სიკეთე არ გამოვა.

— რატომ? თუ რაიმე მორჩა, არ დაიშურებს.

— როგორ თუ მორჩა? მის კმაყოფაზე ხომ არ ვართ? ცოტა ხანს კიდევ ვუყურებ და მერე მე მკითხე მაგისი პატოვისცემა.

— რას უხამ, ვაზეთში ხომ გასწერეთ და...

— ვაზეთს საქმეც მოჰყვება. აქ უკანტროლოდ თარეშის ნებას არავის მიეცემთ.

— ეჰ, ჩემო ლადი! ახალგაზრდა ხარ ჯერ შენ და არ იცი, თუ ასეთი ტიპები როგორ აქაზარაყებენ საქმეს. გაძერება-გამოძერება და ბოლოს მინც შშრალზე გამოვა.

— ვერსად ვერ გაძერება. საბჭოთა ხელისუფლებების თვალეებს ვერაეინ დაემალება, შენ არხეინად იყავი, არ არსებობს ისეთი ნილაბი, რომელიც ჩვენი მშის სხივებს გაუძლებდეს. ჩვენი მზე ხომ სხვა მზეა, დიდი, საკაცობრიო მზე... ჰო, მე ერთი მეგობარი ქალიშვილი მყავს, ახლა საფრენოსნო სკოლაში ემზადება და იმან მითხრა ერთხელ — ჩვენი ფრთები

სხვა ფრთებიანო, მას ხომ ყველგან ბედნიერება და თავისუფლება/მიაქვსო. და განა მართალი არ არის ეს?

— ნეტავი შენ, კარგი მეგობარი გყოლია თუ ასეთი ძალიან მისწრაფებითაა გამსჭვალული! — თითქო თავისთვის ჩაილაპარაკა ასალომ და გულზე მოეშვა. მეტად თბილი და მშობლიური თანაზიარობა იგრძნო ამ ჭაბუკისადმი, რომელმაც თავისი ახალგაზრდობა მოაგონა. თან განცვიფრებით ახედ-დახედა ლადის, თითქო პირველად ხედავსო, და:

— ვინ არის ის ქალიშვილი, ასეთ სახიფათო დარგში რომ გაუბედნია მუშაობა?

ლადის სახე ოდნავ წამოეფაკლა, ტუჩებზე ღიმილმა გადაუელვა და უნებლიედ წამოიძახა:

— ო, დიდი შეუპოვარი ქალია ნათელა!.. ჰო, თქვენ მეკითხებით — ვინ არისო. ერთი ობოლი გოგონა იყო. ჩვენს კომკავშირში აღიზარდა. დედამისი შეძლებული ვაჭრის ქვრივი ყოფილა, რევოლუციის წლებში გადაცვლილა და მისი ქონება ნათესაებს დაუტაცნიათ: აი, მივალთ ოთახში, მე მისი სურათი მაქვს და გიჩვენებთ.

— სურათიც გაქვს? — გაიკვირვა ასალომ და ლადის მხარზე ხელი დაკრა. — აი, შე ეშმაკო!

— რამდენიმე ამხანაგმა გადავიღეთ, ერთად ემუშაობდით კომკავშირში. — თითქო თავის გასამართლებლად უპასუხა ლადიმ.

მაგრამ ასალომ ხომ იცის: რამდენადაც ალაღმართალი და გულახდილი არ უნდა იყოს ადამიანი, სიყვარულს შინაც ადვილად არ გაამხელს: მეტად სათუთი გრძობაა იგი, გულის სიღრმეში თრთის და ენთება მზისაგან აჩქროლებულ სისხლივით; მარტოდენ ორ წყვილ თვალში გამოკრთება შექვი იღუმალი და რაღა საჭიროა მაშინ სიტყვა, რომელიც ვერასოდეს ვერ დაიტევს უამრავ ვარსკვლავების ოდენა ელვარებას.

მცირეოდენი დუმილიც კი საკმაო იყო, რომ ლადის უხერხულობა ეგრძნო და საუბარი სხვა საგანზე გადაიტანა:

— ჰო, სანებლიძეზე ელაპარაკობდით ახლა... მე ერთ ამბავს მოგვამრი ყური და ნეტავი თუ მართალია?

— მისი ცოლის ამბავი ხომ არაა?

— სწორეთ ეგ არის. თქვენ უფრო დაწვრილებით გეცოდინებათ.

— ბნელი ისტორიაა. კაცმა არ იცის, მართალია თუ არა, თუმცა, როგორც ვატყობ სანებლიძისაგან ასეთი რამ გასაკვირველი არ უნდა იყოს... ამბობენ, სანებლიძეს ერთი ახლო მეგობარი ჰყავდაო, მასავით კომერსანტი, კოოპერატორი თუ კომბინატორი. ამ კაცს ლამაზი ცოლი ჰყოლია და სანებლიძეს მოსწონებია. შემდეგ რაღაც სისხლის სამართლის საქმეში გახვეულან ორივენი, მაგრამ სანებლიძეს ისე წარუმართავს საქმე, რამ მთელი ბრალდება თავის ამხანაგს დააკისრა თურმე და თვითონ გამოძერა. ის კაცი დიდი ხნით გადაუსახლებიათ და ქალიც სანებლიძეს

დარჩენია... შეიძლება კორი იყოს. თუ მართალია, ალბათ, ქალსაც ასე უნდოდა, თორემ ძალით ხომ ასეთი საქმე არ გაკეთდებდა.

— როგორც არ უნდა იყოს, სანებლიძე მე მაინც საეჭირო-ჭირფრებად მიმაჩნია...

გ. მ. ლ. მ. მ. მ. მ.

— საეჭირო პიროვნება! — თითქო თავის თავს გბესაუბრა ასალო. — იცი რა, წინათ მაგ სიტყვებს რომ გავიგონებდი, გულზე თითქო შხამი გადამეველებოდა. რატომ? იმიტომ, რომ მეტ ნდობასა და პატივისცემას მოვითხოვდი ადამიანისადმი. ყოვლად დაუშვებელია-მეთქი, ვამბობდი, ადამიანის სულში ხელის ფათური. მაგრამ ახლა რომ ვუკვირდები, მართლაც ერთობ დიდი სიფხიზლე ყოფილა საქირო. ხუმრობა ხომ არ არის, უზარმაზარი ბრძოლა სწარმოებს, კაცობრიობაში უნდა აღმოიფხვრას ბარბაროსობის ნაშთები. შენ გგონია, თანამედროვე კაპიტალისტური ქვეყნების ბურჟუაზია და მისი ხელისუფლება დიდათ განსხვავდება ველურებისაგან? პირიქით, პირველ-ყოფილი ადამიანი უფრო პირდაპირი და გულმართალი იყო, უსასტიკეს პირობებში იბრძოდა არსებობისათვის და შხოლოდ თავისი მკლავების ძალას ემყარებოდა. არა, ისტორიულ განვითარებასა და ტექნიკის მიღწევებს კი არ ვუარყოფ მე, ადამიანთა ურთიერთობის' პრინციპზე ვლაპარაკობ, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა მაქვს მხედველობაში. აი ეს უნდა მოისპოს და ვინც ამისათვის იბრძვის, მას აღმასივით მახვილი თვალები უნდა ჰქონდეს.

ლადიმ შეატყო: ასალო რალაც არაჩვეულებრევი გამძაფრებით ლაპარაკობდა ამ საღამოს. შეიძლება საღამოს სუსხის ბრალი იყო, სახე რომ ასე წამოგზნებოდა და დიდრონი თვალების ირგვლივ ნაოჭები აღარ ემჩნეოდა.

— როგორც ვატყობ, კარგ ფეხზე ამდგარხართ დღეს, ბიძია ასალო!

— ვითომ რა, წინათ ცუდ ფეხზე დავდიოდი თუ?

— არა, ცოტა მარჯვნივ გიყვარდა ხოლმე გადახვევა. — გვებუშრა ლადი.

— იცი რა, ნათქვამია, — იმერული ხუმრობა ნახევარი მართალიაო, მაგრამ მოდი ერთზე შევთანხმდეთ: მგლებმა დასტამოს ის ფეხი, რომელიც პირდაპირ სიცილიზმისაკენ არ მიდიოდეს.

— ამინ. — სიცილით უპასუხა ლადიმ.

ოთახში რომ შევიდნენ და ღუმელში ცეცხლი ანთეს, ლადიმ თავისი ჩემოდანი გახსნა და ფოტოგრაფიული სურათი მიაწოდა ასალოს.

სანათის შუქთან მიიტანა მან ეს სურათი და საზაფხულო სამოსში გამოწყობილმა ხუთმა ახალგაზრდამ ბედნიერი ღიმილით შეანათა სხივჩამდგარი თვალები.

ხელები აუთრთოლდა, სქელი წარბები მალლა ასწია, გაშეშდა და...

რა მოუვიდა დღეს ასალოს? ზმანებათა ქსელში ხომ არ ვაეხვია, რომ აქაც, ამ სურათზეც ახალგაზრდა ელენეს სახე მოეჩვენა? განა ასევე არ

გამოიყურებოდა ის, მაუხერით შეიარაღებულ დევნილ ასალო რომ შემოეფეთა ფერდობზე? შორეული მთებიდან ჩამოიპარა მაშინ ასალო სოფელში; დილის მზე ჯერ კიდევ გორს ეფარებოდა და ეფერებოდა ელენე ძროხას მიდენიდა საძოვარზე, წარმტაცად მიგრჩქმანებდა კუპრიან მოღზე. ასალო რომ დაინახა, აღერსით შეაშუქა ფართო თვალები და სწორედ ისეთივე კდემით გაეხსნა ალისფერი ტუჩები, როგორც ამ ჯადოსნურ სურათზე იღიმება ახლა ეს უცხო ქალიშვილი. ნუთუ შესაძლებელია ასეთი მსგავსება? თუმცა... ელენეს მაშინ ძველი ჩითის კაბა ეცვა, ამას კი—გულამოჭრილი თეთრი ხალათი, ელენეს გრძელი ნაწნავეები ჰქონდა, ამას — მოკლე კულულები, ლამაზად დაბუჭებული. აი ეს ნიკაპიც და ტუჩების ნაკვთებიც ოდნავ განსხვავდება, მაგრამ ესეც ხომ რაღაც მშობლიურ იერსა ჰფენს ამ სანატრელ სახეს!..

ან არა და: რკინის ორმაგი ბადე საპატომროში; აცრემლებული ელენე და ზეწარში გახვეული ჩილი ბავშვი... მაშინ ხომ პირველად და უკანასკნელად შეავლო თვალი ასალომ თავის პირმშოს... არა, შეუძლებელია! ეს ხომ ზმანებაა! თუ არა და, განა არ მომხდარა, რომ ადამიანი ადამიანს დამსგავსებოდეს? რა საჭიროა ახლა ძველი წყლულების განახლება?..

— თქვენი ნაცნობი ხომ არაეინაა ამ სურათზე?

საღდაც შორს, ძლიერ შორს დაირხა თითქო ლადის ხმა და ზმანებას ჩრდილი ვადაეფინა.

სურათი მაგადაზე დასდო, თვალებზე ხელი მოისვა და იქვე სკამზე ჩამოჯდა.

— უთუოდ ვილაც იცანით ამ ჩემს მეგობრებში, თორემ ასე დიდხანს რატომ უყურებდით?

— არა, დღეს რაღაც თვალზე ბინდი მეფარება — ჩავარდნილი ზმით უპასუხა ასალომ. — თუმცა აი ეს ქალიშვილი — ოჰ, როგორ საოცრად ჰგავს! — ერთ ჩემს მეგობარს ქალს მაგონებს.

— ეს ხომ ნათელაა!

— ნათელა?.. შენ ხომ წელან მიაშე — შეძლებული ვაჭრის შვილია, შემდეგ ობლად დარჩა და ახლა საფრენოსნო სკოლაში ემზადებაო... მე კი... საოცარია! რამდენი რამ მეორდება ამ ქვეყანაზე? არა, შეიძლება კი არ მეორდება, მაგრამ რამდენი მსგავსებაა განვლილ და ახლანდელ სახეთა შორის? საერთოდ ხომ ადამიანისა და ცხოველის მოდგმა მოდგმასა ჰგავს. მე ამაზე კი არ ვლაპარაკობ, არა ადამიანის განსაკუთრებული ინდივიდუალური იერი, თვალების გამომეტყველება, ღიმილი და წარმოიდგინე ხმაც კი მეორდება ხოლმე, თაობიდან თაობაში გადადის... მაშინ რაღა კვდება? ჰაი, ჰაი, იცი, ბიჭო, რამზელა ნუგეშია ეს?

— ბიძია ასალო, თქვენ ამ საღამოს ფილოსოფიაში გადავარდით! — ღიმილით შეესიტყვა ლადი. სურათი აიღო, რამდენიმეჯერ მოწყურებული თვალი გადაავლო იდუმლად და ჩემოდანში შეინახა *შეინახა*.

— მერე რა, ფილოსოფია გვაწყენს თუ? გვაწყენს *იმის* თუ რწმენა, რომ ჩვენ საეცებით არ ვჭრებით ამ ქვეყანაზე, რომ რჩება და სოციალიზმს ჩვენი სახე, ჩვენი ნაამაგარი, ჩვენი ბრძოლის ნაყოფი? რატომ ვაშენებთ ჩვენ ამ თათრებისა და ლეკების მიერ გაპარტახებულ ქვეყანაში უდიდეს სადგურს, რატომ ვსაბოთ კლასობრივ მტრებს და ყველა მუქთახორას, რატომ ვავითარებთ ახალ, სოციალისტურ კულტურას? იმიტომ, რომ კარგად ვიცხოვროთ და, რაც უმთავრესია, ჩვენზე უფრო კარგად და ბედნიერად იცხოვრონ ჩვენმა შვილებმა... აი, შენი და ნათელას შვილებმა! — ეშმაკური ღიმილით დაუმატა ასალომ.

— აჰ, ნათელა რა შუაშია! — გაიკვირვა ლადიმ და შეისვე სახე შეფაკლა.

— პატ, შე თათარო! შენ გამომაპარებ, ბიჭო, მე რამეს? მართალია სიმერე მომიახლოვდა, ხანდახან თვალეზეც ბინდი მეფინება, მაგრამ იმდენი ცეცხლი კიდევ მაქვს, რომ შენი საიდუმლო ვააშუქოს.

— არავითარი საიდუმლო არა მაქვს მე. — უბასუხა ლადიმ და უნებლიედ გაეცინა. თან სიტყვა ბანზე აავლო:

— ფილოსოფიაზე ლაპარაკობდით თქვენ ახლა. ფილოსოფოსების უმრავლესობა სკეპტიკოსები და მისტიკოსები არიან. ამაში მე უნივერსიტეტში რომ ვსწავლობდი, მაშინ დაერწმუნდი.

— მერე, ვერ მოსცხეთ მაგრად? ჭირივით მეჯავრება — კაცი რომ გამოყვეჩდება და მედიდურად გაიძახის — ამაოება ამაოებასა შინაო. არა, ბიძია, გარდამავალი კლასის შვილებმა იწუწუნონ არარაობაზე. უფსკრულისაკენ მიექანებიან და იმდენი გამბედაობა აღარ გააჩნიათ, რომ დაინახონ, თუ როგორ ძლევაგმოსილებით მოიმართება ახალი კაცობრიობის შემომქმედი კლასი. პროლეტარიატის ფილოსოფია კი მუდამ ობტიმისტური იყო და იქნება...

ამხანაგები რომ დაბრუნდნენ სამუშაოდან და ვახშისათვის სამზადისს შეუდგნენ, ასალო თავის ლოგინზე მიწვა და თითქო შორიდან ადევნებდა თვალს, ფიქრი რომ ფიქრს იწვევდა. სწორედ ისე, თამბაქოს იისფერი კვამლი რომ დაიკლავნება ფანჯრიდან შემოჭრილ მზის შუქში და ნაირნაირ რკალებად დაიწყებს ტრიალს. მთავარი მაინც იმ ჯადოსნურ სურათზე ზმანებული გოგონა იყო და საოცრად ნაცნობი ღიმილით ანთებულ თვალები... ეს ლადიც უთუოდ კარგი ბიჭია, რაკი ასეთი სატრფო ჰყოლია. სული სულს იცნობს... არც სიღარბაისლც აკლია და არც სიმტიცე... ამას უთუოდ აქვს რაღაც ახალი, უფრო მაღალი თვისება, მის თაობას რომ აკლდა. მაინც რა? მის ხელობას ასალო ბუნდოვნად ხედავდა ახალ ცხოვრებას, იცოდა — არსებული უნდა დანგრეულიყო,

მაგრამ ნათლად არ ჰქონდა წარმოდგენილი თუ შემდეგ რა ექნებოდა. ლადიმ კი იცის, რას და როგორ აშენებს, იცის და ყოველი დაბრკოლება ახალ ენერჯიას ჰბადებს მასში...

— ბიძია ასალო, მობრძანდით, ჩაი მიირთვიეთ! *პიპიპიპიპიპი*

ლადის ხმაა ეს და ასალომ იგრძნო, რომ ამიერიდან ეს ხმა მუდამ მოაგონებს საოცრად ნაცნობი ღიმილით ანთებულ თვალებს.

— დღეს სანებლიძე ისე გულუხვად გამიმასპინძლდა, რომ მგონი ზღმეტიც მომივიდა.

— რა ვიცი რა, ჩვენ კი ერთი ზერიიანი სასადილო არ გვაღირსა იმ ოჯახ აშენებულმა! — გულნატკენად ჩაილაპარაკა დავით ტვილდიანმა და ლადის საყვედურით გადახედა.

— ნუ გეშინიათ, ბიჭებო! ხომ ზედავით, ეს ზამთარიც მიდის. სტანდარტული სახლების მშენებლობა მთავრდება. მალე კარგი ბინებიც გვექნება, კლუბიც და სასადილოც. ჩამოიყვანე მაშინ შენი მეუღლე და თუ გინდა საკუთარი მეურნეობაც მოაწყვე.

VI

ივანშემს. ლოგინი გაშალეს. ლადი კვლავ მაგიდას მიუჯდა და ნახაზებს ათვალერებდა. ნიკომ ძველ გაზეთს გადახედა.

გარეთ თოვლი იყო, ძაღლების ყეფა და გრძელი ლამე.

— რავა მიცვალებულის ჭირისუფლებივით დაღუძლით ყველა! — წაწოიძახა ვასომ. — ე, კაცო, თქვით რამე!

— რაც ქვეყანაზე ცხრათავიანი დევი იყო და ხელმწიფე, ყველას ამბავი მოგიყვებით. — გამოეხმაურა დავითი. — მოდი ამ საღამოს ასალომ შეიწუხოს თავი.

— მართლა, ბიძია ასალო, გვიანზე რამე!

მეტად დატვირთული იყო ასალო დღევანდელი განცდებით და ახლა უცებ შეისხეს ფრთები მოგონებებმა; შორეული სიღრმიდან დაიძრა თითქო მკრთალი ნისლი, დაიძრა და აელვარდა იმ ჯადოსნურ სურათზე ზმანებულ ღიმილივით, სწორედ ისე, ჩასული მზის მეწამული სხივი რომ აენთება ცისკიდურზე დაყუდებულ ღრუბლების კოშკში.

— ერთი ყმაწვილის თავგადასავალს მოგიყვებით. — შთაგონებულივით დაიწყო ასალო. — დედისერთა იყო და ნოდარი ერქვა სახელად. ცელქი იყო და მკვირცხლი, როგორც ყოველი ბავშვი, მაგრამ გარდა ამისა, უყვარდა განმარტობა და ფიჭრი ცისა და ქვეყნის ამბებზე, თუმცა ეს ფიჭრი, თუ ოცნება კავკასიონის ქედს იჭით ველარ აღწევდა, იქ რომ ღრუბლების ქარავანი დაირაზმებოდა, ეგონა, ქვეყნის დასალიერიდან ამოდისო. მაინც უსაშველოდ დიდი იყო ეს ქვეყანა და ნოდარი განცვიფრებით აღევნებდა თვალს საღამოს რომ ცას ვარსკვლავი მოწყდებოდა, დაიხურავდა უჩინ-მაჩინის ქედს და უფსკრულში გადაეშვებოდა. სულ პაწია კენჭის ოდენაც

კი არ გამოეჩნდები ამ ქვეყანაზეო — ფიქრობდა ნოდარი. — მეტად შიში მაინც არაფრისა ჰქონდა; დედა რომ ძროხის მოსადენად გაგზავნიდა სალამოს, კრიმანჭულით ჩაივლიდა მაღალი ხევის პირად და მწვერთი ტინკა ვერ გაბედავდა ბილიკზე თავის ამოყოფას. მხატვრობის კაცის ეშინოდა ნოდარს და ეს იყო მისი მეზობელი, აზნაური ესეფი. გრძელი წვერი ჰქონდა ამ კაცს და ფოცხვერივით ცივი თვალები. ერთხელ ლბეს მაიდგა ნოდარი და დაინახა, რამდენიმე მწიფე მსხალი ჩამოვარდნილიყო. მეტად ყვითელი იყო ეს მსხალი და გემრიელი. აღარ გაახსენდა ნოდარს, რომ აზნაურის ეზოში გადასვლა აკრძალული იყო, გადაბტა და უბეში ჩაიწყო, ერთს კი იქვე უკბიჩა. არ გაუგია, საიდან წამოეპარა ესეფი, დაიჭირა, შარვალი ჩახადა და ჯინჯარით სცემა. არ უტირობა ნოდარს, ტუჩებზე იკბინა და იგრძნო, რომ ეს იყო პირველი დიდი შეურაცხყოფა.

— ვაი დედასა, მომცა ერთი ხელში მისი წვერები! — ინატრა ვასომ.

— ნუ უშლი, კაცო! — უსაყვედურა დავითმა.

... ნოდარის სახლი რკინის გზის სადგურის ახლოს იყო. ერთხელ სადგურის გვერდით მიმოდინდა და ვაგონებთან დაწყობილ აგურებში რალაც დაკეცილი ქაღალდი შეამჩნია. გამოიღო, იქვე ლიანდაგზე ჩამოჯდა და კითხვია დაიწყო. — მაშინ სოფლის სკოლაში სწავლობდა. — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო“ — ასე იწყებოდა ის ფურცელი. არც ახლა გაუგია, როგორ წამოეპარა მაღალი, წითური ურიადნიკი, ფურცელი ხელიდან გამოგლიჯა და ისე მაგრად გაართყა სილა, რომ ნოდარი იქვე წაიქცა. გონს რომ მოვიდა და სახლისაკენ გაეშურა, მაშინ მეტად მწვავედ იგრძნო, რომ ეს იყო მეორე დიდი შეურაცხყოფა.

— როგორც ვატყობ, ეს ჩვენი ნოდარი სულ შეურაცხყოფილი იქნება! — წამოიძახა ვასომ.

— ენახოთ... მას შემდეგ შეუყვარდა ნოდარს ის სიტყვა — პროლეტარი. ბათომიდან მომავალ მატარებელს რომ თვალს აადევნებდა, ნათლად ესახებოდა შეუბოვარი ვაყვაცები, ქარხნებში მომუშავე დევგბორები, რომელთაც არც აზნაური ესეფის ფიცხვერივით ცივი თვალების ეშინოდათ და არც ახმაბი ურიადნიკის. ნოდარი მაშინ იმ პასაკში იყო, როდესაც ყოველი ახალგაზრდა შეუგნებლად ოცნებობს ხოლმე, რომ ამ უზარმაზარ ქვეყანაში თავისი გზაც იპოვნოს. ჰო — და, ადგა ერთ ღამეს, გაეპარა დედას, ჩაჯდა მატარებელში და გასწია ბათომისაკენ. გზაში მღელვარების გამო არ დაუძინია. ბათომში რომ ჩავიდა, ჯერ კიდევ გათენებულ იყო იყო. გაიარ-გამოიარა სადგურში. ძილი მოერია და სკამლოგინზე მიწვა. მაშინვე ჩაეძინა. ხომ არ დაესიზმებოდა, დეზების წყარუნით რომ ეანდარში მოუახლოვდა, მრისხანედ გადახედა და მათრახი მოუქწია. გონება დაკარგული წამოვარდა ნოდარი, დაბარბაცდა და სადგურში დატრიალდა, მათრახი კი მაინც მწვავედ ხედებოდა ზურგზე. უცებ კედელს დაეტაკა შებღლით და იქვე ჩაიკეცა. ეანდარმმა წამოაყენა და კინწისკერით გამო-

ავდო გარეთ. ქუჩაში რომ გაიხედ-გამოიხედა და მაჯით ცხვირზე სისხლი მოიწმინდა, მაშინ მიხვდა, რომ ეს იყო მესამე დიდი შიურაცხეობა...

— ხომ ვთქვი მე, მაგის საშველი არ იქნება-მეთქი! — კვლავ გამოიძახა ვასომ. — მუდამ უნდა სცემონ მაგ საწყალს! ერთი მაგანაც გამოიღოს ხელი!

... ბათომში ნაცნობი არაინ ყავდა, მაგრამ მაინც მოახერხა და მექანიკურ სახელოსნოში შევირდად მოეწყო. მართალია, მას რომ წარმოდგენილი ჰქონდა, ისეთი დევგმირები იქ ვერ ნახა, მაგრამ ქარხნის მუშებში ერთ ახალ სიტყვას მოჰკრა ყური და ისიც პროლეტარიკით შეუყვარდა; მეტად დიდი რწმენით და ძლევამოსილებით ავხნებდა გულს იგი და ეს იყო სიტყვა — ამხანაგი. თქვენ ხომ იცით, რომ ჩვენში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, რევოლუციური მოძრაობა ბათომიდან დაიწყო. ნოდარიც წამოიზარდა და ერთხელ ამხანაგებმა საიდუმლო კრებაზე წაიყვანეს. ბარცხანის ზევით მაგნოლიების ტყეში მოიყარეს თავი. ღამე იყო და მთვარეც მაგნოლიასავით ანათებდა. მაშინ წამოდგა ერთი გამხდარი ჭაბუკი; სატინის ხალათი ეცვა, ოდნავ მოგრძო სახე ჰქონდა და სქელი შავი თმა ლომის ფაფარივით აქოჩრილი.

— სტალინი ხომ არ იყო? — შეეკითხა ლადი.

— დამაცადე. ნოდარმა რომ სტალინი გაიცნო, ამას მე სხვა დროს გაიმშობთ, ახლა კი პირველად იყო ასეთ კრებაზე და რა იცოდა მან, თუ ვინ იყო ეს დაუეწიყარი კაცი, რომლის თვალებიც ვარსკვლავებივით აენთო მაგნოლიების ტყეში. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, ბუზის გაფრენას გაიგონებდით. და როცა ის ჭაბუკი ამეტყველდა, ნოდარს თითქო ფრთები გამოესხა, მაღალ მწვერვალზე აიჭრა და თვალწინ ორი ქვეყანა გადაეშალა. ერთი ხომ ნაცნობი იყო, შავი და საზარელი, მაგრამ ახლა მთლად უცხოვრებდა დაემსგავსა. ტანჯვით, სისხლით და ვეებით აღსავსე უცხოვრებდა. მეორე კი... ჰაი, ჰაი, ბიჭო, რამხელა მზე აშუქებდა ამ მეორე ქვეყანას, ბედნიერებასავით სანატრელს და უყვადვებასავით დაუსრულებელს!.. თავისუფლება, ძმობა და სიყვარული ერქვა სახელად ამ ახალ ქვეყანას და იგი თურმე ნოდარის მიერ შეთვისებულმა პროლეტარებმა და ამხანაგებმა უნდა მოიპოვონ, მათ ხედა თურმე წილად ამ საკაცობრიო საქმის გაკეთება. ამისათვის კი ბრძოლა იყო საჭირო, ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო. და ნოდარი მზად იყო თუნდაც იმ წუთშივე გაეწირა მისთვის თავი... ჰო-და, მას შემდეგ ჩაება ნოდარი მუშათა მოძრაობაში. ცხრაას ხუთში წითელრაზმელი იყო და მრავალ შეტაკებაში მიიღო მონაწილეობა. მერე ხომ იცით, რა მოყვა ამას — ციხე, ციხიბრში და კატორღა...

— ეს მგონია თავის თავგადასავალს გვიყვება. — შენიშნა ლადითმა.

— იმიტომ გამოიცივალა სახელი. არ იკადრა იმდენი ცემა, თუმცა ახლა რაეც იქნა თვითონაც ჭე გამოიღო ხელი.

— ავრე იყოს... კაცის ცხოვრება ხომ უსიყვარულოდ შეუძლებელია და ნოდარსაც შეუყვარდა ერთი სოფელელი გოგო, მესამე თბილისი და ღარიბი... ციმბირიდან რომ გამოიპარა, ეგონა ვარსკვლავის მსგავსად გზასო და ეს ვარსკვლავი კი იმ ქალიშვილის ფართო თვალები იყო. სიყვარულმა კიდევ უფრო აანთო ნოდარის გული ახალი ქვეყნისათვის საბრძოლველად. ან-კი ისე ვინ მისცემდა მათ ბედნიერი ცხოვრების საშუალებას? ასეც მოხდა. მხოლოდ სამ თვეს იცხოვრა ფარულად მასთან და მერე კვლავ კატორღაში უკრეს თავი...

ჩვილებშვიანი ქალი კი ტფილისის საავადმყოფოში დაიღუპა უპატრონოდ... ერთხელ ნახა ნოდარმა ის ბავშვი და დედას ჰგავდა საესებით...

ხმა აუთრთოლდა ასალოს, თვალები დაენისლა და ოთახს ცხედარივით ცივ დუმილი დაეფულა. მერმე ისევ დაიძრა ის ნისლი, დაიძრა და აელვარდა იმ ჯადოსნურ სურათზე ზმანებულ ღიმილივით.

ასალოსაც მწარედ გაელიმა და ოდნავ ირონიული კილოთი განაგრძო:

— პო-და. მას შემდეგ რაღაც გულჩვილობა, თუ გულკეთილობა დასჩემდა ჩვენს ნოდარს. თვითმპყრობელობა რომ დაემხო და სამშობლოში დაბრუნდა, სინამდვილე ნაოცნებარს სრულებით არ ჰგავდა. არც რევოლუციის სახე იყო თითქო იმ მზის ბადალი, მან რომ პირველად საიდუმლო კრებაზე იხილა. ის კი გამოეპარა მხედველობიდან, რომ სწორედ მასში უნდა დანთქმულიყო ძველი ცხოვრების ქუქკი და ნაგავი... სოფელში პირველ კრებაზევე შემოეგება ნოდარს აზნაური ესეფი, ფოცხვერივით ცივი თვალები სამეგობროდ შეაშუქა და დიდის მოკრძალებით სადილზე მიიპატიჟა. ახლაც იგრძნო ნოდარმა ის პირველი შეურაცხყოფა და ჯინჯარის სიმწვავე, ისიც მოაგონდა, ესეფიმ რომ დედამისს საშველი არ მისცა და სამოსახლო მიწა ხელიდან გამოაცალა, მაგრამ არაფერი უთხრა, დაპატიჟებისათვის მადლობა გადაუხადა სიღარბის-ლით ქებულმა ნოდარმა და განშორდა. ხომ ესთქვი, გულკეთილობა დასჩემდა-მეთქი ნოდარს... ერთხელ რომელიღაც სოფელში მიდიოდა. სადგურზე რომ გადმოხტა, შვიდი კილომეტრი ფეხით უნდა გაევიღო. ხედავს, შესანიშნავი ეტლი დგას იქვე და მხოლოდ ერთი სქელი მოხელე ზის შიგ. გლებებმა უთხრეს — ეგ საუფლისწულო მამულის გამგეაო და თუ სთხოვ წაგიყვანსო. ალბათ, იმ მოხელემაც შეატყო, რომ ნოდარი ახალი მთავრობის კაცი იყო და უარი ვეღარ გაუბედა. ეტლი რომ დაიძრა, მოუყვა ეს მოხლე — მეო იმთავითვე დიდი ლიბერალი ვიყავიო, ჩაქვის საუფლისწულო მამულის გამგე ვიყავი და მუშებს თვალში რომ ჩავარდნოდი, ხელს არ ამოისევამდენ, ისე ეუყვარდი ყველასო... ცალკებად ახედა მაშინ ნოდარმა და განცვიფრდა: ეს ხომ ცნობილი შავრაზმელი და ჯაშუში იყო! ფეხზე დახედა და... ის არის! ეს ფეხი ხომ ნოდარის მიერ ნასროლმა ტყვიამ გაუხვრიტა! ათას ცხრას ოთხ წელს იყო ეს. ამხანაგების მკირე ჯგუფმა დაუნიშნა მას ტერორი და ეს საქმე ნოდარმა და ერთმა

მუშამ იკისრეს. გზაზე დახედენ ეტლით მიმავალს და სროლა ხუტცხეს. ბეწუზე გადარჩენ მაშინ, ყაზახებმა კინალამ დაიკირეს. კვლავ ყური მიუვდო და... მეო — განაგრძობდა მოხელე — მსჭუნებს დაღებს მადლობითა და პატივისცემით გამომისტუმრესო. რევოლუციონერებს მუდამ ვეხმარებოდი და ხელს ვუწყობდიო... არც ამას მოაგონა გულკეთილმა ნოდარმა, თუ როგორ ეხმარებოდა ის რევოლუციონერებს. იჯდა ამ შავ-რაზმელისა და ჯაშუშის გვერდით და ცხრაას ოთხის ამბავი, როდესაც ნოდარი და მისი ამხანაგი ყაზახებმა კინალამ დახვრიტეს, სიზმარი ეგონა. ასე აერია ერთმანეში ოცნება და სინამდვილე... რაღა ბევრი გაეავაძელო. მენშევიკების წყალწადებული მთავრობა არ მოსწონდა, მაგრამ პირველ წლებში ვერც საბჭოთა ხლისუფლებას შეეგუა სავსებით, გულჩათხრობილი მუშაობდა სახელოსნოში და იმისი უნარი კი აღარ შესწევდა, ის დიდი მზე, ისე წარმტაცად რომ გაუშუქა ახალი ქვეყანა, არსებულ სინამდვილეში დაენახა. აღარ შეეძლო მწვერვალზე აფრენა, ფრთები დაჰკარგა გულკეთილმა ნოდარმა...

— შენ მაინც ჩვენი ხარ, ბიძია ასალო!..

ფრიად გაეხარდა ასალოს, ლადის ხმა რომ გაიგონა, ვინაიდან ამიერიდან ეს ხმა ხომ მუდამ მოაგონებს საოცრად ნაცნობი ღიმილით ანთებულ თვალებს.

(გავრძელება შემდეგ №-ში)



აკაკი ბელიაშვილი

„ბელის უპუღმართობა“

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ფიქრებში გართული ყარამან მხეიძე უღარდელად მიიბიჯებდა სოფლის შარაზე. ეს შარა მან ზეპირად იცოდა. მარტო ეს შარა კი არა, ქალიდან დაწყებული ლატფარამდე და უტვირიდან პიცუნდამდე არ არსებობს უბრალო ბილიკიც კი, რომელზედაც ყარამანს ფეხი არ დაედგას და ნაქურდალი ცხენით არ გადაეველოს. ეგ ბევრი წარსული დრო მოაგონდება ხოლმე ყარამანს. მისთანა ცხენის ქურდი არ ახსოვს არც სამეგრელოს, არც აფხაზეთს და არც იმერეთს. მაცი ხეიტია მონაგონი იყო მასთან შედარებით. ეშმაკი ვერ გაუგებდა, ისე გააქრობდა ცხენს და მთელი ქვეყანა რომ გადმოგეტრიალებინა, კვალსაც ვერ მიაგნებდი. თუ ვინმეს ცხენი დაეკარგებოდა და კვალს ვერ იპოვიდა, მაშინვე იტყოდა, რომ ეს ყარამან მხეიძის საქმეაო. მაგრამ რას უზამდნენ, დამტკიცებით ვერავენ დაუმტკიცებდა რამეს და ისე ვინ რას დააკლებდა. ჰო და ქე იყო ასე უღარდელად ყარამანი. სულ ზეპირად იცოდა, ვის ჰყავდა კარგი ცხენი. ახლა რაღაცა ცხენების აღწერა რომ შემოიღეს, იმ დროს რო ამისთანა რამე ყოფილიყო, პირდაპირ გაკეთდებოდა ყარამანი. სულ დაწვრილებით ჩამოუწერდა ვისი ცხენი რამდენი წლისა იყო ან როგორი ფერისა იყო, როგორი ნაბიჯი ჰქონდა, ჩამოუწერდა დალის მოხაზულობას, შთამომავლობას. ან ვის რამდენი კვიცი ეზრდებოდა. კვიცი კი არა, თუ კი სადმე ცხენი დამაკდებოდა, ისიც იცოდა. მითი ირჩენდა თავს, ატარებდა დროებას და აბა მეტი რაღა უნდა ცოდნოდა!

ეგხ! ახლა დროება გამოიცვალა და აგერ ათი წელიწადი შესრულდება, რაც მის ხელს ერთი ჯაგლაგი ცხენიც კი აღარ მოუპარავს. უწინ თუ ადვილი იყო მისთვის ცხენის გაქრობა და კვალის დამალვა, ახლა ყოველად შეუძლებელი გახდა. სხვანაირი ხალხია ეს ბალშევიკები და სხვანაირად წაიყვანეს საქმე. ყარამანი ახლა მარტო მოგონებებით ცხოვრობს. მეტი არაფერი დარჩენია. დაეხა „ფლაგი“ მისი ხელობის კაცს.

ამ ფიქრებში გართული მიიბიჯებდა უგუნებოდ ყარამანი. როდესაც ნაბარდების სერი გადაიარა და დაღმართს დაუყვა, ტყის პირად ბალახში

თავისუფლად გაშვებული, კვერცხივით გასინისილებული ჯორი დაინახა. ყარამანმა ძველი ჩვეულებისამებრ აქეთ-იქით მიიხედუქ, ცუტსად და-
მიანი ვერ შეამჩნია და ისევ ჯორს შეხედა.

გადასრულებულია

ჩვეულებრივად დააპირა ყარამანმა გზის გაგრძელება, მაგრამ ასე შშვიდმა და წყნარად მობალახე ჯორმა კვლავ მიიპყრო მისი ყურად-
ღება. გზიდან მოღზე გადავიდა და ჯორს მიუახლოვდა.

ჯორმა არავეითარი ყურადღება არ მიაქცია უცხო ადამიანს და ისევ წყნარად განაგრძობდა ბალახობას.

ყარამანი მივიდა, მოუალერსა, გაეაზე ხელი გადაუსვა, ფეხები გაუ-
სინჯა და აღტაცებული ცოტა უკან დადგა.

— დედა, რა ჭკვიანი ჯორია ეს დასალუბავი, — გაიფიქრა ყარამან-
მა. — შერე რა შეხედულება აქვს, რა ნასუქი, არც იმდენად დიდი ხნისაა,
როგორც ეტყობა, თუმცა ჯორის ხნოვანობა რა სახსენებელია, მარა
მაინც...

ჯორი კი არხეინად იგერიებდა ბუზებს და ცხვარივით წყნარად ძოვ-
და ბალახს. ყარამანმა ისევ მიმოიხედა და გული აუტოკდა. თავის დღე-
ში არ ახსოვს ყარამანს, რომ ოდესმე მოსაპარავეი საქონელი ასე ხელში
მოფრენოდეს, და ათი წლის მივიწყებულმა ხელობამ ისევ გაიღვიძა
მასში.

— შე დასალუბავო, ათი წელიწადია კვიციკ კი არ მომიპარავს და
ახლა ჩავიდინო ეს საქმე? რას მიშვები ახლა, შე სამგლე, რაზე მპარ-
ვიებ თავს? არ მოგიპარო და ასე რაფერ გაგიშვა; აქ დაგტოვო და მე
წავიდე, ხო გამისკდა გული ჯავრით ამალამ! შენი გულისთვის გავიხეთ-
ქო გული ახლა მე? შე უსინდისო, რაზე მადენიებ ამ ცოდვას! ქვეყანა
იმას იძახის გაპატიოსნდა ყარამანიო და ახლა შენი გულისთვის უნდა
გავიფუტო სახელი? არა! არა! იყავი ისევ აქ, ჩემი გულის მომკვლევო.

ყარამანი დაბრუნდა და ისევ გზაზე გადავიდა. ჯორი კი კვლავ არ-
ხეინად განაგრძობდა ბალახის ძოვას. ხუთი ნაბიჯიც კი ველარ გაიარა
ყარამანმა. მუხლებში მოსწყდა და ისევ ჯორს მიუბრუნდა.

— რა დიდი საქმე იქნებოდა, რო ფხუკიანი ყოფილიყავი, შე მართლა
უპატრონო, შენ! კაცი ვინმე მაინც გამოჩნდებოდეს, — უნუგეშოდ მიმო-
იხედა ყარამანმა. — ხელი შემეშლებოდა და გულდამშვიდებული ვიქნე-
ბოდი. დავედები, დავეციდი პატარას, იქნება გამოჩნდეს ვინმე.

ყარამანი დაჯდა, ოფლი მოიწმინდა, თუთუნი გაახვია, გააბოლა. მაგ-
რამ გზაზე არავინ არ გამოჩნდა. ჯორი კი ისევ განაგრძობდა ბალახობას.
ერთი ორჯერ წინ წაშვერილ ფეხზე თავი აუღებ-ჩაუსვა, თითქო ნიჩქს
იღესავდა და ყარამანისკენ მიიხედა. თითქო ახლა შეამჩნიაო, დააკვირდა
და შემდეგ ისევ არხეინად განაგრძო ბალახობა.

ყარამანი აენტო.

— ღმერთი წამს ახლა ამას?! დამცინი, ბიძია, არა! როდემდე უნდა ვიჯივროვებ აქ გლახასავით და გიცივერი შორიდან. შენ დაასხი თავსხლადი ყარამანს, თუ თავი სამასხროთ ავალენიოს. ხო მაპარეებ, ბიძებო, ვინაა ვქნა ახლა, შენი ბრალია სუყველაფერი. რაღა პირდაპირ ნელენში მომეჩქე...

სწრაფად წამოდგა ყარამანი. რამდენიმე წკნელი მოსჭრა, საბლად დაგრიხა, შემდეგ ჭამარი შეიხსნა, საბელიდან და ჭამრიდან ალვირი გააკეთა და ჯორს მიუახლოვდა.

ის კი ისევ წყნარად განაგრძობდა ძოვას.

— ახლა მაინც გაიქეცი, შე დასალუპავო! ვერ ხედავ ალვირი მომაქვს! წადი ახლა, უშველე თავს! არ მიღიხარ? რა ვქნა, ბიძია, არ გესმის ჩემი და რა ვიყო. შეხედე! თავი მაინც გაიქნიე იქით, ამ ალვირს როგორ ვიქეცებ პირში. ასე ცხვარივით უნდა იყო? კაი აბა, წავიდეთ ახლა.

ელვასავით მოახტა უბელო ჯორს ყარამანი და ტყეში შევიდა.

— დედა! რა ჯორია, რა ჯორი! — ფიქრობდა ყარამანი. — ხუთათა თუმანი ჯიბეში მაქვს ნაღდი ფული. ამისთანა ხვთისნიერი! ცხვარი, ბატონო, ნამდვილი ცხვარი, მერე რაევარი ნაბიჯი, რაევარი ნაბატეები, ქეკი გამახსენებია ეს ძველი მივიწყებული ხელობა, მაგრამ ღირს, სწორეთ ღირს ამისთვის ცოდვის ჩადენა.

ყარამანი ჯორზე შეგდომისათანავე მთლად დაიძაბა. ძველი შეზრდილი თვისებები სწრაფად გამოაჩნდა. როგორც კი ცხენს მოიპარავდა, მთელი მისი აზროვნება გაფაციცებით მუშაობდა. საქართველოს რუკა თავისი ბილიკებით და იმგვარივე მონაზულობით, როგორც ეს თითონ იცოდა. მაშინვე თვალწინ წარმოუდგებოდა და იმწამსვე შეუდგებოდა სტრატეგიული ბილიკების, ტყიანი, ადვილად გასაელელი ადგილების და ხეების შერჩევას. თუ აფხაზეთში უნდოდა გადასვლა, აუცილებლად კახეთისაკენ იზამდა პირს, იმგვარი ხლართებით იელიდა, რომ მაინც აფხაზეთში ამოჰყოფდა თავს. თუ რაქაში აპირებდა ნაჭურდალი ცხენის გადაყვანას, კვალს ბაღდადისკენ ან სამტრედიისკენ წაიყვანდა, თითონ კი შეუმჩნეველად რაქაში გაჩნდებოდა.

ახლაც, შეგდა თუ არა ჯორზე, მაშინვე სტრატეგიულ ფიქრებში გაება, თუ საით სჯობდა წასვლა. მთავარ გზას არ დაადგა, ტყეში შევიდა. ტყის ბოლოში ვიწრო ბილიკი ეგულებოდა და ერთი-ორი კილომეტრის გავლის შემდეგ ისევ ტყეში შერგავდა თავს. იქიდან ფრონის პირით დიდ შარმდე ჩავიდოდა, მაგრამ ყარამანი შარას არ დაადგებოდა. ყარამანის გზების ცოდნის მთელი ოსტატობაც ის იყო, რომ მან მთავარი გზის გვერდით იცოდა ისეთი ფარული ბილიკები, რომლებიც მას ყოველთვის საშვებობოს გაიყვანდა. ბიჭობა და ოსტატობა სწორედ ასეთი გზების ცოდნა იყო. ამ შარაზედაც ყარამანი ასიოდე მეტრზე ძნელად გასაელელ ძეძვებში უნდა გამძვრალიყო და ისეთ ბილიკს დაადგებოდა, სადაც თვეში ერთხელ თუ გაივლიდა კაცი. იმ ბილიკით ჩავიდოდა ძე-

რის ხილამდე, ის იყო მთავარი ყელი. გასცდებოდა თუ არა ძველის ხილს, მერე სამწვიდობოს იყო გასული. მერე აღარაფერი უქაჩვეუნიყო.

თუ ყარამანი ცხენს წინასწარი განზრახვით იპარავდა, მაშინ იყო, რადგან გასაპარავი გზების გეგმა წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული. მაგრამ თუ მოპარვა შემთხვევით ხდებოდა, მაშინ, უპირველეს ყოვლისა, ცხენის პატრონის ვინაობა უნდა გამოერკვია, რათა ნათლად ჰქონოდა წარმოდგენილი, თუ რომელი მხრიდან დაუწყებდნენ ძებნას ან შემთხვევით არ წატეხოდა პატრონს. ამისდა მიხედვით უნდა შეერჩია გასაპარავი ბილიკებიც. აი ახლაც დიდ გასაქირში ჩავარდა ყარამანი, რადგან ერთსა და იმავე დროს კიდევაც უნდა გაპარულიყო. პატრონის ვინაობაც გამოერკვია და გასაპარავი ბილიკებიც შეერჩია. ამიტომ შეჯდა თუ არა, მაშინვე პატრონის ვინაობის გამორკვევას შეუდგა.

— ვისია ნეტავი ეს კუკლა? — გაიფიქრა ყარამანმა. — ვისი ხარ, ბოშო შენ? არ გესმის? ვინ გაგზარდა ასე მშვენიერი, გამაგებე ერთი? დალი არა გაქ და შუბლზე არ გაწერია. ეს ათი წელიწადი უქმად ვიჯექი და რავე დამეწყნია ჩენი სოფლის ეჭიმივით ჩემი ხელობა. ვისი უნდა იყო ახლა შენ? უი, მივხვდი, მივხვდი, ამბროსი მღვდლის ჯორი ხარ, შე ეშმაკო შენ! გიცანი, გიცანი, ჩემო სულის კლაპიტონო, ბერძალა ამბროსის ჯორი ხარ. უყურე იმ წვერცამეტას, რავარი ჯორი გაუზრდია. რო აღარ ეშვება ამ ძველ ხელობას, ის აშარი. ველარ გეიგო იმ უნამუსომ, რომ გამეიცვალა დროება და აღარავის წამს ღმერთი. რაც ღვდლები იყვენ ამ ჩვენს გუბერნიაში, სულ დეიპარკენ და იმას აღარ დაადგა საშველი... იმიტომ გოუზღიხარ ამისთანა ანგელოზი. კი, მარა რაში ჰიორდები ახლა შენ იმ უნამუსოს? საქორწილო, მოსანათლი და გასასვენებელი აღარავინ ყავს და ისე სად დეთორევა ნეტავი? მარა რავარც ძველი აზნაურიშვილი არ იშორებს ხანჯალს სილამაზისთვის, ისე ველარ გეშვება ალბათ შენც. ჰეც გეტყობა, ბიძია, ჯაფა არ გადგია და წერეთლის ჭერივით ხარ შენახული...

ამგვარ ფიქრებში გართულმა ყარამანმა გაიარა ეიწრო ბილიკი, ჩაიარა ტყიანი ფერდობი და ფრონის პირზე გავიდა. ჯორი თითქო ვახარებული იყო, რომ ზურგზე ყარამანი ეჯდა მხედრად და ისეთი მხიარული, ცოცხალი ნაბიჯით მიდიოდა, რომ ყარამანს სასიამოვნო აღელვებისაგან სახეზე ღიმილი ეფინებოდა.

— ხარ მარა რა ხარ! ჩემს ცხოვრებაში არ მახსოვს, რომ შენისთანა საქონელს ჩემს ხელში გამოეაროს. მატარებელი ხარ, მატარებელი კი არა, აეტომობილი ხარ. არა არც აეტომობილი, ამისთანა შედარება რავე გაკადრო, აეროპლანი, ბატონო, ნამდვილი აეროპლანი. მიფრინავ, კი არ მიდიხარ! რო ნაქურდალი არ იყო, რავე მოგიშორებ, არა და შენი გულისთვის რავე გადავსახლდე, რავე ეეყარო, თვარა...

გაეიდნენ თუ არა შარაზე, ყარამანმა მაშინვე შეათვალა იყო ადგილად გასაძრომი ადგილი ეკლიან ძეძვებში, გადაუხვია და ჯერჯერობით კობტად გაძვრა ამ გაუვალ ჯაგნარში, ისე მოხდენილად უხვევდა იქონიან და თან ისე მარდად შიბიბიჯებდა, რომ მათი აჩქარებული სვლა ერთი წუთითაც არ შენელებულა.

— დედა! რა ვნახე ეს, რა ვნახე! არ გრცხვენია, შე უნამუსო, რო გაგყიდი, ხო უნდა აეტირდე შენი გულსთვის. ვაგყაცმა ცრემლები უნდა გადმოგყარო? რას იტყვის ხალხი, ატირებულს რო დამინახავს? შენ შეგარცხვინა ღმერთმა, რათ ხარ ასე კაი...

ვიწრო ბილიკი თითქმის ჩათავდა. იქვე იყო ძვერის ხიდი, საიდანაც ყარამანს უკვე სადარდებელი არაფერი არ ჰქონდა. ხიდს იჭით მდევარი აღარც კი გამოეკიდებოდა, რადგან იჭიდან გზა ხუთად იყოფოდა, ყარამანი კი ისეთი გზით წავიღოდა, საითყენაც მდევარი ვერასოდეს ვერ მოიფიქრებდა დასდევნებოდა.

ამ იმედით შეუმჩნევლად მიადგა ძვერის ხიდს მხიარულ გუნებაზე დამდგარი ყარამანი და ის იყო საშიშ მდგომარეობის უქანასკნელ ამოსუნთქვასთან ერთად დააპირა თავი სამშვიდობოს ამოეყო, რომ მისი მატარებელივით მოსიარულე ჯორი ზედ ხიდის პირთან შეჩერდა.

— რა იყო კუკლა? დეილალე? — შეეკითხა მეტის-მეტად ტყბილის ხმით ყარამანი ჯორს. — გავიდეთ ბარემ გაღმა და იქ დაგასვენებ. იქ იმისთანა ბალახი მეგულება, რომ შენ კი არა, მგონია, მეც კი არ დავიწუნო საკმელად.

ზრდილობიანად მოუქნია წყნელი ყარამანმა ჯორს და დარწმუნებულ იმით, რომ რამდენიმე წუთში ხიდ გაღმა ტყეში შერგავდა თავს, წინ იმედიანად გაიხვდა.

ჯორი ადგილიდან არ დაიძრა.

ყარამანი, ერთხანს ფიქრებში გართული, ისევ გაღმისკენ იტყობოდა, შემდეგ უცბად გამოერკვა და ისევ ჯორს დახედა.

— ი! რას გაჩერდი? ააა! მიგიხვდი, მიგიხვდი, მესუმრები არა? კაი, დედა ნუ მოგიკვდება, სახუმროთ მაქვს ახლა საქმე? ვინცხა წამომესწრება, შე აწნაირ-იწნაირო, გვეიდეთ ბარემ გაღმა... წადი პო!

ჯორი ყურებსაც კი არ აბარტყუნებდა. მიასო წინა ფეხი ხიდის თავს და სრულებით არ ფიქრობდა ადგილიდან დაძვრას.

— კაი ნუ მალრიპინებ ამ საქვეყნო ადგილას, გადი ბარემ! შე კაცო, ღორის კულზე ნუ კი გადატეხავ დანას. აქამდრ მოგიყვანია საქმე და ბარემ დაბოლოვე. ტყეილა ვაქე გზაში ამდენი? საქებურმა ძალღმარო... რო იტყვიან, ისე ნუ კი იხამ, შე კურთხეულის შეილო, — ტყბილად ჩასჩურჩულებდა ყარამანი თავის „ბედაურს“ და გვერდები არ ეტკინოსო, ფრთხილად უღიტიანებდა ქუსლებით.

ჯორი ისევ არზებინად იდგა და ძუის წყნარი სხამუნით რგოვებდა ბუზებს.

— წადი ახლა, თვარა მე გულის მოსვლაც ქე ვაჩვენებთ ხმას ყარამანმა. — პო და ნუ მაწყენინებ, თუ გიყვარდე. შეიძლება უკადრისი რამე გაკადრო და რაზე შევები ამ საქმეს. წადი პო! აჩუ!

ჯორი ეტყობოდა ჯიუტობის გუნებაზე დადგა, ყურები დალურსა და უფრო გამალებულად დაიწყო კულის ქნევა.

— რაეა? აქანა გინდა, რო დამალამებო? რას დალურსე ყურები? შენ კი არა, წულუკიძის ბედაური გავამათრაზე ერთხელ, გული რო მომაყვანია. წადი მეთქი, რო გეუბნები, აჩუ! — ველარ მოითმინა ყარამანმა და მთელი ძალღონით გადაკრა შვინდის წკნელი თავის „კუკლას“.

— ღვიყ! — გულმოსულად ამოიგმინა ჯორმა და უფრო მაგრა მიასო წინა ფეხები ხიდის თავს.

— ვაი შენ და სიცხე! არ მინდოდა წაგჩუბებოდი და მაინც წამაჩუბებოდი თავი! წადი მეთქი, თვარა ჩემს მტერს, შენ რო დღე დაგაყენო. წადი მეთქი, აჩუ! აჩუ!

ერთი ათი წუთი მაინც სცემდა წკნელით ყარამანი, მაგრამ რაც უფრო უმატებდა მკლავს ძალას, მით უფრო ჯიუტობდა ჯორი და არც კი ფიქრობდა, რომ წინ თუნდაც ერთი მილიმეტრით წაწეულიყო.

ყარამანმა ცოტა ხანს შეისვენა. შეატყო, რომ ცემით ვერაფერს გავიღოდა და ახლა ისევ ხვეწნაზე გადავიდა.

— რას მიშვები ახლა შენ? თქვენ ჯიშს სირცხვილი არ უწერია კანონში? ამ თავმომწონე კაცს რას მჭრი თავს. გადი ახლა ამ ხიდზე, რა იქნება ვითამ? ნუ გეშინია, არ ჩატყდება. წამოდი, მე გაგიძღვები წინ. ამ ხიდზე აეტომობილი გადის და შენ ვერ გაგიძღვები?

ჩამოხტა ყარამანი და თავისი ნაოსტატები სადავით დაუწყო ქაჩვა. ხან მოეფერა, ხან უყვირა, მაგრამ არაფერი არ გაუვიდა. ჯორს ადგილიდან ფეხი ვერ მოაცვლევინა.

აინთო ყარამანი. სისხლი თავში აუფარდა. პირდაპირ გაგიჟდა: გაფთვრებული თვალებით შეაცქერდა ჯორს და ერთხანს ასე საჩხუბრად მომზადებული აჭოჩრილ მამალივით შესცქეროდა ჯიუტ პირუტყვს.

— ბოშო, შენ ვინ გგონივარ მე? შენი წვერცამეტა დავარდნილი ბებერი ხო არ გგონივარ, რო დამიბრიყვო. ბიჭი არ ვიყო, თუ შენ ხიდზე ვერ გაგიყვანო. მამა ჩემს დაადგეს ნათელი, მე შენ დღე დაგაყენო. შენ ჩემი „სტერეტები“ არ გკოდნია, თვარა...

ასეთი ბუზღუნით აქეთ-იქით მიმოიხედა ყარამანმა და იღბლად გზის პირად მაჯის სისხლს ერთი მეტრის სიგრძე ჯოხი შეამჩნია.

სწრაფად გადასწვდა ყარამანი და ჯოხი აიღო. ჯორმა მიიხედა, ყურები ისევ დაწყურა და ყარამანის ხელში რომ ჯოხი დაინახა, ახლა შეჯენაზე გაუარდა. შეხტა და ტლინკები ჰყარა, მაგრამ ყარამანი ისეთი

ჯურის ხალხს როდი ეკუთვნოდა, რომ ჯორზე შეჯდომა ერთ მოებერ-
ბებინა. ცოტა კი გაწეაღდა, მაგრამ მაინც მოახტა ზურგზე და ჯოხი
მოიპარავეა.

— მიყურე ახლა შენ! — მრისხანედ დასჭყიელა ყარამანმა და ჯოხმა
ხეთქა მოადინა ჯორის გავაზე.

— ღვიყ! — ამოიგმინა კელაე ჯორმა და ტლინკები ჰყარა.

— წადი! — და ისევ ხეთქა ჯოხი.

— ღვიყ! ღვიყ! — ჰყარა ტლინკები ჯორმა, მაგრამ ადგილიდან მა-
ინც არ დაიძრა.

ყარამანის სიბრაზემ უმაღლეს წერტილს მიაღწია. დასცხო და დას-
ცხო ჯოხი.

ჯორი სულ გოჭივით აქყვირდა, ტლინკები ტლინკებზე ჰყარა და, ბო-
ლოს, ტყვილებს რომ ველარ გაუძლო, უკანა ფეხებზე ჩაიკეცა, მიბრუნ-
და და ისეთი კამარა გააკეთა, რომ ყარამანმა კინალამ ზღართანი არ მო-
ილო ძირს. ძლივს დამავრდა გავაზე.

ყარამანმა ისევ დააპირა ჯორის ხიდისკენ მობრუნება, მაგრამ ჯიუ-
ტი პირუტყვი ისე გაფრინდა იმ გზით, საიდანაც ყარამანმა მოიყვანა,
რომ მხედარმა მისი შეჩერებაც კი ველარ მოახერხა. გაფრინდა, მაგრამ
როგორ გაფრინდა. სულ დაოთხილი მიდიოდა და მთლად გადაასწორა
აღმართი, დაღმართი, ვაკე, ტყიანი, ლობე და ყორე. ყარამანი ახლა მხო-
ლოდ იმას ცდილობდა, რომ როგორმე დამავრებულყო ამ გადარეულ
პირუტყვზე და ძირს არ გადმოვარდნილიყო. თან იმისიც ეშინოდა, რომ
სადმე წამოშვერილ ტოტს არ მოსდებოდა და თვალი არ გამოეთხარა.

რაც უფრო ცდილობდა ყარამანი ჯორის შეჩერებას, მით უფრო უმა-
ტებდა იგი ჰენებას. ყარამანს სულ აერია თვალები, ხეები, სახლები, გო-
რაკები ერთმანეთს გადაება და ყარამანმა ვერაფრით ვერ გამოიძნო,
სად ჯანდაბას მიაქანებდა ეს დაღუპული პირუტყვი.

მხოლოდ ერთ ადგილას შეჩერდა ჯორი, თითქოს რალაცას ფიქრობსო,
და როგორც კი დააპირა ყარამანმა ჯორის უკან მიბრუნება, მან ისევ
მოუსხვა და ისეთი თავგამეტებით, რომ არაბული ბედაურიც კი ვერ დაე-
წეოდა. ყარამანმა ისლა მოახერხა, რომ ლაგებში ფეხის წვერები ამოუ-
ყარა, თან თავს წამდაუწუმ იხვივით ყვინთავდა ჰაერში, რათა გზის პირ-
ზე გადმოშვერილი აკაციის ტოტებისთვის თვალები აერიდებინა.

— რას მიშვება ეს არ გადასარჩენი. შენ ხარ ახლა საქონელი? სად
მიდიხარ, რო მირბიხარ? ირბინე, ბიძია. რო დეიღლები, მერე სად მი-
დიხარ, ეს გამავებზე ერთი...

უეცრად ჯორმა დანგრეულ ყორეზე ნახტომი გააკეთა, ეზოში გა-
დახტა, ცოტა გაირბინა და შემდეგ, თითქო არაფერი არ მომხდარო,
ბალახს წიწქნა დაუწყყო.

სახლიდან ანაფორა გაცვეთილი მღვდელი ამბროსი გამოვიარდა/და ახლათ მოსულს დააკვირდა.

ყარამანი გაშრა. თავზარი დაეცა.

— რა მიქნა ამ უპატრონომ! — შწარეთ გაუელევა თავში ყარამანს.

მღვდელმა დამპალი კიბე ჩამოირბინა და ყარამანს მიუახლოვდა.

— ყარამანი ხარ შენ? — ჩაიჩიფჩიფა ამბროსიმ.

— რა მიქნა ამ სამგლემ! — ისეე გაუელევა თავში ყარამანს. — მკვდარი ვიყო, არ მირჩენია! რათ ვარ ახლა ცოცხალი!

— გამარჯობა, შეილრ ყარამან. სად ნახე ეს დაღუბული, სად? გაგვამწარა ამ სამგლემ. ერთი თევა დაკარგული იყო, მთელი ქვეყანა გადავატრიალეთ და ვერსა ვერ ვნახეთ... ჩამობრძანდი, შეილო, სახეზე გეტყობა, გაუმწარებიხარ, ფერი აღარ გაქვს.

ყარამანი ჩამოვიდა და ომში დამარცხებული სარდალივით ამღვრეული თვალებით დაუწყო ცქერა ამბროსის. თუმცა ახალი ამბის გაგებით ცოტა გულზე მოეშვა, მაგრამ დამარცხებული რაინდის სიბრაზე მაინც სჭარბობდა მის გულში და ასეთ სირცხვილს ვერაფრით ვერ აპატიებდა თავის თავს.

— სად ნახე, სად ეს უკულმართი! — ჩიფჩიფებდა გამხიარულებული ამბროსი. — ქე კი დატყობია ტყეში ყოფნა, ძალიან ქე გასუქებულა. რათი მოახერხე ამის აჭამდი მოყვანა, ის მიკვირს სწორეთ, ის...

სწორეთ ის კლავდა ყარამანს და ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა.

„კუკლა“ ჯორი კი არხეინათ განაგრძობდა ბალახის წიწკნას და კულის ფიცხელი ქნევით იგერიებდა გაოფლიანებულ გვერდებზე მისეულ აბეზარ ბუზებს.



ეროვნული
წიგლმწერთა

6. ფსაკაძე

მოსკოვი

როს მავჴოლვის ტრიბუნაჴი აღის სტალინი

უნდა სიყვარულს, მეგობრობას, ამხანაგობას,
კჴონდეს მარადი გულის ძგერა და გატაცება, —
რომ ასე მძლავრად ამღელვაროს მასების ტრფობა,
ასე ასტეხოს შეძახილი და ტაშის ცემა.

წითელი, მუქი, ალისფერი, ლურჯი და მწვანე
ცვივა და ცვივა ტრიბუნისკენ ვარდის კონები,
წითელ მოედნის ზედაპირზე ვით ოკეანე —
ღელავს, გუგუნებს და მქუხარებს მილიონები.

ზრიალებს კრემლი სიხარულის მქუხარე ხმებით
თვითონ ეთერი მუშკამბარით ატალღებულნი,
ამ სიხარულს გრძნობს მთები, ზღვები და მხარეები,
ამ სიხარულს გრძნობს მთელ მსოფლიო მშრომელთა გული.

ელავს დროშებად მოედანის ვრცელ ჰორიზონტზე
მასების ტრფობის, სიყვარულის ძმობის ყვაველი,
კრემლის კედელთან მავჴოლვის მეწამულ ზოდზე
მარმარილოზე რუხ მაზარით დგება სტალინი.

რევოლუციის ძალაძი

ყოველდღიური საზეიმოს შეერთებია
და ერთიანად წაშლილია მათ შორის ზღვარი,
აქ მოგისმენენ კავკასიის მაღალ მთებიდან,
აქამდე აღწევს ტაჯიკების ჴვეყნიდან ჴარი.

ეს გულისცემა ესმის ბაქოს, გროზნის მბურღავეებს,
ცივი ურალი გრძნობს სამხრეთის მზურვალე თრთოლას,

ყველა ქვეყნების მქუხარე ზღვებს, მთებს, მდინარეებს
რევოლუცია ჰფენს კრემლიდან ინტერნაციონალს.

ქრქუნული
გინგლირთხეა

ეს ახალგაზრდა ქალვატები ტრფობის ჭაველით,
ისინიც, რომლებს შეერიათ ქალარა თმაში,
ეს პიონერიც გულის-პირის ყირმიზ ყვაველით,
და ჯერ აკვანში მწოლიარე პატარა ბავშიც. —

ერთად ისმენენ ამ მღელვარე დიად მუსიკას,
ამ სიცოცხლის და ტრფიალების მაჯის საღ ძგერას,
ხან რა მქუხარედ ისმის ჟღერა, ხან რა ნაზია
სოციალიზმის დიდ ქალაქის ძღვევის სიმღერა.

აღარ დაცხრება ეს სიმღერა კვლავ არასოდეს
მოსკოვის გუგუნს ხმებს უერთებს ყველა ერები,
მილიონების ერთიანი გულიდან მოდის
ამაღლებული ხელთუქმნელი მისი ბგერები.

მოსკოვის გუგუნს დიდ მშვენიერს, მღელვარე ცისმარს
ვერავითარი სხვა სიმღერა ვეღარ აჯობებს,
ყური დაუგდე ამხანაგო კრემლის ზარის ხმას
და მხნედ გასწორდი სწორუპოვარ სადარაჯოზე.

ავიაციის დღეობა

მგზნებარე სული, ნებისყოფა, საღი სხეული
საკაცობრიო თავდადებულ გმირის თვისება,
დიად განთქმული სანაქებო და ღირსეული
ირველივე ამდგარა უმძლავრესი ჯომარდის ფრთებად.

ეგ ის ძვირფასი იარაღია, რომელიც თვით ქმნის
ყველა ხალხების მშვიდობას და კეთილდღეობას,
რომელიც იცავს საკუთარი თვალის ჩინიეთ
მასებს, სიცოცხლეს, ქალაქებს და მეურნეობას.

აჰა, აიქრა თვითმფრინავი ვით ისრის წვეტი,
სულ მალლა, მალლა საცა არის დაიკარგება,
მაგრამ ჰე შესდგა, კვლავ გაჰქროლა და როგორც მტრედი
ჰაერში ბრუნავს მარყუტეებად და ყალყზე დგება.

აგერ დაეშვა თითქო დასჭრეს მსწრაფლ შევარდენი
 ტყვიასებრ მოჭრის თაედაყირა ცის ლურჯ არიდან,
 აჰა მიწაზე დაასკდება, ვახლჩება კლდენი... *ერქენული*
 მაგრამ უქცია საჭე და კვლავ ლალად აფრინდა *მშაქნიქნიქნი*

ის ხან ერთ ფრთაზე დაცურდება, ხან მეორეზე
 მრუდეებს ხაზავს ცის კიდურზე ელავს, კისკასებს,
 წითელი ჩიტი კამარას ჰკრავს თითქო მორევზე
 მზის ოქროსფერად მიმოცურავს სხივთა პრიზმაზე.

მისი მესაჭე ამაყია დაუდგრომელი
 უსაზღვროდ უყვარს მას ეგ ჩვენი დიდი სამშობლო,
 მას სიყვარულით თვალს ადევნებს ყველა მშრომელი
 ეგ ის გმირია, ვინც არქტიკა გმირულად მოვლო.

ვერც იკარუსი, მონგოლფეი და ვერც ბლერიო,
 ვერ მივა მასთან, მილიონებს ეგ უდგას ფარად,
 მისი ქვეყანა ერთად ერთი ბედნიერია —
 რომელიც ერთობ ზე-მიმფრენი იზრდება მარად.

რა არის მასზე საპატიო გმირულ თაობის
 შესაფერი რამ რომელშიც ვგრძნობთ სიცოცხლის მადას,
 თუ არა ის რომ მხნედ იცავდე გამბედაობით
 მთელი მსოფლიო მშრომელების პირველ ბრიგადას!



დ. დემეტრაძე

ფორმადიზმისა და ნაფუადიზმის შესახებ ქართულ საბჭოთა ლიგერაფურაში

ჩვენი პარტიის ცენტრალურმა ორგანომ „პრავდამ“ თავის წერილებში მუსიკის, არქიტექტურისა და თეატრალური კულტურის პრობლემათა გამოგამახვილა ხელოვნების მაშაქთა ყურადღება ფორმალიზმისა და ნატურალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობაზე ხელოვნების დარგში. „პრავდამაც“ უდიდესი პრინციპიალობით გვიჩვენა, რომ მხატვრული კულტურის სფეროში ყველაფერი თავის რიგზე არ არის. ბოლშევიკური პირდაპირობით იჭნა „პრავდას“ წერილებში მხილებული ფორმალიზმისა და ნატურალიზმის გამოვლინების კონკრეტული ფაქტები საბჭოთა ხელოვნებაში.

„პრავდას“ მითითებანი მთლიანად უშუალოდ ლიტერატურასაც შეეხება.

ცნობილია ის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებები, რომელნიც ჩვენი ქვეყნის მშრომელმა ხალხმა კომუნისტური პარტიისა და მისი დიდი ბელადის აშ. სტალინის ხელმძღვანელობით მოიპოვა. ამ გამარჯვებათა საფუძველზე წარმოიშვა ისეთი დიდი მოვლენა ჩვენი ეპოქისა, როგორიც სტალინოვური მოძრაობაა.

ახალ სოციალისტურ ურთიერთობათა საფუძველზე გაიზარდნენ ახალი ადამიანები, რომელნიც მოწინავე ტექნიკით შეიარაღებულნი, მსოფლიო რეკორდებს ამყარებენ. ისინი უდიდესი სისწრაფით უცვლიან სახეს ჩვენს ქვეყანას. ჩვენი ქვეყნის წარჩინებულ ადამიანთა შეხვედრა ხელისუფლების ხელმძღვანელებთან, დიდ ბელად აშ. სტალინთან ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ განმტკიცდა კიდევ უფრო მეტად საბჭოთა კავშირის ზალხთა მეგობრობა, თუ როგორ იშლება ამ წარჩინებულ ადამიანთა გამოსვლებში სოციალისტური მშენებლობის გრანდიოზული პოანორამა, რომელშიაც მოსჩანს კომუნისტური საზოგადოების კონტურები.

გაიზარდა ჩვენი ქვეყნის ადამიანთა კულტურულ-მთხოვნილება, მხატვრული გემოვნება. ჩვენ საკმე გვაქვს ახალი, სოციალისტური შეგნების განვითარების მასიურ პროცესთან. ჩვენი მხატვრული განვითარების ამ საერთო ფონზე გაზრდილ ახალმა ნაწარმებმა კულტურულ-ესთეტიურ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს საბჭოთა ლიტერატურის დღევანდელი დონე. საბჭოთა ლიტერატურა, მიუხედავად საგრძნობი მიღწევებისა, ჯერ კიდევ ვერ უსწორდება ჩვენი ეპოქის დიად ამოცანებს. საბჭოთა ლიტერატურამ ვერ გახსნა მთავარი ცენტრალური თემა — ჩვენი დროის გმირთა. ახალ ადამიანთა სახეების მთელი თავისი მრავალფეროვნებით ჩვენება. ამ ჩამორჩენის მიზეზები თვით ჩვენ მწერლებმა უნდა ვეძიოთ.

პარტია გამოდის ლენინისა და სტალინის იმ დებულებიდან, რომ „ხელოვნება ხალხს ეკუთვნის“. მთავარი მოთხოვნა, რომელიც დღეს მთელი მწერლობის წინაშე სდგას, არის ხალხურობისა და სისადავის პრობლემის გადაჭრა მხატვრულ შემოქმედებაში.

ფორმალიზმი, რომელიც წარმოიშვა ბურჟუაზიული დეკადანსის ინტელიგენციის წიაღში, ლიტერატურას სთიშავს სინამდვილისაგან. აი სწორედ ამიტომ იგი ჩვენი მწერლობის სასიცოცხლო ინტერესებისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს, ფორმალისტური ხელოვნება იდეებისა და საერთოდ შინაარსისაგან დაკლილი ხელოვნებაა. ცნობილია, რომ ისტორიულად ფორმალიზმი დაკუმული კლასის ხელოვნება იყო. იგი თავის იდეურ სილატაკეს გარეგნული ფორმალისტური სამოსელით ფარავდა. იდეებისაგან დაკლილ, უშინაარსო ფორმალისტურ ხელოვნებას არავითარ შემთხვევაში არ ძალუძს ჩვენი ეპოქის დიადი იდეები გამოსახოს. უფრო მეტიც: ფორმალიზმი საესებით ენათესაება ნატურალიზმს. ნატურალიზმიც უმწეოა გადმოგვეცეს ჩვენი ცხოვრების სიმართლე, გახსნას თანამედროვე სინამდვილის წამყვანი ტენდენციები. მას ახასიათებს ვიწრო ემპირიზმი. მას არა აქვს განზოგადოების, სინამდვილის სინთეტიური ათვისების უნარი. მისი ჰორიზონტი მეტად ვიწრო და შეზღუდულია.

საბჭოთა ლიტერატურა მასებზე კომუნისტური შემოქმედების მძლავრი იარაღია. სოციალისტური რეალიზმი მოითხოვს ისეთი ლიტერატურის შექმნას, რომელიც მშრომელ ხალხს ემსახურება. აქედან საესებით ლოგიკურია ლიტერატურაში სისადავის პრობლემა. ჩვენი ლიტერატურა გასაგები უნდა იყოს ხალხისათვის. მას უნდა ჰქონდეს დამარწმუნებელი ძალა. ბუნებრივია, რომ ფორმალიზმი და ნატურალიზმი სთიშავენ ლიტერატურას სინამდვილისაგან და ამწყვედვენ განყენებულ ფორმებში. ფორმალისტური და ნატურალისტური ლიტერატურა უძლურია შეასრულოს ჩვენი მწერლობის უდიდესი მისია — ემსახუროს მშრომელ ხალხს, იყოს აქტიური მებრძოლი მშრომელ მილიონთა იდეალებისათვის. მას არ შე-

უძლია მოგვეცეს თანამედროვე ჩვენი სინამდვილე, ჩვენი ბრძოლის რევოლუციური პერსპექტივები.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ჩვენი ლიტერატურული-საზოგადოებრივი პირ არის ჯერ კიდევ საესეებით მოწესრიგებული. რომ ყველაფერი თავის რიგზე ვერ არის, ამას, ფიქრობთ, გრძნობს ყოველი საბჭოთა მწერალი.

ჩვენი მწერლების მხატვრულ პროდუქციაში შესამჩნევია როგორც ფორმალიზმის ისე ნატურალიზმის აშკარა რეციდივები. გარდა ამისა, ზოგიერთი მწერლის ლიტერატურულ მუშაობას ცხადად აზის გაუბრალოების, ხალტურული მუშაობის დაღი. ზოგიერთი ცდილობს მეტად გააიოლოს ლიტერატურული შრომა, მიდის უმცირესი წინააღმდეგობის გზით და აწვდის მკითხველს ნახევარ ფაბრიკატებს. მთავარი ამოცანაა, „პრავდას“ მითითებათა საფუძველზე, ბოლშევიკური თვითკრიტიკის ბასრი იარაღის მომარჯვებით მედგრად შევებრძოლოთ ფორმალიზმისა და ნატურალიზმის ყოველ კონკრეტულ გამოვლინებას ჩვენს საბჭოთა ლიტერატურაში.

ფორმალიზმისა და ნატურალიზმის ირგვლივ „პრავდაში“ მოთავსებულ სტატიების პრინციპულ დებულებათა საფუძველზე შევებები ფორმალიზმისა და ნატურალიზმის კონკრეტულ გამოვლინებებს ჩვენს ლიტერატურაში. შევეცდები მოკლე მიმოხილვის წესით შევჩერდე უკანასკნელი წლების ჩვენი ლიტერატურული პროდუქციის მთელ რიგ არსებით, დაზიანებათებელ მომენტებზე. დავიწყებ პოეტ ს ი მ ო ნ ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი ს შემოქმედებით.

ს. ჩიქოვანი ქართველი პოეტების იმ პლეადას ეკუთვნის, რომელიც საესეებით ჩამოყალიბდა და დავაეკაცდა საბჭოთა სინამდვილის პირობებში. მან რთული შემოქმედებითი გზა გაიარა: ფუტურისმიდან ქართული საბჭოთა პოეზიის პოზიტივობამდე. წარსულში ფუტურისმის, ფორმალისტური სკოლის ერთერთი ხელმძღვანელი, ჩვენი სოციალისტური სინამდვილისა და მარქსისტული კრიტიკის მედგარი იდეური ბრძოლის შედეგად, ს. ჩიქოვანი თანდათან გადაიარაღდა და ჩამოყალიბდა ერთერთ მოწინავე საბჭოთა პოეტად. ს. ჩიქოვანის ამ უკანასკნელი პერიოდის მხატვრული პროდუქცია ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი წარმატებით მუშაობს იგი ახალ საბჭოთა თემატიკაზე. („შემოღამება ხახმატში“, „უშგულის კომკავშირი“, „სამეგრელოს საღამოები“ და სხვ.). მაგრამ სიმ. ჩიქოვანის პოეზიის შემდგომი განვითარების ინტერესები გვავალებს მიუდგომლად მივუთითოთ მას ფორმალიზმის რეციდივობაზე მთელ რიგ ლექსებში. ბუნებრივია, რომ ეს ძველი ნაშთები უსათუოდ უშლის მას ხელს საბოლოოდ განმტკიცდეს სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე.

„ლიტერატურშინის“ დალი ზოგიერთ მის უკანასკნელ ლექსებს უთუოდ ამჩნევია და, საერთოდ, უნდა ვთქვათ, რომ „ლიტერატურშინის“ საშიშროება მთელი რიგი ჩვენი პოეტების წინაშე სდგას. ჩვენს ლიტერატურულ სამოსელი სიმ. ჩიჭოვანის ზოგიერთ ლექსს უკარგავს იმ შინაგან სინათლეს, რომლითაც ნამდვილი პოეტური შემოქმედება უნდა ხასიათდებოდეს. ბუნებრივია, რომ ნაწარმოების იდეა ამ შემთხვევებში არ არის გამოხატული შესაფერ ადეკვატურ ფორმაში. შინაარსი იჩრდილება, იგი გაუსხნელი რჩება და ვლებულობთ უფრო ცალკე შტრიხებს, მოვლენათა ზედაპირულ გადმოცემას, ვიდრე სინამდვილის მთლიან სურათს. სიმ. ჩიჭოვანი მთელ რიგ ლექსებში უფრო ლიტერატურული ფაქტებიდან გამოდის, ვიდრე უშუალოდ ჩვენი სინამდვილიდან, უფრო სხვადასხვა ლიტერატურულ კოლიზიებს ხსნის, ვიდრე ცხოვრების მიერ წამოყენებულ პრობლემებს. ამ დებულების საილუსტრაციოდ დავასახელებ მის უკანასკნელ ლექსს — „თეიმურაზ პირველს“. ამ ლექსში სიმ. ჩიჭოვანს მრწანად დაუსახავს პოეტურ სახეებში გადმოგვცეს თანამედროვე კახეთი მთელი თავისი მდიდარი კოლორიტით. ამ ამოცანის შესასრულებლად იგი მიმართავს შემდეგ ლიტერატურულ ხერხს: მეფე თეიმურაზ პირველის თვალი დაადგება კახეთს და მასალის დეფორმირებაც ამ პრიზმით ხდება.

„კოშკის ყურეში დამჯდარა მეფე,
ძაძებს მოუცავს გრემის კარები.
ესმის გარდაცვილ ნაგაზის ყფა
და მღუმარებენ შემოგარენი.
გაალებს ფანჯრებს ჰადრიდან გვრიტო
გადმოფრინდება ფამთასელის აქეთ.
ბევრი მგოსანი ლექსის ჰოგრიტით
განსჭერეტს და ხედავს წრევიანდელ კახეთს“.

მეფე — მგოსანი სჭერეტს წლევეანდელ კახეთს, იგონებს გარდასულ ბრძოლებს და ამბობს: „ეხედავ კახეთსაც შვება ელირსა“. მაგრამ შეიპყრობს დიდი სევდა:

„ნეტავ მანდ ვიყო, ბუდე ვაკეთო
და მეპატიოს მგოსნის ცდუნება“.

ჩვენის აზრით თეიმურაზ მეფის სილუეტის ამგვარი გამოჩენა თანამედროვე კახეთის ფონზე დიდი იდეური შეუსაბამობაა.

„მსურს ნადირობა ირმებზე მაშვინ.
თუ აღვერდი ისევ ის არი“.

ძველი კახეთი აღარ არის, ძველი ბუდეებიც ძირფესვიანად დაინგრა და თეიმურაზის თვალთა წინაშე სულ სხვა სურათი გადაიშლება. აღარსად არის ისლის ჭოხები. აღორძინებული კახეთი გაერთიანებულია ერთის მის-

წრფეებით: იგი ახალ ცხოვრებას ქმნის. მეფე კი განთავსებული იმის გამო, რომ მისი „ტანტი იღბალს მოუსრავს“, „ჩაიკარგება“¹ „წიქსუნწიქსუნში“.

ეს ლექსი ჩვენთვის საინტერესოა იმ მხრივ, რომ მწიქანს შეეძლოდ მიმართავს გარკვეულ ლიტერატურულ ხერხს, მანერას — თეიმურაზის განცდათა პრიზმაში გაატაროს შთაბეჭდილებანი თანამედროვე კახეთზე და ძველ და ახალ პოეტურ სახეთა დაპირისპირებით მოგვეცეს ძველი და ახალი კახეთის სურათები. ამ ლექსში უფრო პოეტების ჭოგრით პაექრობაა, ვიდრე ჩვენი სინამდვილის უშუალოდ წვედენა. ცხოვრებასთან პოეტი მიდის ლიტერატურიდან, ამიტომ მეტად მკრთალი გამოუვიდა პოეტს თანამედროვე კახეთი. ჩვენის აზრით, ეს იმ ლიტერატურული მანერის შედეგია, რომელსაც ამ ლექსში მისდევს ს. ჩიქოვანი და რომელიც უსათუოდ ფორმალისმის რეციდივია. ლექსში იგრძნობა ერთგვარი რომანტიკა წარსულისადმი. მასალის დეფორმირების ფორმალისტურმა ლიტერატურულმა ხერხმა განსაზღვრა ჩვენთვის მიუღებელი რომანტიკის ეს რეციდივიც.

სიმ. ჩიქოვანის სხვა ლექსებიდან ავიღებ მის მიერ ამ რამდენიმე წლის წინად დაწერილ ლექსს — „გმირის ძიება ნოტაჩიოში“². ეს ლექსი ჩვენმა კრიტიკამ უკვე შეაფასა ამიტომ მოკლედ შევეხები. პოეტი ეძებს გმირს ნოტაჩიოს კოლმეურნეობაში, მაგრამ ვერ ნახულობს. ამ გმირს იგი ვერ ეწევა: დამკვრელი კოლმეურნე ბოჯგუა გადადის ერთ ადგილიდან მეორეში, აგებს სილოსის კოშკებს, ამაგრებს კოლექტივს და საერთოდ განუწყვეტელ მოძრაობაშია. ვერ იქნა და ავტორმა ვერსად ვერ შეისწრო, ვერ დაინახა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ბოჯგუას კვალდაკვალ მისდევს, და ასე მთელი ლექსის მანძილზე. ადგილობრივ ხელმძღვანელ ამხანაგთა ჩარევამაც ვერ შეაძლებინა ავტორს ენახა ეს საარაკო ადამიანი, გმირი ბოჯგუა.

„მდივანი დროულ განცდით აივსო,
გუთხოვდა დარჩენას ვიდევით უარს
კაცს გამოაჩენს საქმე თავისი
და ჩვენც ვიჯნობდით უცნობ ბოჯგუას“.

გმირ ბოჯგუას თავგადასავალი მკითხველს უთუოდ კომიკურ პლანში წამოუდგება. ვერ იქნა და მას თვალის ვერ მოასწორეს და ბოლოს ავტორი დასძენს, რომ გმირი, მართალია, არა სჩანს, მაგრამ „გმირის ნახვა თუ ვსურთ“ —

„თქვენ უნდა ნახოთ
გმირის ნაშრომი ნოტაჩიოში“.

ავტორი წავიდა უმცირესი წინააღმდეგობის გზით. მან ვერ გვიჩვენა ეს ახალი ადამიანი, ახალი ცხოვრების შემქმნელი. ვუყურებთ ამ გმირის მიერ აგებულ სილოსის კოშკებს, გამომწვარ აგურებს და საერთოდ მის ნაშრომს, მაგრამ ცოცხალ ადამიანს ვერ ვხედავთ. ადამიანზე ზრუნვა კი

მთელი ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების ყურადღების ცენტრში/სდგას. ხელოვნებაშიც მთავარი ადამიანია, მისი ჩვენება მთელ მის ქვეყნულ-ფერონებაში. ადამიანი ჩვენს ქვეყანაში უბრალო ნომენკლატურული იგი უძვირფასესი განძია ყველა განძთა შორის. ამ ლექსის ფორმალისტური ოინბაზობა იმაში მდგომარეობს, რომ პოეტმა არა სწორად გაიგო ახალი ადამიანის ჩვენების პრობლემა. აქ ადამიანი გადაწყულია უკანა პლანზე, ხოლო პირველ რიგში „მისი ნაშრომი“ წამოწყული და ყოველივე მამეტად სქემტურ ხასიათს ატარებს

დასასრულ, ავიღოთ სიმ. ჩიქოვანის პოემა „ამირანი“, რომლის პირველი ნაწილი გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში“ (1934 წ.). პოემაში აღწერილია წყალდიდობა მთელი თავისი შედეგებით. პოეტი ცდილობს მთელი მასშტაბით მოხაზოს ეს სტიქიური უბედურება მშრომელი მოსახლეობისათვის, მაგრამ პოემა იმდენად არის დამძიმებული ბუნდოვანი სახეებით, რომ ნაწარმოების მთავარი იდეა არ იშლება მთელი ბუნებრივობით და ხელთ გვრჩება უხერხულ გაურკვეველ სახეთა ზომაზე მეტი სიჭარბე.

ყოველად დაუშვებელია ასეთი სახე:

„და სხვის მამულში
გლეხი ღარიბი დუხჭირობსა და ზემოდ ბალახობს“

ან:

„შესაგდა ჭაბუკს ოჯახის ხეცს
და გულში შეტბა ჯიუტი კეიცი“.

ან კიდევ:

„ღარიბ ოჯახის გზის საფუძველიც
შეტორტმანდა და მიეცა ფიქრებს“.

„ჭაბუკი გაყვა ფეხებს და ფიქრებს,
უთუოდ დედა დაიწყებს ჯახირს“.

და სხვა.

ასეთი მიუღებელი სახეები სრულიად შეუძლებელს ხდიან ფორმის სისადავეს და ნაწარმოების შინაარსიც იჩრდილება, გაუგებარი ხდება. მთელი მასალა დეფორმირებულია განყენებულ პოეტურ სახეებში. პოეტი ცდილობს წყალდიდობის მთელი საშინელება დაგვიხატოს არა პოემაში აღწერილი ამბების თანდათან გაშლით და გაძლიერებით არამედ ცალკე პიპერბოლური თქმებით, რომლებიც ხშირად მოვლენათა რეალურ განვითარებას არღვევენ.

ამით სრულიადაც არ გვინდოდა იმის თქმა, თითქოს სიმ. ჩიქოვანის უკანასკნელ პოეტურ პროდუქციაში არ მოაპოებოდეს კარგი პოეტური სახეები. რა თქმა უნდა, არა. მას აქვს ნამდვილი პოეტური სახეები. ჩვენ

მხოლოდ იმ გარემოებისათვის გვინდოდა მიგვეპოვა მწერლის სწავლება, რომ ისეთი მოწინავე პოეტის შემოქმედებაშიც, როგორც სიმ. ჩიქოვანია, ადვილი აქვს ფორმალიზმის რეციდივებს და ამ შემოქმედებებში მშვენიერი საქმიანი კრიტიკა გაუადვილებს მას ერთხელ კიდევ კრიტიკულად გადააფასოს თავისი შემოქმედებითი გზები, რომ უფრო ნაყოფიერი იყოს მისი ბრძოლა სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურისათვის.

როგორც ცნობილია, საქართველოში მეტად ძლიერი იყო სიმბოლისტური მიმდინარეობა. ამ მიმართულების წარმომადგენელნი წარსულში პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, ვ. ლეონიძე და სხვა აშკარად გამოხატავდნენ თავიანთ ნაწარმოებში დეკადანსის, დაცემულობის განწყობილებებს. ძლიერამოსილი სოციალისტური მშენებლობის შედეგად და მედგარი იდეური ბრძოლის გამო სიმბოლისტების მთელი იდეური და შემოქმედებითი მარაში გამოშლავნებულ და განადგურებულ იქნა. ამ მიმართულების საუკეთესო წარმომადგენელნი თანდათან გადაიარაღდნენ და გადავიდნენ საბჭოთა ლიტერატურის პოზიციებზე. ნეიტრალური მოტივები, ვიწრო პერსონალურ განწყობილებათა ნაჭუქში მომწყვდევა, — აი რით ხასიათდება მთელ რიგ შემთხვევებში მათი შემოქმედებითი პრაქტიკა. სავსებით ბუნებრივია, რომ ჩვენმა დიადმა სინამდვილემ თავისი დალი დაასვა მათ შემოქმედებას და ისინი ჩამოყალიბდნენ, როგორც საბჭოთა პოეტები, მათ აქვთ მთელი რიგი კარგი ნაწარმოებები თანამედროვე თემატიკაზე, მაგრამ ამავე დროს ერთ წინააღმდეგობას უნდა გაესყას ხაზი საერთოდ ამ პლედის პოეტების შემოქმედებაში. საბჭოთა თემებზე მუშაობასთან ერთად, ისინი დრო და დრო გამოდიან შინაარსისაგან გაცილილ „ნეიტრალური“ ლექსებით. ამ წინააღმდეგობის გზით მიიმართება ამ პოეტთა მთელი რიგი მხატვრული პრაქტიკა.

აქვე მინდა შევნიშნო, რომ საბჭოთა პოეზიის ხაზი ამ მწერალთა შემოქმედებაში ამ უკანასკნელ ხანებში უფრო რელიეფურად იკვეთება. სწორედ ამის გამოა, რომ ზოგიერთებს ებადებათ იქვი, რომ არ ფიქრობენ ეს პოეტები, რომ მათი პერსონალური ლირიული ამღერება, სრულიად გამოთიშული იმ საკითხებისაგან, რომლებიც ალელვებს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას, ნამდვილი ხალასი პოეზიაა, თუ ის მარტო ზრდის, შემოქმედებითი გადაიარაღების სიმწელებია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ პოეტების დიდი ნაწილი გულწრფელად მიისწრაფის იბრძოლოს სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურისათვის.

აქ იჭრება ერთი კარდინალური საკითხი, რომელიც ჩვენი მწერლების საკმაოდ დიდ ნაწილს შეეხება, სახელდობრ ის, თუ რამდენად განსაზღვრავს მსოფლმხედველობრივი გადაიარაღება პოეტის დამოკიდებულებას სინამდვილესთან, მის უნარს ღრმად ჩასწვდეს თანამედროვე სინამდვილეს და დამაჯერებელ მხატვრულ სახეებში გადმოგვცეს იგი. აი სწორედ აქ ისმება ფორმალიზმის საკითხი ჩვენს ლიტერატურაში. ჩვენი ცხოვრების

კანონმდებელნი — მუშები და გლეხები, კოლმეურნე მასები ქმნიან ჩვენი ქვეყნის სახეს, აშენებენ ახალ ბედნიერ ცხოვრებას. სრულიად ბუნებრივია ახალ ადამიანთა, ჩვენი ეპოქის გმირთა ცხოვრების, მათი საბჭოთაო-სოციალისტური ბრძოლის ჩვენების მოთხოვნა მთელ თავის მრავალფეროვნებაში, ვისთვის არის ღირებული პოეტის ვიწრო დაბნული ლირიული სამყარო, ავადმყოფური პოეტური ასოციაციები, შინაარსისაგან დაკლილი მხატვრული შემოქმედება?

ტ. ტაბიძე საკმაოდ ცნობილი ფიგურაა ჩვენს მწერლობაში. მას აქვს მთელი ზრიდი ღირსშესანიშნავი ლექსები, ახალი საბჭოთა ადამიანთა განწყობილებით დაწერილი. ამ ორი წლის წინად მან გამოსცა კრებული, სადაც თავმოყრილია მის მიერ სხვადასხვა დროის დაწერილი ლექსები. წიგნში მრავლად მოიპოვება სიმბოლიზმის რეციდივები. ჩვენმა კრიტიკამ საპარტიო-ანად მიუთითა ამ წიგნის იდეურ ჩავარდნებზე. მე შეეჩერდები მხოლოდ მის უკანასკნელ ლექსზე „ორდენოსან სამშობლოსათვის“. ამ ლექსში, ანამედროვე საბჭოთა საქართველო მეტად მკრთალადაა მოცემული. ისტორიული პარალელების სიჭარბე უკანა პლანზე წევს ლექსის მთავარ იდეას. ჩვენის აზრით, პოეტი ამ ნაწარმოებში უმცირესი წინააღმდეგობის გზით წავიდა. უფრო რთულ ამოცანას პოეტი, ასე ვთქვათ, გაექცა, ე. ი. ამოცანას — მოეცა თანამედროვე საბჭოთა საქართველო მთავარ ხაზებში ამის ნაცვლად პოეტი ჩვენი ისტორიული წარსულის დიად სახელებს მოუხმობს.

„ველას გეძახით ივანო მოჭმე.
დასტოვეთ თქვენი საფლავის დვირე.
მე არ მტყვევია, დიდ ეპოქის
ერთი საწყალი რომ ვარ მესტირე“.

ტყუილა არღვევს პოეტი წინაპართა მარადიულ ძილს. ახალ საქართველოს იგი მეტად მკრთალად გვიჩვენებს. ჩვენის აზრით, ტ. ტაბიძე ამ ლექსში გამოდის უფრო ლიტერატურული-ანალოგიებიდან, და აქ არის სიმბიზმის ცენტრი გადატანილი, წარსულ ლიტერატურულ ამბებზე და არა უშუალო ცხოვრებაზე. ამ ლექსში სუსტად იგრძნობა ჩვენი ცხოვრებინ დუღილი, მისი დაუღალავი მაჯისცემა. საერთოდ „ლიტერატურაშინის“ სენი მეტად აფერხებს ჩვენი ლიტერატურის განვითარებას. ჩვენმა პოეტებმა ეს დაბრკოლებანი უნდა დასძლიონ, ასახონ ცხოვრება და არა წარსული ლიტერატურული ამბები. ეს შესაძლებელი იქნება ჩვენი სინამდვილის ღრმა შესწავლით, მსოფლმხედველობის გადაიარაღებით.

მე მინდა შევეხო გ. ლეონიძის რამდენიმე ლექსს. მთელ რიგ მის ლექსებშია საგრძნობია ბუნდოვანობა, არქაიზმი, მეტად განყენებული პოეტური სახეები. 1935 წ. გ. ლეონიძემ გამოაქვეყნა ტურნ. „მნათობში“ ორი ლექსი:

„მშენ როცა მიწას მიუგერისა,
იხურებოდა ვარსკვლავთ ბაზარი —
ხმა გავიგონე დარტყმულ კვერისა,
შეკოთებული რკინის ზანზარი“.



ქართველთა
წიგლმწიფთა

მეტად ძნელია წარმოიდგინოს ადამიანი „ვარსკვლავთ ბაზარი“. ან
კიდევ:

„ღრუბლებმა დასტოვეს ძველი საძვალეთი,
შხარი გაიბეს არწივებური,
თითქო ეკიდა როგორც ბაზალეთი
მაისის ღალით და დარძვეებული.
.გავედნენ ღრუბლებში შემუსვრილ ხომალდებს
ხან მხედართმთავრებს, ხან დამწვარ ქალებს.
იფხვნენ... სულის ამოხდომამდე,
თითქოს ცა დაეცეს და ააღაგეს,
უცებ მოსწყდა ნაპირთან.
დაისარტყლა გაფითრდა
დიდროვანი ღრუბელი, თითქოს რკინის ნახარში
ყაყაოსფრად მახვილი
მუხას დაუპრაღა
დაჰკრა ზურგის ბაწარში“.
და სხვ.

ეს ლექსი არა მარტო უშინაარსოა, არამედ მასში დარღვეულია თვით
ფორმაც. გ. ლეონიძე ამ ლექსში ლალატობს თავის თავს, როგორც ქარ-
თული პოეტური მეტყველების ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს.
ფორმის სისადავე, მაღალი იდეურობა, — აი ის მთავარი მოთხოვნა, რო-
მელსაც ჩვენი გაზრდილი მკითხველი უყენებს საბჭოთა პოეტს. გ. ლეო-
ნიძე გულმოდგინედ ამუშავეს თემას „ტფილისი“. ჩემის აზრით, ამ ლექს-
ში უფრო მძაფრადაა განცდილი ძველი ტფილისი, ვიდრე ახალი. ამასთან
პოეტი უპირატესად ძველი ტფილისის უფრო დეკორატიულ ფონს გად-
მოგვეცემს, ახალი ტფილისი კი მხოლოდ ცალკე ეპიზოდურ შტრიხებშია
მოცემული. მის ლექსებში უფრო იგრძნობა ძველი ტფილისი, აივნის ნო-
ხების სილამაზე და „ტაბაკზე“ ალიბუხარის სურნელება, ვიდრე „დაზ-
გების ქარცეცხლის“ პათოსი. ჩვენ შევეხებთ მხოლოდ დეკადენტურ ნაშ-
თებს მის შემოქმედებაში. ამავე დროს პოეტის შემოქმედებაში ძლიერია
საბჭოთა თემატიკის ნაკადი („ყრილობის დელეგატებს“ და სხ.). ჩვენ გვინ-
და, რომ გ. ლეონიძე დრო და დრო უკან არ იხედებოდეს და თავისი ძლიერ
პოეტური ხმა მთლიანად ახალი ცხოვრების მოტივებზე აამეტყველოს.

საკმაოდ ძლიერია პოეტ ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებაში
სიმბოლიზმის რეციდივები. ამ მხრივ სიმპტომატიურია მისი ლექსი „ზღვა-
ზე“. პოეტი ამ ლექსში უბრუნდება თავის ძველ პოეტურ ასოციაციებს.
ამ ლექსში მისტიურად განწყობილი პოეტი კვლავ ეძებს „ძველ ჭიმერი-
ონს“. პოეტი აღებულ თემისადმი დამოკიდებულებაში არ ამჯღავნებს.
საბჭოთა პოეზიის სპეციფიკას.

ცნობილია, რომ საბჭოთა პოეზიის თემატიკური არე მეტად მრავალფეროვანია. მთავარი აქ ის არის, რომ საბჭოთა პოეტის დამოკიდებულება, მაგ., ისეთი თემისადმი, როგორცაა ბუნება, უნდა განსხვავდებოდეს ბუნებასთან. ლიტერატურის წინა პერიოდის წარმომადგენელთა დამოკიდებულებისაგან.

ტურგენევის „მამებსა და შვილებში“ ახალგაზრდა ნიპილისტი ბაზაროვი ამბობს, რომ ბუნება არის არა ტაძარი, არამედ სახელოსნო, და ამით იგი თავის დროის განწყობილებას გამოხატავს. ჩვენთვის მთავარია, რომ ბუნების პეიზაჟის მოცემა დაკავშირებული იყოს საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, ჩვენს ძლევამოსილ ბრძოლასთან ბუნების მოვლენადა დასამორჩილებლად.

სრულიად სამართლიანია მოსკოვის „სალიტ. ვაზეთის“ განცხადება რომ ტფილისში განსაკუთრებით ძლიერი იყო დეკადენტობის ტრადიციები. ჩვენი მოვალეობაა ყოველმხრივად ვამხილოთ დეკადენტობის ყოველგვარი ნაშთი.

ფორმალიზმის რეციდივები საკმაოდ მოეპოვება პოეტ კარლო კალაძესაც. აჭარისადმი მიძღვნილ მის უკანასკნელ ლექსთა კრებულში წარმოდგენილია მთელი რიგი ფორმალისტური ხერხებით დაწერილ ლექსები.

ცნობილია პ. იაშვილის ნეიტრალური ლექსები, რომლებიც გამოქვეყნებული იყო „მნათობში“ ამ რამდენიმე წლის წინად სათაურით ციკლიდან — „ლირიკული გაზაფხული“. ამ ლექსებს ნეიტრალობის, უიდეობის მკვეთრად გამოხატული ტენდენციები ახასიათებს. შემდეგ მან გამოაქვეყნა მეტად საინტერესო ლექსი კოლხიდაზე, რომელშიაც ნათლად მოსჩანს მისი შემოქმედების რეალისტური ხაზი.

როდესაც ვლაპარაკობთ უიდეო პოეზიის ნიმუშებზე, მინდა შევეხო ი. მოსაშვილის შემოქმედებასაც. შინაარსისა და ფორმის გათიშვის ტენდენცია საკმაოდ გამოსჭვივის მთელ რიგ მის ლექსებში. განყენებული პეიზაჟები, ადგილობრივი კოლორიტის გადმოცემით გატაცება, — აი რით ხასიათდება ი. მოსაშვილის ზოგიერთი პოეტური ნაწარმოები. ი. მოსაშვილის „ღია ბარათები“, „სიყვარული უცებ“ წარმოადგენს სახეთა უმიზეზო თამაშს. ი. მოსაშვილის შემოქმედებისათვისაც დამახასიათებელია წინააღმდეგობა: ერთის მხრივ — ნეიტრალური მოტივები და მეორე მხრივ — აქტუალური საბჭოთა თემატიკა („დემჩენკო“ და სხვ.).

ბელორუსიის თემატიკაზე ილო მოსაშვილმა და ა. ქუთათელმა გამოაქვეყნეს მთელი ციკლი ლექსებისა, რაც მეტად საყურადღებო მოვლენაა ჩვენს ლიტერატურაში, მაგრამ ა. ქუთათელის და ი. მოსაშვილის ბელორუსიისადმი მიძღვნილი ლექსების ნაკლი ის არის, რომ მათში სათანადოდ ვერ ვხედავთ ბელორუსიის ახალ ადამიანებს. სიმძიმის ცენტრი უფრო გადატანილია ბელორუსიის პეიზაჟის და ადგილობრივი კოლორიტის გადმოცემაზე.

არა ნაკლებია ფორმალიზმისა და ნატურალიზმის რეციდივი პროზის დარგში. აქ მინდა ერთ მეტად დამახასიათებელ მოვლენას ვაუწყებ ხაზი, სახელდობრ იმას, რომ მთელი რიგი ჩვენი პროზაიკოსებისა და მწიგნობრებისათვის განსაზღვრავენ ისტორიული თემებით. ჩვენ გვესმის ისტორიული თემატიკის დიდი მნიშვნელობა, მისი როლი და ხვედრითი წონა. მაგრამ მაინც ჩვენ ვფიქრობთ, რომ ძირითადი საბჭოთა მწერლებისათვის უნდა იყოს დღევანდელი პრაქტიკული მათემატიკა.

ჩვენ ვლაპარაკობდით „ლიტერატურშინის“ ტენდენციებზე პოეზიაში, ანელოგიურ პროცესებს ადგილი აქვს პროზის სფეროშიც, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველაზე უფრო ტიპური ამ მხრივ დემნა შენგელაიას შემოქმედებაა. დემნა შენგელაია ჩვენი პროზის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატია, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა ფორმალიზმის ნაშთებისაგან. ფორმალიზმის რეციდივი დ. შენგელაიას შემოქმედებაში წარმოდგენილია უმთავრესად სტილიზატორობის სახით, რომელსაც იგი მიმართავს, როგორც გარკვეულ ლიტერატურულ ხერხს. ეს ახასიათებს ძირითადად 1934 წელს გამოცემულს მის მოთხრობათა კრებულს. თავის მოთხრობაში „ტფილისში“ ამ სტილიზატორული ხერხებით გვაძლევს იგი ძველ ტფილისს, მთელი მისი კოლორიტით და ფერადების სიუბხვით. იგი სწერს: „გუგუზნებს სიონის ზარი, ანჩისხატი ეხმაურება და ძველი ტფილისის უბნებში დვას: ებრაელების, ნეღლი ტყავების, ოსური ყველის, დამარილებული თევზის, ჩონჩორიკის, აბანობეგსა და ჩარჯუიდან ჩამოტანილ დუთმა ნესეების სუნი“.

სტილიზაციას იმდენად გაუტაცნია ავტორი, რომ ისეთ იდეურ შეუსაბამობამდე მიდის, რომელსაც აშკარად უდის ნაციონალიზმის სუნი — „იღდა ებრაელების სუნი“. თავის რომანში „ბათა ქექია“ დ. შენგელაია მთელ რიგ მომენტებში უფრო ლიტერატურიდან გამოდის, ვიდრე უშუალოდ სინამდვილიდან. ამ რომანში იგი იძლევა სამეგრელოს ცხოვრების უფრო ნიჟიერად შესრულებულ დეკორატიულ, სტილიზირებულ სურათებს, ვიდრე რეალურ სინამდვილის, მშრომელი გლეხობის ბრძოლას. მთელ რომანში ყველაზე უფრო გამოკვეთილად და რელიეფურად მოხაზულია ცხენის დაღალის დანელიას სახე. რომანის მთავარი ნაკლი ის არის, რომ დიდი ექსპრესიით შესრულებულია მხოლოდ დეტალები, მხატვრული განზოგადობები კი მეტად სუსტია. ავტორი აქ ჯერ კიდევ ვერ შორდება ვიწრო ემპირიზმს.

მწერალმა კ. გამსახურდიამ გამოაქვეყნა ახალი რომანი სამ წიგნად — „მთვარის მოტაცება“. ეს უსათუოდ მნიშვნელოვანი ნაწარმოებია ჩვენს ლიტერატურაში. ამ ნაწარმოებით კ. გამსახურდიამ ერთგვარად დაიძრა ძველი პოზიციებიდან და სცადა ახალ თემატიურ მასალაზე გაეშალა თავისი დიდი ტილო. ეს რომანი იმის საუკეთესო ილუსტრაციაა,

თუ როგორი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მწერლისათვის დიდი ვადიარაღების, სინამდვილის ღრმად შესწავლას. კ. გამსახურდიას რომანის დაკვირვებულმა შესწავლამ დაგვიანხება, რომ იგი კარგად იმთავითვე აღხაზეთს, სამეგრელოს მისი ძველი ჩვევებით და ძლიერ სუსტად — თანამედროვე აღხაზეთს, თანამედროვე სამეგრელოს. რომანის დიდი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ის ახალი ადამიანები, რომელთა ჩვენება ავტორს განუზრახავს, უფრო ავტორის რეჰარკების მიხედვით — არიან ახალი დროის ადამიანები, ვიდრე თავიანთ მოქმედებით და ქცევით. კ. გამსახურდიამ თავის რომანში დაგვიანა ტიპი უნიადაგო ინტელიგენტისა, რომელიც ქანაობს ორ სმყაროს შორის. ევროპიდან გამოქცეული იგი ვერ პოულობს ნიადაგს ჩვენს სინამდვილეში. მთავარი, რასაც, მე მინდა აქ ხაზი გაუსვა, ის არის, რომ ამ ტიპს იგი ვერ გვიხატავს სათანადო ირონიით. მისი მდგომარეობა ჩვენს სინამდვილეში ობიექტიურად კომიკურია, იგი ბუდიდან ამოვარდნილია. ავტორი კი ასეთ გმირს გადაჭარბებულად ტრაგიულ პლანში გვიხატავს. ენგელსი ერთ ადგილას შენიშნავს, რომ ავტორი არასოდეს არ უნდა იყოს გადაჭარბებით ალტაცებული თავისი გმირით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ კ. გამსახურდიას ამ შემთხვევაში ეს სისუსტე ახასიათებს; ეს პერსონაჟი ავტორის მიერ არ არის სათანადოდ ობიექტიზირებული. რომანი დამძიმებულია ძველი ჩვევების სურნელებით. იმავე დროს კ. გამსახურდიამ საკმაოდ დიდი მხატვრული სიძლიერით დაგვიხატა აღხაზეთის თავისებურებანი.

ჩვენს ლიტერატურაში არა ნაკლებია ნატურალისტური ტენდენციები, რომელიც არსებითად ენათესავენა ფორმალიზმს. ცნობილმა მწერალმა მ. ჯავახიშვილმა, რომლის კალამს არა ერთი და ორი მხატვრულად გამართული ნაწარმოები ეკუთვნის, ჟურნალ „მნათობში“ გამოაქვეყნა მოთხრობა „ცხრა ქალწული“. ამ მოთხრობაში ავტორს გამოყვანილი ჰყავს ახალგაზრდა კაცი, რომელსაც პროფესიად ცოლების შერთვა გაუხდია და მცირე ხნის განმავლობაში „9 ქალწულის შერთვა“ მოუსწრია. ცხადია, ეს სრულიად არ არის ტიპური. ყველამ იცის, თუ როგორი სასტიკი ბრძოლა სწარმოებს ჩვენში სქესობრივი აღვირახსნილობის წინააღმდეგ. ამ მოთხრობის მიხედვით, ჩვენ მივიღეთ არატიპურ მოვლენათა ჩვენება, არამედ ცალკეული პატალოგიური შემთხვევების ერთგვარი განზოგადობა. შიშველ ნატურალიზმამდე დაყვანილი ამ მოთხრობის თინალი: ზურაბი თავისი დის შურს იძიებს და აღვირახსნილ „ჩაინდს“ ჩანგლით ტუნს ჩამოგლეჯს.

„უცებ მარცხენა ხელი ყელზე მოხვია; თავი უკან გადაუწია, იმავე წუთს მარჯვენა ხელით ჩანგალი ჩაჭკრა ზემო ტუნში და მარჯვნივ და მარცხნივ გადასწია.

— მიშველეთ! მომკლა! — დაიბღაველა ანტონმა და გარედ გავარდა

ზურაბი დინჯად გამოჰყვა. კარებში შესდგა და ჩანჯალს დასხედა, რომელიც ხელში შერჩენოდა. ჩანჯალზე ანტონის ტუჩი იყო ჩამოკეცილი“.

ვიშუორებთ, ფაქტების ტიპიური გადმოცემის მაგივრად, სწორედ შერჩება ცალკე პატალოგიური ეპიზოდების ემპირიული აღწერა. ანტონის შედეგლობიდან რჩება მთავარი, ის ტიპიური, რაც ჩვენს სინამდვილეს ახასიათებს.

ს. ეულმა სკადა ლექსად გამოეთქვა ჩვენი პარტიის გმირული ისტორია. ეს განზრახვა მეტად სასახელოა. ჩვენი პარტიის გმირული წარსული ჩვენი მწერლობის უდიდესი თემაა. მაგრამ ეს „გმირული ეპოპეა ქრონიკებში“, როგორც ამას იგი თავად უწოდებს, სრულიად არ არის საერთოდ პოეზიის სპეციფიკა; იგი პარტიის ისტორიის ცალკე ეპიზოდების ძალზე სქემატიური, მშრალი აღწერაა.

„კაპიტალს გაშლა მოუნდა ფრთების
(ახალშენებში იყრობდა ბაზრებს),
დაბერა ქარმა ახალ აზრების
და გაფიცვებში სისხლი დაღვარეს“.

მთელ ამ პოემაში თითქმის არ არის არც ერთი პოეტური სახე. ვანა შეიძლება წერა „კაპიტალს გაშლა მოუნდა ფრთების“? თითქოს მონდომებაზე იყო ყოველივე ეს დამოკიდებული. ჩვენი პარტიის წარმოშობაზე ამხ. ს. ეული სწერს: „გამოჩნდა ამქვეყნად ახალი აზრებით ეს ბოლშევიკი პარტია გმირი“, „ზოგს პოზიცია ქონდა „მარცხნიდან“, ზოგი უშენდა პარტიას მარჯვნივ, ზოგმა გაიგო ყალბად მარქსიზმი“ და სხვა. ეს მშრალი რიტორიკა პოეზიაში დღეს არავის აღარ უნდა. ამხ. ს. ეულს, რომელსაც უსათუოდ აქვს საკმაო დამსახურება ჩვენი პროლეტარული პოეზიის წინაშე, მოეთხოვება უფრო დაკვირვებულად მუშაობა თავის თავზე.

მინდა აღენიშნო, რომ გაუბრალოების ტენდენციები არა ნაკლებ ახასიათებს პ. ს. ა. მ. ს. ნ. ი. ძ. ე. ს. მთელ რიგ მის ლექსებში სჩანს არა სეროზული მუშაობა სიტყვიერ მასალაზე. ვიღებ მხოლოდ ერთ მაგალითს. მან გამოაქვეყნა ჟურ. „მნათობში“ ერთი თავი პოემიდან „მთა-გმირები“. აღებული აქვს მეტად მოარული თემა. ამბავი მთებში ხდება. ერთი მოხვევით მშიში გაიწვიეს. ნათქსავეებს ეგონათ, რომ იგი მშიში დაიღუპება. მოულოდნელად მოხვევით ბრუნდება და საცოლეს გათხოვილი ხდება. ქალი მის ძმად ნაფიცს შეუყვარებია. ამხ. პ. ს. ა. მ. ს. ნ. ი. ძ. ე. ს. მთელ რიგ მის ლექსებში სჩანს არა სეროზული მუშაობა სიტყვიერ მასალაზე. ვიღებ მხოლოდ ერთ მაგალითს. მან გამოაქვეყნა ჟურ. „მნათობში“ ერთი თავი პოემიდან „მთა-გმირები“. აღებული აქვს მეტად მოარული თემა. ამბავი მთებში ხდება. ერთი მოხვევით მშიში გაიწვიეს. ნათქსავეებს ეგონათ, რომ იგი მშიში დაიღუპება. მოულოდნელად მოხვევით ბრუნდება და საცოლეს გათხოვილი ხდება. ქალი მის ძმად ნაფიცს შეუყვარებია. ამხ. პ. ს. ა. მ. ს. ნ. ი. ძ. ე. ს.

ყველა ეს ფაქტი აყენებს მკითხველების და საკუთარი თავის წინაშე ჩვენი პოეტების პასუხისმგებლობის გაძლიერების საკითხს. ჩვენ გავზარდილ მკითხველს აღარ აკმაყოფილებს ასეთი პროდუქცია, სინამდვილესთან ასეთი ზერეღე მისვლა.

ახალგაზრდა კადრებისათვის ბრძოლა ჩვენი ლიტერატურის საბრძოლო ინტერესია. უნდა აღინიშნოს გადაჭრით, რომ ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმე ჩვენ ჯერ კიდევ ვერა გვაქვს სათანადოდ შექმნილი დაყენებული. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევქმენით სათანადო იდეური ატმოსფერა ახალგაზრდა მწერლების სწორად აღზრდისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ლიტერატურულ რიგებს არა ერთი და ორი ახალგაზრდა ნიჭიერი მწერალი შეემატა, მაინც ახალგაზრდა მწერალთა გამოვლინების პროცესი არ გვაკმაყოფილებს. ჩვენი ამოცანაა — რადიკალურად გავაძლიეროთ ჩვენი მუშაობა ახალგაზრდა კადრებთან. და რაც მთავარია, უნდა დაეაყენოთ სათანადო დონეზე მათი ლიტერატურული სწავლების საქმე.

აქვე მე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ გვყავს რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალი, რომელნიც თავის თავზე შეუპოვარი მუშაობით გაიზარდნენ. მათ შორის აღსანიშნავია მ. გ. ვ. ა. ს. ა. ლ. ი. ა., რომელმაც რამდენიმე საინტერესო მოთხრობა დაბეჭდა ჟურ. „მნათობში“ და გამოაჭეყნა ახალი რომანი „სურამი“.

ქართული საბჭოთა დრამატურგია ჩვენი ლიტერატურის ერთერთ ძლიერ უბანს წარმოადგენს. მან კარგი მუშაობის არა ერთი და ორი ნიმუში მოგვცა, მაგრამ ამ ბოლო ხანებში ერთ მეტად მახინჯ ტენდენციას აქვს აღვილი, რომელსაც მთელი სიმწვავეით უნდა ვებრძოლოთ, თუ გვინდა რომ ჩვენი საბჭოთა დრამატურგია სწრაფად განვითარდეს. მხედველობაში მაქვს მთელ რიგ დრამატურგთა „გაიოლებული“ მუშაობის ცდები. ეს გამოიხატება ძველ კლასიკოსთა პიესების გადაკეთებაში. ცხადია, ეს არის უმცირესი წინააღმდეგობების გზა. გამრავლდა გადაკეთებული პიესები (შ. ა. ლ. ვ. ა. დ. ა. დ. ი. ა. ი.: „ნინოშვილის გურია“ „ჩატეხილი ზიდი“, გ. ბ. უ. ხ. ნ. ი. კ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი. — „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, ს. მ. თ. ვ. ა. რ. ა. ძ. ე. — „არსენა მარაბდელი“, ს. კ. ლ. დ. ი. ა. შ. ვ. ი. ლ. ი. — „შემოდგომის აზნაურები“ და სხვ.). საბჭოთა დრამატურგის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ მან შეიტანა თეატრში თანამედროვეობის აქტუალური თემატიკა. და ახლა მათ უფრო უნდა გააძლიერონ მუშაობა ამ თანამედროვე თემატიკაზე. გადაკეთებული პიესები, რაც არ უნდა დიდი მნიშვნელობა ჰქონდეთ მათ, ჩვენს ორიგინალურ საბჭოთა დრამატურგიას ვერ განავითარებენ.

ჩვენი პიესების ტიპიური ნაკლია: სტემატიზმი, პერსონაჟების ერთფეროვანება, შტამპი, მჭრთალი სახეები.

უნდა ვეცადოთ საბჭოთა დრამატურგია ახალ საფუძველზე ავიყვანოთ.

მარქსისტულ-ლენინური კრიტიკა მოწოდებულია იყოს მთელი ლიტერატურული პროცესის ხელმძღვანელი. ჩვენი კრიტიკა მეტად სუსტად ასრულებს ხელმძღვანელ როლს. ის ხშირად უფრო კედში მისჩანჩალებს მოვლენებს, ვიდრე წინ უსწრებს მას. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასა-

ხელოთ თუნდაც ამეამად განსაკუთრებული სიმწვავით წარმოქმნილი ბრძოლა ფორმალიზმის წინააღმდეგ.

ჩვენ კრიტიკას, გარდა საერთოდ დაბალი თეორიულ-მეცნიერული ტენდენციის ახასიათებს: ან გადაქარბებული ზოტბა, „სისტიმის“ მწვეჭალის „ცოცხალ კლასიკოსად“ გამოცხადება, ან სრული განადგურება. ორივე ტენდენცია უმრავლეს შემთხვევაში ჯგუფურ იერს ატარებს. კრიტიკები ხშირად ვაუბრიან სთქვენ სიმახრულე მწერლის შესახებ. სწორედ ამიტომ საგარანოში ნაწილი ჩვენი ლიტერატურული პროდუქციისა სათანადოდ ჯერ კიდევ შეფასებული არ არის. ჩვენი კრიტიკოსების ნაშრომებში მოიპოვება როგორც ვულგარული სოციოლოგიზმის, მწერლისადმი გაუბრალოებული მიდგომის კონკრეტული ფაქტები (ბენ. ბუაჩიძე, შ. რადიანი, ბ. ელენტი, დ. დემეტრაძე და სხვ.), ისე ფორმალისტური კრიტიკის მეტად მკვეთრად გამოხატული რეციდივები (ა.კ. გაწერელია). ჩვენი კრიტიკა უნდა ეხმარებოდეს მწერალს, მისი ნაწარმოების ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე, მის ნაკლთა და დადებით მხარეთა გამომკვლავნებით. ჩვენმა კრიტიკამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ნაწარმოების შინაარსის ანალიზს, მხატვრული სპეციფიკის გამორკვევას. ჩვენში გამოდის მთელი რიგი ხალტურული ნაწარმოებები. ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი მდგომარეობა როგორც გამომცემლობებში, რედაქციებში, ისე საერთოდ კრიტიკის ფრონტზე, რომ მწერალს გაუძნელდეს დაუმუშავებელი ნაწარმოების მიწოდება მკითხველისათვის. პირველ რიგში ამისათვის ჩვენში კრიტიკაა პასუხისმგებელი.

ჩვენმა კრიტიკამ ე. წ. „წამყვან“ მწერალთა მიმართ თავი ჩააყენა ერთგვარ პოპულარიზატორის როლში და ზოგჯერ მათ ნაწარმოებთა აპოლოგეტადაც კი გამოდის.

ჩვენი კრიტიკოსები მოვალენი არიან იმ ამოცანათა საფუძველზე, რომლებიც დაგვისახა „პრადამ“, მოგვცენ ლიტერატურაში ფორმალიზმისა და ნატურალიზმის რეციდივების გაშლილი კრიტიკა. სისადავე და ხალხურობა, — აი ის მოთხოვნა, რომელიც ჩვენ უნდა წავეყენოთ მწერალს. ჩვენი კრიტიკის ცენტრალური ამოცანაა ისეთ ნაწარმოებებისათვის ბრძოლა, რომლებიც სწორად გამოხატავენ ჩვენს სოციალურ სინამდვილეს, ღრმა არიან თავისი იდეური შინაარსით. კრიტიკამ უფრო უნდა გააძლიეროს ბრძოლა ჩვენთვის მტრული იდეების გამოვლინების წინააღმდეგ ლიტერატურაში.

ჩვენ ვილაპარაკეთ უმეტესად ჩვენი ლიტერატურის ნაკლთა შესახებ. ყველამ იცის, თუ როგორ გაიზარდა ჩვენი მწერლობა. ყველამ იცის, თუ როგორი დიდი მიღწევები გვაქვს ჩვენი მხატვრული კულტურის დარგში. ჩვენი მწერლობის საუკეთესო ნიმუშები დღეს უკვე ხდება მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელთა კუთვნილებად. ჩვენს ლიტერატურას ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირის ხალხების ლიტერა-

ტურათა შორის. ის დიდი ჯილდო, რომელიც ჩვენმა მწერლობამ/საკავშირო მთავრობისაგან მიიღეს გალ. ტაბიძე, ქიქოძე, ლ. მიხ. ჯავახიშვილი, და ალიო მ ა შ ა ვ შ ი ს კ ა რ ი ა ი ვ ა ლებს მთელ ჩვენ მწერლობას გააძლიეროს ბრძოლა ლიტერატურის უფრო მაღალ საფეხურზე აყვანისათვის.

ჩვენი ლიტერატურის ბრწყინვალე გამარჯვება — ქართველი მშრომელი ხალხის დიდი ბელადის სტალინისადმი მიძღვნილი წერილის ჩვენი პოეტების — პ. იაშვილის, გ. ლეონიძის, ნ. მიწიშვილის და ალ. მაშაშვილის მიერ ლექსად გამოთქმა მაღალ მხატვრულ სახეებში.

საქართველოს ბოლშევიკების გამობრძმედილობა და სახელოვანმა ხელმძღვანელმა ამხ. ლ. ბერიამ ქართველი ხალხის სახელით განუცხადა დიდ ბელადს ამხ. სტალინს ჩვენი დელეგაციის მიღების დროს, რომ საქართველოს ბოლშევიკები უემოკლეს ვადაში გამოასწორებენ ყველა ნაკლს და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა უფრო მეტის ბოლშევიკური შეუპოვრობით იბრძოლებს საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკათა შორის ლენინ-სტალინის პარტიის დიადი იდეებისათვის, ბედნიერი ცხოვრებისათვის, ამხ. ბერიას ეს განცხადება უშუალოდ ქართულ საბჭოთა მწერლობასაც შეეხება.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი, გამობრძმედილი სტალინელის და საქართველოს საბჭოთა მწერლობის ნამდვილი მეგობრის ამხ. ლ. ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით კიდევ უფრო მეტის ენერგიით იბრძოლებს ჩვენი დიადი ეპოქის შესაფერი ლიტერატურის შექმნისათვის.



3. ლუარსაშიძე

ეპოსი უღედგახიდის ადექვროვიაკაციაზე

ამ სამი-ოთხი წლის წინად ქართულ მხატვრულ მწერლობაში საწარმოო რომანით გატაცებასა პქონდა ადგილი. იწერებოდა საკმაოდ მოზრდილი წიგნები ტექნიკურ პროცესებზე, საწარმოო რომანში მშენებლობის მტვერი იდგა, თვით მშენებლობა კი მკრთალად და მოკრძალებით გამოიყურებოდა. ადამიანები ამ პროცესების უბრალო დამატებები იყვნენ. საგრძნობი იყო სქემა და კლიშე, მკრთალად გამოიყურებოდა საწარმოო რომანიდან ნამდვილი ცხოვრება მთელი თავისი მრავალმხრივობით, მიმზიდველობითა და პეროიკით. რასაკვირველია, ეს ისე არ უნდა იქნას გაგებელი, თითქოს მწერლობიდან საწარმოო თემატიკის განდევნასა და მასში კადონების შეტანას მოვითხოვდეთ. საბჭოთა მწერლობის თემატიკური არსენალი განუსაზღვრელია! საბჭოთა მკითხველი დაბეჯითებით მოითხოვს მწერლობაში სოციალისტური რეალობის შეტანას მთელი მისი მრავალმხრივობითა და სიხარულით, იმ მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის პროცესების მწერლობის მიერ მხატვრულ ხარისხში აყვანას, რაც ჩვენ თვალწინ წარმოებს.

საწარმოო ქრონიკებით „მემარცხენე“ გატაცებას, განსაკუთრებით 23 აპრილის დადგენილების შემდეგ, ბოლო მოელო. მწერლობა ახალი ამოცანების დონეზე დგება, მიმდინარე პროცესების ძირითად რგოლს ჩაეკიდა, და მწერლობიდან სოციალისტური სიხარული უკვე ძლევაშოსილად ჩქეფს.

საგრძნობლად გაქრა სქემა და კლიშე. ის მწერლებიც კი, რომელნიც კრიტიკული რეალიზმის მეთოდით მუშაობდენ, საკუთარ მსოფლმხედველობრივ წინააღმდეგობათა დაძლევის გზით თანდათან სოციალისტური რეალიზმის რელსებზე გადადიან. მწერლობაში გაბატონდა სოციალისტური სიმართლე, ისტორიულ-კონკრეტული სინამდვილე. მწერლობაში მტკიცედ შემოიჭრენ ახალის მშენებელი, სოციალიზმის ეპოქის გმირი ადამიანები. სოციალისტური გაზაფხულის მწერლობამ მშვენიერი ნაყოფი გამოიღო.

ამ მოვლენის მანიშნებელია ახალგაზრდა მწერლის მოსე გეასა-
ლიას ემოსი უღელტეხილის ელექტროფიკაციისა და სურამის რაიონის
სოფლის კოლექტივიზაციის შესახებ („სურამი“ № 13, 1932 წლის
გრძნობთ, როდესაც ამ დიდ მოთხოვნას კითხულობთ, რადგან თბრობაში
წამოყენებულია და მხატვრულად დამაკმაყოფილებლად გადაჭრილი სო-
ციალისტური აღმშენებლობის პრობლემები. განიციდი
უღელტეხილის გმირების ენთუზიამს, მათ დროებით მოწყენასაც დიდ
დაბრკოლებათა გამო. უღელტეხილის გმირებთან ერთად ხარობ წინსვლი-
სა და ზრდის სიძნელეთა დაძლევას. მერე როგორი სიყვარულით დას-
ტრიალებს თავს ახალგაზრდა ავტორი თავის გმირებს, როგორი სიფრთხი-
ლითა და მოფიქრებით ანაწილებს თბრობაში ახალგაზრდა მწერალი ფე-
რებსა და ხაზებს! მერე როგორის გულმოდგინებითა და მეთოდურად შე-
უსწავლია თავისი თბრობის ობიექტი დეტალებით! მასალას დაუფლებია,
მასალა ზედმოწევნით შეუსწავლია. გამოცდილებისა და შთაბეჭდილების
მარაგი უხვად მიუღია და შედეგი — საზოგადოებრივ-ლიტერატურულად
სასარგებლო ნაწარმოები. „სურამი“ მოსე გეასალიას სამწერლო საქმიან-
ობაში საეტაპო მნიშვნელობის ნაწარმოებია.

„სურამის“ მთავარი თემა, სუეტე რკინისგზების ელექტროფიკაცია
(ელექტროფიკაცია ხომ ტრანსპორტის რეკონსტრუქციის წამყვან ძალას
წარმოადგენს); სუეტთან დამოკიდებულ ქვეთემად სოფლის მეურნეობის
კოლექტივიზაციაა მოცემული.

გადაწყვეტილია სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია. აქ იშ-
ლება თბრობის ინტრიგები, ინასკვება და-ინხნება კვანძები. იბრძვის ახა-
ლი და წარმავალი ძველი ელექტროფიკაციისათვის გაშლილ სარბიელზე.
იმარჯვებს ახალი, საბოლოოდ და მოუბრუნებლად განადგურდა ძველი.

სოციალიზმი როგორც ცნობილია, ისეთი საზოგადოებრივი წყობაა,
როცა წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება მოსპობილია, სადაც
სოციალური კლასები ლიკვიდირებულია. ჩვენი საზოგადოება აღამიანე-
ბის წარმოების საშუალებებისადმი დამოკიდებულების ხასიათით უკვე
სოციალისტური გახდა. საბჭოების ქვეყნის გმირული მასების სოციალის-
ტურ აღმშენებლობასა და სახელმწიფოებრივ მმართველობაში აქტიური
მონაწილეობა ჩვენი სინამდვილის დამახასიათებელ ფაქტად იქცა. ჩვენს
სახელმწიფოში საბჭოთა დემოკრატია იმ ზომამდე ვითარდება, რომ სა-
ზოგადოების წევრი საზოგადოებრივი საქმეების მართველობის აქტიურ
მონაწილედ, ხელმძღვანელად გადაიქცა. „სურამი“, მართალია, აღნიშნუ-
ლი დამახასიათებელი მოვლენის შედარებით წინა პერიოდს
ასახავს, მაგრამ მისი მთავარი პოზიტინური ტიპები (ბესარიონ ლობჯა-

ნიძე, ალექსი მჭედლიძე, ლადუა გურჯიშვილი, მიხო, დიოჯო, ვერია) განა ის ადამიანები არ არიან, რომელნიც ახალ ვითარებაში სტახანოველები ვახდებოდნენ, სახალხო სტახანოვეური მოძრაობის დასაწყისში? ესენი ხომ სოციალისტური აღმშენებლობისა და საზოგადოებრივ საქმეთა მართველობის აქტიური მონაწილენი არიან, ჯერ კიდევ ერთეულები, რომლებიც შემდეგ ასიათასებად გადაიქცნენ.

ვინაა, საიდანაა მოსული ბესარიონ ლობჯანიძე?

„ლობჯანიძე 1918 წელს დააპატიმრეს და გორის ციხეში გააგზავნეს, სადაც ორი წელიწადი იჯდა. მას ბრალდებოდა დეპოს „არევა“, „ხმის გაფრცვლება“, თითქოს უღელტეხილზე ორთქლმავლის წაყვანა „შეშით არ შეიძლება“ და ვითომც მუშები აუტანელ სიღარიბეში ცხოვრობენ... და მხოლოდ მაშინ, როდესაც ზებოს წაართვეს სპირტის ქარხნები და გალოკილი დატოვეს, ბესარიონიც ციხიდან გამოვიდა“... (ხაზი ყველგან ჩეენია. ვ.ლ.).

ბესარიონი შემდეგ ხაშურის დეპოს იშვიათი შემანქანეა, პატარა გამომგონებელი, რომელსაც სასწავლებლად გზავნიან:

„ლობჯანიძე სხვანაირ ადამიანებში მოექცა, ეს ხუთი წელია კიდევაც შეეჩვია მათ... არც დედას იგინებია, არც კვახის შემწვარი კაკლით ივსებენ ყოველ დილას ჯიბეს“.

ყოფილი მემანქანე უკვე ბოლშევიკი ინჟინერია, სურამის უღელტეხილის ნაელექტროფიკაციო სამუშაოების ხელმძღვანელი:

„და ახლა ლობჯანიძეს თვალწინ ედგა უღელტეხილის მძიმე ქრონიკები: დამსხვრეული ვაგონებით და ორთქლმავლებით ამოვსებული ხრამები. სურამი: მემანქანეების ცრემლით გაბანილი, დაყირავებული თავდაღმრით და ტელეგრაფის ბოძებით. და ადარებდა იმ უღელტეხილს, რომელიც უნდა შეექმნათ: მძიმე ელექტროდამუხრუჭებაზე მომუშავე ელმავლები. თვალის მომჭრელი პროექტორი. სირენების კივილი, ქსელებში მაღალი ჰინვიზ დენი, იზოლატორები. ამას ანხორციელებდა ლობჯანიძის პროექტი და ბესარიონი რომ უკვირდებოდა საქმის ვითარებას, რაღაცნაირი თრთოლვა იტანდა.

— თქვენ ცდებით, ბატონო იოსებ ბაბუციძე, სასტიკად ცდებით! — ეკამათებოდა შორიდან თავის მოწინააღმდეგეს.

— ორთქლმავლები უნდა წავიდეს აქედან, მეორე ლიანდაგი საქმეს არ შეველის... მე თქვენ დაგიმტკიცებთ ამას...“

ბესარიონი იბრძვის თავისი პროექტის (სურამიდან ორთქლმავლების განდევნა, ელექტროდამუხრუჭებაზე მომუშავე ელმავლების სურამში შემოყვანა) განხორციელებისათვის, მაგრამ მას დაბრკოლებებს უქმნის

ძველი სკოლის ინჟინერი და ამავე დროს მავნებელი ლოსენი ბაბუციძე.

არაა ინტერესს მოკლებული ჩვენი კლასობრივი მტრის მხარეში უღელტეხილის ხაზები:

„ერთ დროს განთქმულმა მრეწველმა (სოფელ გომში სპირტის ქარხანა ჰქონდა, ტფილისში ლენინის სარდაფი. — ვ. ლ.) ზებო ინაიჩმა იოსებს ნამდვილი მამობა გაუწია: გიმნაზიაში გაზარდა, ოდესის უნივერსიტეტი დაამთავრებინა, სამშობლოში დაბრუნებისას სუფრა, პურმარილი და სიტყვა დააგება“.

აი, ეს ბურჟუაზიული ინჟინერი (მშენებლობაზე მომუშავე) ლობჯანიძეს გადაელობა. ვასაგებიცაა! ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მშრომელი პოლიტიკური, ეკონომიური და უშუალოდ საწარმო ცხოვრების მთელი სისტემითაა დამონებული. ფიზიკური შრომა უმთავრესად ექსპლოატირებული კლასების კუთვნილებად ხდება. იყოფა გონებრივი შრომის ადამიანების საზოგადოებრივი ფენა — ინტელიგენცია, რომელიც თავისი ინტერესებით ბურჟუაზიასთანაა დაკავშირებული. ამ ინტელიგენციის წარმომადგენელი გახლავთ ბაბუციძეც. აი, ბაბუციძის „ფიქრთა დენის“ დამახასიათებელი მომენტები:

„რამდენიმე წელიწადი, სულ რამდენიმე წელიწადი! შემდეგ გენერატორი იტრიალებს ნელა. შიგნიდან გაიბზარება საკისური, და მოტორი დადგება. ეს რაღაც გაუგებარი მიზეზების გამო. აეს გაუგებარი მართო იოსებისათვის იქნება მისახვედრი, სხვებისათვის არა. დადგება გენერატორი მოლითშიც, ზესტაფონშიც, გადასარბენზე გაიყინებიან ელექტრომაგლები, ელექტროდენი დახრუკავს ყველაფერს: გამაერთიანებელ ქსელს, საკონტაქტო ქსელს, ქვესადგურების მოწყობილებებს. გადაიწვეება ჰიდროცენტრალები... აი, საკისურები უდგას ახლა იოსებს თვალწინ, საკისურები, რომელიც მან უნდა დადგას, გაბზარული საკისურები... მილიონებს წაიღებს წყალი...“

მაგრამ მავნებელს საშინელი დღეები დაუდგა და ის „უსასოოდ დაიხეს დედამიწაზე“. ძველი სამყაროს შენიღბული აგენტი ბაბუციძე ცხოვრების დიალექტიკამ, მოვლენებისა და ფაქტების ლოგიკამ ცხოვრებისაგან გაანაპირა და სამუდამოდ გაანადგურა. მიუხედავად ბევრი დაბრკოლებისა ბაბუციძე და კომპ. მავნებლური მაქინაციებისა, საყვარელი ადამიანი, ჩვენი ეპოქის ღირსეული შვილი, ბოლშევიკი ინჟინერი ბესარიონი დაბრკოლებებსა და მავნებლობაზე იმარჯვებს, და პირველი ელმავალი ბრწყინვალედ შეგრიალდება სურამის უღელტეხილში. ბაბუციძეს აპატიმრებენ.

ბესარიონი იოსებს ენდობოდა. თავის დროზე ალღო ვერ აუღო იოსების მავნებლურ მაქინაციებს, რითაც კლასობრივი სიფხიზლის მოდუნება გამოიჩინა, რამაც დიდი დაბრკოლება შეუქმნა. ამის გამო კეთილი და პა-

ტიოსანი ბოლშევიკი ინგენერი ძალიან წუხდა, პარტიის წინაშე თავს სამართლიანად დამნაშავედ გრძნობდა.

ეკუქნული

ყოფილი მემანქანე (რომელსაც ვინ მოსთვლის, ზრუნავს) უკანებიან ორთქლმავალი სურამის უღელტეხილზე) სოციალისტური საზოგადოების ღვიძლი შვილია, სოციალისტური აღმშენებლობის მიერ შექმნილი მოწინავე ენთუზიასტი! მისთვის არაფერი არ არსებობდა სოციალიზმის გარდა; ბესარიონისათვის შრომა ცხოვრების პირველ მოთხოვნილებად გადაიქცა. თავდავიწყებული ენთუზიასტი, რომელიც მხოლოდ უღელტეხილის მშენებლობით სუნთქავდა, რომელსაც დიდიხნის განმავლობაში გადახურული ქოხიც კი არა ჰქონია, დროს ვერ იმეტებდა პირადი ცხოვრებისათვის (არ სურდა გაეგო, რომ პირადი ცხოვრებაც საზოგადოებრივი მოვლენაა):

„... საშინელი ქარბუქი ამოვარდა და ქოხს ერთ მხარეზე შესუსტებული ყავრები მთლად ააგლიჯა. ეს იყო პირდაპირ ლოგინის თავზე და როდესაც ცოლქმარი წვებოდენ, შეკეცურებდენ ვარსკვლავებს და დარუსეგონა, ეს ვარსკვლავები მათ ლოგინს უთვალთვლებდენ. შემდეგ პირველი წვიმის დროს მოუხდათ ლოგინის აყრა. ეს დიდ შრომად დაჯდა, რადგან ლოგინის ოთხივე ფეხი წარმოადგენდა პალოებს, რაც ლობჯანიძის მამის მიერ მიწაში ღრმად იყო ჩასობილი“.

„სურამის“ მეორე გმირი ალექსი მჭედლიძეა. ხარზე მეოცნებე ლატაკი, შემდეგ სურამის მშენებლობაში ჩაბმული, სურამის გარდაქმნასთან ერთად თითონაც გარდაიქმნა ახალ, მოწინავე ადამიანად. გლეხკაცი, რომელმაც დედა კაბით ვერ, შემოსა, ვერც ქოხი გადახურა, ვერც „ბარაქვამწყრალი ხარი“ იყიდა, უღელტეხილის საელექტროფიკაციო სამუშაოებში ჩაბმით ისე გადაკეთდა, რომ პირდაპირ... სასიხარულოა! რამდენი მილიონი გადააკეთა საბჭოთა მშენებლობამ და კულტურული ცხოვრებისაკენ გზა გაუყავა!

ორი წლის წინად დაგლეჯილი და გატყავებული ახალგაზრდა გლეხი, უსწავლელი და ზებრე ალექსი სოციალისტურმა აღმშენებლობამ კაცად გამოიყვანა:

„სუფთად გაკრიალებულ ნიკელის ლოგინზე (თუ საწოლზე? — ვ. ლ.) წევს ალექსი მჭედლიძე. ოთახის დიდი ფანჯრები ღიაა და უღელტეხილის ნიავე საწერ მაგიდაზე დაყრილ ქლალდის ფურცლებს აფორიაქებს. შუა ოთახში სასადილო მაგიდის გარშემო სკამები ლამაზად არის დალაგებული. მეორე კუთხესთან პატეფონი უკრავს. ალექსიმ სქელტანიანი წიგნის

კითხვა დაამთავრა, კედლისაკენ გადაბრუნდა და ფეხებს მიეცა:

— რა არის ახლა, მაინცაღამაინც, ელექტროწვეთის სურამით უკვე უკმაყოფილო, — ცოტა ხანში ჩამორჩენილ ტექნიკად თუ ჩაითვლება...


ალექსის დიდი სურვილი აღეძრა, როგორმე მოწინავე ტექნიკაში „გაერია ხელი“, მაგრამ ეს ისე მიუწვედომლად მოეჩვენა, როგორც ორი წლის წინად მონტიორის პროფესია.

მაგრამ ამ გარდაქმნაში ერთი დამახასიათებელი თვისებაა ხაზგასმული. სტახანოველთა პირველ საკავშირო თათბირზე აშხ. სტალინის სიტყვის შემდეგ ცხადი შეიქნა, რომ ინჟინერ-ტექნიკური შრომის მუშაკთა დონემდე მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური ამაღლება სოციალისტური სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი სადღეისო ამოცანაა. განა ბესარიონი, განსაკუთრებით კი ალექსი, აღნიშნული რთული პროცესის ცალკეული ილუსტრაცია არაა? ერთეულები მოკლე ხანში მილიონებად გადაიქცევიან. კ. მარქსი „გოთის პროგრამის კრიტიკაში“ სწერდა, რომ კომუნისტური საზოგადოების უმაღლეს ფაზაში შრომა თვით ცხოვრების პირველ მოთხოვნილებად გადაიქცევა. (მაგრამ კომუნიზმის ერთი ფაზიდან მეორეში გადასვლა ხდება არა საზოგადოებრივი გადატრიალების გზით, არამედ სოციალისტური საზოგადოების ორგანიული განვითარების პროცესში, რადგან ეს კომუნიზმის ეკონომიური სიმწიფის მხოლოდ სხვადასხვა საფეხურია).

განა ბესარიონისათვის და რამდენიმედ ალექსისათვის შრომა ცხოვრების მხოლოდ საშუალებებიდან თანდათანობით თვით ცხოვრების პირველ მოთხოვნილებად არა ხდება? ეს რომ ასეა, ამას „სურამი“ შეკრამეტყველად ლაღადებს!

აი, ეს არის დამახასიათებელი მთავარი ღირსება „სურამისა“, რომ მხატვრულად გვიჩვენა ის ახალი, რაც ჩვენი განვითარების დღევანდელ ეტაპს ტიპურად ახასიათებს, სახელდობრ — ყოფილი მემანქანის ბესარიონისა და მოჯამაგირის, სურამის მშენებელი მუშის ალექსის ინჟინერ-ტექნიკური შრომის მუშაკთა დონემდე ამაღლების პროცესი და ის, რომ მათთვის შრომა თანდათანობით თვით ცხოვრების პირველ მოთხოვნილებად ხდება.

ცხოვრების გულიდანაა ამოღებული ხაშურის მემანქანე, ლოთი-ფოთი ძმაბიჭი ლადუა გურჯიშვილიც. ლადუა შემდეგ მშენებლობის პარტკომის მდივანი ხდება და თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებს. ამ ძმაბიჭის გარდაქმნაც ბუნებრივად მიმდინარეობს, ყოველგვარი ლიტერატურული საღატომორტალეს გარეშე. მკითხველის ცნობიერებაში ღრმად იჭრებიან აგრეთვე მიზო, დარუ, ვერია.

უარყოფითი ტიპებიდან აღსანიშნავია ბაბუციძის თანამშენებელი ინჟინერი ქალიც. როგორია გალინას წარსული?

„გალინა ფოთის ნავთსადგურის ლაქროზის უმუდოუქნის შვილი იყო. გაიზარდა ისე, რომ მისი მამის სამსახურს აკრძავდა. შეუქერია. ფეხშიშველი, თავშიშველი... ჩითის კაბაში მისი ტანის მშვენიერი აღნაგობა მაინც მოჩანდა... და ამ აღნაგობისათვის შეერთო შემთხვევით გემს ჩამოყოლილმა ოდესელმა ვაჟარმა. ვაჟირებებაში გაზრდილს შედარებით უკეთესი ცხოვრება მოუხდა. ამიტომ ფოთიც დაეიწყა და დედამამაც რომელნიც 1918 წელს გავრცელებული „ისპანკის“ ეპიდემიის დროს დაიხოცნენ. ნამაგიეროდ შეიძინა ქმარი, ხანში შესული მრეწველი, ბავშობის დაუდგრომელი ოცნება—გიმნაზია, ოდესის უნივერსიტეტი და, ქმრიანი ქალღებსათვის აკრძალული ახალგაზრდა მეგობარი—სტუდენტი იოსებ ბაბუციძე“.

შემდეგში ბაბუციძის ხასა და საინჟინერო პრაქტიკაში მისი თანამშენებელი რომელიც ირონიულად იყო განწყობილი უღელტეხილის ელექტროფიკაციის დიდი საქმისადმი:

— „ნუთუ თქვენ, ბატონო ბესარიონ, გჯერათ, რომ ამ მთებში რაიმე გამოიკვლება?“

მედუქნის ქალიშვილი, ოდესელი ხანდაზმული მრეწველის ცოლი, რომელმაც მას გიმნაზია და უნივერსიტეტი დაასრულებია, შემდეგ მკვნიბელი იოსების ხასა და მისი მკვნიბლური გეგმების მესაიდუმლე გალინა, ჩიხში მოტყვევის გამო და უღელტეხილის მშენებლობის წარმატების გავლენით, მალე შედრკა და კრიტიკულად გაეწყო იოსებს:

— „იოსებ, იოსებ, შე უბედურო, შენა, ხვალიდან უზარმაზარი მშენებლობა იწყება, გაზეთი ზომ წაიკითხე? ვიცი, წაიკითხე. ჩვენები სუყველანი ჩაეყენილნი არიან, სუყველანი. ჩვენ დავრჩით მარტო ამ ტყეში, ქაბში და სიველურეში. რახან სხვა გზა არ არის, ვიმუშაოთ მათთან, ვინც აშენებს, და არა მათთან, ვინც ანგრევს, წვავს, აზხრებს და ანიაფებს. ვიმუშაოთ და ვიცხოვროთ პატროსანი შრომით“.

ესა წერილი ბურჟუას, დამფრთხალი ობიექტელის „აღსარება“. იმ ობიექტელის, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურამ ხერხემალში გატება და ახლა დამარცხებული გაბატონებულ საზოგადოებრივობასთან შეგუებასა ცდილობს. ოდესელი მრეწველის მოლაღატე ცოლი, მკვნიბლის ხასა გალინა „შეეგუა“ კიდევ საბჭოთა სინამდელიეს.

აი, როგორ ახასიათებს „მობრუნებულ“ გალინას ბაბუციძე და როგორი სასტიკი მსჯავრი გამოაქვს მას თავის თავზე:

— „უყურებ შენ, ბედნიერება ჰპოვა, ყავისფრად გაშავდა, გავა გაისქელა და მთელ დღეს ხორხოცში ატარებს... ქალიც ასეთი უნდა, ამ-

ყოლს აჰყვია, ჩათრევის მაგიერად თავისი ღვებით ჩაბრძანდა და იმ ქვეყნის ქუდი საუკეთესოდ მოირგო, სადაც მივიდა... მე კი ნაპირზე ველოდები, მოტყუებული და მტვრად ქცეულ მურტლად გავიფიქრე თავი, მაგრამ აწ სინანულიც გვიანაა და მობრუნებაც!“

გალინა სოციალისტური აღმშენებლობისაკენ მის მიერ საბჭოთა სისტემის უპირატესობის შეგნებამ კი არ „მოაბრუნა“, არამედ ცხოვრებიდან გარიყვის წვრილბურჯუაზიულმა შიშმა. ბაბუციძისათვის კი მართლაც „სინანულიც“ დაგვიანებული იყო და „მობრუნებაც“.



„სურამში“ სოფელსაც თავისი ადგილი უკავია, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ულელტეხილის მშენებლობა სოფელთანაც იყო დაკავშირებული, უმთავრესად მუშა-ხელის მიზეზით. მაგრამ ავტორმა სოფლისადმი „ვიწრო ინტერესი“ როდი გამოიჩინა. მუშა-ხელის მოგროვების საკითხთან დაკავშირებით იგი შეეცადა საბჭოთა სოფლის სახეც მოეცა. მართალია, ერთის შთაბეჭდილებით თითქოს „სოფლის მასალა“ რომანში მეორე ცენტრსა ჰქმნის და რომანის არქიტექტონიკას ზიანს აყენებს, მაგრამ ეს შთაბეჭდილება უთუოდ მოჩვენებითია. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის თემები რომანში ორ ცენტრს კი არა ჰქმნიან, არამედ ურთიერთს აესებენ და რომანს ორგანიულად აწვითარებენ, რომანს სოციალურ-პოლიტიკურად ამახვილებენ და სოციალისტური აღმშენებლობის ეპოსს ჰქმნიან.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიულ დადგენილებებში აღნიშნულია, რომ: „ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა და ნაცკომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა... უმთავრესად ყურადღება მიაქციეს მუშაობის ტექნიკურ მხარეს და ვერ უზრუნველჰყვეს გლეხობის (ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების) სწორი პოლიტიკური ხელმძღვანელობა. ამან ყველაზე მკაფიო გამოხატულება პურის დამზადებაში ჰპოვა, სადაც დაშვებულ იქნა მთელი რიგი უადრესად უხეში გადახვევები, განსაკუთრებით საქართველოში, აგრეთვე იმაში, რომ მთელ რიგ რაიონებში კოლექტივიზაცია გატარებულ იქნა საკმაოდ სერიოზული მოსამზადებელი მუშაობის გაწევისა და არსებულ კოლმეურნეობათა საორგანიზაციო-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების გარეშე.“

ამის შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ აკავკასიის გლეხობის ძირითადმა მასებმა პირი იბრუნეს სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისაკენ, კულაკურ და ანტისაბჭოთა რევოლუციურ მემენტებს საშუალება მიეცათ გამოეყენებიათ დაშვებული შეცდომები და გადახვევები თავიანთი გავლენის გამოცოცხლებითვის სოფლად.

სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის ბრძოლაში სურამის სოფელშიც ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი. ადგილობრივმა პარტიულმა ხელმძღვანელობამ უმთავრესად ყურადღება მუშაობის ტექნიკურ მხარეს¹ მიაქცია, ვერ უზრუნველყო ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების სწორი პოლიტიკური ხელმძღვანელობა, კოლექტივიზაცია გატარებულ იქნა „საკმაოდ სერიოზული მოსამზადებელი მუშაობის გაწევის“ გარეშე, რის შედეგად კულაკურმა ელემენტებმა შეცდომები და გადახვევები სოფლად თავიანთი გავლენის გამოცოცხლებისათვის გამოიყენეს. ეს „დამახასიათებელი“ მომენტი დამაჯერებლადაა გადმოცემული „სურამში“, მიუხედავად ნაწილობრივი ვროტესკული გაზვიადებისა. ადგილობრივ ხელმძღვანელობას გლეხობის სწორი პოლიტიკური ხელმძღვანელობა რომ უზრუნველყო, ღარიბი მიხო ასეთ დაუშვებელ ანალოგიას გულშიაც არ გაიტარებდა:

„ცხრაას ხუთში მიხო ჯოხით ხელში გამოვიდა, ხმამალა ყვიროდა, ჩაფრებს აგინებდა. ამისათვის ის დაიპირეს და იმავე ჯოხით სცემეს, ხელში რომ ეკავა. როგორ დაუნაყეს ცხვირპირი, როგორ გადაურჩა ნაობახში ვირთაგვებს, სოროს ჰიებს და ობობებს. „მინც ეგ ვერანა სიკვიდლი არავის საშველს არ დააყრის ქვეყანაზე, ნაფეხურსაც კი მოშლის და წარხოცავს“. მიხომ ეს იცოდა და არ ეშინოდა, სულ არ ეშინოდა. ახლაც ამ ცხენოსანის მოლოდინში მიხოს ის დრო ახსენდებოდა და ქვეყანაზე არაფრის ეშინოდა“.

ვინაა ეს ცხენოსანი?

„აი, ჩამოვა ცხენოსანი, საცაა ჩამოვა და კოლექტიას ჩამოიტანს. აჰა, შესრულდა ალექსის წლობით ნაფიქრალი! მას ექნება საკუთარი კერია და ეყოლება ხარები. შილაკაძეს მიუხტებთან, გაფტქენიან“...

მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდებიან. „სოფელში ერთი ამბავი იყო, ვილაცებს აპატიმრებდნენ, თითონ მოვლენილს პარტიიდან რიცხავდნენ“. პარტიამ ალაგმა „მემარცხენე“ ავანტურისტები და გადამხვევები. უზრუნველყო გლეხობის სწორი პოლიტიკური ხელმძღვანელობა, გლეხობის ძირითადმა მილიონიანმა მასებმა პირი საბოლოოდ სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისაკენ იბრუნეს, გლეხი განთავისუფლდა სოფლის იდიოტიზმის უღლისაგან და გლეხთა მრავალმილიონიანი

მასა ბუმბერაზული ნაბიჯით წავიდა წინ კულტურული და ^{შედეგები} ცხოვრებისაკენ (მიხო, ვერია და სხვები).

თხინარელი ღარიბი ალექსი მკედლიძე უკმაყოფილოა და თავის ქოხზე ლაპარაკობს:

„განა აქ კაცი გაიხარებს? განა ღირდა ამდენ წეაღებად? დაწველილი იყავ, ჯოჯოვ! ბინძურო, უნამუსოვ, ცეცხლიც წაგკიდებია!

„რა უნდოდა ალექსის? რა უნდოდა, რა? რისთვის მუშაობდა, კაპუიკს კაპეიკზე აწებებდა, ლამის სიცოცხლე სურამზე დატოვა, ნიველირმა, წერაქვმა და ლომმა სული ამოხადა, ეკალმა თვალი ამოთხარა; ხარი უნდოდა ეყიდა ბარაქაგამწყრალი, დედა თბილი კაბით შეემოსა და ქოხი გადაეხურა. რა უსაშველო ვახდა ყველაფერი, დიდი რამეა ვითომ ეს? რა გაჭირდა? რა მუხთალი ყოფილა სოფელი, ხედავ?“

კოლექტივიზაციამდე სოფლის პირობებმა ვერც ხარი შეაძენია ალექსის და ვერც ქოხი დაახურვია. წავიდა რკინისგზის ელექტროფიკაციის სამუშაოზე, ჩაება სოციალისტურ აღმშენებლობაში და თავის თავი ახალ ადამიანად გადააკეთა; როგორც მკითხველმა იცის, ალექსიმ ტექნიკაშიც „გაურია ხელი“.

„მემარცხენე“ გადამხვევებმა პარტიის პოლიტიკა დაამხინჯეს. ცნობილია, რომ პარტიის პოლიტიკა საკოლმეურნეო მოძრაობის ნებაყოფლობას და სხვადასხვა რაიონის პირობათა სხვადასხვაობის გათვალისწინებას ეყრდნობოდა. პარტიის ხაზის დამამხინჯებლები „ერთი დაკვრით“ ცდილობდნენ გადაეკრათ კოლექტივიზაციის ყველა საკითხი, ცდილობდნენ კოლმეურნეობათა მოწყობისათვის საჭირო მოსამზადებელი მუშაობა შეეცვალებათ „საკოლმეურნეო მოძრაობის ჩინოვნიკური დეკრეტორებით, კანცელარული რეზოლუციებით კოლმეურნეობათა ზრდის შესახებ“.

ყველა ეს გათვალისწინებული ჰქონდა მ. გვასალიას, როდესაც „სურამში“ სოფლის მასალას ამუშავებდა და, მიუხედავად ავტორის მიერ გადამხვევების ავანტურისტული ცდების ზოგიერთი არასაჭირო გაზვიადებისა, დამაკმაყოფილებლად შესრულებული სურათი წარმოგვიდგინა.

„ცნობილია, რომ თურქესტანის მთელ რიგ რაიონებში უკვე იყო ცდა — „დასწოვდნენ და გაესწოროთ“ საბჭოთა კავშირის მოწინავე რაიონებისათვის სამხედრო ძალის დამუჭრების გზით, დამუჭრებით, რომ სარწყავ წყალს და სამრეწველო საჭონელს არ მიაწოდებდნენ იმ გლეხებს, რომლებსაც ჯერჯერობით არ სურთ შევიდნენ კოლმეურნეობებში“ (ი. სტალინი).

განა სურამშიც ასეთი მდგომარეობა არ იყო? უკეთესია სურამის სოფელში ჩასულ ავანტურისტს მოეუსმინოთ:

„— ვინც არ შევა, ჩვენ მას მოვეუვლით! ბოლოსდაბოლოს არ გვევინებათ... (აქ მან შეათამაშა ხელები) კოოპერატივის საქონელი ჩვენს ხელშია, ვისაც გვინდა, იმათ მივცემთ.“

„შემარცხენე“ გადახვევებისა და გადახრების დადგენილ საბჭოთა სოფელი თავისი მეურნეობის კოლექტივიზაციის მტკიცე რელსებზე შედგა და შეძლებული და კულტურული ცხოვრებისაგან იმედიანად გასწია. დარიბი მიხო და წერა-კითხვის უცოდინარი საბრალო ვერია უკვე წერა-კითხვის მკოდნე მოწინავე კოლმეურნეები არიან და სოციალისტური მინდვრის ენთუზიასტები, მივიწყებული თხინარა კი კოლმეურნეობის სოფელი. აი, რას სწერს ვერია თხინარადან უკვე მონტიორს ალექსის:

„ალექსი, თხინარა ის აღარ არის, რაც შენ გინახავს და ვახსოვს, ეს კარგა ხანია მთელმა ქვეყანამ და შენმა გულმაც იცის. შარშან მე მარტო ორასი დღე გამოვიმუშავე, მიხომ 350. თითო დღეზე 16 კილოგრამი პური, საკმაო კართოფილი, მუხუდო, ლობიო და ვაშლი მივიღეთ. მიხომ კარგი სახლი დაიდგა. ვინც განზრახ საქმეს ურედა, მათ მოუარეს“.

ძველი თხინარა დავიწყებას მიეცა თავისი გაბზარული კოშკითა და ჭოხმახებით, შილაკაძის ოჯახით და ეფრემის ნამოსახლარით. გაიმარჯვა ახალმა, დაასაბუთა თავისი თავი, წინ მიდის მიხოს და ვერიას თხინარა.

დიდა საბჭოთა ხელისუფლების წარმატება საკოლმეურნეო მოძრაობის სფეროში.

მ. გვასალიას მხატვრული თხრობის ყველაზე სუსტ მხარედ ის მიგვაჩნია, რომ პარტიის სარაიონო კომიტეტის ხელმძღვანელის როლი უღელტეხილის ელექტროფიკაციის საქმეში მკრთალადაა გამოვლენილი. რაიკომის როლი თითქმის ამით ამოიწურება:

„ხაშურის პარტრაიკომს თითქმის აქამდის არავითარი დადგენილება არ ჭონდა მიღებული სურამის თაობაზე, ახლა კი მათაც (!— ვ. ლ.) გაუჩნდათ საზრუნავი. ბიუროს პირველ სხდომაზე მდგომარეობას კარგად გაეცნენ და მშენებლობაში პუჯრედის ჩამოყალიბება გადაწყვიტეს. და ეს რაიონული კომიტეტი ჩაება სურამის საერთო ფერხულში“.

მორჩა და გათავდა! თუ რაში გამოიხატა სარაიონო კომიტეტის „სურამის საერთო ფერხულში“ ჩაბმა, მოთხრობის მიხედვით ვერ გაიგებთ. გაიგებთ მხოლოდ იმას, რომ ლობჯინიძემ რაიკომს მუშა-ხელის შეგროვების საქმეში დახმარებისათვის მიმართა, ხოლო რაიკომი ვერაფრით დაეხმარა!! ეს რომანისათვის დიდი მინუსია. მნიშვნელოვან ლაპსუსად მიგვაჩნია ავტორის ფრაზაც იმის შესახებ, თითქოს მშენებელ მუშებს „არასოდეს განცდები არ ჭონდეთ“ (გვ. 153) და ყალბად გაგებული ზოგიერთი საყოფაცხოვრებო დეტალი.

მიუხედავად შემოქმედებითი ხასიათის ზოგიერთი ნაკლისა, ზომიერების გრძნობის მოღუნების და სტილისტური დაუდევრობის შემთხვევე-

ბისა, „სურამი“ ქართული საბჭოთა მწერლობისათვის ერთერთი სა-
ყურადღებო შენაძენია, როგორც სოციალისტურ მწერლობის პრობლემების შემცველი ნაწარმოები.

დასასრულ, თუ გავითვალისწინებთ, რომ სოციალისტური რეალიზმი არა მრატო ფაქტს აღნიშნავს, აკრიტიკებს, არამედ ახალს კიდევ ადას-
ტურებს, ცხოვრების სიმართლეს, სოციალისტურ რეალიზმს მის რევო-
ლუციურ განიეთარებაში ასახავს, მაშინ „სურამი“ ძირითადად სოციალის-
ტური რეალიზმის მეთოდით დაწერილი ნაწარმოებია.



ირაკლი აბაშიძე

პიკას შეხვედრა

1861 წელს 10 მარტს გარდაიცვალა ტარას შევჩენკო.

უკრაინის დაბეჭდვებულ გლეხთა უდიდესი პოეტი-კობზარი, დიდი დემოკრატი შევჩენკო სიკვდილის დღემდე დარჩა შეურიგებელი მებრძოლი, გაუტეხელი ბუნტარი რუსეთის თვითმპყრობელობის, უკრაინის პანებისა და გაბატონებული წყობილების წინააღმდეგ. მხოლოდ ამ შეურიგებელ მებრძოლს, დიდი ნებისყოფის ბუნტარს შეეძლო ათი წლის გადასახლებაში ყოფნის შემდეგ ეთქვა: „არაფერი არ შეცვლილა ჩემს შინაგან სამყაროში“, პირიქით, „ზოგი საგანი უფრო ნათელი გახდა, დასრულდა და მიიღო უფრო ბუნებრივი ზომა და სახე“-ო.

დიდი ხნის განმავლობაში სწარმოებდა შევჩენკოს შემოქმედების გარშემო ბრძოლა, დიდხანს ცდილობდნენ უკრაინის ნაციონალისტები გამოეცხადებინათ შევჩენკო „ნაციონალურ წინასწარმეტყველად“. მაგრამ მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ, მხოლოდ პროლეტარიატმა შეიძინა ნამდვილი შევჩენკო და დააფასა მისი დიდი მემკვიდრეობა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ნათელი მოეჩინა ტარას შევჩენკოს მოღვაწეობისა და ცხოვრების მრავალ ფაქტს, რომლებიც შეგნებულად იფარებოდა რუსეთის თვითმპყრობელობისა და უკრაინის ნაციონალისტური ბურჟუაზიის არქივებში.

შევჩენკოს გენიას დასაბამი მისცა და მისი შემოქმედების დაუშრეტელ წყაროდ გადაიქცა გლეხობის ის ფენა, სადაც პოეტი წარმოიშვა და სადაც მისი თვალის სიკვდილამდე ტრიალებდა. ესენი იყვნენ უკრაინის უღარიბესი ყმა-გლეხები. თავისი რევოლუციური სული, უსაზღვრო ბუნტარული პათოსი, მუდმივი ლტოვა არსებული უსამართლობის დამსხვრევისაკენ შევჩენკომ სწორედ ამ ფენიდან გამოიტანა. თვითონ პოეტიც ამ ხალხში დაიბადა, ამ ხალხში გაატარა მან თავისი ბავშვობის უმძიმესი წლები.

უღარიბესი გლეხის მრავალრიცხოვანი ოჯახი, დედის ადრე გარდაცვალება, მრისხანე დედინაცვალი და შემდეგ მამის სიკვდილი — აი შევჩენკოს ბავშვობის მწარე ბიოგრაფია. შემდეგ, მისი სწავლა ხან ერთ და

ხან მეორე დიაკვანთან, სწავლების ნაცვლად, უფრო არაადამიანური შრომა იყო. ამ „სასწავლებლებიდან“ შევჩენკო გადადის, მწვერულზე, მერე კი მღვდელს უდგება მოჯამაგირედ. თეპესმეტრი ვლადიმერ შევჩენკო ხელზე მოსამსახურეა თავისსავე ბატონთან ენგელგარტთან.

შევჩენკოს ბავშვობის მისწრაფება იყო — ენაბა კაცი, რომელიც მას ხატვას ასწავლიდა; ხატვისკენ ჰჭონდა ახალგაზრდა შევჩენკოს უდიდესი მიდრეკილება, რისთვისაც არა ერთი და ორი „როზგი“ მიუღია ენგელგარტთან სამსახურის დროს. შემდეგ იგი ემსახურება მღვდელ შირიაევს, რომელსაც მისმა ბატონმა იჯარით გადასცა. ასე გაატარა ტარას შევჩენკომ ბავშვობა, ასე ღრმად განიცადა მან ფეოდალიზმის მთელი სიმძიმე, რომლის ქვეშაც მწარედ გმინავდნენ მისი მშობლიური ხალხი, გაძვალტყავებული ყმა-გლეხები.

რუსეთის პოეტმა ვ. ა. ქუკოვსკიმ და მხატვარმა კ. ბრიულოვმა გამოიყიდეს ტარას შევჩენკო ბატონისაგან და ახლა უკვე თავისუფალს შესაძლებლობა მიეცა განებორციელებია ბავშვობის მისწრაფება. იგი ჩქარა ხდება სამხატვრო აკადემიაში შესანიშნავ მხატვრად, მაგრამ შევჩენკომ თავისი მოწოდება პპოვა არა მხატვრობაში, არამედ პოეზიაში — პოეზია შეიქმნა მისი გენია. და ნიკოლოზ პირველის მონარქიამ იგი გაასამართლა და გადაასახლა როგორც ავტორი „აღმამფოთებელი ლექსებისა“, როგორც პოლიტიკური მებრძოლი.

შევჩენკოს მოღვაწეობის დრო არის უკრაინაში კაპიტალიზმის შექრის პირველი საფეხური და ბატონყმობის ინსტიტუტის დაშლის ეპოქა. ეს ყველაზე უფრო მწვავედ, რასაკვირველია, გლეხობის უღარიბესმა ფენებმა განიცადეს, რომელნიც მოქცეული იყვნენ რუსეთის თვითმპყრობელობის, უკრაინის პანებისა და სავაჭრო კაპიტალის ბრწყვალეში. რუსეთის იმპერია ამ დროს ირყეოდა გლეხთა აჯანყებების ტალღებისაგან. მხოლოდ ნიკოლოზ პირველის მეფობის პერიოდში თვით სახელმწიფო სტატისტიკა ითვლიდა 556 გლეხურ ამბოხებას, ნამდვილად კი ეს რიცხვი სინამდვილეში უთუოდ მეტი იქნებოდა. შრისხანედ ემუქრებოდა ბატონყმობას გლეხური აჯანყება. ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ამ დროს უდიდესი როლი ითამაშეს რუსეთის დიდმა რევოლუციონერ-დემოკრატებმა ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი მ და დ ო ბ რ ო ლ უ ბ ო ვ მ ა, რომელთა დიდ გავლენას განიცდიდა ტარას შევჩენკო.

ბავშვობის წლებიდანვე გრძნობდა ტარას შევჩენკო გლეხთა მასების შრისხანებას ბატონების წინააღმდეგ.

მისი რევოლუციური ბრძოლა მთელი სიძლიერით მიმართული იყო ბატონყმობის, ფეოდალებისა და, რასაკვირველია, პირველ რიგში უკრაინის პანების წინააღმდეგ. რუსეთის მონარქიის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტიტუტი თავდაპირველად მასში წარმოშვა უკრაინულმა პატრიოტიზმმა,

ხოლო შემდეგ დემოკრატიული და რევოლუციონური სულის მამწიფების პერიოდში, შეეჩენკო საერთოდ პრინციპიალურად განსხვავდა სულის ხელისუფლებას. შეეჩენკოს პატრიოტიზმი არა ჰგავს შინ თანამედროვეთა პატრიოტიზმს (კულიში და სხვ.). იგი მათგან განსხვავდება იმით, რომ მის პატრიოტიზმს საფუძვლად უდევს არა მარტო ნაციონალურად, არამედ სოციალურად დამონებული ხალხის ბედი. ამიტომაც შეეჩენკოს უკრაინა სწორედ ამ უკრაინას გულისხმობს, და როგორც არ ცდილობდნ უკრაინის თავად-აზნაურული მწერლები გადაეყვანათ ეს დაუცხრომელი მებრძოლი თავიანთ მხარეზე, შეეჩენკო მაინც ბოლომდე დარჩა ერთგული თავისი საქმისა, გლეხური რევოლუციის ბაიზახტრად. შეეჩენკოს აღრინდელი შემოქმედებით (რომელშიაც საკმარისად იყო ნაციონალიზმის დოზა) ნაწილობრივ კმაყოფილი თავად-აზნაურობა პოეტის შემდეგმა განვითარებამ, რევოლუციურმა პოეზიამ შეაშფოთა, და მან სამუდამოდ იბრუნა პირი მისგან. კულიში შეეჩენკოს „გაიდამაკებისგან“ მეტადამიანობას მოითხოვდა, რადგანაც ეს არის ღრამა „სისხლიან ხოცვა-ჟლეტიანო“, და როცა შეეჩენკო უფრო ღრმად შეიჭრა ბუნტარობაში, იგი „მთვრალ მუხად“ მონათლა.

როგორც ვთქვით, შეეჩენკოს შემოქმედების დაუშრეტელ წყაროებს წარმოადგენენ გლეხთა უღარიბესი ფენები, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა ფეოდალების წინააღმდეგ. — ესაა შეეჩენკოს ქვეყანა, აქედან გამომდინარეობს შეეჩენკოს პოეზიის ხალხურობაც. იგი აღიზარდა ხალხურ პოეზიაზე და საკმაოდ სარგებლობდა ფოლკლორით, რომელიც თითონაც გაელენთილი იყო ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივებით. ამგვარად ვახდა იგი გლეხთა უსაყვარლესი პოეტი, კობზარი.

მაგრამ შეეჩენკო, გამომახტველი გლეხური ამბოხების სულისკვეთებისა, ბუნებრივად გამოხატავდა ამ გლეხური რევოლუციების მთელ სისუსტესაც, აკად. შლიხტერი აღნიშნავს, რომ შეეჩენკოს ჯერ კიდევ არ ჰქონდა დიდი ისტორიული პერსპექტივების შეგნება, რომელსაც მილიონები ექსპლოატატორთა ბატონობის დამხობისაკენ მიჰყავს.

შეეჩენკოს შემოქმედების განვითარება რთული პერიოდებით ხასიათდება. იგი არ წარმოადგენს ერთ მონოლიტურ მთლიანობას. იყო პერიოდი მის შემოქმედებაში, როცა პოეტი მოექცა ნაციონალური ფეოდალური ლიტერატურის გავლენაში. სწორედ ეს პირველი პერიოდია ძველი უკრაინის, გეტმანების, თავისუფალი კაზაკების, სამხედრო ძლიერებისა და დიდების იდეალიზაციის პერიოდი.

შეეჩენკოს წინაღობინდელი ლიტერატურა უკრაინის წარსულის იდეალიზაციაა უმთავრესად. ხალხურ შემოქმედებაშიც საკმაოდ იყო შეჭრილი ამგვარი მოტივები. თავდააზნაურებისათვის დამოუცილებელი უკრა-



ინის წარსულის იდეალიზაცია ყმა-გლეხთათვის თვალის ახვევის კარგი იარაღი იყო, რადგან მათ უკრაინაში რუსეთის გაბატონების წინაშე უთარო პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოსპობით არსებობდა. ამიტომაც, პირიქით, რუსეთის შემოჭრა მათთვის ეკონომიურად უფრო მომგებიანი შეიქნა და სიმდიდრის წყაროდ იქცა. უკრაინის გლეხობას კი ამ შემთხვევაში სიკეთის ნატამალიც არ უნახავს. ამიტომაც ამ ხალხური კომზარების შემოქმედებაში უკრაინის წარსული იდეალიზაცია სულ სხვა სახით წარმოგვიდგება, ვიდრე თავადაზნაურულ ლიტერატურაში. ეს არის იდეალიზაცია კაზაკურ-გაიდამაკური მოძრაობისა უკრაინაში 1648—54 წლებში. ამ რევოლუციაში აჯანყებულნი სხვადასხვა ინტერესით იბრძოდნენ: ყმა-გლეხობა იბრძოდა საერთოდ პანობის საბოლოო მოსპობისათვის, მაგრამ რევოლუციის მამოძრავებელი ძალა კაზაკობა იყო (თავისუფალი გლეხები, რომლებიც შემდეგ თვით შეიქნენ მიწათმფლობელები); ეს უკანასკნელნი კი ილაშქრებდნენ ფეოდალების წინააღმდეგ და არა საერთოდ მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობისათვის. საბოლოო ანგარიშში გლეხობა, რასაკვირველია, მოტყუებული დარჩა კაზაკურ მოძრაობაში, მაგრამ რადგან ყმა-გლეხი ყოველთვის შენატროდა თავისუფალი კაზაკის ბედს, ამ უკანასკნელის იდეალიზაციაშიც ფართოდ გაშალა ფრთები ხალხურ შემოქმედებაში. ეს იდეალიზაცია ვახდა შევჩენკოს ნაციონალიზმის სათავედ.

შევჩენკო თავის შემოქმედების პირველ პერიოდში ნაკლებად ერკვევა ამ კაზაკური მოძრაობის ნამდვილ რაობაში და მისი ძველი უკრაინაც ამიტომ გეტმანობის ნაციონალისტური იდეალიზაციაა. მაგრამ ეს პერიოდი მის შემოქმედებაში დიდხანს არ გრძელდება. მალე მისთვის ნათელი გახდა კაზაკთა კონტრრევოლუციური როლი ამ რევოლუციაში, რადგან კაზაკები, ბოლოს, სისხლში აქრობდნენ გლეხთა აჯანყებებს და მოითხოვდნენ მათგან დამორჩილებოდნენ მემამულეებს. ამ დროიდან შევჩენკოს შემოქმედებაში უკვე აშკარად ისმის ნაციონალური საკითხის კლასობრივი შინაარსი. აქედან იწყება შევჩენკოს, როგორც დიდი დემოკრატისა და რევოლუციონერის ახალი შემოქმედება.

სწორედ ამ დროს თამაშობს უდიდეს როლს შევჩენკოს დემოკრატიული რევოლუციური სულის ჩამოყალიბებაში რუსეთის დიდი დემოკრატებისა და რევოლუციონერების ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის იდეური გავლენა.

წარსულის იდეალიზაცია შევჩენკოს პოეზიაში იცვლება დაუფარავი ზიზლით რუსეთის დამპყრობელებისა, პოლონეთის და უკრაინის პანებისადმი. უკრაინის წარსულს იგი ეხლა სულ სხვა თვალთ უცქერის. მან საბოლოოდ მოხადა გვირგვინი ბოგდან ხმელნიცკის და გამოაჩინა კაზაკთა ამ წინამძღოლის, უკრაინის უღარიბესი გლეხობისთვის საქულველი ადამიანის ნამდვილი კლასობრივი სახე.

თავისი დროისათვის შევჩენკო ნამდვილი რეალისტია. მისი თავლი თავს დასტრიალებს უკრაინის ქობხაებს, მშობლიური ჭკუჭუნე ყუფის და იძლევა ამ არაადამიანური ცხოვრების ნამდვილ სურსათებს/სმ/ჭახებიდან ერთსა და იმავე დროს მოისმის ლოცვაც და ღვთის წყევლაც: „ღმერთო, ღმერთო, ამ ქვეყნად გვაძლევ სილამაზეს, გონებას, სპეტაკ გულს, მაგრამ არ გვაძლევ ცხოვრების საშუალებას“, და მერე კითხულობენ: „ხედავს თუ არა ღმერთი ჩვენს ცრემლებსა და მწუხარებას? — იქნებ ხედავს, მაგრამ სდუმს“. „იქნებ დაგეცინი კიდევ ზემოდან, ძმობილო, და შეიძლება ურჩევ პანებს, როგორ მართონ ქვეყანა“. შევჩენკოსთვის საყვარელი ბუნებაც, მთებიც, ბაღებიც კი ბნელდება ამ ადამიანთა უბედურებით: „საშინელებაა ამ მშვენიერ სოფელში, დატანტალებენ ადამიანები შავ მიწაზე უფრო შავნი, გამხმარა მწვანე ბაღები, დამპალა და დანგრეულა თეთრი ქობები, სოფელი თითქოს დამწვარა, თითქოს კკუაზე შემოლიან ადამიანები“. და შემდეგ პოეტი 1844 წელს დაწერილ თავის ლექს „სიზმარ“-ში განაგრძობს: „არა მართა ამ ერთ სოფელში, არამედ ყველგან სახელოვან უკრაინაში უღელში შეაბეს ხალხი ვერაგმა პანებმა. ილუპებიან, ილუპებიან გმირი შეილები“. პირველ ხანებში შევჩენკო გამოფხიზლებისაკენ მოუწოდებს პანებს: „გამოფხიზლდით, ვახდით ადამიანები“, მაგრამ სრულიად მალე ამგვარი ჰუმანიური მოწოდება შევჩენკოს შემოქმედებაში იცვლება ნამდვილი მოწოდებით გლებობისადმი, რევოლუციური მოძრაობისაკენ. იგი უკვე აშკარად გაპყვირის — ჩამოახრჩეთ მძარცველი მემამულეებიო. აქ საბოლოოდ განმტკიცდა შევჩენკო, როგორც დემოკრატი-რევოლუციონერი. ამ მსოფლგაგებად შევჩენკო თანადროულობის ღრმად ჩაკვირებით მივიდა. შემდეგ და შემდეგ უფრო ღრმად გაიდგა მასში ფესვები რევოლუციურმა გამბედაობამ და მემამულეების წინააღმდეგ რევოლუციური გზით მოქმედების მოწოდებასთან ერთად, შევჩენკო უკვე მოუწოდებს ხალხს რუსეთის მეფის, ამ პირველი და უდიდესი მემამულის, კაცის მკამელი ჯალათის მოსპობისაკენ.

1847 წელს შევჩენკო მეფის რუსეთის თანდარმთა ხელში ჩავარდა. იგი გასამართლებულ და გადასახლებულ იქნა კირილესა და მეთოდეს ძმობაში მონაწილეობისათვის. ეს ძმობა წარმოადგენდა მეოცნებე სწავლულთა წრეს, იგი არ იყო რევოლუციური ორგანიზაცია, მასში შედიოდნენ მხოლოდ არსებული წყობილებით უკმაყოფილო ლიბერალები, რომელთაც არ გააჩნდათ აქტიური ბრძოლის სურვილი და უნარი. ისინი მხოლოდ არსებული ურთიერთობის მშვიდობიანად გაუმჯობესების მსურველი იყვნენ. შევჩენკო გადასახლეს უფრო მისი „აღმაშფოთებელი ლექსებისათვის“, რომლებიც მიმართული იყო მეფისა და ფეოდალების წინააღმდეგ. გადასახლებაში აეკრძალა პოეტს ხატვა და ლექსების წერა.

„დიდხნის წინად იყო ესაო, — სწერდა გადასახლებაში ლექსად ტარას შევჩენკო. — ჯერ კიდევ სკოლაში მოვპარავედი მასწავლებელს დიკვანს შაურიანს (იმდენად ღარიბი ვიყავი, თითქმის შენველის) სხვა კიდი ერთ ფურცელ ქაღალდს, გავაკეთებდი პატარა რვეულს ჯერებით და არშიებით, ირგვლივ ყვავილებს და ფოთლებს მოვავლებდი და ვხატავდი „სკოვოროდას“, ბალახებში განმარტოებული ვიმღეროდი ჩუმად, რომ არავის გაეგონა და დავენახე. ხან ვტიროდი კიდევ. სიბერის დროსაც, — განაგრძობს შემდეგ პოეტი, — იძულებული ვაგხდი ვმალო ლექსები, რვეული, ვიმღერო და ვიტვირო, ვიტვირო მწარე ცრემლებით“.

გადასახლებიდან შევჩენკო დაბრუნდა ფიზიკურად განადგურებული და მოტეხილი, მაგრამ სულიერად უფრო გაკაფებული, უფრო მედგარი მებრძოლი უსამართლობის წინააღმდეგ. გადასახლებამ საბოლოოდ გასწვევითა პოეტის ურთიერთობა იმ თანამედროვეებთან, რომელიც ერთგულად ემსახურებოდნენ რუსეთის თვითმპყრობელობას. მისი პოეზია სოციალურად უფრო მკვეთრი და მტკიცე გახდა და მისი შემოქმედების უკანასკნელი წლები შეიქნა რევოლუციური შემოქმედების მწვერვალი.

დიდია შევჩენკოს გავლენა უკრაინის შემდეგდროინდელ ლიტერატურაზე. იგი განიცადეს არა მარტო უკრაინის პოეტებმა, არამედ სხვა ერების მწერლებმაც და მათ შორის აკაკი წერეთელმაც, რომელიც ჯერ კიდევ რუსეთში, სტუდენტობის დროს, გაეცნო ამ შესანიშნავი ადამიანის შემოქმედებასა და მოღვაწეობას. მიმდინარე წელს უკრაინამ და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხმა აღნიშნეს დიდი პოეტის, მებრძოლის გარდაცვალების 75 წლის თავი.



ნაჩიღები რაფ. ერისთავისადმი *)

წერილები, რომლებიც ქვემოთ იბეჭდება, ქვეყნდება პირველად. ისინი სხვადასხვა დროს მიწერილია რაფ. ერისთავისადმი. ეს წერილები დაცულია რაფ. ერისთავის არქივში. ამ წერილებს მრავალმხრივი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. მათი ავტორებია ჩვენი ქვეყნის უდიდესი საზოგადო მოღვაწეები.

შ. რაღიანი.

Тифлис, 26 мая 1870.

МНОГОУВАЖАЕМЫЙ РАФАИЛ ДАВЫДОВИЧ!

Я несказанно виноват перед Вами в том, что до сих пор не выслал Вам грузинских изданий, заказанных Вами перед моим отъездом сюда, но здесь гораздо труднее чем можно себе вообразить, достать разные издания, большей частью неимеющиеся у книгопродавцев. В пятницу я наверное вышлю Вам большую часть заказанных изданий и кроме того, „საღბნიო საზანდარი“, надеюсь, что Вам будет приятно иметь и этот сборник.

В 20 номера „დროება“ Вы вероятно увидите часть Ваших сцен. Редактор и сотрудники „დროება“ прочитавши Вашу рукопись пожелали пометить в „დროება“ несколько сцен и я имея в виду что в сборнике состоящем из 8 или 10 печатных листов небольшого формата, можно отвести сценам только около 2-х листов, решилс я поделиться Вашим сценам с „დროება“. Таким образом (если Вы ничего не будете иметь против этого) часть сцен будет помещена в сборнике а другая — в фельетонах „დროება“. Так как сборник будет разослан всем подписчикам „დროება“, и следовательно у этих изданий будут одни и те же читатели, то Ваши сцены решительно ничего не потеряют от

*) ეს ლაზან შესრულდა რაფ. ერისთავის გარდაცვალების 35 წელი. „მთაბის“ რედაქცია აქ წარმოდგენილ მასალას ათავსებს ამ თარიღის ილსანიშნავად.

такого разделения. Так, по крайней мере думают сотрудники „ეროება“ и им очень хотелось бы чтобы и Вы были такого же мнения. Во всяком случае все зависит от Вашего решения.

Я вышлю Вам книги в Кутаис, а так как Вы переведетесь в Они, то куда и когда прикажете переменить адрес, по которому высылаются Вам „დროება“ и „სასოფლო ვახუთი“ (20 номер этой последней выслан Вам сегодня же).

Позвольте теперь напомнить Вам мою просьбу „если у Вас найдется чтонибудь в роде „ყადის ჯორი“ или „ბუზები“ будьте добры пришлите нам для сборника кроме того я надеюсь, что Рача даст Вам весьма много материалов для заметок о тамошней жизни и правах, если у Вас будет несколько свободных часов, сообщите нам материалы, хотя бы и в сыром виде.

С Искренним уважением остаюсь

Преданный Вам Н. Николадзе

ბრწყინვალეო თავადო, რაფიელ დავითის-ძე!

ჩემად სახსოვრად მოგართვით ერთი ეგზ. რუსულ-ქართულის ლექსიკონისა, გამოვეზაუნე უფ. გრიგოლ ჩარკვიანის სახელზედ. თუ არ მიგილიათ, გაისარჯეთ და კაცი გაგზავნეთ და გამოართვით.

თქვენი შორჩილი მონა და მოსამსახურე დავით ჩუბინოვი.

მოწყალეო ხელმწიფევ!

ჩვენ მონდობილი გვქონდა სხვათა შორის თქვენგანაც წარგვედგინა მთავრობისათვის წესდებულება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა ქართველთა შორის და გვეთხოვნა მისი დამტკიცება. ეხლა ეს წესდებულება დამტკიცებულია და ერთი დაბეჭდილი ეგზემპლარი ამასთანავე მოგვირთმევია თქვენთვის, როგორც საზოგადოების დამწესებელი წევრისათვის. რადგანაც ეხლა საჭიროა, რომ ამ საზოგადოების საქმე დაწყობილ იქნას, ამისათვის ვთხოვთ მობრძანდეთ საზოგადო კრებაში 15-ს მაისს, დილის 11 საათზედ ტფილისის თავად-აზნაურთა ბანკის სადგურში და წარმოადგინოთ სია იმ თქვენ ნაცნობ სანდო პირთა, რომელნიც ისურვებენ ჩვენი საზოგადოების წევრათ გახდომისა.

თქვენი უმორჩილესნი

დიმიტრი ყიფიანი

ილია ქავჭავაძე

აპრილი 1879

ტფილის

წერილი დაბეჭდილია სტამბაში, მხოლოდ ხელმოწერაა მელნით.

უფალს საზოგადოების წევრს რაფიელ ერისთავს

წიგნის ცოდნის საზოგადოების გამგეობა უმორჩილესად გთხოვს მიიღოთ შრომა და წაბრძანდეთ სიღნაღისა და თელავის მაზრის უფროსების შემწეობით მოახდინოთ სოფლებში ყრილობა, რომელზედაც სოფლის საზოგადოებას დაადგენიოთ განჩინება შკოლის გახსნაზე თანახმით ამასთანავე წარმოდგენილის განჩინების ნიმუშისა.

გამგეობა გთხოვთ იქონიოთ სახეში, რომ სოფლის საზოგადოებამ სადაც უნდა გაიხსნას შკოლა, შკოლის შესანახავათ უნდა გამოიღოს არანაკლებ 350 მანეთისა. გამგეობის აზრით ამდენი ფულის გამოღებას შესძლებენ სიღნაღის მაზრაში ველისციხე, მუკუზანი და თელავისაში ახმეტა, ხოდაშენი, ყურდგელაური, ვაჩნაძიანი და სხვანი, რომელნიც შესძლებენ განჩინების ნიმუშში ნახსენებ პირობების ასრულებას.

რასაკვირველია, თუ ნახსენებ ფულზე მეტს გამოაღებინებთ, ეგ ხომ უფრო კარგი იქნება სასწავლებლისათვის.

თავმჯდომარის მაგივრათ გამგეობის წ. ნ. ცხვედაძე.

საქმის მწარმოებელი ი. მეუნარგია.

წერილი დაწერილია ბლანკზე:

ტფილისის საზოგადოება წიგნის ცოდნის გამავერცელებელი ჭარბველთა შორის ქვეყისის სანამესტრიკოში. გამგეობა საზოგადოებისა. № 156. „17“ სექტემბერი 1879 წელსა.

პარასკევს 1-ს ივნისს სადილად სამს საათზედ ჩემს სახლში მოწვეული მყავს თქვენი პატივისცემელი გერმანელი მწერალი არტურ ლეისტი-გთხოვთ თქვენც მობრძანდეთ.

თ. რაფიელ ერისთავს.

ილია ჭავჭავაძე.

ქნიაზო რაფიელ!

თუ შეიძლება გაისარჯეთ და პატარახანს მობრძანდით ჩემთან. ძლიერ საჭირო საქმე მაქვს.

ილია ჭავჭავაძე.

ბ-ნს რაფიელს დავითის-ძეს ერისთავს!

გთხოვთ მეწვიოთ ზეალ, საღამოს სამშაბათს. ერთად მივეგებოთ აბალს-წელიწადს და „ივერიის“ პირველ ნომერს.

ილია ჭავჭავაძე.

ი. ჭავჭავაძის სამივე წერილი მოთავსებულია სადარბაზო ბარათზე.

ფრიად-პატივცემულო კნიაზო რაფიელ დავითის-ძე!



უმორჩილესად გთხოვთ, თუ მოიკლით როგორმე ფაქიზად დაუფარებ-
ბათ, ეს ჩემი ვადმოკეთებული ვოდევილი გადაიკითხებასა და მისთვის,
რომ გასწორების და შეცვლის ღირსია, უყურადღებოთ არ დასტოვოთ.
თქვენგან გასწორებული რასაკვირველია, კარგი იქნება.

დავშთები თქვენი უერთგულესი მონა და მოსამსახურე

კოტე ყიფიანი.

1880 წ. თებერვლის 2 დღეს
ქ. თბილისი.

12 იანვარს 1881 წელს
თბილისი.

პატივცემულო კნიაზო რაფიელ!

როინოვისაგან მომივიდა გადაღებული სურათები, მთხოვს რომ მოს-
კოვის გამოფენაში ვაგვზავნო. რადგანაც ზედ წარწერა უნდა და როინ-
ოვი ორფოგრაფიაში სუსტად ვახლავს, ამიტომ ვარჩიე თქვენა გთხოვით
ამის გასწორება. თუ დრო გექნებათ და დღეს საღამოზედ 7½ საათზედ
ჩემსკენ შემოვიკლით დიდათ დამავალდებთ. ამას და გარდა, რამდენიმე პიე-
სები მაქვს თქვენთვის მომზადებული.

თქვენი მშვიდობის მოსურნე

დავით ერისთავი.

ЛЮБЕЗНЫЙ СЫНОК КНЯЗЬ РАФАИЛ!

Прошу Вас пожертвовать часами двумя совещанию со мною о
нашем общественном деле и для этого завернуть ко мне завтра в 10
или 11 часов утра. Княгиня ваша будет скучать без Вас; но еслиб
и ей было возможно пожаловать вместе с Вами, я был бы тем
искреннее рад, что быть может на долго буду лишен удовольствия
быть в ее милом и прекрасном обществе.

Ваш посаженный Д. Князяни

Четверг.

წერილს მფორე ფურცლის გარეთ აწერია. Его святельству князю Рафаилу
Давидовичу Эристову.

ბატონო რაფაელ!

თეატრის ანტრეპრენიორი ამბობს, რომ თუ შაბათს არა, სამშაბათს არ
შემიძლიან თეატრის მოცემაო, რადგანაც ამ დღეს ერთი ფრანკული იქერ-
სა. მაშ როგორ გვირჩევეთ? თუ გამოცდილებით, ე. ი. წინა წლების მა-
გალითით ვიციით რომ დიდი მთავარი დილაობით ნიშნავს სხლომას, ან თუ

საღამოებით და მის დასწრების დროს საქმე უფრო ჩქარა თავს იხატავდა, სხდომაზედ, მაშინ თქვენ შეგეძლებათ ვკონებ ლიტერატურულ საღამოზედაც დასწრება, თუ თქვენი საკითხავი მესამე განყოფილებაშია, მცდელობა. თუ ეს არ მოხერხდა მაშინ საღამო ან ორშაბათს უნდა დასწრება ან ოთხშაბათს.

ესლა თქვენს მოსაზრებას უცდით, როგორ ჯობს, შაბათს, ორშაბათს, თუ ოთხშაბათს.

თქვენი კირილე ლორთქიანიძე.

ბატონო კირილე!

ისევ ვამჯობინებ საოთხშაბათოდ, ჩემის მხრით და თქვენ უკეთ უწყით.

თქვენი ერთგული

თ. რ. ერისთავი.

წერილი დაწერილია გაზ. „დროება“-ს ბლანკზე: „ქართული გაზეთი „დროება“. Редакция газеты „Дроеба“ . . ქუჩაზე . . სახლში . . 187 . . წ. თბილისი“. რაფ. ერისთავის პასუხი მიწერილია იქვე.

ძვირფასო პოეტო რაფიელ!

ვბედავ მოგმართოთ უცნობმა ნაცნობს და იმედია უზრდელობაში არ ჩამომართმევთ ამგვარ ქცევას. მე მაიძულებს შემდეგი გარემოება. ამას წინეთ „ივერიაში“ დასაბეჭდად გამოვგზავნე ერთი არაკი, სახელდობრ „არჩევა“. როგორც ჰგავს რედაქცია არ პბეჭდავს იმას. ცენზორის ბრალი ეგ არ იქნება, მისთვის რომ ცენზორს იქ შეიძლება ორიოდ სიტყვა გამოეშვა, სხვა კი არაფერი საცენზორო იყო. იქნება რედაქციამ არ იღვა თავზე შინაარსი და იმ პირის გაკიცხვა, რომელსაც ეს შინაარსი ეხება... მაგრამ მე ზომ ფსევდონიმს ქვეშ არ ვიმალები: თუ საჭიროა, სახელთან ჩემი გვარიც მოაწერონ. თუ რამეს გასწორება საჭირო აღმოჩნდება, უმორჩილესად გთხოვთ ძვირფასო პოეტო, გაპკრათ შალაშინი თქვენი საარაკო ენით ჩემს არაკს... სათაურად „არჩევის“ მაგიერ გთხოვთ „ვირი“ დაუხვავათ. რაც შეეხება მეგრელების სიტყვებს გთხოვთ სრულიად ამოშალოთ, რადგან ნამდვილად დამარწმუნეს, რომ ისინი კეთილის მსურველთ დასში მოქმედებენ. იმედია არ ითაკილებთ მონაწილეობის მიღებას ახალგაზრდა „მწერალუკა“ — პირდაპირ ვიტყვი თავმოყვარეობაში და დააბეჭდვინებთ შეიძლება „ივერიაში“, თუ არა რომელიმე გამოცემაში გარდა „იმედისა“...

დავშთები თქვენი პატივისმცემელი

ს. პტბ. უნივ. სტუდენტი

სილოვან ხუნდაძე

პეტერბურგი, 3 მწიფობის-თვე 1882 წ.

P. S. წინეთ გამოვგზავნე კიდევ ერთი ლექსი, შაგრამ როგორც
 ბ. გრ. ყიფშიძემ მომწერა, ვგონებ არ ჩამოსულა, დაკარგულა. აი ვიგ-
 ზავნით ეხლა და გთხოვთ უმორჩილესად გაასწოროთ საჭიროებისდაგე-
 რათ და თუ რამე დაბრკოლება არ ექნეს, დააბეჭდინოთ.

ჩ ი ტ ს

ბედნიერო კწნილებათ
 ჩიტო, ჩიტო პაწუნია!
 შამოენატრი შენს ცხოვრებას,
 ჩემო ჩიტო ჩიტუნია!

მუკვირდები შენს სიციცხლეს —
 და კარგად რო შეეადარე,
 შენი ტკბილი გამოვიდა
 და ჩემი კი შხამი, მწარე.

უხვათ გმოსავს, გაქმევს, გასმევს
 დალოცვილი ეგ ბუნება!
 მე მომწივდა მდიდარს ვთხოვე —
 შემახვდევ არ ინება...

ეგებ მითხრა — თვით იწრომე,
 იწოვნე და იხმარეო,
 სხვის მითხოვრათ ნუ გახთები —
 არ გექნება დღე მწარეო...

არ მოხერხდა, ჩემო კარგო,
 თუმცა ბერიც კი მცაადე-
 სხვეხსავით კი ცარცვა, პარვა
 არ მიცდია და არც ვცადე!

დაე სხვები გაისვარონ,
 სჩუჩქონ, სუჭდენ, როგორც ღორი...
 მე კი მუცელს არ ღვევებმ,
 ოღონდ შუბლი მჭონდეს სწორი!

ჩემო ჩიტო, ჩემო სატრფო,
 კაი ყურით მომისმინე,
 ამ შიმშილთან ცემა-ტყეპა
 მე რამდენი მღვითმინე.

ძმას მიხრობდენ, გული დამწვა —
 ცხარე ცრემლი გადმოვღვარე
 იმისთანა შენსა მტრისა,
 გაშითენეს მე დღე მწარე!

ღამიშინეს თავ-და-პირში
„პა, მეორეც აქ არიო!
ცრემლებსა ღერის აგი წუწკი—
სწორეთ არს ამქარო!..“



ქართველნი
გრაზდინოსეჲს

თქვენი პირიმე, კნიაზო, რაფიელ, ამ სტრიქონს ნუ ამოშლით. „МНО-
гая лета“ ნუ თუ აკრძალული სიტყვაა. გეფიცებით, ამ ლექს წაუშლე-
ლად თვითონ ლუკა სტეფანოვიჩიც კი დაუბრკოლებლივ გაუშვებდა-
თქვენი პირიმე ლექსს ნუ წაახდენთ, პასუხისგება ჩემი იყოს, თუ ვინმემ
რამ შეპნიშნა.

თქვენი ილია ჭავჭავაძე.

წერილის კონვერტზე აწერია:

„მის ბრწყინვალეობას
თ. რაფიელ დავითის-ძეს ერისთავს“.

საყვარელო კნიაზო რაფიელ დავითის-ძევ!

მე იმედი მქონდა ქართულთა წიგნთა მბეჭდავის საზოგადოების ფული-
მომხმარა თქვენის იგავ-არაკთათვის, მაგრამ ამ საზოგადოებამ ამას წა-
ნად გადაჰსწყვიტა რაც ფულია სულ ალექ. ჭავჭავაძის ლექსების ბეჭ-
დვას მოახმაროს. თუ ამ გზით აღარა გახდა რა, მე ვეცდები სიით ფული-
მოვაგროვო და მაგით ხელი გაუმართო ტიკინაძეს.

თქვენი მარად პატივისცემელი
ილია ჭავჭავაძე

21 ივნისი.

4 ენკენისთვეს

კნიაზო რაფაელ!

მოგიკითხავთ დიდის პატივისცემით და თქვენს უვნებლად ყოფნას
ღმერთსა ეთხოვ. უმორჩილესად გთხოვთ ბ-ნო რაფაელ, უკეთუ შეიძლე-
ბოდეს, ხენისა და გუთნის ლექსი გამომიგზავნოთ ამ ბარათის მომტანის
ხელით. დღეს უნდა დაიბეჭდოს ივერიაში. უკეთუ სხვა ლექსსაც გამო-
გზავნით, დიდათ დაგიმადლებთ მეც, ჟურნალიც, რედაქციაც და საზო-
გადოებაც.

ულრმესად თქვენი პატივისცემელი მოსამსახურე გრ. ყიფშიძე
30 ოქტომბერს 1895 წ.

ფრიად პატივცემულო ბატონო რაფიელ დავითის-ძე!

საიუბილეო კამიტეტმა მომანდო გადმოგცეთ ასოცი მანეთი ფუ-
ლათ, რომელსაც გიგზავნით და ფრიად ბედნიერათ დავსახავ ჩემს თავს.

თუ ამ წვლილმა თქვენი გული ასიამოვნა. ჯერ ვფიქრობდით ამ ფულით ნიეთი რაიმე მოგვეძღვნა, მაგრამ ბოლოს ვიფიქრეთ, უკეთესი თქვენი გულის შესაჯერებელი ვერა გამოენახოთ რა-მეთქი და უმჯობესათ გადაწყვიტეთ ისევ ფულით მოვევროთმია.

დავშთები თქვენი მარად ერთგული პარტივისმცემელი

გ ი ო რ გ ი წ ე რ ე თ ე ლ ი.

თქვენო ბრწყინვალეზავ თ. რაფიელ დავითის-ძევი

იმედი მაქვს თქვენი სულგრძელობისა, რომ მომიტყევებთ ჩემ მიერ ამდენ ხანს თქვენი ნაწერების შესახებ ამბის გაუგებლობისათვის, რადგანაც სხვადასხვა მიზეზების გამო ამდენ ხანს ვერ შევასრულე ჩემი დაპირების შესრულება; მიზეზი აი რა იყო: ერთად ერთი სტანოკი მაქვს და ვერ მოვახერხე რომ დამეწყო ბეჭდვა, რადგანაც კანცელარიის საქმეების ხელის შეშობა ძლიერ ზარალს მომცემდა, რადგანაც ქალაქში დაიწყებდნენ ბეჭდვას და მაშინ სამუდამოდ დამეკარგებოდა ის ზაკაზნიკები. ამის გამო მე იმედი თქვენი, როგორც ჩემთვის კეთილის მოსურნისა, რომ იმ მამობრივ გულშემტკიცვრობას არ მომაკლებთ, რომელიც დღემდე სუფევდა და ვისურვებ თქვენს მრავალ ჟამიერ სიცოცხლეს ჩვენი სამშობლოს სასიქადულოდ, რომ ღმერთმა თქვენისთანა გულშემტკიცვარი არ გამოუღიოს ჩვენს პატარა ერს.

დავშთები თქვენი უმორჩილესი მონა

ა რ ს ე ნ ი ვ ა ნ ე ს ძ ე კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე.

1892 წ. იანვრის 14 დღეს.

თქვენი პიესები საამხანაგო წიგნის მალაზიაში გამოვეზახენე და იქ მიაკითხე.

შ ე ნ ი შ ვ ე ნ ბ ი

1) ნ. ნ. კ. ო. ლ. ა. ძ. ე (1842—1928) — ცნობილი პუბლიცისტი და მოღვაწე. ს. მესხა, გ. წერეთელსა და სხვებთან ერთად შეთავრობდა გ. წ. „ახალ ახალგაზრდობას“, რომელიც ბურჟუაზიულ შეხედულებებს იცავდა. თანამშრომლობდა „დროება“-სა და „კრებულში“. შემდეგ დააარსა გაზ. „Огонь“. ბოლო ხანებში მხოლოდ პრაქტიკულ საქმიანობას ეწეოდა.

2) გაზ. „დროება“ დააარსდა 1866 წ. მისი პირველი №-რი გამოვიდა 4 მარტს. მისი პირველი რედაქტორი იყო გ. წერეთელი (1869 წლამდის), შემდეგ — ს. მესხი (1869-დან — 1883 წლამდის) და კ. ლ. ო. რ. თ. ჟ. ა. ნ. ი. ძ. ე (1873—4 წლებში). „დროება“ გამოდიოდა 1866 წლიდან 1875 წლამდის ყოველკვირეულად, 1875—1876 წ. კვირაში სამჯერ, ხოლო 1877 წლიდან ყოველდღიურად. „დროება“ სამუდამოთ დაიკეტა შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით 1885 წ. „მევენე მიმართულებისათვის“.

7) „სასოფლო გაზეთი“ — გამოცემა დაიწყო 1868 წელს გ. წერეთლის რედაქტორობით. „სას. გაზეთი“ გამოდიოდა ყოველკვირულად და პირველ ქვეყნულ იმედობდა 900 ცალამდე. 1874 წლიდან მას რედაქტორობდა პ. მამიაშვილი და ეს უკანასკნელი უძღვებოდა მას 1881 წლამდე.

8) რაფ. ერისთავის ლექსი „ყადის ჯორი“ („ამ დროების არაკი“) დაიბეჭდა „ცისკარში“ 1861 წ. № 2 და „ბუბუბი“ „დროება“-ში 1869 წ. № 49.

9) დ. ჩუბინაშვილი (1814 — 91) — პირველი ქართველი პროფესორი, არჩეული პეტერბურგის უნივერსიტეტში. ცნობილია ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათიით, ლექსიკონებით და სხვ.

10) დიმიტრი ყიფიანი (1814 — 87) — მოღვაწე და მწერალი. 1832 წლის თავდაზნაურულ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის იგი ვოლოგდაში გადაასახლეს. დაბრუნდა 1837 წ. და შემდეგ სახელმწიფო სამსახურში დიდი სისწრაფით წაეიდა წინ. ბარიათინსკის დროს კავკასიის მეფის მოადგილის საბჭოს წევრად ითვლებოდა. 1864 — 70 წლებში დ. ყიფიანი არჩეული იყო ტფილისის გუბერნიის თავდაზნაურთა წინამძღვრად. 1875 — 79 წ. იყო ტფილისის ქალაქის თავი. 1885 — 6 წლებში ქუთაისის გუბერნიის თავდაზნაურთა წინამძღვრად იყო. ეგზარხოზთან შეტაკების გამო იგი გადაასახლეს სტავროპოლში, სადაც მოკლეს 1887 წ. თავისი პოლიტიკური მისწრაფებებით დ. ყიფიანი კონსერვატორი იყო და გამოხატავდა მოხელე არისტოკრატის მისწრაფებებს.

11) კ. ყიფიანი — შვილი დიმიტრი ყიფიანისა, ცნობილი მსახიობი, რომელსაც აქვს ნათარგმნი პიესებიც.

12) დ. ერისთავი — შვილი პირველი ქართველი კომედიოგრაფის — გიორგი ერისთავის. დ. ერისთავი არის ავტორი პიესა „სამშობლო“-სი.

13) კ. ლორთქიფანიძე (1839 — 1916 წ.) — ეურნალისტი და საზოგადო მოღვაწე. თანამშრომლობდა ჯერ „ცისკარში“, შემდეგ ი. კეკელიძის „საქართველოს მოამბეში“ თერგდალელის ფსევდონიმით. 1861 წ. სტუდენტებს არეულობაში მონაწილეობისათვის რამდენიმე თვეს იჯდა კონსტანტინის ციხეში. 1873 — 1874 წელს ს. მესხის უცხოეთში ყოფნისას რედაქტორობდა გაზ. „დროება“-ს.

14) ლექსი, რომელზედაც ლაპარაკობს ი. კეკელიძე თავის წერილში ვათავსებთ ქვემოთ. იგი დართული აქვს ცალკე ამონაბეჭდის სახით ი. კეკელიძის წერილს.

ბასართობი

ახალი იან-ნანა

(მიბაძეა)

იან-ნანა, ვარდო ნანო,
 იან ნანინაო...
 გაიწე და გაიზარდე,
 პატარა მთვარეო,
 მთლად შენი წუთი-სოფელი
 სმაში ატარეო;
 იმღერე და იქეიფე
 შენ ერთთავადაო,



გაიზრდები, შეიქმნები
 ქვეყნის თამბაო
 შეიგნე და შეისწავლე
 სამშობლო მზარეო,
 რომ სადაც დიდი სმა არის,
 იქ გაჩნდე მალეო;
 მთლად შენი მიმულ-დედული,
 სმას შეალიეო,
 შეილო, მიმულის გულისთვის
 ღვინო დალიეო,
 პაწაწინა ლოთი-ფოთო
 ყანწის ოდენაო,
 იაე-ნანა, ვარდო ნანა,
 იაე-ნანინაო!
 ანუგეშე, სადაც ნაბო,
 მოძვე მწუხარეო,
 ალბად რომ ღვინო სწყურთან, —
 დააღვივებო.
 ის უჩრცენია მიმულსა,
 მამასა სჯობდებო:
 მე თუ თუნგ-ნახევარსა ვსვამ,
 შენ ორს დაღვედებო;
 გენაცვალოს მამა-შენი
 რა კარგი მყვებარო,
 ფუნჯულა და გაბერილი
 ტოკოროს გეებარო.
 შეხედეთ აღისფერ ლოყებს,
 ყურძნის წვენიაო!
 იაე-ნანა, ვარდო ნანა,
 იაე-ნანინაო!
 შეილო ღვინის მონა იყავ,
 უარი არ სთქვაო,
 ლუარსაბმაცა სახელი
 ასე გაითქვაო.
 სამშობლო და დედა-ენა
 რად გინდა ნეტაო,
 გამოთვერ და შემოსახე:
 მ ნ ო ღ უ ლ ე ტ ა.

მ. ნახიძე.

*) გ. წერეთელი (1842—1900 წ.) — ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, რედაქტორი „დროების“, „სასოფლო გაზეთის“ და სხვ. ავტორი „იკოლიკის“, „იკოლიკის და კუდაბზიკის“, „პირველი ნაბიჯის“.

გაგილინა ხოსიტაუვილი

მომონება იკორიონ ევროპილის ცხოვრებაზე

(გიოგრაფიული მასალა)

მამაჩენი გახლდათ „მთავარ-დიაკონი ისაკ ხოსიტოვი“, როგორც თითონ აწერდა ხოლმე ხელს რაიმე საბუთის ქალაღდს, შავალითად, თამასუქს, რომლის დაწერასაც დაავალებდენ ხოლმე მას ფულის შესახებელ-გამსესხებელნი მეზობელ გლეხებიდან და, როგორც მოწმეს ამ საკრედიტო ურთიერთობისას, ხელის მოწერასაც სთხოვდენ. „შვილებთან მიწერილ წერილს კი იგი ხელს ასე აწერდა: „მამა თქვენი ისაკ ხოსიტოვი“.

მამიჩემიდან ვიწყებ, რადგან მშობლებში განსაკუთრებით მამა იყო მწიფეობარი. მე პირადად 6 — 7 წლისას პირველად წერა-კითხვა მან დამაწყებინა. დედა ძალიან პატარა გაეთხოვებინათ, 15 წლისას უკვე შვილი ჰყოლოდა. წერილი შვილების პატრონს და საოჯახო მოვალეობით დატვირთულს, ის ანბანიც დავიწყებოდა, რაც ბავშობაში ესწავლებინათ.

იკორიონს დედა განსაკუთრებით უყვარდა და ფსევდონიმიდაც დედის სახელი (ევედოკია) — ევედოშვილი აირჩია. ტანადობითაც და სახის გაწყობილობითაც დედას ჰგავდა.

მეხსიერებაში ჩამჩნა, რომ დედა ძალიან ნაღვლობდა შვილების შორს ყოფნის გამო. უფროს ძმას ილარიონს (ილიკო) და საშუალოს თომას საცხენისის სამხედრო სასწავლებელში ესწავლათ. ილიკო მახსოვს იმ დროიდან, როცა იგი უკვე კაპიტანი იყო. ბოლოს პოლკოვნიკობა მიიღო. ლიბერალი იყო, მეურნეობის მოყვარული, უშვილო და ოჯახს საგრძნობლად ეხმარებოდა.

საშუალო ძმა, თომა, საკმაოდ ნაკითხი და განვითარებული იყო, ამიერ-კავკასიის სხვადასხვა დაბა-ქალაქში ნამყოფი. დაცოლშვილებს შემდეგ სოფლად დარჩა, მაგრამ ალკოჰოლმა გადაიყოლა...

იკორიონი ჩემზე 10 — 11 წლით უფროსი იყო, მისი ყრმობა-ჭაბუკობიდან ცოტა რამ მახსოვს.

ვიდრე იროდიონის ყრმობა-ქაბუკობას შევეხებოდე, მინდა ეს გარემო ავსახო, რამაც მისი პირველი მხატვრული „შემოქმედება“ გამოიწვია.

ჩვენი სახლი სოფელ ბოდბისხევის შუაგულს ცოტა მჭკვჭკვან ასევე აღებულია. სახლი ხევის მარცხენა ფერდობზე იდგა. იქვე, ცოტა მალე, ფერდობის ზეგანზე, ეკლესია იყო — „ამოღება“, სადაც მამა მსახურობდა. ხეობის მარჯვნივ მთის კალთას, თითქმის ჩვენი სახლის პირდაპირ, მეორე ეკლესია გადმოჰყურებდა. მას „დაბლა-ყველაწმინდას“ ეძახდნენ, რადგან იმავე მთის მწვერვალს მესამე ეკლესია აგვირგვინებდა — „მაღლა-ყველაწმინდა“. ეს უკანასკნელი „ძლიერ“ ეკლესიად ითვლებოდა, ხშირად შაბათ საღამოობით ქალები სანთლების დასანთებად დადიოდნენ ხოლმე. ეს ეკლესია დღესაც დატულია, როგორც მე-17 საუკუნის არქიტექტორული ნაშთი. მახსოვს მის ირგვლივ მშენიერი წალკოტი, აყრილი ტყით შემოსილი მთის ფერდობები და ზეგანი.

ჩვენი სოფლის თავში, სოფელ ბოდბისაკენ აღმავალ მთის კალთაზე შეოთზე ეკლესია იყო — „კვირიკე“. დარჩენილია შემდეგი ცნობა: „სანახევსა შინა ბოდბისასა... ნადირობად გასული მეფე კვირიკე თვისმამე მონამ მოკლაო. შემდეგში ამ ადგილას ეკლესია აუშენებიათ. იქვე მახლობლად იდგა ძველი პატარა საყდარი, რომლის დამიწულ სახურავზე საყდრისავე სიმაღლე ხე იყო ამოსული.

იროდიონი პატარაობისას უფროს ძმას თავისთან წაეყვანა. შეიძლება პირველად წერა-კითხვა მანვე შეასწავლა. ერთხანს იროდიონი სიღნაღის სამოქალაქო სკოლაში დადიოდა, შემდეგ თელავის სასულიერო სასწავლებელში მიებარებინათ. ბოლოს ტფილისის სასულიერო სემინარიაში გადავიდა.

სწორედ ამ დროიდან მახსოვს იროდიონის პირველი „მხატვრული ნაწარმოები“. ეს იყო კომიკური სურათი, რომელიც ჩვენი ეკლესიის კრებულის, ე. ი. მღვდლის, მთავრის, დიაკვნისა და მნათის საქციელს გვიხატავდა. ოდნავ მახსოვს, როგორ კითხულობდა იროდიონი ამ „კომედიას“ ჩვენს სახლში. დედაჩემი და მეზობელი ქალები ყურადღებით ისმენდნენ და ძალიან იციზოდნენ. აი ამ ხელთნაწერი კომიკური სურათის მოქმედნი პირნი:

მგელაძე — ჩვენი ეკლესიის მღვდელი, იაგორ რომიტაშვილი.

ხარბაძე — მთავარდიაკონი, ისაკ ხოსიტაშვილი (მამაჩემი).

შელაძე — დიაკვანი, სეო გოზალაშვილი.

ციმთა — მნათე, მიტრია ზურაბაშვილი.

მოქმედება სწარმოებს ეკლესიასთან, მღვდლის ოთახის გვერდით, ფიცრულ საკუქნაოში (ეს ფიცრული მეც კარგად მახსოვს, იქ ბევრი ტაბლა-ზორავი მინახავს). საინებზე და თეფშებზე აწყვია შოთები, ლავაშები, ნახუქები. იქვე ჩამწკრივებულია ლეინით სავსე ხელაღები, დოჭები, ჩაირქები და ზოთლები; ხონჩებზე — ცხვრის ნეკნები თიკმელებით (ე. წ.

„სიბანი“), შილაფლავი, კოლიო (ანუ წანდილო), მოხალშულა ქათმები; ხილი: ჩურჩხელა, ლელვის ჩირი, კომში, ვაშლი, ფოჩინი კამფეტი და სხვა.

მომქმედ პირებს ტაბლის განაწილებაზე ჩხუბი მოსდით და აქვთ — ვის რამდენი უნდა შეხვდეს. შემთვრალი მღვდელ-დიაკვანი ერთმანეთს ხელიდან შოთებსა და სხვა ხორავს ართმევდა. ამ გაწამაწამაში უბიდან წამოუცვივათ ნაპარავი ნაზუქები, ჩურჩხელები, კვერცხი და სხვა.

ამ სცენას იროდიონი მაშინ უკითხავდა ჩვენებს, როდესაც მამა შინ არ იყო, და სიცილთან ერთად განცვიფრებასაც იწვევდა იმ დროისთვის გავლენიანი სასულიერო პირების ასეთი გაბედული მზილება.

იროდიონს ჭაბუკობიდანვე გატაცებით უყვარდა ნადირობა, თოფი და ძაღლი. ერთ დილას, სიღნაღის სასწავლებელში მიმავალმა იროდიონმა ფერდობიდან გადმოიძახა, რასაც დედა ხშირად იგონებდა ხოლმე: „დედი, თქვენ რომ პური ჭამოთ, მაგ ძაღლსაც აჭამეთ, არ დაგავიწყდეთო“. იროდიონს სადღაც ეშოვნა მეძებრის ლეკვი, რომელსაც განსაკუთრებული მზრუნველობითა ზრდიდა.

ჩვენი სახლი მეორე მხრიდან მაღალი აივნით ხეც დასცქეროდა. ქვედა სართულში მარანი და თავლა იყო. აივნის წინ დიდი თელა იდგა, მსხვილი კაკლის ხესავით და მაღალი, როგორც ალვის ხე. ჩვენს უბანში ამ თელას „წმინდას“ ეძახდნენ. მის განიერ ძირში დიდი ფულურო იყო, მე შიგ თავისუფლად შევდიოდი.

როდესაც დედა ვენახ-ბოსტანში მუშაობისა ან ოჯახში ფუსფუსის შემდეგ ტაბტზე მოიკეცავდა, ართავდა ან ქსოვდა, მაშინ შეილების შორს ყოფნით დანადგლიანებულნი იტყოდა ხოლმე: „იროდიონი თელავს არის“-ო. დედის ნაღვლიანობა მაშინ ჩემთვის გაუგებარი იყო: ჩვენი სოფლის იქით ქვეყნის არსებობაზე წარმოდგენა ჯერ არ მქონდა და „თელავი“ ჩვენი ფულუროიანი თელა მეგონა.

შინაურებსა და ნათესავებს იროდიონი განსაკუთრებით გვიყვარდა, რადგან ვარეგნობითაც და ხასიათითაც მიმზიდველი იყო. იროდიონს ახალგაზრდობიდან ერთი ფეხი ნალრძობი მქონდა, კინალამ დაკოკლდა, საქანლიდან ჩამოვარდნილიყო და ნატკენი ფეხის დიდი თითი დამახინჯებულ-დაკოპიკებული დარჩა. რამდენიმე თვე იწვა თურმე არტახებით ფეხშეკრული, ვიდრე ნალრძობი თუ გატეხილი ძვალი გაუმთელდებოდა.

ჩვენს უბანში ბროწეულის ტყე იყო. ერთხელ მეზობლის დედაკაცებს იროდიონზე დედასთან ეჩივლათ: ჩვენი ბროწეული ვოგო-ბიკებს დაუკრეფიან, თქვენი იროდიონიც იმათში ყოფილაო. დედა იროდიონს გამოსარჩლებია, იქ არ იქნებოდაო. მაგრამ მეზობლის ქალებს იროდიონის თურქული ფესკიდან მოწყვეტილი ფუნჯი უჩვენებიათ — აბა, ასეთი ფუნჯიანი ქუდი სხვას ვისა აქვს, ეს ხომ იროდიონის წითელი ქუდისაა,

ბროწეულის ტოტზე ეკიდაო. იროდიონი საკმაოდ მოუსვენარად ყოფილა სიყმაწვილეში.

უფრო გარკვევით მახსოვს ზოგი რამ იროდიონის ჰაბიტუსიდან. ჩვენს სახლში მუდამ იყო ხოლმე ერთი ან ორი მკვდარი მკვდროსი ძმის მოტანილი თუ გამოგზავნილი. ერთხელ, როდესაც იროდიონი ჯერ ისევ, ვგონებ, თელავის სას. სასწავლებლის მოწაფე იყო, საშუალო ძმამა და მან ბერდანა მთლად დაშალეს, გაწმინდეს და როდესაც ისევ აწყობას შეუდგნენ, მისი მრავალი ნაწილისა და ხრახნილის თავთავის ალაგზე მოთავსება ვაუჭირდით, რადგან იროდიონი თომას არ აცლიდა. თოფის აწყობა მაშინ მოხერხდა, როდესაც თომა მარტო ჩაიკეტა და იროდიონი აღარ ჩარია ამ საქმეში.

წიგნების მარავი ჩვენს სახლში მაინცა და მაინც დიდი არ იყო. გარდა იმისა, რომ მამაჩემს ერთი ყუთი ედგა, სადაც „სამოციქულო“, „ეამნი“, „დავითნი“ და „ლოცვანი“ ინახებოდა, მახსოვს, თახჩაში თუ მაგიდაზე ეწყობო ჩუბინაშვილის ქრესტომატია, „ბუნების კარი“ და რამდენიმე რუსული და ქართული უსათაურო წიგნი, რომლებიდანაც სათაური და შიგადაშიგ ფურცლებიც საშუალო ძმას თომას პაპაროსის ქაღალდად ამოეხია.

პირადად იროდიონს თელავში სწავლის დროსვე, სახელმძღვანელობის გარდა, საკითხავი წიგნებიც უნდა ჰქონოდა, ან უფროსი ძმისაგან, ან იმ ხირსელაანთ ოჯახიდან, სადაც ის ცხოვრობდა თელავში სწავლის დროს.

უფროსი ძმა, როგორც ზევეთაც ვთქვი, ქართული კულტურის მოყვარული იყო; იწერდა ჟურნალ-გაზეთებს. შემდეგ წლებში, როდესაც ჩვენს სოფელში ბიბლიოთეკა დაარსდა, ამ უკანასკნელს უწერდა „ნაკადულს“ და „ცნობის ფურცელს“, სახლში კი ჩემთვის „Задшевно Слово“-ს გზავნიდა, ალბათ იმისთვის, რომ რუსულ ენაში მეგარჯიშნა.

კარგად მახსოვს, როდესაც იროდიონი, არდადეგებში შინ მოსული, დედას ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანიდან“ უკითხავდა ბუნების დათვისის სურათს ან ჩიხირთმა-ბოზბაშის არჩევას. იროდიონი გატაცებით კითხულობდა, დედაცა და მეზობლის ქალებიც არა ნაკლები გატაცებით უსმენდნენ.

სოფლად ჰაბუკი იროდიონი ერთგვარ „აუდიტორიასაც“ იკრებდა ხოლმე: ეზოში, ჩვენი უბნის კაცები, ახალგაზრდები თუ ხნიერები, შემოებეგვოდნენ და უსმენდნენ. იროდიონი მათ შესაფერ ლიტერატურას აცნობდა: უკითხავდა „გლახის ნაამბობს“, „კაკო ყაჩაღს“ ან „გლახა ჭრიაშვილს“. ზოგი მხარეთმცოდნე წამოწოლილი, ზოგი კუნძუ წამომჯდარი და ყალიონით პირში, ზოგიც ფეხდგომელა უსმენდა. ეს შორეული და ბუნდოვანი სურათი ახლაც თვალწინ მიდგას.

ის ორი ოჯახი თელავში და ტფილისში, სადაც იროდიონს სწავლის დროს ბინა ჰქონდა, უსათუოდ გავლენას იქონიებდა მასზე. თელავში —

ხირსელაანი, ვგონებ, ჩვენი შორეული ნათესავებიც იყვნენ. ამ ოჯახის დიასახლისი, კოტე ხირსელის მეუღლე, ექიმ გიორგი ხირსელის დედა, ერთხელ, ვგონებ, 1908 თუ 1909 წელს, ტფილისში ირანულ-საქართველოში მოვიდა. ახოვანი და სასიამოვნო გარეგნობის მანდილოსანი იყო.

ტფილისში, სემინარიაში სწავლის დროს, იროდიონი ბინადრობდა დარჩიანთ მიხას, ლ... დარჩიანშვილის ძმის, ოჯახში. როგორც ცნობილია, ამ ოჯახს არა ერთი და ორი ისეთი მოსწავლე აღუზრდია, რომელთაგან შემდეგ საზოგადო მოღვაწენი და მწერლები გამოვიდნენ.

ჩვენს ოჯახში ბახუსის კულტის სრული გავლენა იყო, რაშიაც ჩვენი ეკლესიის „კრებულს“ საკმაო დამსახურება მიუძღოდა. მღვდელ-დიაკვანი მნათის თანხლებით ქელეხ-ნათლობაში შენაყრების შემდეგ ჩვენს სახლში განაგრძობდნენ სმას, სვამდნენ თიხის ჯამებით და შემდეგ წიწაკის ან კომბოსტოს წნილს მოითხოვდნენ ხოლმე. მღვდელი ჩვენი სოფლის მოსახლე არ იყო, დიაკვანს არა ებადა რა, ჩვენ კი მამიჩემის და უფროსი ძმის დახმარებით ცოტა რამ გვექონდა. ვენახიდან ორი-სამი ურემი ყურძენი ღებობდა და ღვინოსაც ოჯახის საკმარისს აყენებდნენ.

მამა შრომისმოყვარე, ენერგიული და კარგი მეოჯახე იყო. ეკლესიიდან შინ დაბრუნებისთანავე (მრევლში დაპატიჟება-დათრობა, არც ისე ხშირად და სისტემატიურად ხდებოდა) გაიძრობდა ანაფორას, კაბის კალთებს აიკაპიწებდა, ქამარში სავაზე დანას გაიყრიდა და მთელი დღე ვენახში ვაზების მოვლაში იყო, ან წალდი ეჭირა და სარებს ჩეკავდა, ან ეზოს ღობავდა. კვირა-უქმე დღეებში გაზეთების კითხვა უყვარდა.

ღვინით გამობრუნებულ დიაკვანს ბოხჩაში გამოხვეული და იღლიაში ამოჩრილი ოლარი და საცეცხლური ბევრჯერ დარჩენია ჩვენს სახლში. იროდიონს ამ ატრიბუტებით არაერთხელ გაუმართავს „წარმოდგენა“. თუ მამა სახლში არ იყო, ჩაიცვამდა მის ანაფორას, ოლარს ჩამოიკიდებდა, ჩვენი ოროთახიანი სახლის შუა კარებში დადგებოდა, ხელს ასწევდა და „ასამალღებელს“ ისე პათეტიურად დაიწებდა, რომ სიცოცხლე ვერ ვიკავებდით, თან საცეცხლურს იჭნევდა...

— კარგი, გეყოფა, ცრუო, მამამ არ მოგასწროს, — ეტყოდა დედა, — ეგ ანაფორაც ვიხდება და მღვდლობაც მოგიხდება.

— არა, დედი, მე მღვდლობა არ მინდა, — უპასუხებდა იროდიონი, გაიძრობდა ისევ ანაფორას და ლურსმანზე დაჰკიდებდა.

— ახა ვაგლახმე, მღვდლობას აბა რომელი სამსახური სჯობია! — შეეკვდებოდა დედა, რომელსაც მღვდლები ყველაზე წარჩინებული ეგონა.

მართლაც, იროდიონმა სემინარია მალე მიატოვა, ვგონებ, მეორე კლასიდან გამორიცხეს.

იმხანად ჩემმა ძმებმა, უფროსმა და საშუალომ, ცოლები შეირთეს. ეს უნდა მომხდარიყო 1891 წ. მე შვიდი წლისა ვიქნებოდი. სოფლის სკოლაში დავდიოდი. ამ დროს ჩვენი კოხტა აიენიანი, თითქმის ახალი სახლი

დავანგრით და სოფლის ბოლოს „ბაღჩაში“ (პატარა ტენაში) ჩვენი ხელ-
 დით. ქვევით ჩამოსახლების მიზეზი ერთი ის იყო, რომ ზევით საურმე
 გზა არ ვარგოდა, აღმართიანი და მიხვეულ-მოხვეული მთისწიველები-
 საგან ჩაბრამული, ხშირად დატვირთული ურმები აყიჩაქუნებულა და ვი-
 უშველებელი ატეხილა; შემდეგ კიდევ ის, რომ სოფლის ბოლოში მინ-
 დვრად მდებარე ვენახში მუშაობისათვის სიარული არაქათს აცლიდა ჩვე-
 ნებს და ერთი-ორი ვერსით დაახლოვებასაც მნიშვნელობა ჰქონდა. სოფ-
 ლის შუაგულში არც წყარო იყო, გვირაბში კლდიდან ნაურის გუბე
 იდგა და იმასა ვსვამდით. სოფლის ბოლოში კი მშვენიერი წყარო მოს-
 ჩქეფდა. „ბაღჩაში“ ჩვენებმა ისევ ოროთახიანი დაბალაიენიანი სახლი ჩა-
 დგეს, გვერდით სამარნე მოზომეს და ქვევრები ჩაყარეს. აი, ამ ადგილას
 მახსოვს მე იროდიონი ტფილისიდან ჩამოსული, უღვაშ-აბუსუსებული
 ჰაბუკი. ეცვა ლურჯი შვეიოტის მოხდენილი ტუფურკა თეთრი საყელოთი.
 მამა ქვევრების, ქოცოებისა და საპალნის მოცულობაზე ელაპარაკებოდა
 და ლეინის ჰაშნიკს ასინჯებდა.

იროდიონი მოვიდაო, — გავიგონე, საიდანღაც მივირბინე. იროდიონი
 დაიხარა და მაკოცა.

მაგრამ ვიდრე იროდიონი სოფელში ჩამოვიდოდა, ჩვენს ოჯახში რა-
 ლაც მყუდროების დამარღვეველი წუხილი ისმოდა მის შესახებ:

— იროდიონი იწერება, სამძღვარს იქით მინდა გადავიდეთ. რა ეცი,
 სამძღვარს იქით რა უნდა? — ამბობდა ნაღვლიანად დედა.

მამასაგან კი შემდეგი სიტყვები გამიგონია:

— იროდიონი შენიშნული ყოფილა ხელმწიფის წინააღმდეგობაში,
 ბალიშ-ქვეშ აკრძალული წიგნები ჰქონია (იროდიონი იმ დროს სემინა-
 რიის პანსიონში ცხოვრობდა). სემინარიიდან ითხოვენ... მივწერე — მოდი,
 ჩემ ალაგზე მოემზადე და მერე მღვდლად ეკურთხე მეთქი, მაგრამ, ეჰ,
 დედის წინ მარბენალ კეცსაო ან მგელი შესჭამს, ან... — მოიშველიებდა
 მამა ძველ თქმულებას...

მეც მაშინ „სამძღვარს იქით გადასვლა“ ჩემებურად მესმოდა: რადგან
 ზვენი ვენახსა და ბიძაშვილების ვენახს შუა ჩამყოლ ბილიკს „სამძღვარს“
 ეძახდით, ჩავირბენდი ამ „სამძღვარზე“, ერთ ნაბიჯს ბიძაშვილების ვე-
 ნახისაკენ წავდგამდი და ებურდლუნებდი: „იროდიონი სამძღვარს იქით
 უნდა გადავიდეს“.

მაგრამ იროდიონმა ჰაბუკობის ოცნება ვერ განახორციელა, გარემოე-
 ბამ ხელი არ შეუწყო, დაიწყო კონფლიქტი სინამდვილესა და იდეალს
 შორის. იროდიონის სოფელში ჩამოსვლა უნდა მომხდარიყო 1891 — 2-3
 წლებს შუა, მაშასადამე, იგი 18 — 19 წლის ახალგაზრდა იქნებოდა.

ერთის მხრით, სემინარიის აუტანელი რეჟიმი და მოწინავე ამხანაგე-
 ბის წრე, სადაც არალეგალურ ლიტერატურას ეწაფებოდნენ და რევო-

ლუციური აფეთქებისათვის ემზადებოდნენ, მეორეს მხრივ — ამ ნიადაგზე აღმოცენებული მისწრაფებანი და იდეალები, რაც იროდიონის მშობლებისა და შინაურებისათვის თითქმის გაუგებარად უფასურელი იყო... ამ ატმოსფერას უნდა აენთო ჯერეთ კბამქკი: მხაყქკს სარსება ამბოხისა და ბრძოლის ცეცხლით, რაც მის პირველ ლექსებშია ჩაქსოვილი. მისი პირველი ლექსები: „გუბე“, რომელიც 1893 წელს დაიბეჭდა, „ჩემს ხანჯალს“, „გავჩუმდე“ და სხვა, აგრეთვე პოემა „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“ სემინარიის მიტოვებისა და საზღვარგარეთ წასვლაზე ოცნების პერიოდში უნდა იყოს დაწერილი.

რადგან უფროსი ძმა იროდიონის სწავლა-განათლებლაზე მშობლურად ზრუნავდა, რაღა თქმა უნდა, იროდიონის მიერ სწავლის მიტოვება არც მას მოეწონებოდა. იროდიონი თავის განზრახვას საზღვარგარეთ წასვლის შესახებ პირველ ყოვლისა უფროს ძმას მისწერდა, რადგან მორალურ და მატერიალურ ხელისშეწყობას მისგან უფრო მოელოდა. მაგრამ იმედი აი გაუპართლდა.

უფროსი ძმა ცოცხალი აღარ არის და მის ოჯახში ძველი მიწერ-მოწერა იროდიონთან არ შენახულა. მე იქ მხოლოდ ერთი ღია ბარათი და ენახე იროდიონისა, ისიც უკანასკნელ წელს (1915) მოწერილი სოხუმიდან. მათ ურთიერთობაზე დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ის კი მახსოვს, რომ იროდიონსა და უფროსი ძმის ოჯახს შორის ადგილი ჰქონდა ერთგვარ კონფლიქტს, ე. ი. უსიამოვნო მიწერ-მოწერას. „იროდიონისაგან ლანძღვის წერილი მოგვივიდაო“ — ეს სიტყვები მე მაშინ უფროსი ძმის ცოლისაგან გამიგონია ჩვენს სახლში, ბოდბისხევში.

იმზანად მეც სოფლის სკოლიდან გამომიყვანეს და უფროსმა ძმამ და მისმა ცოლმა თან წამიყვანა დაბა ყაზახში (სადაც ჩემი ძმის პოლკი იდგა). ეპარქიალური სასწავლებლისთვის მაშზადებდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ იროდიონიც იქ ჩამოვიდა. უფროსი ძმის რჩევით იგი სამხედრო სასწავლებელში შესასვლელად ემზადებოდა. მას ცალკე ოთახი მიუჩინეს. კარგა მოზრდილი ჩემოდანი წიგნებით ჰქონდა საცხე. არა მგონია, ამდენი წიგნი სამხედრო საგნებისა ყოფილიყო. ამრიგად, როდესაც იროდიონს თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად გასაქანი არ მიეცა, ხოლო მღვდლობაზე ლაპარაკიც მეტი იყო, იგი იძულებული გახდა ისევ სამხედრო სასწავლებელში შესვლაზე დათანხმებულიყო. მაგრამ როგორც სჩანს, მალე იგზნო სამხედრო სამსახურთან შეურთებლობა და ერთი წლის შემდეგ სამხედრო სამსახურიც მიატოვა.

როგორც ვიცი, იროდიონის პირველი ლექსები გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდებოდა. იროდიონი თვით „ივერიის“ რედაქციაშიც მსახურობდა. მაგრამ, მე მგონია, არა ბაქოდან ჩამოსვლის შემდეგ, როგორც 1916 წელს გამოცემულ მისი ლექსების წიგნშია მოხსენებული, არამედ ბაქოში წასვლამდის, სამხედრო სასწავლებლიდან ჩამოსვლის შემდეგ...

1899 წელს ბაქოდან დაბრუნებული იროდიონი ტფილისში ჩიღბანს არ დარჩენილა. ვგონებ, წავიდა ქიზიყში, ხოლო 1900 წელს კვლავ ისევ ტფილისში დაბრუნდა, პირდაპირ ეურნალ „კვალში“ სამშრომლოება.

აქვე მინდა აღვნიშნო ყველა ის ფსევდონიმი, რომლებსაც აწერდა ხოლმე იროდიონი იუმორისტული ან პოლემიკური ხასიათის ლექსებსა და ფელეტონებს.

პირველ ლექსს „გუბეს“ სახელისა და გვარის ინიციალები—ი. ხ.—შ ვ რ ლ ი (იროდიონ ხოსიტაშვილი)—აქვს მოწერილი. შემდეგ გადადის ფსევდონიშზე (ი. ე ვ ლ ო შ ვ ი ლ ი). 1900 წლის ეურ. „კვალში“ დაბეჭდილია მისი მოკლე კორესპონდენცია „ბაქოს ჭართული ბიბლიოთეკის“ მდგომარეობის შესახებ, რასაც გვარი და სახელი (ი. ხ ო ს ი ტ ა შ ვ ი ლ ი) აქვს მოწერილი.

1900—1901 წლ. ეურ. „კვალში“ იბეჭდებოდა იროდიონის იუმორისტული სტატიები „პატარა ყარაშანიანის“ სათაურით. ამ იუმორისტულ სტატიებს იროდიონი ფსევდონიმად აწერდა „რიგოლეტო“ (იმავე ფსევდონიმით იმავე „კვალში“ მოთავსებულია სხვა საპოლემიკო იუმორისტულიც, სათაურებით: „სამშობლოს ცაზე“, „საახალწლო ნაპერწყლები“, „ინტელიგენტის ცხვირი“ და სხვ.).

1907—8 წლებში მის კალამს შემდეგი ფსევდონიმები ეკუთვნის: ისარი, იელი, ჩახშახი, წკიპურტი, ლაბლაბო, ეამანაკი.

ხშირად ხდება, რომ ნაწარმოებთა განხილვის დროს კრიტიკოსი ამათუიმ ნაწარმოებს შეცდომით სულ სხვა გარემოებას აწერს, სულ სხვა შიზეზით ხსნის, ისეთი მიზეზით, რასაც მწერლის ცხოვრებაში ნამდვილად ადგილი არა ჰქონია.

რადგან ამ მოგონებას ბიოგრაფიული მასალებისათვის ვწერ, საჭიროდ მიმაჩნია მიეუთითო ზოგიერთ ლექსზე, თუ რას უნდა გამოეწვია მათი დაწერა. ამგვარად უფრო ნათელი გახდება მიზეზ-შედეგობრივი კავშირი პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებას შორის.

ვგონებ, არავინ გამომედავება, თუ ვიტყვი, რომ იროდიონის შემოქმედების მთავარ მოტივად სოციალური პრობლემა წამოყენებული (ვგულისხმობ უმთავრესად მისი შემოქმედების პირველ პერიოდს, ე. ი. შანამდე სანამ მოხდებოდა მის პოლიტიკურ-ლიტერატურულ შეხედულებებში მძაფრი გარდატეხა), ე. ი. საზოგადოებრივი ფენების კლასებად და ყოფისა და ამ კლასების ურთიერთის საწინააღმდეგო დარაზმვის პრობლემა.

პირველი სატრფიალო გატაცება იროდიონს სემინარიაში ყოფნის დროს უნდა ჰქონოდა, როდესაც იგი დარჩიიანთ ოჯახში ბინადრობდა (ტრფიალების საგანი, ვგონებ, ამ ოჯახის ნათესავი ჭალი იყო). ეს თვით

იროდიონის ოჯახში თქმულა ჩემს ახალგაზრდობაში და მე იმას ვიმეორებ, რაც გამიგონია.

ბაქოში ყოფნის დროს დეკანოზიშვილების ოჯახში იროდიონი დაახლოვებული. თუ როგორ უპასუხებს ახალგაზრდა პოეტი იმ ქალს, რომელიც მას ეტრფის, უმჯობესია თვით იმ ლექსის სტრიქონებმა გვამცნონ, რომლებიც პოეტს ბაქოში ყოფნის დროს დაუწერია:

„შენ სცდები, ბავშო, მწარედ სცდები, ინანებ, ვიცი,
თუმც გულსა სჯერა შენი წრფელი გრძნობა და ფიცი.
მაგრამ, თვალღურჯავ, სამაისო შენი ოცნება
მალე თაღებით, მგლოვიარედ შეიმოსება,
რა მეგობარი თვისსა ბედსა, გაგიზიარებს
და დაგანახებს ავადმყოფს გულს, თვისსა იარებს.
შენ ხომ არ იცი, რასა ჰქვიან ბრძოლა მარადის.
უიმედობა, ფიჭრი, ფიჭრი და სახე ლანდის“.

„ეჭვი წარსულზე, კვალად ეჭვი მომავლისა
ხან აყვავება, ხან დამხოდა მთა და ბარისა,
შენ დაგთამაშებს, გააღერსებს მზრუნველი ჩრდილი,
არ გაგიცენია ცხოვრებისა შეგი აჩრდილი,
გაბრუნდი, ბავშო, ფრთა-გაშლილო, თვალღურჯა მტრადო,
არა, არ მინდა ჯოჯოხეთში ჩამოგახედო“.

ბაქოში ყოფნის დროს იროდიონს, თითონ შრომაში ჩაბმულსა და საბრძოლოდ განწყობილს, შრომისა და ბრძოლის ფართო სანახაობა ეშლებოდა თვალწინ. მისი ცხოვრების ამ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს ის ლექსები, რომლებიც განსაკუთრებით საყურადღებოა იროდიონის პოეზიაში. ეს ლექსებია: „მეგობრებო, წინ წინ გასწით“, „როს ტოლთა შორის“ და სხვ. პოემები: „ელენე“, „სისხლი აიღო“ და სხვა.

ერთხანად საშუალო ძმაც (თომა) ბაქოში წავიდა სამუშაოდ, მაგრამ მალე ისევ დაუბრუნდა ოჯახსა და ცოლშვილს.

— აი, ეს იროდიონის ლექსებია, — ამოიღო თომამ სამგზავრო ყუთიდან წიგნი, რომელსაც მე მაშინვე წავატანე ხელი.

იროდიონს მაშინ ჩემთვის რუსული ენის სახელმძღვანელოც გამოეგზავნა და ძმისთვის დაევალებინა, რუსულში მოამზადეო. მისი სურვილი იყო, მე ეპარქიალურში მესწავლა, მაგრამ ჩვენებმა ისევ ბოდბის „წმ. ნინოს“ სასწავლებელში მიმცეს, მგონი, უფროსი ძმის ცოლის რჩევით.

როდესაც მე იროდიონის წიგნს ხელი მოგვიდევ (12 — 13 წლისა ვიქნებოდი), დაღამებული იყო. ბუხრის თავზე ლამფა ბუტყავდა. ტახტზე შევდექე, ბუხართან კედელს მივეკარ და ისე ვამიტაცე ლექსებისა და პოემების შინაარსმა, რომ ვიდრე წიგნი ბოლომდე არ წავიკითხე, იმ ადგილს არ მოვცილებდვარ და არ დამიძინია. შუალამეს კარგა გადაცილებული იქნებოდა. დიდიხანია სახლში მყოფთ ეძინათ...

1897 წლიდან 1899 წლამდე იროდიონი ბაქოში იყო მოწვეული მწიგნობარ-მწიგნობარისაგან გამიგონია, იქაც სამსახურში უფროსებს ვერ შესწავლია. არც საკვირველია, რადგან საწარმოო დაწესებულების მფლობელთა ციხისთან იროდიონს მხოლოდ ფიზიკური არსებობისათვის მუშაობის საკითხი აკავშირებდა, ე. ი. იმულებითი შრომა, და არა მისთვის საყვარელ-სასურველი საქმე. ამ უკანასკნელისათვის მას ღამის საათები თუ და დარჩებოდა, როდესაც დღიური შრომის უღლიდან გამოეშვებოდა...

ერთ ღამეს იროდიონს წიგნების კითხვის თუ წერის დროს ისე ჩასძინებოდა, რომ ლოგინის გვერდზე მდგომ სკამზე ანთებული სანთელი და ქალაღდები დარჩენოდა. ჩამწვარი სანთელიდან ცეცხლი ჯერ ქალაღდებს მოსდებოდა, მერე საბანზე გადასულიყო. ღრმა ძილში მყოფი იროდიონი კინალამ ბოლში ამომხვალაყო. გულშელონებული იგი მხოლოდ გათენებისას გამოეტანათ ბოლით სავსე ოთახიდან და სხვადასხვა საშუალებით მოესულიერებინათ: როგორც ნაამბობიდან მახსოვს, კანტორის მუშებს გარეთ გაეტანათ და თხრილში ჩაეწვინათ...

1899 წელს იროდიონი ბაქოდან ქიზიყში ჩამოვიდა. ჩემს სანახავადაც მოვიდა სასწავლებლის პანსიონში. ზამთარი იყო. მახსოვს, იროდიონი შვენიერ თბილ პალტოში და ბეწვიან „კეპკაში“ იყო გამოწყობილი. კაბუკობის შემდეგ მე ეხლა იგი დავაგაკაცებელი ვნახე.

27 წლისა იქნებოდა, როდესაც მან სოფელ მაჩხაანში ცოლი შეირთო. მაჩხაანში იროდიონი სამომხმარებლო კოოპერატივის „დეპოს“ და საგლეხო ბანკის გამგეობაში მუშაობდა.

მალე იროდიონმა ეს დეპოც და ბანკიც მიატოვა. მას სრულებით არ ეხერხებოდა პრაქტიკული საქმიანობა, ყველაფერი ის, რასაც ლიტერატურასთან, მხატვრულ შემოქმედებასთან უშუალო კავშირი არა ჰქონდა.

1899 წლის შემოდგომაზე იროდიონი, უკვე ცოლშვილიანი, ტფილისში დაბრუნდა და 1899 — 1900 წლებში ჟურ. „კვალის“ რედაქციაში დაიწყო თანამშრომლობა.

1901 წელს „კვალის“ პირველ ნომერში დაბეჭდილია იროდიონის პუბლიცისტული სტატია, სადაც იგი, სხვათა შორის, ეხება ს. მაჩხაანის დეპობანკსაც.

ამ დროს მეც ბოდბის სასწავლებელი დავამთავრე და ტფილისში ჩამოვედი. იროდიონს ეტყობოდა, ჟურნალ „კვალის“ რედაქციაში თავს შესაფერ ატმოსფერიაში გრძნობდა. როგორც ცნობილია, ჟურნ. „კვალი“ ილია ჭავჭავაძის ვაზეთს „ივერიას“ ოპოზიციაში ჩაუდგა. დაპირისპირებაში იროდიონსაც არა მცირედი მონაწილეობა მიუღია. იმ ხანებში დაიბეჭდა იროდიონის საპოლემიკო ხასიათის ლექსები „ივერიის“ ირგვლივ დაჯგუფებული ბანაკისადმი მიმართული. ლექსები „ჩვენს ბოგდისხანებს“ და „მტერი ამბობს“ ორი ბანაკის დაპირისპირების გამომხატველია.

იმ დროს იროდიონი ცხოვრობდა მთაწმინდაში, პრიუტის ქუჩაზე, ეურულის სახლში. ზაფხულობით იროდიონი ცოლშვილს სოფელში გზავნიდა ან სიმამრის ოჯახში ს. მაჩხაანში, ან ჩვენსას ს. ჩუღურაძეში.

შემოდგომაზე იროდიონს ჯერ ცოლშვილი არ დაებრუნებინა სოფლიდან, როდესაც მე ჩამოვედი, რადგან სწავლის განგრძობას ვაპირობდი. ჩემთან ერთად ჩამოვიდნენ დისწული და ძმისწული, მოსწავლე ბავშვები. ზაფხულში მარტოდ დარჩენილ იროდიონს ერთი პატარა ოთახი დაექირავებინა მთაწმინდის ერთ ვიწრო ქუჩაში. რედაქციიდან სახლში დაბრუნებულს ეტყობოდა, რომ თავისი მუშაობით კმაყოფილი იყო, მაგრამ მეტ წილად უფულოდ იყო. სოფლიდან ჩამოტანილი გამხმარი პურიცა და ხახვით ღნაყრდებოდა და თან ღლინებდა: „ხან მაქვს ხახვი და პური და ხან ისიც არა მაქვს“...

დღიური ლუკმის საკითხი იროდიონს კვალდაკვალ სდევდა, მით უფრო, რომ ის მალე დაცოლშვილდა და ოჯახური მოვალეობით დაიტვირთა. მაგრამ მის სახეზე მკმუნეარება, დარდისა და ნაღვლიანობის ნიშანი არასოდეს არ შეგვიმჩნევია. როდესაც მისი ცხოვრების პირობები მეტად რთულდებოდა, ის ოხუნჯობას უმატებდა და დარდიმანდ გუნებაზე ღვებოდა. კავშანს გულში ინახავდა და როდესაც მარტოობის წუთებს იხელთებდა, უმეტესად ღამე, როცა სახლში მყოფნი ვიძინებდით, პოეზიას ანდობდა სულის ქარიშხალს.

როგორც მახსოვს, 1900 თუ 1901 წელს იროდიონმა გაზ. „ეოზროტდენიე“-დან თანამშრომლად მიწვევის ბარათი მიიღო და რამდენიმე ფელეტონიც დაბეჭდა. ყოველ შემთხვევაში, მახსოვს მისი მოთხრობა „ფანტანი“, რომლის სუჟეტი დაახლოვებით ასეთი იყო: ღარიბ-ღატაკი მუშა ირანელი ნავთის ჭის ბურღვაზე მუშაობს. ისიც და მისი ცოლშვილიც ოცნებობენ ლუკმა პურის შოვნაზე. მაგრამ ქაბურღილში მიწა ჩამოინგრევა და მუშას ქვეშ მოიყოლებს. ნავთის მრეწველი კაპიტალისტი, ამ უბედური შემთხვევის საპასუხოდ, მუშის უსიცოცხლო გვამზე გაბრაზებული დაიძახებს — „გამოთაყვანებული“.

შემდეგი წლის შემოდგომაზე იროდიონმა ცოლშვილის ჩამოსაყვანად უფრო ფართო ბინა დაიქირავა, იზმაილოვის ქუჩაზე, ყოფილ ქალაქის თავის იზმაილოვის ქვრივის სახლში, სამი ოთახი. ბინა სარდაფს წარმოადგენდა, თითქმის მთლად მიწაში იყო, ამოსასვლელი კიბე ეზოდან ჰქონდა.

მე იროდიონის ოჯახში მუდმივად არა ვბინადრობდი, ხან სხვა ნათესავებთან ვიყავ, ხან ცალკე ოთახი მქონდა. ერთხანად კი 1903—6 წლებში, კონსპირატიულ სტამბაში მუშაობის დროს, ბინაც იქვე მქონდა.

ერთ ზაფხულს, როდესაც იროდიონს ცოლშვილი სოფელში გაეგზავნა, მე იგი შემდეგ ვარემოში ვნახე: ბინა ნაქირავები ჰქონდა ვერაზე (შემდეგში ევდოშვილის ქუჩა უწოდეს). მუშაბანდში ედგა სამუშაო მაგიდა, ზედ მრავალი ეურნალ-გაზეთი და წიგნები ეწყო. კმაყოფილება

ეტყობოდა, რომ ძლივს მიეცა საშუალება საყვარელ ლიტერატურულ დასწავებობა და პოეტურ განცდებში განმარტოებულყო. იქვე ახალ, კონტა ვალიიდან იადონის ნარნარი სტვენა ისმოდა. ირმდამონ შს. თავისი განცდების მესაიდუმლეს სათუთი მზრუნველობით უწვლდა.

1902 — 4 წლებში იროდიონმა სოფლის მეურნეობის წამოწყებაც სცადა: ვენახის გაკაფვა განიზრახა, ვენახის თავში კალო გვჭონდა, მისი გაუქმებაც უნდოდა — აპირებდა თამბაქოს პლანტაციის გაშენებას, მაგრამ საშუალო ძმამაც და მამამაც წინააღმდეგობა გაუწიეს და ისიც იძულებული გახდა თავის განზრახვაზე ხელი აეღო.

ქიზიყში იმ დროს ხელი მიჰყვეს თამბაქოს წარმოებას. იროდიონიც ბიძაშვილებსა და თამბაქოს სხვა მწარმოებლებს შეუამხანაგდა. თამბაქო აღაზანს გაღმა მოჰყავდათ და მის აღებ-მიცემობას აწარმოებდენ. მაგრამ იროდიონმა ამ „აღებ-მიცემობაში“ თავნიც კი (ე. ი. საბრუნავი თანხა, რომელიც პირადად მისი არც კი იყო) წააგო, და ეს საქმეც მალე მიატოვა.

სოფელში ყოფნის დროს იროდიონს უფროსმა ძმამ ორი მშვენიერი ჯიშინი მიეძებარი გამოუგზავნა. ერთი თეთრი იყო, წითელი ხალები ჰქონდა, მეორე — მოშაო, მუჭი წაბლისფერი. პირველს იროდიონმა „როზკა“ დაარქვა, მეორეს — „სერაფიმე“ — ვგონებ, სემინარიის რექტორის ბერ სერაფიმეს „საპატრო“ ხსენებისათვის: იროდიონს საშინლად სძულდა სემინარიიდან ყველა თავისი ნაამხანაგარი მღვდელი. იროდიონი მათ აეზაკებს, ხალხის მძარცველებს, მატყუარებსა და ფარისევლებს ეძახდა.

ეხლაც გონების თვალწინ მიდგას ის სურათი, როდესაც იროდიონი ახლად მოთოვილზე სანადიროდ მიდიოდა. მხარზე თოფ-გადაგდებული, ფეხ-აკრფით მიემართება ტყიან ფერდობისაკენ და წვივზე ხელის დაკვრით ეძახის მეძებარს: „სერაფიმე, პოდიომი!“

ზემოთ უკვე ვთქვი, რომ იროდიონი მიმზიდველი გარეგნობისა იყო: ტანადობით საშუალოზე ცოტა მაღალი, მოძრაობა ჰაეროვანი, სახის კანი სუფთა, თვალები მსხვილი და გრძნობიერი გამომეტყველებისა, ცხვირი ზომიერი, შუბლი გადაშლილი, შავი გრუზა თმა, ყურები მეტად პატარა და მოხდენილი, — აი მისი გარეგნობა.

1906 წლის გაზაფხულზე პოლიტიკურ გადასახლებაში მყოფ ამხანაგის სასარგებლოდ სალიტერატურო საღამო გაიმართა ოპერის თეატრში. იროდიონი გამოვიდა თავისი პოპულარული ლექსით „მეგობრებო, წინ, წინ გასწით“. მე და მსახიობი ქალი ელენე ციმაკურიძე მეორე სართულის აივანზე ვისხედით. ელენეს შმა კოტე ციმაკურიძეც ახლად გადასახლებული იყო.

— რა ლამაზი ვაჟაკია! — წამოიძახა ერთმა ქალმა ჩვენს გვერდით, როდესაც იროდიონი სცენაზე გამოჩნდა.

იროდიონი ჩვენთან ყოველთვის მოლიმარე იყო, ოხუნჯობდა, უყვარდა სუფრა-გართობა, ცოტა გიტარაზედაც უკრავდა. განსაკუთრებით უყვარდა ერთი რომანსის დამღერება და ამ რომანსის შექმნის სიტყვები:

„როდესაც მომთხოვ საქმეს საგმიროს,
თუნდ მტრის ლახვარმაც მომკლას გამგმიროს“...

როდესაც ოჯახში ნათესავ-მეგობრები მოვიდოდნენ, იროდიონი დარდიმანლობის გუნებაზე ღვებოდა. ქამით ძალიან ცოტას სჭამდა, უყვარდა უფრო სმა, მაგრამ უზომოდ მთვრალი, განსაკუთრებით გარეთ, ქუჩაში, არავის არ უნახავს. ღვინოს ადვილად იტანდა, ნასევამი არასოდეს ცუდ გუნებაზე არ ხდებოდა. პირიქით, გვამხიარულებდა და ტყბილად ღლინებდა ხოლმე: „კოკობო ვარდო, არ დამავდო“ და სხვ. შემდეგ ცოტას წაიძინებდა და გამოფხიზლდებოდა. ღამ-ღამობით კი, როდესაც სახლში ყველანი ვწევბოდით და ვიძინებდით, იროდიონი საწერ მაგიდასთან იჯდა და მუშაობდა.

1908 — 1909 წლებში იროდიონი ცხოვრობდა იზმაილოვის და გუნების ქუჩების კუთხეში, ბანკის სახლში. ჯერ ქვემო სართულში იყო. შემდეგ კი ზემო სართულში გადაბარგდა. საწოლ ოთახის ირიბ კუთხეში საბარგე კუნძული იყო, კედლით გადაყოფილი. იქ ჰაერი არსაიდან არ შედიოდა, თუ საწოლ ოთახიდან კარს არ გავაღებდით. ერთხანს იროდიონმა თავისი საწერი მაგიდა იქ დაიდგა. დღისით მუშაობა დააპირა და კარი მიხურა, რომ ოჯახის ხმაურობიდან მიმყუდროებულყო. მაგრამ არ გასულა ერთი-ორი საათი, რომ თავბრუ დასხმული და გადაფთვრებული სწრაფად გამოვიდა და თავისუფლად ამოისუნთქა. იმ სამკუთხედ კუნძულში კი, სადაც იროდიონმა პატარა საწერი მაგიდა და ერთი სკამი ძლივს მოათავსა, პაპიროსის ბოლი ნისლივით დამდგარიყო.

ს ა ნ დ რ ო შ ა ნ შ ი ა შ ვ ი ლ ი. იმ დროს დამწყები ახალგაზრდა პოეტი, იროდიონთან ხშირად მოდიოდა ხოლმე. იროდიონსაც სანდრო განსაკუთრებით უყვარდა და მეტსახელად „ჩაფრა ჩიტს“ ეძახდა. 1909 წელს იროდიონი ამ ბინაზე გაჩხრიკეს და დაიქირეს.

იროდიონი „ლოთი“ ან „ალკოპოლისტი“ არ იყო, როგორც მასზე წარმოდგენიან ზოგიერთებს, მხოლოდ უკანასკნელ წლებში (1907 — 1909 წ.) დასტემდა ერთი ზნე: წერის დროს მაგიდაზე არყით ნახევარ-ბოთლიანი ედგა და თითონ ამბობდა: ჰონორარით შეკვეთილს ისე ვერ დავწერ, თუ ეს თეთრი სისხლი არ შეუშვი ძარღვებშიო.

იმ ხანებში თარგმნა იროდიონმა ქართული თეატრის შეკვეთით რუსი პოეტი ჭალის ჩ უ მ ი ნ ა ს დრამატიული პოემა „ზობეიდას ქორწინება“, რომელიც მ ა რ ო მ დ ი ვ ნ ი ს ბენეფისში დაიდგა.

1904 წელს რუსეთ-იაპონიის ომი დაიწყო. იროდიონი, როგორც სათადარიგო ოფიცერი, ჯარში გასაწვევად მოიკითხეს.

კოტა ხნის შემდეგ იროდიონი ისევ ტფილისში ჩამოვიდა და აქ მუშაობაში ჩაება. ამ დროს იყო, რომ ვაგზლის მახლობლად ა. ევდოშვილის სახელით გაიხსნა ლენინის სარდაფი, იგივე სასადილო „იმედში“, რომლის ნამდვილი დანიშნულებაც საიდუმლო კრებები და უმთავრესად რკინიგზის მუშებს შორის პროპაგანდა-აგიტაციას წარმოება იყო.

1909 წელს იროდიონი დააპატიმრეს. გაეხსენოთ, რა პირობებში მოხდა ჟანდარმების მიერ იროდიონის ბინის გაჩხრეკა და შემდეგ თვით მისი დაპატიმრებაც.

თუმცა მუდმივი ბინა იმხანად მე იროდიონის ოჯახში მჭონდა, მაგრამ ჩხრეკას და დაპატიმრებას არ შეესწრებოდა, რადგან ის ღამე ნათესავეთან გავათიე. 1909 წლის 21 ოქტომბერს ნაშუალამევს ჟანდარმებმა იროდიონის ბინას ალყა შემოარტყეს, გაჩხრიკეს და წაიღეს კოპოტიკინის წიგნის „ხლები ე ვოლია“-ს თარგმანის ხელთნაწერი წიგნები და ხელთნაწერი ლექსების რვეულები. წაეღოთ იროდიონის სამხედრო სამსახურიდან შემორჩენილი ხმალიც კი. იროდიონი იმ ღამეს არ წაუყუანიათ. ჟანდარმები ეწვივნენ მეორე ღამესაც და მაშინ დააპატიმრეს იგი.

გამოძიების დროს, გარდა „ხლები ე ვოლია“-ს თარგმანისა, იროდიონის ძველი საქმეებიც გამოჩხრიკეს. მას ბრალდება წაუყენეს აგრეთვე, როგორც მეფის მთავრობის ოფიცერს, რომელიც 1905 წელს გამოსვლებში მონაწილეობას იღებდა, იარაღს აერცვლებდა რკინის გზის მუშებს შორის, აგიტაციას ეწეოდა სასადილო „იმედში“ და სხვა. ეს უკანასკნელი ბრალდება უფრო მძიმე იყო პირველზე და მას ერთი წლით მეტების ციხეში ტუსალობის შემდეგ 9 წლით ციხიბრში გადასახლება გადაუწყვიტეს. ჟანდარმთა სამმართველოში დაკითხვაზე დაიბარეს იროდიონის მეუღლე, დამიბარეს მეც. წიგნები, ხმალი და იროდიონის ლექსების ხელთნაწერი რვეულები დაგვიბრუნეს. დაიტოვეს მხოლოდ „ხლები ე ვოლია“-ს თარგმანი.

1910 წლის გაზაფხულმა იროდიონს მეტების ციხეში დამწყვედულს მოუსწრო. ამ ხანებში დაიბეჭდა ჩემი პატარა ლექსი სათაურით: „ჩემს ძმას დატუსაღებულს“. ამის საპასუხო გამოძახილია მეტების ციხეში დაწერილი იროდიონის ლექსი „ია“.

დაპატიმრებული შვილის სანახავად დედა სოფლიდან ჩამოვიდა, ამის გამოა დაწერილი იროდიონის ლექსი „დედას“.

ჩრდილოეთის სასტიკმა ჰავამ და მძიმე პირობებმა იროდიონის ფილტვებში უკურნებელი სენი — ქლეჩი ჩაასახლა. ექიმების უშეამდგომლობით იროდიონი ვოლოგდის გუბერნიიდან გადაასახლეს ასტრახანის გუბერნიაში — ჩორნი იარში. იქიდან იროდიონმა მოახერხა არალეგალურად რამდენიმე დღით ტფილისში ჩამოსვლა. ამ გამოპარვას ის „გადამოფრენას“ ეძახდა.

რადგან კოლშვილის ბინაზე გამოჩენას ერიდებოდა, იროდიონმაც და მისმა მეუღლემაც ის რამდენიმე დღე ჩვენთან გაატარეს (მე უკვე გათხო-

ვილი ვიყავი, ეცხოვრობდით მთაწმინდაში; ჩემი ქმარი ნიკო კურდღელ-ლაშვილი ძველი მეგობარი იყო იროდიონის). ათიოდე დღე მე იროდიონმა მოინახულა თავისი ბავშვებიც, ნათესავ-მეგობრებთან ერთად გადასახლების ადგილზე დაბრუნდა.

სამუდამო განთავისუფლება მხოლოდ მაშინ აღირსეს ჯალათებმა, როდესაც დარწმუნდნენ, რომ მას დიდიხნის სიცოცხლე აღარ დარჩენოდა. იროდიონი გადასახლებიდან დაბრუნდა 1912 წელს. მაგრამ მისი ფილტვები უკვე იარებით იყო სავსე. წალვერში, აბასთუმანში და სოხუმში მკურნალობამაც ვეღარ იხსნა.

უკანასკნელად მინდა მოვიყვანო 1915 წელს დაწერილ ლექსიდან შემდეგი ადგილი:

„მე ფერფლი და ვარ ცეცხლზე დამწვარ საღამურისა,
მე კენესა და ვარ, შველის კენესა, განგმირულისა,
მე ვარ ორბის ფრთა, მოტეხილი, მოღუნებული,
მე ვარ ბუჩქის ძირს მიგდებული მკვდარი ბუღბუღი“.

1915 წელს, იმპერიალისტური ომის დროს, კიდევ მოიკითხეს იროდიონი; როგორც სათადარიგო ოფიცერი. ამ უსიამოვნო გარემოებამ მისი ავადმყოფი ფილტვებიდან სისხლის ამოქცევა გამოიწვია. იროდიონი იმ დღეს „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში იყო. იქიდან გამოსვლისას, ერევნის მოედანზე, ტრამვაის ვაგონში ასვლის დროს, სისხლის ამოქცევამ შელება ცხვირსახოცი; იროდიონმა აფთიაქს მიაშურა, იქ მაშინვე დაწვა, რომ სისხლის ამოსვლა შეეჩერებინა; ხმის ამოღება არ შეიძლებოდა, ხელებით ანიშნა: დამეხმარეთო. როდესაც გამოირკვა, რაში იყო საქმე, სწრაფი დახმარების ეტლით სახლში მიიყვანეს.

1916 წლის გაზაფხულზე, სოხუმში ყოფნის დროს, სიკვდილთან ბრძოლის გადამწყვეტი წუთების მოახლოვება იგრძნო და ტფილისში დაბრუნება მოითხოვა. ტფილისში ჩამოყვანილი ის უკვე მძიმე ავადმყოფი იყო, სულთმობრძავი. ათიოდე დღე კიდევ სუნთქავდა წამებულის უმაგალითო ტანჯვით და პირველ მაისს ღამის ოთხ საათზე გათავდა მისი წამბაეც და სიცოცხლეც. მაისში იყო დაბადებული 1873 წელს და მაისშივე მოკვდა — 1916 წელს, დაბადებიდან 43 წლისა.

ამით მინდა დავამთავრო მოგონება იროდიონის ცხოვრება-შემოქმედებაზე. ჩემი მიზანი იყო ერთგვარი მასალა მომეცა იროდიონის ვრცელი ბიოგრაფიისათვის, რომელიც, ვფიქრობ, ახლო მომავალში უნდა დაბეჭდეს.

სამწუხაროა, რომ მისი პოეტური ხსოვნის ნივთიერი ძეგლები დღემდე ჯერ კიდევ არ არის მთაწმინდის მწერალთა მუზეუმში მიტანილი და დაცული. ჩემთან ინახება რამდენიმე (7 ლია და 8 პაკეტისანი) წერილი იროდიონისა ჩემს ქმართან ნიკო კურდღელ-ლაშვილთან მოწერილი იროდიონის სიცოცხლის უკანასკნელ (1915 — 1916) წლებში (ცემიდან, სუ-

რამიდან, აბასთუმნიდან და სოხუმიდან მოწერილი). 1915—1916 წლ. გამოიცა იროდიონის ლექსების კრებული ხელის მოწერილთა, იროდიონის ავადმყოფობის გამო, ამ გამოცემას ჩემი ქმარი ხელმძღვანელობდა და იროდიონის წერილების შინაარსი უმთავრესად წიგნის გამოცემას, ფულის საკითხსა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას ეხება. მოვიყვან ერთ ლია წერილს. „ძვირფასო ნიკო! შენი და სანდროს წერილი მივიღე, ფული ეხლა იმდენი მაქვს, რო თებერვლის ნახევრამდე უზრუნველყოფილი ვარ, სახლში არ მოშივდეთ, იმისი დარდი მაქვს. ნელ-ნელა უკედ ვხდები, ორი თვის შემდეგ იმედია ცოტა მუშაობას შეეძლებ და გამოვმგზავნი. ჩემი წიგნი ერთი ცალი გამომიგზავნე. შენი იროდიონი“.

1916 წლის დამდეგიდან იროდიონი, „უკედ“ გახდომის მაგიერ, უარესად გახდა. თუმცა იმედი ჰქონდა, რომ მუშაობას კიდევ შესძლებდა. ბოლოს, დაეასახელებ იმ სამახსოვრო ნივთებს, რომლებიც იროდიონის ოჯახში ინახება: საწერი მაგიდა, სამელნე, ციმბირიდან ჩამოტანილი ხის ქერქის „ქალამანი“, ფოტოგრაფიული სურათები: ქაბუკობაში გადაღებული — სემინარისტობისა, ბაჭოელ ამხანაგებთან გადაღებული, ცოლ-შვილთან, სამხედრო ფორმაში, „იმედის“ თანამშრომლებთან, გადასახლების დროს ეტაპში მარხილთან, მკურნალობის დროს კურორტებზე გადაღებული სურათები, გადიდებული სურათი, მხატვარ თოიძის მიერ ფერადით ნახატი (ავადმყოფი იროდიონი ლოჯინში), „ნაკადულის“ რედაქციაში გადაღებული ნინო და ილიკო ნაკაშიძეებთან და დედის სურათი, რომლის სახელი ფსევდონიმად ჰქონდა პოეტს.



ს. კლდიაშვილი. „სვანური მოთხრობები“. სახელგამი. 1984 წ.

სერგო კლდიაშვილი ჩვენს პროზაიკოსებს შორის ერთი იმ იშვიათ პროზაიკოს-თავანია, რომელიც სხარტი, უბრალო, სადა და მოკვეთილი ენის მქონეა. „წყალი“ და დამხმარე საგნებში გადავარდნა მას არ ახასიათებს, გაჭიანურება არ უყვარს, ამბავს მოხდენილად და მოკლედ მოსკრის, უბრალოებას და სისადავეს დიდი მხატვრული დამაჯერებლობამდის ანეითარებს და ზშირად დიდ მხატვრულ ეფექტიანობასაც აღწევს.

სერგო კლდიაშვილის უკანასკნელი ნაწარმოები „სვანური მოთხრობები“ მისი მხატვრული შემოქმედების ახალ ეტაპს წარმოადგენს. „სვანური მოთხრობები“ ისტორიული ეპოსის სუვერენ მოთხრობათა კრებულაა, გაკეთებული დიდი მხატვრული ოსტატობით. სტილის დახვეწილობა და თხრობის ეპიურობა, — აი რით არის ის შესანიშნავი. ავტორს ამ მოთხრობებით მიზნად დაუსახავს მოგვეცეს სვანეთი წაქსულში და თანამედროვე ეპოქაში.

შევეხოთ სვანეთის რკალის პირველ მოთხრობას. ავტორმა იცის და გვიჩვენებს კიდევ, რომ წაქსულში ბატონი და ყმა ერთმანეთს ებრძოდა, რომ ყმების უკმაყოფილება ზშირად აჯანყებამდე მიდიოდა, მაგრამ კონკრეტულად რა სოციალური შინაარსისა იყო ეს ბრძოლა, რისი მოპოებისათვის იბრძოდნენ, როდესაც აჯანყებას აცხადებდნენ, ეს ნაწარმოებში არ არის ხაზგასმული. ლაშეთის ბატონი დავლეთ ყიფიანი, აჯანყებული გლეხების მიერ გარს შემორტყმული, ფიჭობს, რატომ აჯანყდნენ გლეხები, და თავის თავს ასე უპასუხებს: იმიტომ ხომ არა, რომ რამდენიმე დღის წინათ სოფლებიდან მოგზავნილი თავკაცები დასაჯა, მაგარამ განა პირველად დაუსჯია ყმა, ესაა და ეს, ნაწარმოების მიხედვით, მთელი მიზეზი, რამაც შექმნა და გამოიწვია სვან გლეხების აჯანყება ლაშეთის ბატონის დავლეთ ყიფიანის წინააღმდეგ. მეტს აჯანყებებს გამოიწვევს მიზეზზე არც აჯანყებული გლეხები ლაპარაკობენ და არც თვით ლაშეთის ბატონი, რომელიც თავისი რვა ერთგული ყმით უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ებრძვის აჯანყებულებს და რომ ვერაფერს გახდება, შეაკვდება კიდევ მათ.

„უშგულში“ უფრო უზგადაა მოკემული ეგზოტიკური ფერა. სასწაულებსა და სინამდვილის ამბებს შორის ურველგვარი საზღვარია წაშლილი. უშგული და ბეროს ბატონი ფუთა დადევსელიანი წაკიდებულნი არიან და მათ შორის დიდი ხნის მტრობაა. უშგულმა დადევსელიანს ოცი დარჩენული სვანი მიველად გაუგზავნა და შესარიგებლად თავისთან გადაიპატივა. შერიგების წინადადება დადევსელიანმა მიიღო და იგი თავისი ვეთი ისლამ ბერლანით ესტუმრა უშგულს. „ფუთის საჩუქრად შეაგებეს შეპრაბტული ყაბარდოს ულაყი, დათვის ბეწვები და კათხა, აისლილი არაყით. ბეროს მთავარმა მადლობა იწება, ილოცა ლამარიანი, ეკლესიას შესწირა ვერცხლით ნაჭედი მღვთისმშობლის ხატი, აბრეშუმის დროშა და აღსავლის კარებზე ჯიხვის რქები დაჰკიდა“.

ამის შემდეგ არის თოფების გრიალი, ფერხულის ცეკვა, ნაგურის ღრიალი, აფორაჭებულია ცა და დედამიწა. ახლა ლხინისა და ღრეობის ამბები: ჯაჭვით დაბმული ბუღა აუშვებს; ისლან ბერლანმა, ბრძანების თანახმად, გაიგდო წინ ბუღა, მერე დაე-

დევნა და ხმლის ერთი მოქნევით თავი მოჰკვეთა. შემდეგ გაჭენებულ სხენთან ოფი
 ესროლა სუფრასზე არყის კათხას და მოარტყა. შემდეგ, მონადირეების დასაუნება და
 მათი დასარტყება, ბოლოს, პაროლის, სიგნალის მიცემა — „მიიჩვიეთ, წაყვლილ ლეი-
 ნო“ და ბეროვლების ამოწყვეტა, ხოლო ისლამის ცოცხლად დატოვება, ყველაზე უფრო
 მიველებს გამოსასყიდლად.

როგორ და რისთვის მოხდა ეს ამბები? რა იყო ამ საშინელი შურისძიების მიზეზი?
 რას ნიშნავდა ეს დიდი ტრიუმფით შეხვედრა და ან ეს ტრაგიკული ბოლო? რა სო-
 ციალური მოტივები ედვა მას სარჩულად? ეს ნაწარმოებში არ ჩანს.

„ნაპარლის“ თემად აღებულია სვანეთში თეთრებისა და წითლების ბრძოლა. დაჭრი-
 ლი წითელი პარტიზანი ბონდო ბასკია ერთხანს გამოქვაბულს შეაფარებს თავს, შემ-
 დგე სვანი გლეხის გიერგილის კოშკში გადავა. გიერგილის ძმას ბონდო გარედ გაჰყავს
 სხვა ბინაში გადასაყვანად და მისი თოფის სიყვარულით გატაცებული ხრამში გადა-
 აგდებს ბონდოს. გიერგილი აშფოთდება ამაზე და თავის ძმას იმავე ხრამში გადაატყს.

წინამდებარე კრებულში მოთავსებულია აგრეთვე „ფერფლი“, რომელიც სერგო
 კლდიაშვილის მხატვრული შემოქმედების მაღალი მწვერვალია, და მას ეს მწვერვალი
 ჯერ არ გადაულახავს. „ფერფლი“ დიდი ტილოა, დიდი სოციალური ამბების ასა-
 რეზია.

„ფერფლის“ ძირითადი თემა სოფელი და იმპერიალისტური ომია: რა გავლენა
 იქონია იმპერიალისტურმა ომმა სოფელზე, როგორ გაიჩინა ხალხის დოვლათი, რო-
 გორ გადაშენდა და გაპარტახდა მთელი ოჯახები, როგორ მოსწყვეტა საუკეთესო,
 ჯანლონით სავსე ახალგაზრდობა და მუშა-ხელი სოფელს, სამაგიეროდ როგორ მოითბეს
 ამ ომით ზელი ერთმა მუქა ნაძირალებმა და პარაზიტებმა. დათბასთანა ღარიბი ოჯახი
 ათობით და ასობით გაპარტახდა, ხოლო პეტრე ლანჩა იძენდა და იძენდა ქონებას,
 მდიდრდებოდა. ლანჩამ ამ საერთო გადატაცების დროს ორსართულიანი ოდის აშე-
 ნებაც კი წამოიწყო.

სერგო კლდიაშვილი კარგად ამელაენებს ომის საშინელებას ყველა უბანზე. ომი
 საშინელია არა მარტო ზარბაზნების გრიალით, არა მარტო ადამიანების გადაქცევით
 ზარბაზნის ტყეის ლუკმად, არამედ იმ შედეგებითაც, რომლებსაც ის ჯარის ზურგში
 იწვევს. ავიღოთ თუნდაც ჯარისკაცების გაწვევა და მათი ცდა, რომ გაწვევას თავი
 დაახწიონ. კლდიაშვილი ამ მომენტს, ამ ეპიზოდს დიდი დაკვირვებით და დიდი ოსტა-
 ტობით ასახავს. მას ამისთვის მდიდარი მასალა აქვს, ის კარგად იცნობს ამ მასალას.
 იგი ამ საქმის წერილმან დეტალებშიაც კი კარგად ერკვევა. ჯარში გასაწვევთა შემოწ-
 მების ეპიზოდი, ზოგიერთი მეჭრთამე ექიმის საქციელი, ხან სიმკაცრე (როდესაც არა-
 ფერს აძლევენ) და ხან ნაშტანი დაყვავება (როდესაც ქრთამი აქვს აღებული), გა-
 საწვევი პირების შინაურ ექიმბაშებთან მისვლა, შემოწმების დროს ხელოვნურად ავიდ-
 გახდომის ცდები, ჯარში გაწვეულთა დებოში და ქვიფი, მათი სიმღერა და განაეარ-
 დება, რკინისგზის სადგური, გაწვეულთა გაცილება თვალცრემლიანი კირისთვლების
 მიერ, — ყველაფერი ეს ისეა დახატული და მოცემული, რომ დიდი ინტერესით იკით-
 ხება და ადამიანის მესხიერებაში ლაგდება, როგორც სადღაც ნახული მშვენიერი სუ-
 რათები.

ავტორი უძველესად კარგად მოიქცა, როდესაც ნაწარმოების სუვეტი გაშალა ორ
 ოჯახის კონტრასტების ფონზე. ნაწარმოებში უმთავრესად ორი ოჯახის ცხოვრებაა
 ნაჩვენები. ეს არის დათბას და დიმიტრი ლანჩას ოჯახები. დათბას ოჯახი თანდათან
 ნადგურდება, დიმიტრის ოჯახი იესება დოვლათით, დიმიტრი ორსართულიან ოდის
 იწენებს, ქვეშ ცელიარის ქვის პალატო, ზევით მუხა, თუნუქის სახურავი და თუნუ-
 ქისვე საწიფარი.

დმიიტრის შვილი ერთხანს ომის საჭიროებისათვის ხე-ტყეს აშხალებდა, ესლა მის ფონტის ტერიტორიაზე რკინისგზა გაჰყავს და მუშა-ხელს მოტყუებდა და გაიძვე-რობით თავისავე სოფელში აგროვებს. სოფელს პური არა აქვს, რეჟიმს მუშაობს, პური და მისი მეოხებით გაჰყავს გლეხები სამუშაოდ. პარკენს ჩინური ტექნიკური მარადიორია. მისი მარადიორობა დაწურულად და ამავე დროს მხატვრული ზომიერებით არის მოცემული.

„ფერფლში“ საინტერესოდ არის ასახული ის, თუ ვისზე როგორ მოქმედებს ომის საშიშროება, ვისში რა შეგნება დაბადა და გამოიწვია ომის მწაჭე შედეგებში. დათიამ მეორე შვილი გააკილა ომში და უკან დაბრუნებული გზაზე ფიქრობს: „რა მაქვს მე საომარი? რა შემოება გერმანიასთან ან თათართან? ვიცი, მიცილობს, სისხლი მართებს, თუ რა? ღმერთმა ორივე მშვიდად ამყოფოს და მეც თავი დამანებონ. ჩემი საომარი მე ჩემ ყანაში მაქვს. ომი მე ყოველდღე მაქვს. ჰა... ჩემი ომი... დათიამ გადაშალა ხელის გული, დასკდარი და აბედათ დასმული კუნთებით დახორხლილი“.

ამ სიტყვებში არის კლასობრივი შეგნების ჩანასახი. ღარიბი გლეხის ინტერესები ომში იმდენად შელახა, რომ ის იძულებული შეიქნა ეფიქრა ასეთ საგნებზე. დათიას ოჯახი ომში გაატუბდურა. ეს იცის დათიამ, ამას ყარავდ ხედავს ის და ფიქრობს — რისთვის უნდა ომობდეს. კლდიაშვილმა მოგვცა შეგნების ჩანასახი, მაგრამ არ მოგვცა ამ შეგნების თანდათან განვითარება, ნაყვარჩხლების ცეცხლის ალად გადაქცევა.

ამ მხრივ უფრო საყურადღებოა სარეცენზიო ნაწარმოების ის ადგილი, რომელსაც უცნობი ჯარისკაცის დღიური ეწოდება. ჯარისკაცები ზარბაზნების ტყვიას პირში უღვანან და უშუალოდ განიცდიან ომის მთელ საშინელებას. ომი მოცემულია, რასაკვირველია, მეტად შავი და მუქი ფერებით. ომი მოცემულია როგორც საშინელი წამება, საშინელი ტანჯვა.

მაგრამ საინტერესოა, როგორ გადატყდა ეს ამბები მის მონაწილეთა წარმოდგენაში, როგორ აისახა, ვინ როგორ და რა ენით აღაპარაკდა, ვისში ჩანარბი შეგნება დაბადა. ავიღოთ ჩვენი ძველი ნაწარმი ესტატე. მლაროების ყოფილი მუშა. ესტატე ამ დღიურის ერთი თველსაჩინო ფიგურათაგანია. მისი კლასობრივი შეგნება ფონტზე არ დაბადებულა, მან ეს შეგნება მლაროებიდან მოიტანა. იგი თავისი შეგნების შესაფერ მუშაობასაც ეწევა. ჯარისკაცებში აგიტაცია აქვს გაზაღებული. ლაპარაკობს ომის საშინელებებზე და ბოლოს იმ ბოროტი დღეების შესახებ, რომლებიც წარსულში სოფლად და ქალაქად განუტყდა.

ესლა გავეცნობ, როგორ გადატყდა ომი ახალი ჯარისკაცების შეგნებაში. ბატალიონის უბრძანებელ სოფლების დაწვას, ჯარისკაცები ფიქრობენ იმაზე, თუ რატომ უნდა დასწიან მშვიდობიან მცხოვრებთა სოფლები. თავის-თავად ასეთი კითხვების დაბადება იმის მაჩვენებელია, რომ კლასობრივი შეგნება ისახება ჯარისკაცებში, ეს შეგნება ჯერ მეტის-მეტად სუსტია, ნებისყოფას მოკლებული. ის არ უბრძანებდა გაბატონებულ კლასს. კითხვისათვის პასუხი ვერ მოუწახავთ. რაკი ბრძანებაა, ალბათ, საჭირო ყოფილაო, და ისინიც სწავდენ სოფელს.

მოგილიოვიდან წამოყვანილი იაკობ შეიერი, რომელსაც მოხუცი დედა და კუტი მამა ჰყავს მოგილიოვეში დატოვებული და რომელიც ოდესღაც ციკკში ცხენების მომვლეულად მუშაობდა, ესლა ლაზების სოფლებს სწავს და ასკერებს ებრძვის. თურქი არასოდეს არ უნახავს და მასთან სამტრო რა უნდა ჰქონდეს, რომ სახლებს უწევს? მისი მტერი მისი სახლის პატრონია, რომელიც, როცა ქირის გადახდას დაუგვიანებს, ბინიდან გაგდებით ემფქრება. ესლა შეიძლება ეს მეტარა მის დედამამს შეუსრულა კოდეს. რაც უფრო მეტს ფიქრობს იაკობ შეიერი, მით უფრო რწმუნდება, რომ მის ომი არ უნდა, რომ ომის სიმართლისა მის აღარა სჯერა, რომ მის უცეე თავისი საკუთარი სიმართლე აქვს.

იგერ ტყვე ლაშს ხერტენ. ტყვემ ენა არ იცის, მაგრამ მთელი ტყვედია მისი სახის გამომეტყველებაზე სწერია. დახერტის შიში გონებას ურეცს კრახის მიწაზე დავარდება და აღრიალდება საშინელი ხმით. მიწას თავს ურტყამს, ჯარისკაცებს ფეხებზე ეხვევა. პირუტყვივით მიათრევენ იმ ადგილისაკენ, სადაც უნდა დასაჯონ. მან ვერ აიტანა ეს წამება და სული დალია. ცოცხალი აღარ არის! მაგრამ პირველ უნდა ასრულდეს, ტყვია უნდა ესროლონ, უნდა დახერტილ იქნას ეს უხედავად მდგომარეობის და აი მკედარ ლაშს მიათრევენ და ხეზე მიაკრავენ, რომ ესროლონ და დახერტიონ. ხედავს ამას ჯარისკაცი და უფიქრდება, თუ რისთვის არის ომი.

ასეთი და სხვა მრავალი საშინელება ჯარისკაცებს თვალს უხელს, მითში კლასობრივი შეგნების ნაპერწკლებს აჩენს. ჯარისკაცები უკვე ფიქრობენ: „განა ეს უკანასკნელი ომია? განა ამის წინა ომი უფრო ღმობიერი არ იყო? რაღა იქნება მომავალში? თქვენ, ძმებო, მთებში დარჩენილნო, შეგაბრუნოთ თოფის ლულა იმათკენ, ვინც ჩვენ ერთმანეთის დასახოცად მიგვრეკავს... მტერი ის არ არის, ვისაც ვესვრივთ, მტერი ის არის, ვინც სროლას გვაიძულებს“.

შემდეგ ნაწარმოებში ვითარდება რევოლუციის დიდი ამბები, მაგრამ ეს ამბები შეგნებასთან ორგანიულად არ არის დაკავშირებული და შეგნება და ამბები ცალკე და თავის-თავად ხდება.

მენშევიკური ხელისუფლება, ომი, ლანჩას პატრიოტობა, მისი სიტყვები სამშობლოსათვის თავგანწირვაზე, კომისარი, ჯარში გაწვევა, ჯარში წასვლის მოწინააღმდეგენი, გიგას და სხვების აგიტაცია, გიგასათვის ბოლშევიკური აგიტაციის დაბრალება, ლანჩას დაახლოვება ხელისუფლებასთან, — ყველაფერი ეს მხატვრული ზომიერებით არის მოკუმული, მაგრამ ზოგიერთ მოვლენას გაუპიროვნება ეტყობა.

ომის უარყოფა, ომში წასვლაზე უარის თქმა განსაზღვრული მსოფლმხედველობით არ არის დასაბუთებული. ომი შეიძლება უარპყოს ადამიანმა პაციფისტური მოსაზრებითაც და რევოლუციური სოციალიზმის მოსაზრებითაც. ნაწარმოებში კი ომი უფრო ხშირად პირადი ცხოვრების მოტივებით არის გაწმობებული და კლასობრივი მიდგომის დონემდის არ არის ამაღლებული. აგიტაცია და პროპაგანდაც განსაზღვრული კლასის და მისი ავანგარდის, პარტიის მუშაობის ნაწილს არ წარმოადგენს. ესტატეს პარტიული ფიზიონომია დაჩრდილულია. სრულებით არა ჩანს. ის ომამდისაც მუშაობდა. ომის შემდეგ ხან კულტურულ მუშაობას ეწევა, ხან რევოლუციონერს, მაგრამ რომელი პარტიის რიგებში სდგას, ამას მკითხველი ვერც მისი მოქმედებით და ვერც მისი აგიტაციით ვერ გაიგებს.

ნაწარმოებში არის ომის სოციალური მოტივებით გაწმობების ცდა. ეს არის მეოცე თავის შესავალი, მაგრამ ეს თავი მოკუმულია წმინდა პუბლიცისტური მსჯელობით და არა მხატვრული სახეებით. ამიტომაც ამ თავის მხატვრული შემოქმედების ხაზით ორგანიული კავშირი არა აქვს ნაწარმოების მთელ ქარგასთან და ის განსაზღვრული მიზნით ჩაჩვირულ ამბის შთაბეჭდილებას ახდენს.

შემოაღნიშნული ზოგიერთი ნაკლის მიუხედავად, „ფერფლი“ სერგო კლდიაშვილის შემოქმედებაში მეტად დიდი ეპოქალური ნაწარმოებია და მრავალმხრივ საყურადღებო და აღსანიშნავი.

წიგნი მხატვრულად კარგად არის გამოკუმული დაბეჭდილია შერჩეულ ქაღალდზე და ღირს 3 მან. და 60 კაპ.



ეროვნული
ენციკლოპედია

26. უზრცელაჲე — „მაჲი ხვითია“. ზაგ. „ფედერაცია“

ფეოდალიზმის გაბრწყინება და რღვევის არსად არც ერთ ქვეყანაში ისეთი საშინელი პირობები არ შეექმნა ხალხის არსებობისათვის, როგორც საქართველოში. ამას ხელს უწყობდა და ხელეწიურადაც კი აღვივებდა უცხოეთის სახელმწიფოების ინტრიგა. მათი დამპყრობელური პოლიტიკის მთავარი იარაღი იყო დასაპყრობ სახელმწიფოს შიგნით უთანხმოების შეტანა და ერთმანეთის გადაკიდება. ამით ისინი მიზანს აღწევდნენ და ფეოდალების ქიშპობით დასუსტებულ საქართველოში იოლად ბატონდებოდნენ. ამ ბატონობას და ფეოდალებს შორის ქიშპობას ეწირებოდა დაბალი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები.

ასეთ პირობებში წარმოიშვა და განვითარდა გურია-სამეგრელოსა და აფხაზეთში ადამიანთა ეპკრობის უსაზღვრესი ინსტიტუტი. ამავე პირობებში უმაგალითოდ განვითარდა ჭურდობა და აბრაგობა. ხალხი და მისი ცხოვრება მთლიანად ამოვლებულ იქნა ნორმალური ცხოვრების კალაპოტიდან. შეიქმნა ისეთი პირობები, რომ შრომას ყოველგვარი აზრი და ფასი დაეკარგა, შეძლებელი გახდა შრომით და გარჯილობით ცხოვრება.

ანტონ ფურცელაძის სარეცენზიო ნაწარმოები „მაჲი ხვითია“ ჩვენი ისტორიის სწორედ ამ საშინელ ეპოქას გვიხატავს სამეგრელოს ფონზე. ეს არის ისტორიული რომანი, რომელიც თვალსაჩინო მნიშვნელობის ლიტერატურულ დოკუმენტს წარმოადგენს და რომელიც გვახედებს ჩვენი მახლობელი წარსულის შევხველ ხანაში, როდესაც დაუძღვრებულ და უფლებააყრილი ხალხის გონებასა და სიცოცხლეზე პირდაპირ ნადირობა იყო გამართული — ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ყველაზე სასტიკი და საშინელი აბრაგები გამოდიოდნენ მაშინ თავდა-აზნაურთა წრიდან.

სარეცენზიო წიგნის დიდი ღირსება სწორედ ის არის, რომ ამ ნაწერებში შევხველ ეპოქასა და საზღვარსა ინსტიტუტის შექმნელები და სულის ჩამდგმელები შევლამაზებლად არიან მოცემული. „მაჲი ხვითია“ წარმოადგენს საბრალმდებლო ოქმს მაშინდელ სამეგრელოს, ბატონ-პატრონების — ფეოდალების გარყვნილება-გათახსორებაზე. პირველი მძარცველი იყო მთავარი. იგი ხალხს სძარცვავდა როგორც აბრაგების საშუალებით, ისე უშუალოდაც.

ნაწარმოების ცენტრალური მომქმედი პირები არიან ეკა და მაჲი. მათ ერთმანეთი მოეწონათ, შეუყვარდათ და გადასწყვიტეს — ერთად შვიდობიანად ეცხოვრათ. მაგრამ ეს გადაწყვეტილება სისრულეში ვერ მოიყვანეს. ამის მიზეზი იყო ჯერ მაჲის სიღარიბე, შემდეგ მთავარი და მისი აგენტები. კალმით აღწერილი ტრაგიკში შეექმნა მაჲისა და ეკას ცხოვრებას, განსაკუთრებით დედოფალმა გურანდუხტმა. ამ გარყვნილმა, ცბიერმა, ვერაგმა და ხელისუფლებას უზომოდ მოწყურებულმა ჭალმა მოინდომა მაჲი თავის საყვარლად გაეხადა, ეკასთვის დაემორჩილებინა, და ამის განსახორციელებლად ყოველგვარ საშუალებას მიმართა. აჯანყებულ გლეხებისაგან (მათ მაჲი ხელმძღვანელობდა) შევიწროვებული გურანდუხტა ზონთქარს ეახლა, მიართვა საჩუქრად საუკეთესო ჭალები და ვაეები (მათში ეკაც იყო) და თავისი სხეულიც მიჰყიდა.

იქიდან ზონთქარს ჯარით დაბრუნებული კვლავ აღიდგენს თავის ბატონობას, მაგრამ ეხლა კესარიისა და მისი შვილების შიში არ ასვენებს (ისინი არიან მთავრის

ტახტის პირველი მემკვიდრეები). მაგრამ გურანდუბტა ახერხებს მთი მოწამელსა და ამოწყვეტას.

ნაწარმოების მთავარი ფონი ჭურდობა და აბრაგობაა. ჭურდობისა და აბრაგობის ფონზე ნაწვენიება ფეოდალიზმის გახრწნა-გათახსირება. ფეოდალიზმი და მისი ბატონობით შექმნილი პირობები სხვა გამოსავალს არ იძლეოდა. აბრაგობის ალ-ნიშნავს ჭურდობისა და აბრაგობის მეტისმეტად გავრცელებას, აბრაგობის მალაღობის მას და მისი წარმოშობის სათავეებს საშართლიანად უკავშირებს საზოგადოების მალაღობას. ნაწარმოების მეოთხე თავში ეკითხულობთ: „აბრაგობა და ცხენებისა და საქონლის პარვა შეადგენდა უფრო მალაღობის საზოგადოების მოქმედებას, მხოლოდ ეწინააღმდეგებოდნენ ამას მუშაენი, რომელნიც ამათის მოწყალებით რჩებოდნენ ცარიელი თავისის ნამუშევრისაგან“.

მაციისა და მის დედას მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი ჭურდობის გზისათვის გვერდი აეღოთ, მაგრამ შექმნილ პირობებში მაციის სხვა გამოსავალი არა ჰქონდა და ისიც ამ გზაზე შედგა. იგი თავისი დროის შებენელი ცხოვრების მსხვერპლი იყო და ეკასთან ერთად დიდი ტრაგიზმით შეეწირა კიდევ მას.

ნაწარმოები იმ მხრივდაც იპყრობს ყურადღებას, რომ იგი დაწერილია თავისი დროისათვის მეტად მალაღობის მსოფლმხედველობით. იქ სასტიკად გამოიშვლებულია ბიზანტიელების კოლონიზატორული პოლიტიკა, მისი დამღუბველი გავლენა ხალხზე. მასთან დაპირდაპირებულია საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციების იდეები. ქართულ ლიტერატურაში ანტონ ფურცელაძემ გაიზიარა ეს იდეები. მან ამ მსოფლმხედველობის ფონზე გაშალა მთელი ნაწარმოები, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მაციის გასამართლებს დროს ფრანგი ექილის სიტყვა, რომელიც ადამიანის თავისუფლების დეკლარაციაა.

ამ ნაწარმოების სერიოზულ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ იგი დაწერილია ძალიან სუსტი ქართული ენით.

სარეცენზიო ნაწარმოები ისტორიული რომანია და ჩვენი ისტორიის ისეთი ეპოქის ამსახველია, რომ საჭირო იყო წიგნს წამოღებოდა შესადერი შესავალი წერილი. საერთოდ გამოცემაზე სრულებით არ სჩანს რედაქტორის ნამუშევარი. გამოცემის ტექნიკაც ძალზე დაბალ დონეზე სდგას.

მკითხველი.





ქართული
ენციკლოპედია

შ ი ნ ა ა რ ს ი

მიხ. ჯგავახიშვილი — ქალის ტვირთი (რომანი)	3
გ. კაჭახიძე — დილა დნებრზე (ლექსი)	51
პ. ჩხიკვაძე — მურზაყან და დეშქელიანი (რომანი)	53
ტ. შევჩენკო — ლექსები	64
ვ. ქუჩიშვილი — ლექსი	69
ს. თავაძე — ფრთები (რომანი)	70
ა. ბელიაშვილი — „ბედის უკუღმართობა“ (მოთხრობა)	111
ნ. ფხაკაძე — ლექსები მოსკოვზე	119

ქ რ ი თ ი კ ა და პ უ ზ ლ ი ც ი ს თ ი კ ა

დ. დემეტრაძე — ფორმალიზმისა და ნატურალიზმის შესახებ ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში	122
ვ. ლუარსაბიძე — ეპოსი უხელტეხილის ელექტროფიკაციაზე	138

ლიბერატურის ისტორია

ირ. აბაშიძე — ტ. შევჩენკო	150
---------------------------	-----

სალიბერატურო არქივი

წერილები რაფიელ ერისთავისადმი	156
-------------------------------	-----

მ ო გ ო ნ ე ბ ა ნ ი

ბ. ხოსიტაშვილი — მოგონება ი. ევლოშვილის ცხოვრებაზე	166
--	-----

ბ ი ზ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

გ. მ. — ს. კლდიაშვილი	182
მკითხველი — ა. ფურცელაძე	186



შეადგინის განყოფილება

ამხ. დემეტრაძის წერილში „ფორმალიზმისა და ნატურალიზმის შესახებ ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში“ დაშვებულია შემდეგი კორექტორული შეცდომები: მე-122 გვ. მეხუთე სტრიქონში (ზემოდან) სწერია: „პრავდაში“, უნდა იყოს „პრავდაში“;

მე-123 გვ. მეთერთმეტე სტრიქონში (ზემოდან) სწერია: „ამ ჩამორჩენის მიზეზები თვით ჩვენ მწერლებმა უნდა ვეძიოთ“, უნდა იყოს „ამ ჩამორჩენის მიზეზები თვით ჩვენ მწერლებში უნდა ვეძიოთ“;

მე-124 გვ. ოცდამეექვსე სტრიქონში (ზემოდან) სწერია: „ფურცლიდან ქართული საბჭოთა პოეზიის პოზიტივიზმი“, უნდა იყოს „ფურცლიდან ქართული საბჭოთა მწერლობის პოზიტივიზმი“. ამავე გვერდზე ქვემოდან მესამე სტრიქონში სწერია: „რეციდივიზმი“, უნდა იყოს „რეციდივიზმი“.

მე-125 გვ. ლექსის სტრიქონი „ბერი მგოსანი ლექსის ჰოგრიტი“, უნდა იკითხებოდეს „ბერი მგოსანი.....“. იქვე „და მებატიოს მგოსნის ცდუნება“, უნდა იყოს: „და შეგიერთო მგოსნის ცდუნება“.

მე-126 გვ. მეშვიდე სტრიქონში (ზემოდან) სწერია: „პოეტების ჰოგრიტი“, უნდა იყოს: „...ჰოგრიტი“...

მე-130 გვ. გ. ლეონიძის ლექსში დაშვებულია შემდეგი კორექტორული შეცდომები: „მშემ როცა მიწას მიუგერისა“, უნდა იკითხებოდეს, „მშემ როცა მიწას მოუგერისა“. სწერია: „თითქო გვიდა, როგორც ბაზალეთი“, უნდა იყოს: „თითო გვიდა, როგორც ბაზალეთი“. სწერია: „განდენ ღრუბლებში შემუსერილ ზომალდებს“, უნდა იყოს: „განდენ ღრუბლები შემუსერილ ზომალდებს“. სწერია: „...ხან დაშვებარ ქალებს“, უნდა იყოს: „...ხან დაშვებარ ქალაქებს“;

მე-131 გვ. მეთერთმეტე სტრიქონში (ქვემოდან) სწერია: „უმიზეზო“, უნდა იყოს: „უმიზნო“;

მე-133 გვ. მეცხრამეტე სტრიქონში (ქვემოდან) სწერია: „დაგვიხატა აფხაზეთის თავისებურებანი“, უნდა იყოს: „დაგვიხატა ძველი აფხაზეთის თავისებურებანი“.

მე-136 გვ. მეექვსე სტრიქონში (ზემოდან) სწერია: „კრიტიკები“, უნდა იყოს: „კრიტიკოსები“.